



ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
International Law Institute, Faculty of Law



This project is funded by the European Union



A project implemented by Hulla & Co. Human Dynamics KG

public sector consulting

N2, 2009, N1, 2010

**საერთაშორისო
სამართლის
ჟურნალი**

**JOURNAL OF
INTERNATIONAL
LAW**

თბილისი, Tbilisi,
2010

„საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“ სამეცნიერო ხასიათის ორენოვანი გამოცემაა. მასში წარმოდგენილია როგორც საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემები, ასევე საქართველოს კანონმდებლობის საკითხები.

ჟურნალი გამიზნულია საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

ეს გამოცემა მომზადებულია ევროკავშირის დახმარებით. ჟურნალში განთავსებული სტატიების შინაარსი არ ასახავს ევროკავშირის მოსაზრებებს, მათზე პასუხისმგებელი არიან მხოლოდ ავტორები.

This publication has been produced with the assistance of the European Union. The contents of this publication are the sole responsibility of the authors and can in no way be taken to reflect the views of the European Union.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი

ალექსიძე ლევან
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი
(თსუ)

აღმასრულებელი რედაქტორი

ტუშური რუსუდან
(თსუ)

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

<i>ბუტკევიჩი ვოლოდიმერ</i> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (სტრასბურგი, საფრანგეთი)	<i>მაგალოვი რუსთამ</i> ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი)
<i>ბაგრიჩიძე გაბა</i> (თსუ)	<i>კატარაია დავით</i> (თსუ)
<i>ღამათრაშვილი ავთანდილ</i> (თსუ)	<i>ქურდაძე ირინე</i> (თსუ)
<i>კერესელიძე დავით</i> (თსუ)	<i>შტრასბურგი მინდია</i> (სტრასბურგი, საფრანგეთი)
<i>კორკელია კონსტანტინე</i> (თსუ)	<i>ჰანიკაინენი ლაურ</i> ტურკუს უნივერსიტეტი (ფინეთი)
<i>კორკელიანი ვიგენ</i> ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სომხეთი)	

BOARD OF EDITORS

Editor in Chief

ALEXIDZE LEVAN
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
(TSU)

Executive Editor

TUSHURI RUSUDAN
(TSU)

Members of the Board:

<i>BUTKEVICH VOLODIMIR</i> European Court of Human Rights (Strasbourg, France)	<i>KOCHARYAN VIGEN</i> Yerevan State University (Armenia)
<i>GABRICHIDZE GAGA</i> (TSU)	<i>MAMEDOV RUSTAM</i> Baku State University (Azerbaijan)
<i>HANNIKAINEN LAURI</i> University of Turku (Finland)	<i>PATARAIA DAVID</i> (TSU)
<i>DEMETRASHVILI AVTANDIL</i> (TSU)	<i>KURDADZE IRINE</i> (TSU)
<i>KERESELIDZE DAVID</i> (TSU)	<i>UGREKHELIDZE MINDIA</i> (Strasbourg, France)
<i>KORKELIA KONSTANTINE</i> (TSU)	

სარჩივი CONTENTS

I. საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები

ლევან ალექსიძე, საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი საერთაშორისო დამოუკიდებელი მისიის მოხსენების საერთაშორისოსამართლებრივი ასპექტები ----- 5
Levan Alexidze, Aspects of International Law of the Report of Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia----- 15
ნინო საგინაშვილი, გაეროს წესდების მე-2(7) მუხლი – თეორია v. პრაქტიკა ----- 24
Nino Saginashvili, Article 2(7) of the UN Charter - Theory and Practices ----- 43

II. ადამიანის უფლებათა დაცვა

ირინე ბართაია, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტების ექსტრატერიტორიული გამოყენება – საერთაშორისო მექანიზმების პრაქტიკის ანალიზი----- 60
Irine Bartaia, Extraterritorial Application of International Human Rights Documents: An Analysis of the Practice of the International Mechanisms ----- 76
შორენა ნიკოლეიშვილი, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა და რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევა----- 89
Shorena Nikoleishvili, Human Rights Situation following the War in August 2008 and Violation of Georgia’s Sovereignty by the Russian Federation ----- 102

III. საზღვაო სამართალი

ეკა სირაძე, საზღვაო შიდა წყლები: დელიმიტაცია, სტატუსი და იურისდიქცია ----- 113
Eka Siradze, Maritime internal waters: delimitation, legal status and jurisdiction----- 128
სუნილ კუმარ აგარვალი, „შეუცდომლის“ ინციდენტი სამხრეთ ჩინეთის ზღვაში – საზღვაო-სამეცნიერო კვლევების მნიშვნელობა გაეროს 1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენციის მიხედვით ----- 141
Sunil Kumar Agarwal, Impeccable Incident in South China Sea: Implications for the Marine Scientific Research Regime Under the 1982 Unclos ----- 151

IV. დიპლომატიური სამართალი

ხათუნა თოთლაძე, დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტის პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძვლები და შედეგები ----- 159
Khatuna Totladze, Political and Legal Grounds and Outcomes of Severance of Diplomatic Relations ----- 171

V. საერთაშორისო სისხლის სამართალი

ქეთევან ხუციშვილი, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულების მსხვერპლთა სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობა: ფიქტიური თუ რეალური მექანიზმი? ----- 181
Ketevan Khutsishvili, Legal and Actual Status of Victims of Crimes Envisaged by the Statute of the International Criminal Court: A fictitious or real mechanism?----- 193

VI. საკონსტიტუციო სამართალი

მალხაზ ნაკაშიძე, პრეზიდენტის ზოგიერთი საკანონმდებლო უფლებამოსილება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ----- 202
Malkhaz Nakashidze, Some Legislative Powers of the President in South Caucasus Countries ----- 223

VII. საერთაშორისო კერძო სამართალი

ლევან გოთუა, უცხო ქვეყნების სასამართლოებისა და საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულება საქართველოში ----- 241
Levan Gotua, Inforcement of Foreign Court Decisions and Foreign Arbitral Awards in Georgia ----- 251

საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი საერთაშორისო დამოუკიდებელი მისიის მოხსენების საერთაშორისოსამართლებრივი ასპექტები

საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომის ტრაგიკული მოვლენებიდან დაახლოებით ორი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში უამრავი ცვლილება განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო ომის გამომწვევი რეალური მიზეზების გამოვლენას. იმთავითვე მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა ომის საერთაშორისოსამართლებრივი ასპექტები. სამწუხაროდ, პირველ ხანებში საქართველომ ვერ შეძლო, წინააღმდეგობა გაენია რუსეთის ფართომასშტაბიანი საინფორმაციო ომისთვის. მოსკოვი მილიონობით დოლარს ხარჯავდა და ხარჯავს, რათა მიჩქმალოს საქართველოში რუსეთის ინტერვენციისა და ოკუპაციის ფაქტები და ომის დაწყება საქართველოს გადააბრალოს.

სამწუხაროდ, დასავლეთისპრესა, პოლიტიკოსები და ზოგი საერთაშორისო ექსპერტიცი წამოეგნენ ამ ანკესზე. მეტიც, ზოგიერთ დასავლელ პოლიტიკოსს აწყობდა კიდევ რუსეთის მიერ შეთავაზებული ვერსია, რადგან მომხდარში ლომის წილი სწორედ დასავლეთ ევროპის წამყვან ქვეყნებს მიუძღვით – ნატოში საქართველოს უფრო ქმედითი ინტეგრაციის პროცესის შენელებამ ხელი შეუწყო რუსეთის ჩვენს ქვეყანაში ინტერვენციას.

ევროპის კავშირის მინისტრთა საბჭომ 2008 წლის 2 დეკემბერს დაავალა საქართველოში კარგად ცნობილ შვეიცარიელ დიპლომატს, ჰეიდი ტალიავინის, შეექმნა „საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი საერთაშორისო დამოუკიდებელი მისია“ (შემდგომში – მისია). მისიას დაევალა „საქართველოში კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების გამოძიება, მათ შორის, საერთაშორისო სამართლის, ჰუმ-

ანიტარული სამართლის, ადამიანის უფლებების კუთხით“.

მოხსენებას, რომელიც ტალიავინიმ 2009 წლის 30 სექტემბერს წარუდგინა ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს (შემდგომში – მოხსენება), დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგი მის ობიექტურობას აქებდა, ზოგი მისიას ფაქტებისა და მათი შეფასების შეუთავსებლობას აბრალებდა, ხოლო ცნობილმა რუსმა ექსპერტმა, ვ. პუტინის ყოფილმა მრჩეველმა, აკადემიკოსმა ა. ილარიონოვმა მოხსენების ძირითადი ნაწილი დაახასიათა როგორც „სკანდალური“, რადგან: „მოხსენება მხარს უჭერს აგრესორს, ამართლებს მომხდარ ინტერვენციას და არის ცრუსამართლებრივი დასაბუთება როგორც მიმდინარე, ასევე მომავალში შესაძლო აგრესიებისა, რაც, სამწუხაროდ, გამორიცხული არ არის“.¹

მოხსენების შეფასების ჩვენეული პოზიცია არ გამოირჩევა ამგვარი რადიკალურობით, რადგან მოხსენების მეორე ტომი, ზოგადად, ასახავს რეალურ მოვლენებს. მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ თავიდანვე ეჭვის თვალით ვუყურებდით მისიის სრულ დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას, რადგანაც მის შემადგენლობაში 19 ნევრიდან 7 იყო გერმანელი, რომელთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოში, ანუ სანამ მისიის ნევრები გახდებოდნენ, ადანაშაულებდნენ საქართველოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთის აგრესიასთან დაკავშირებით მოძიებული ფაქტების რაოდენობა და მათი შემზარავი ხასიათი იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, მისია იძულებუ-

ლი გახდა, სააშკარაოზე გამოეტანა ისინი, თუმცა მათი ზოგიერთი შეფასება აბსოლუტურად მიუღებელია.

მოხსენებამ საქართველოშიც გამოიწვია აზრთა შეხლა-შემოხლა. სამწუხაროდ, ასეთ ვითარებას კარგად იყენებენ ე.წ. ექსპერტები და ქართველი ხალხის დეზორიენტაციას ეწევიან, როგორც ტელევიზიით, ასევე ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით. ისინი არა მარტო უხეშად ამახინჯებენ ფაქტებს, არამედ არც კი ცდილობენ, შეენიანაღმდეგონ ტალიანის მოხსენებაში არსებულ უზუსტობებსა და შეცდომებს, სწორედ რომ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. მეტიც, ეს პიროვნებები ცდილობენ, თავიანთი ნვლილი შეიტანონ აგრესიაში საქართველოს დადანიშნულებაში, რისთვისაც იყენებენ მისიის მოხსენებას.

დავინწყოთ ზოგიერთი „კომენტატორის“ მტკიცებით, თითქოს: „მისიას და მის მოხსენებას საერთაშორისო სამართლებრივი დატვირთვა ჰქონდა და აქვს (?), რადგან მისია შედგებოდა ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოების მიერ ოფიციალურად წარდგენილი პირებისაგან (?), მოკლედ ეს იყო ევროკავშირის სამთავრობათაშორისო (?) ოფიციალური (?) ორგანოს მოხსენება. ამიტომ, მისიის მოხსენებას იურიდიული ძალა აქვს (?) (ხაზგასმა დამატებულია), მიუხედავად იმისა, მას რომელიმე მხარე დაეთანხმება თუ – არა“.²

როგორც ხედავთ, თითქმის ყოველ ფრაზაში კითხვის ნიშანი დაისვა, რადგანაც დასახელებული პოზიცია ფაქტებისა და არსის უპრეცედენტო უცოდინრობისა და დამახინჯების, სიცრუის ნუსხაა. აღნიშნული მიზეზების შემდგომი დაზუსტების მიზნით, გთავაზობთ შემოხსენებული, ჩვენი აზრით, არასწორი მოსაზრებების ანალიზს:

ა) ნებისმიერმა ექსპერტმა იცის, რომ ასეთი სახის მოხსენებებს არანაირი იურიდიული ძალა არ აქვს. მისიას მხოლოდ ფაქტების მოძიება, მათი კლასიფიკაცია და დამფუძნებელი ორგანოსათვის წარდგენა ევალება. იგივე ა. ილარიონოვი იშველიებს ტალიანის მოხსენებას და წერს: „ევროკავშირის კომისია გამომძიებელთა, და არა მოსამართლეთა, კომისიაა. მოხსენების შესავალში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ კომისია არ არის ტრიბუნალი და არც კომისიის ნებისმიერი დასკვნაა ვერდიქტი,

მაგრამ შეიძლება საფუძვლად დაედოს ასეთ ვერდიქტს“.³ უფრო მეტიც, ევროკავშირი გაეცნო წარდგენილ მოხსენებას, „მიესალმა მას“ და „ცნობად მიიღო მისი შინაარსი“.⁴

ბ) თურმე მოხსენებას „იურიდიული ძალა აქვს“, რადგანაც ეს იყო „ევროკავშირის მთავრობათაშორისი ოფიციალური ორგანოს მოხსენება“.⁵

მაგრამ თვით კ. ტალიანის სულ სხვა რამეს ამტკიცებს – მას მიეცა სრული დამოუკიდებლობა არა მარტო მისიის პროცედურებისა და მეთოდების შესამუშავებლად, არამედ მისი შემადგენლობის შერჩევისთვისაც.⁶ „ექსპერტმა“ უნდა იცოდეს, რომ მისია ვერ იქნებოდა „სამთავრობათაშორისო“ ოფიციალური ორგანო, რადგანაც ტერმინი „სამთავრობათაშორისო“ სულ სხვა მნიშვნელობისაა. ასეთი ორგანო მთავრობების ან მათ მიერ შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დანიშნული პირებისგან უნდა შედგებოდეს და არა კერძო პირებისგან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მასში ყოფილი მინისტრები და ელჩები მონაწილეობენ. უფრო მეტიც, მოხსენებაში აღნიშნულია მისი საგამოძიებო ფუნქცია და იქვე ხაზგასმულია ის გარემოება, რომ, „მიუხედავად მთელი ჩატარებული სამუშაოს, მოხსენებას არ შეიძლება ჰქონდეს მოძიებული ფაქტების შემართების ან აბსოლუტურად ამომწურავობის პრეტენზია“.⁷ (ხაზგასმა დამატებულია).

გ) კრიტიკოსები, რომლებიც თითქოს ობიექტურად ახდენენ ციტირებას „საქართველოს დანიშნულებრივი ქმედებების“ დასამტკიცებლად, ცდილობენ, მოხსენებას ამოეფარონ: „ქართული შეიარაღებული ძალების მიერ 2008 წლის 7-8 აგვისტოს, ღამით, ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების მასშტაბიანი და მასირებული დაბომბვით დაიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი საქართველოში“.⁸ მაგრამ ისინი მკითხველს უმაღავენ ფრაზას: „თუმცა ეს იყო მხოლოდ კულმინაციური ნერტილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე მზარდი დაძაბულობის, პროვოკაციებისა და ინციდენტებისა“.⁹ (ხაზგასმა დამატებულია).

სწორედ ესაა საქმე: „მოხსენება გვიჩვენებს, რომ კონფლიქტის წარმოშობის ნებისმიერმა ახსნამ არ შეიძლება ფოკუსირება მოახდინოს მხოლოდ ცხინვალზე 7/8 აგვისტოს ღამით განხორციელებულ საარტილ-

ერო თავდასხმაზე, რაც შემდგომ გადაიზარდა საქართველოს სადავო (ხაზგასმა დამატებულია) შეტევაში სამხრეთოსეთსა და რუსეთის სამხედრო მოქმედებაზე. შეფასება აგრეთვე უნდა მოიცავდეს ომისკენ სვლას, რომელიც ხდებოდა მანამდე, წლების განმავლობაში, და მზარდ დაძაბულობას, რომელიც აღინიშნებოდა სწორედ შეიარაღებული დაპირისპირების წინ.¹⁰

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „რუსეთმა თავისი სამხედრო მოქმედებები საქართველოში დაახასიათა როგორც „მშვიდობის იძულებით აღდგენის ოპერაცია“, ხოლო საქართველომ ამას „აგრესია“ უწოდა. საერთაშორისო საზოგადოებამ, მთავარი მოქმედი პირების ჩათვლით, ასევე ევროკავშირმა, თავი აარიდა ფორმალურ კვალიფიკაციას“.¹¹ საბოლოო ჯამში, მისიამ მონინა აღმდეგე მხარეთა ქმედებების დასახასიათებლად გამოიყენა ტერმინები: „პროპორციული“ და „არაპროპორციული პასუხი“. რუსეთის საქართველოში შემოჭრასაც კი, „თბილისის დაბომბვის ჩათვლით“, უწოდეს „არაპროპორციული პასუხი“. რაც შეეხება საქართველოს მხრიდან ცხინვალისათვის ცეცხლის გახსნას, ოსების მხრიდან გამუდმებული თავდასხმების გამო (ამის დამადასტურებელი მაგალითები უხვად არის მოყვანილი მოხსენებაში), საქართველოს საპასუხო რეაქცია აღნიშნულ ქმედებებზე ასევე კვალიფიცირებულია როგორც „არაპროპორციული“.

დ) ზოგიერთი ქართველი ე.წ. ექსპერტი ამტკიცებს, რომ: „ძალის გამოყენება ქართული მხარის მიერ, რაც გამოიხატა ცხინვალისა და მიმდებარე სოფლების მიმართ „გრადის“ ტიპისა და კასეტური ბომბების გამოყენებით, შეიძლება შეფასდეს როგორც აგრესია (ხაზგასმა დამატებულია), გაეროს (სად გაქრა სიტყვები: „გენერალური ასამბლეის“, ხაზგასმა დამატებულია) 3314-ე რეზოლუციის მე-3(ა) მუხლის თანახმად.“

ვნახოთ, რას გვაუწყებს ეს მუხლი:

„მუხლი 1: აგრესია არის სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან ნებისმიერი სხვა, გაეროს წესდებასთან შეუთავსებელი ქმედება, როგორც ამას განსაზღვრავს დეკლარაცია.

...

მუხლი 3(ა): [აგრესია არის] სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა ან თავდასხმა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან ნებისმიერი სამხედრო ოკუპაცია, როგორი დროებითიც არ უნდა იყოს ის, რაც ამ შეჭრის ან თავდასხმის შედეგია, ან ძალის გამოყენებით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნებისმიერი ნაწილის ანექსია“¹² (არაოფიციალური თარგმანი).

კომისიის ზოგიერთი წევრი ცდილობდა, წარმოეჩინა საქართველო როგორც „აგრესორი“, რადგან ის ვითომდა თავს დაესხა ე.წ. „სხვა სახელმწიფოს“ – „სამხრეთ ოსეთს“. ამ კუთხით, საგულისხმოა პროფესორ ოტო ლაუტერჰანდტის მცდელობა, განესაზღვრა სტატუსი „სტაბილური *de facto* რეჟიმის მქონე ერთეულის[თვის], რომელიც არ არის აღიარებული საერთაშორისო დონეზე, როგორც სახელმწიფო, მაგრამ რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს სახელმწიფოებრიობის არა ყველა, მაგრამ ზოგიერთი მახასიათებელი“. საბედნიეროდ, ტალიავინის მოხსენება არ იზიარებს ამ პოზიციას. სხვათა შორის, ლაუტერჰანდტი, სანამ დაინიშნებოდა მისიის ექსპერტად, აქტიურად ეწეოდა აღნიშნული პოზიციის პროპაგანდას რუსეთში, მისსავე არცთუ ისე მიუკერძოებელი სტატიის მეშვეობით.¹³

საბედნიეროდ, მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, მოხსენება სამხრეთ ოსეთს მოიხსენიებს როგორც „სახელმწიფოებრიობას მოკლებულ ერთეულს“.¹⁴

ახლა ვნახოთ, რას წერს ფლორენციის უნივერსიტეტის პროფესორი, ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის პირველი პრეზიდენტი და მოგვიანებით დარფურის საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე ანტონიო კასესე თავის სტატიაში – „მგელი, რომელმაც შეჭამა საქართველო“:

„რუსეთმა ჩამოაყალიბა რამდენიმე მიზეზი, რათა გაემართლებინა სამხედრო ინტერვენცია საქართველოში, სადაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონები კვლავაც საქართველოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფებიან. რუსეთი ცდილობს, დაასაბუთოს, რომ მისი ინტერვენცია მიზნად ისახავდა: 1) შეეჩერებინა საქართველოს აგრესია სამხრეთის ოსების წინააღმდეგ; 2) აღეკვეთა საქართველოს

მიერ იქ ჩადენილი ეთნიკური წმენდის, გენოციდისა და ომის დანაშაულები; 3) დაეცვა რუსეთის მოქალაქეები; და 4) დაეცვა [სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ]... ოსებს, ბორის ელცინსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის 1992 წელს დადებული სამშვიდობო შეთანხმების საფუძველზე.

*ვერც ერთი აღნიშნული იურიდიული არგუმენტი ვერ უძლებს კრიტიკას (ხაზგასმა დამატებულია). საქართველო თავისი ჯარების გაგზავნით, უდავოდ, პოლიტიკურად წინდაუხედავად მოქმედებდა, მაგრამ მას არ დაურღვევია არც ერთი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა, როგორც ნომინალურიც არ უნდა ყოფილიყო მისი სუვერენიტეტი. ამ შედეგებში არც გენოციდის, არც ეთნიკური წმენდის ნიშნები არ იკვეთება (ხაზგასმა დამატებულია); [სამხრეთ ოსეთში მცხოვრები] ... ოსების წინააღმდეგ ომის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი, შეიარაღებული შეჭრა არ არის გამართლებული. უფრო მეტიც, [სამხრეთ ოსეთში მცხოვრები] ... ოსებს აქვთ რუსეთის მოქალაქეობა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთმა რამდენიმე ხნის წინ ცალმხრივად მიანიჭა მათ თავისი მოქალაქეობა“.*¹⁵

ლონდონის საყოველთაოდ ცნობილი ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის ლექტორი როი ალისონი წერს: „რუსეთი დაულაღავად იმეორებდა, რომ „პირველი მას დაესხნენ თავს“ და მიუთითებდა აგრესიის იმ განსაზღვრებაზე, რომელსაც შეიცავს გაეროს გენერალური ასამბლეის 1974 წლის 3314-ე რეზოლუცია, მაგრამ რუსეთის მცდელობა, დაადანაშაულოს საქართველო „აგრესიის ჩადენაში“, სამართლებრივად ვერ ამართლებს რუსეთის თავდასხმას ან ჯარების გამოყენების სხვა ფორმებს საქართველოს წინააღმდეგ, რადგანაც, უშუალოდ, რუსეთის ტერიტორია არ იყო თავდასხმის ობიექტი... ეტყობა, სწორედ ამ „ხარვეზის“ შესავსებად ვ. პუტინმა 2008 წლის 11 სექტემბერს სოჭში, ვალდაის კლუბის ნევრებთან შეხვედრისას, ღიად განაცხადა: „რა გინდოდათ, რომ გაგვეკეთებინა... როდესაც აგრესორი შემოიჭრა ჩვენს ტერიტორიაზე, უნდა გაგვერტყა სილა – აგრესორი უნდა დაისაჯოს (ხაზგასმა დამატებულია)“.¹⁶

აღსანიშნავია, რომ ქალბატონ ჰ. ტალიაზინის მიერ მოძიებული ფაქტები არ იძლეო-

და საქართველოს აგრესიაში დადანაშაულების საფუძველს, ამიტომაც მოხსენების შესავალში სიტყვა „აგრესია“ არც ერთი მხარის მიმართ არ არის გამოყენებული, თუმცა მეორე ტომში ფართოდ არის განხილული, თუ რამდენად თავსდება საქართველოს 2008 წლის 7 აგვისტოს ქმედებები აგრესიის ჩადენის განსაზღვრებაში.

მისიის მოხსენებაში კარგად ჩანს ის ორჭოფული პოზიცია, რომელიც გამოიკვეთა მხარეთა ქმედებების შესწავლისა და შეფასების დროს. უფრო კონკრეტულად კი: საქართველოს ბრალად ედება, თითქოს მან სამშვიდობოებზე მიიტანა იერიში, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. თუ დაუფრებთ მოხსენების მეორე ტომის მე-17 პარაგრაფს: „რუსეთი აცხადებს, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს, დილით, ცხინვალში განლაგებულ სამშვიდობოებზე განხორციელებული იერიშის შედეგად მოკლულ იქნა ორი ჯარისკაცი და ხუთი დაიჭრა.“¹⁷ საქართველომ უარყო... [ეს ბრალდება] და ამტკიცებდა, რომ ცხინვალში შესვლისას საქართველოს ჯარები მოექცნენ სამშვიდობოების ბანაკიდან გახსნილი ცეცხლის ქვეშ, რის გამოც იძულებული გახდნენ, გაეხსნათ ცეცხლი“.¹⁸

საგულისხმოა მისიის კომენტარი: „მისიას არ გააჩნია დამოუკიდებელი წყაროებიდან მოძიებული ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია, დაადასტუროს ან უარყოს ორივე მხარის ბრალდებები. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ადგილზე შექმნილ სახიფათო სიტუაციას, რუსეთის სამშვიდობო პერსონალის რიგებში მომხდარი დანაკარგი უფრო სავარაუდოა“.¹⁹

მოხსენების მე-20 პარაგრაფში კი ვკითხულობთ: „საქართველოს მიერ ძალის გამოყენება რუსეთის სამშვიდობო ძალების წინააღმდეგ ცხინვალში... ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართალს“.²⁰

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რა შეიძლება ითქვას?

როგორც რ. ალისონი წერს: „სამშვიდობოებს შორის დანაკარგი, და გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი, ხშირად მომხდარა, მაგრამ არც ერთ „დედა სახელმწიფოს“ არ მოუწყვია ამის გამო ინტერვენცია ათიათასობით ჯარისკაცის გამოყენებით იმ სახელმწიფოს მიმართ, რომლის ტერიტორიაზეც ეს მოხდა“.²¹ უფრო მეტიც, იმავე მეორე ტომში მისია აღნიშნავს: „შეუძლებელია,

მისიის მიერ დადასტურებულად ჩაითვალოს ის ფაქტი, თითქოს საქართველო თავს დაესხა რუსეთის სამშვიდობოებს.²² მომდევნო პარაგრაფში კი ვკითხულობთ: „უფრო მეტიც, სადავოდ რჩება საკითხი, რამდენად შეეფერება სიმართლეს მტკიცება, თითქოს პირველად საქართველო დაესხა თავს რუსეთის სამშვიდობოებს“.²³

ახლა კი მივუბრუნდეთ საკითხს, თუ როგორ აფასებს მოხსენება რუსეთის შემოჭრას საქართველოში:

„რუსეთი ჩართული იყო კონფლიქტში რამდენიმე გზით: პირველი, რუსეთის სამშვიდობოები, რომლებიც დისლოცირებულნი იყვნენ სამხრეთ ოსეთში, სოჭის შეთანხმების საფუძველზე, ჩაერთნენ ბრძოლაში ცხინვალისათვის; მეორე, რუსეთის რეგულარული ჯარები იბრძოდნენ სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთსა და უფრო ღრმად საქართველოს ტერიტორიაზე; მესამე, ჩრდილო კავკასიის არარეგულარულმა ძალებმა მიიღეს მონაწილეობა ბრძოლაში; და ბოლოს, რუსეთი მრავალი საშუალებით ეხმარებოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ძალებს, განსაკუთრებით მათი წვრთნით, შეიარაღებით, აღჭურვილობით, დაფინანსებით და სხვა მხარდაჭერით... გაეროს წესდების მე-2(4) მუხლისა და, პარალელურად, ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის არმიის სამხედრო ოპერაციებმა საქართველოს ტერიტორიაზე (მათ შორის სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში და სხვაგან, ნებისმიერ ადგილას საქართველოში) დაარღვიეს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი ძალის გამოყენების აკრძალვის შესახებ“.²⁴

მოხსენებაში უარყოფილია რუსეთის ყველა მცდელობა, სამართლებრივად გაემართლებინა ინტერვენცია, *inter alia*: „ძალის გამოყენება თავდაცვის მიზნით“;²⁵ „რუსეთის მოქმედებების აუცილებლობა და პროპორციულობა“;²⁶ „ძალის გამოყენება სამშვიდობოების ფუნქციების განსახორციელებლად“;²⁷ „ინტერვენცია სამხრეთ ოსეთის თხოვნით“;²⁸ „კოლექტიური თავდაცვა“;²⁹ „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ „რუსეთის მოქალაქეებისა და ოსების მიმართ გენოციდის აღკვეთის მიზნით“;³⁰ „ძალის გამოყენება საზღვარგარეთ საკუთარ მოქალაქეთა დასაცავად“.³¹

საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი ობიექტური ექსპერტისათვის ზემოთ

ჩამოთვლილი „ქმედებანი“ მთლიანად თავსდება გაეროს წესდების მე-2(4) მუხლით აკრძალული პრინციპისა და გენერალური ასამბლეის 3314-ე რეზოლუციის ჩარჩოში, ე.ი., ეს „ქმედებები“ აშკარად აგრესიულ ხასიათს ატარებდა, თუმცა მისიამ თავი შეიკავა მსგავსი კვალიფიკაციისაგან.

რაც შეეხება საქართველოს, მისია არ უარყოფს ოსების მხრიდან ქართულ სოფლებსა და სამშვიდობოებზე თავდასხმებს, რაც მსხვერპლითაც კი მთავრდებოდა; არც იმას უარყოფს, რომ 7 აგვისტომდე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთის ტერიტორიიდან როკის გვირაბის გავლით გადმოსული შეიარაღებული „მოხალისეებისა“ და დაქირავებული პირების უწყვეტი ნაკადი მოედინებოდა. ამავე დროს, მისია ცდილობს, უარყოს რუსეთის რეგულარული ჯარების შემოსვლა იმავე როკის გვირაბით. თუმცა არსებული წყაროების, მათ შორის რუსული წყაროების, მიხედვით, უკვე დიდი ხანია, დადასტურდა, რომ „2008 წლის 7 აგვისტომდე კონფლიქტურ ზონაში დისლოცირებული იყო რუსეთის შეიარაღებული ძალები, ყოველგვარი ნებართვის გარეშე... [და ატარებდა] რეგულარულ წვრთნებს სამხრეთ ოსეთში, მათ შორის აგვისტოს ომამდე უშუალოდ ერთი კვირით ადრე“.³²

მისიას საქართველოს მიერ გაეროს წესდებით აღიარებული ძალის აკრძალვის პრინციპის დარღვევად მიაჩნია ის, რომ სამხრეთ ოსეთის მხრიდან, თუნდაც ინტენსიური სროლის საპასუხოდ, საქართველომ სარაკეტო დანადგარებიდან ფართომასშტაბიანი ცეცხლი გახსნა, რა დროსაც გამოყენებულ იქნა კასეტური იარაღი. ნიშანდობლივია, საქართველომ იმთავითვე აღიარა ეს ფაქტი, მაგრამ ასაბუთებდა თავის მოქმედებას იმით, რომ ცხინვალსა და მიმდებარე რაიონებში რუსეთის რეგულარული და არარეგულარული (ე.წ. „ბოვეიკები“) ჯარების მასობრივი იერიში იწყებოდა. შედარებისთვის გავიხსენოთ, რომ მისიამ დაგმო რუსეთის მცდელობა, დაემალა მის მიერ კასეტური ბომბების გამოყენების ფაქტი მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ.³³

რაც შეეხება „საქართველოს მტკიცებას იმის შესახებ, რომ რუსეთის ჯარები შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე როკის გვირაბის გავლით მანამდე, სანამ საჰაერო და სახმელეთო იერიში დაიწყე-

ბოდა საქართველოს მხრიდან 2008 წლის 7 აგვისტოს, ღამის 11.³⁵ საათზე, მისიამ ვერ დაადასტურა აღნიშნული ფაქტი“. თუმცა აქვე აღნიშნა: „არ არის გამორიცხული, გამოიკვეთოს ახალი მტკიცებულებები, რომლებიც, შესაძლოა, დაადასტურებენ რუსეთის ჯარისკაცების ყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე ხსენებული დროისთვის“.³⁴ (ხაზგასმა დამატებულია).

ამგვარად, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის რეგულარული ძალების შემოდინებისა და შტურმის დაწყების შესახებ ფაქტების უქონლობა საკმარისი საფუძველი აღმოჩნდა მისიის მიერ კვალიფიკაციის განხორციელებისგან თავის შეკავების გასამართლებლად.

რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში და ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით, დღეს დიპლომატიური, პოლიტიკური და, რაც მთავარია, საერთაშორისო სამართლის სწორი ინტერპრეტაციისთვის ბრძოლაში გადაიზარდა. როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთისა და თვით რუსეთის ექსპერტთა უმრავლესობა უკომპრომისოდ იცავს საქართველოს სიმართლეს და აკრიტიკებს რუსეთის ფედერაციის აგრესიულ პოლიტიკას.

ზოგიერთი გამოჩენილი სახელმწიფო მოხელე და პოლიტიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას და ფართომასშტაბიანი შეტაკების თავიდან აცილების მიზნით დაუყოვნებელი ზომების მიღების აუცილებლობას ხედავს. როგორც ვაცლავ ჰაველმა, ვალდას ადამკუსმა და სხვა ცნობილმა პოლიტიკურმა თუ საზოგადო მოღვაწეებმა განაცხადეს: „გადამწყვეტი კითხვა ის არის, თუ რომელი ქვეყანა შეიჭრა მეორეში, ვიდრე ის, თუ რომელმა ჯარისკაცმა გაისროლა პირველი ტყვია“.³⁵

ამასობაში საქართველოში ირაზმებიან ცრუ ექსპერტები, რომლებსაც აქცენტი გადააქვთ მხოლოდ მოხსენების სადავო დებულებებზე. მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, მთავარია, რომ მოხსენება შეიცავს რუსეთის მიერ ჩადენილი ან მის მიერ მხარდაჭერილი აგრესიული აქტების გრძელ ჩამონათვალს, რომლებიც მნიშვნელოვნად ხელყოფენ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს:

- ასეთ გარემოებებში საქართველოს შეტევა რუსეთის სამშვიდობო ბაზაზე შეიძლება იყოს უცხოეთის ტერიტორიაზე რუსეთის ჩვეულებრივ ბაზებზე შეტევის ტოლფასი და ამიტომ სპეციალურად მიმართული რუსეთის, როგორც სახელმწიფოს, წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი საფუძველი თავდაცვისთვის. უფრო მეტიც, როგორც ზევით არის აღნიშნული, საქართველოს მიერ რუსეთის სამშვიდობო ბაზაზე შეტევა გარკვევით არ დასტურდება მისიის მიერ;³⁶
- არ არსებობს არანაირი ეჭვი, რომ რუს სამშვიდობოებს, თუ მათზე პირდაპირი შეტევა განხორციელდა, ჰქონდათ პასუხის გაცემის უფლება. დაუყოვნებელი სამხედრო პასუხი და, ამ პირობებში პროპორციული, აუცილებელი იყო. და მაინც, დღემდე იბადება ეჭვები, პირველ რიგში, განხორციელდა თუ არა შეტევა რუს სამშვიდობოებზე;³⁷
- უფრო რთულია იმ საკითხის გადაწყვეტა, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მთლიანი სამხედრო კამპანია იყო თუ არა აუცილებელი და პროპორციული;³⁸
- ამრიგად, რუსეთის ინტერვენცია საქართველოში ვერ იქნება გამართლებული რუსეთის მოქალაქეების დაცვის არგუმენტით;³⁹
- ამ მიზეზების გათვალისწინებით, საქართველოს პოლიციისა და სამხედრო შენაერთების ყოფნა კოდორის ხეობაში არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც შეიარაღებული თავდასხმა აფხაზეთზე;⁴⁰
- აფხაზეთის მიერ ძალის გამოყენება გაუმართლებელია საერთაშორისო სამართლის მიერ და, შესაბამისად, არის უკანონო. იგივე ვრცელდება რუსეთზე, რომელიც მხარს უჭერდა აფხაზეთს ძალის გამოყენებაში;⁴¹
- ზიანი, რომელიც მიაღწა საავადმყოფოებს, გამოწვეული იყო „გრადის“ ტიპის რაკეტებისა და არტილერიის არაზუსტი დაბომბვის შედეგად, მაშინ, როდესაც გორის საავადმყოფო, რომელიც სარგებლობს ჰუმანიტარული დაცვით, იყო წინასწარგანზრახული ცეცხლის ობიექტი. ეს შესაძლოა გაუტოლდეს ომის დანაშაულს;⁴²
- დახოცილთა ზუსტი რაოდენობა არ არის დადგენილი და ზოგიერთი ფაქტი

გაურკვეველი რჩება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისიას სჯერა, რომ მოსალოდნელია გამოჩნდეს მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდება ოსური ძალების მიერ მკვლელობების ჩადენა;⁴³

- მისიას სჯერა, რომ არსებობს დადასტურებული შემთხვევები სასტიკი მოპყრობისა და წამებისა, რომლებიც ჩადენილია ოსური ძალების მიერ;⁴⁴
- მისიას სჯერა, რომ არსებობს დაკავებული კომბატანტებისადმი სასტიკი მოპყრობისა და წამების დადასტურებული შემთხვევები. როგორც ჩანს, აღნიშნული ქმედებები ძირითადად ჩადენილია სამხრეთოსეთის ძალების მიერ და ასევე, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა ადგილზე მყოფი რუსი ჯარისკაცების მიერაც;⁴⁵
- ჩანს, რომ მრავალი შემთხვევა იყო მოქალაქეთა დაკავების, თვითნებური დაპატიმრების, მოტაცებისა და მძევლად წაყვანისა, რომელთაც, ძირითადად, სამხრეთ ოსეთის ძალები და სხვა შეიარაღებული ოსური დაჯგუფებები ახორციელებდნენ;⁴⁶
- კონფლიქტის განმავლობაში და, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთსა და ბუფერულ ზონებში ხდებოდა, უპირატესად, ეთნიკური ქართველების სახლებისა და საკუთრების სისტემატური და ფართომასშტაბიანი ძარცვა. ოსური ძალები – არაიდენტიფიცირებადი შეიარაღებული ოსური ფორმირებები და ხშირად ოსი სამოქალაქო პირებიც კი – აწარმოებდნენ აღნიშნულ კამპანიას, რუსული ძალებისთვის შეტყობინებით. რუსმა სამხედროებმა არ მოახდინეს აღნიშნული ქმედებების პრევენცია და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ შეაჩერეს ძარცვისა და საკუთრების მითვისების შემთხვევები სახლების გადანვის შემდეგ, მაშინაც კი, როდესაც საკუთარი თვალთვლით ხედავდნენ აღნიშნულ ქმედებებს. აფხაზურ ძალებს არ განუხორციელებიათ ამგვარი ძარცვა, თუმცა ძარცვისა და საკუთრების განადგურების იშვიათი შემთხვევები მაინც დაფიქსირდა;⁴⁷
- რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებები უამრავჯერ „ჩაიჭრნენ“, მიეღოთ ზომები კანონებისა და წესრი-

გის შესანარჩუნებლად, ასევე დაეცვათ სამოქალაქო მოსახლეობა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად;⁴⁸

- 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტისა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების კონტექსტში განხორციელდა დაახლოებით 135000 პირის იძულებით გადაადგილება, რასაც უამრავი გამომწვევი მიზეზი ჰქონდა. გარდა იმისა, რომ შეიარაღებული ქმედებების საფრთხემ და, ზოგადად, დაუცველმა გარემომ მნიშვნელოვნად განაპირობა იძულებით გადაადგილების შემთხვევების დიდი ნაწილი, ასევე აღინიშნა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევების დადასტურებული შემთხვევები, რომლებიც ჩადენილ იქნა სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველების გადაადგილების იძულების მოტივით. ამ ფაქტმა კი მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ დაირღვა თვითნებური და იძულებითი გადაადგილების აკრძალვა;⁴⁹
- მრავალი ელემენტი ამტკიცებს დასკვნას, რომ ეთნიკური წმენდა ეთნიკური ქართველების მიმართ სამხრეთ ოსეთში აღინიშნა როგორც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის განმავლობაში, ასევე მის შემდეგაც;⁵⁰
- იძულებით ადგილნაცვალ პირთა საკუთრების დაცვის საკითხს დიდი ხნის ისტორია აქვს, რომელიც კვლავ რჩება გადაუჭრელი დავის საგნად, ჯერ კიდევ 1990-იან წლებში არსებული კონფლიქტებიდან მოყოლებული. სამხრეთ ოსეთში ხელისუფლებაც და რუსული ძალებიც სერიოზულად „ჩაიჭრნენ“, დაეცვათ იძულებით ადგილნაცვალ პირთა საკუთრების უფლება 2008 წლის კონფლიქტის განმავლობაში და, განსაკუთრებით, მას შემდეგ. უფრო მეტიც, სამხრეთ ოსეთის ძალები მონაწილეობდნენ სახლების ძარცვაში, მათ გადანვასა და განადგურებაში, კონფლიქტის განმავლობაში და მას შემდეგაც. ამ მხრივ, ყოველსომცველი პროექტები უნდა შეიქმნას და განხორციელდეს, მაგრამ როგორც იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების უფლების ერთგვარი

დამატება, და არა როგორც ამ უფლების ჩანაცვლება;⁵¹

- სერიოზული დამოკიდებულება გამოიხატა ეთნიკური ქართველების სიტუაციისადმი გალისა (აფხაზეთი) და ახალგორის რაიონებში მათი უფლებების ეფექტიან დაცვასთან დაკავშირებით. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის *de facto* ხელისუფლებებმა უნდა უზრუნველყონ მათი დაცვა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს ამ პირთა უფლებების დისკრიმინაცია და შელახვა.⁵²

უკომენტაროდ.

დასკვნის სახით გვსურს მოვიხმოთ ტალიანის დასკვნა და რონალდ რ. ასმუსის საყოველთაოდ ცნობილი წიგნი რუსული აგრესიისა და სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ქმედებათა შესაფასებლად.

რონალდ ასმუსი აკეთებს ასეთ შეფასებას: „ეს ომი მიმართული იყო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, ზოგად კონტექსტში, უფრო დასავლეთის წინააღმდეგ. ფიზიკურად საქართველო იყო სამიზნე, მაგრამ ჩვენც მოვიაზრებთ პოლიტიკურ მოტივაციათა გზაჯვარედინზე. თბილისი იქცა განტყვევების ვაცად რუსეთის საყვედურებისა და განრისხების გამოსავლენად, რომელიც წლების განმავლობაში გროვდებოდა შეერთებული შტატების, ნატოს და იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც, მოსკოვის აზრით, ეხმარებოდნენ საქართველოს. ეს დამოკიდებულება გამოვლინდა ყველაფერში, თუნდაც: როგორ გააშუქა რუსულმა მედიამ ომი, როგორ შეაფასეს რუსმა ოფიცრებმა საკუთარი მისია ხანმოკლე ოკუპაციის პერიოდში, ანდა გამოვლინდა თუნდაც „გრაფიტების“ სახით, რომლებიც რუსეთის ჯარებმა დატოვეს. ეს გაღიზიანება, უპირველესად, მიმართული იყო შეერთებული შტატებისა და ნატოს მიმართ, მაგრამ ამით არ დასრულებულა. რუსმა ჯარისკაცებმა ისეთივე სიამოვნებით გაანადგურეს ევროკავშირის დროშები, როგორც აშშ-ისა და ნატოს ნებისმიერი სიმბოლო. რუსეთის პროპაგანდის მექანიზმმა არა მხოლოდ ბრალი დასდო საქართველოს ომის დაწყებაში, არამედ ასევე პირდაპირ დაადანაშაულა შეერთებული შტატები ჩა-

რევაში, რომ ამ უკანასკნელმა შექმნა და დააჩქარა ეს კონფლიქტი“.⁵³

ასმუსი აგრძელებს მსჯელობას: „დასავლეთში ბევრმა სცადა, უკან დაეხია, თითქოს რუსეთ-საქართველოს ომი მხოლოდ ადგილობრივი კონფლიქტი იყო, რომლის მონაწილეებიც ისინი არ იყვნენ. მაგრამ მაინც ნაკლებად საეჭვოა, რომ რუსეთისთვის ეს ომი არ იყო ახალი პოლიტიკის დასაწყისი, რომელიც გულისხმობდა დასავლეთის ზეგავლენის დასუსტებას და რუსეთის საზღვრებთან დასავლური ინსტიტუტების მიახლოების ნებისმიერი მცდელობის დარეგულირებას. მოსკოვი აცხადებდა, რომ უკან დახევის პერიოდი დასრულდა. ამგვარად, ის ატყობინებდა მთლიანად დასავლეთს, რომ საქართველო მისი გავლენის ფარგლებში იყო და ჩვენ თავი უნდა შეგვეკავებინა ჩარევისგან. ეს იყო გზავნილი, რომ რუსეთი ნამდვილად მზად იყო ბრძოლისთვის, რათა არ დაეშვა თავის საზღვრებთან დასავლეთის შემდგომი მიახლოება, განსაკუთრებით კი ნატოს სახით. ამ კუთხით, ეს იყო პირველი ცივი ომის შემდგომი დასავლეთ-აღმოსავლეთის შეიარაღებული კონფლიქტი“.⁵⁴

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა, განსაკუთრებით ევროპის საბჭო და ევროკავშირი, მუდმივად მოუწოდებს რუსეთს, უკანაილოს საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ე.წ. „დამოუკიდებლობის“ აღიარება, სამწუხაროდ, ეს ჯერ არ მომხდარა. ამასთანავე, რუსეთის უკანონო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ ხაზგასმულია მოხსენებაშიც. ამასობაში, მთლიანი ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში, რუსეთი აგრძელებს სამხედრო ყოფნას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, რასაც ამართლებს „დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან დადებული“ ე.წ. „ხელშეკრულებებით“ და, ამასთანავე, არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციას ან მის დამკვირვებელს არ აძლევს ამ ტერიტორიებზე შესვლის უფლებას. მთელი მსოფლიო თვალს ადევნებს ადამიანის უფლებების დარღვევის უხეშ ფაქტებს ამ ტერიტორიებზე, მაგრამ არ აქვს საშუალება, მონიტორინგი გაუწიოს არსებულ სიტუაციას ადგილზე.

კიდევ რამდენ ხანს მოითმენს საერთაშორისო საზოგადოება ამ ცინიკურ დამოკიდებულებას თანამედროვე საერთაშორისო

სამართლებრივი წესრიგის ფუნდამენტური ცნებების მიმართ?! ამ კუთხით, ჩვენ ვეთანხმებით მოხსენების დასკვნას, რომ: „საჭიროა, გადაიდგას უფრო გრძელვადიანი და უფრო მიზანმიმართული ნაბიჯები ამ კრიზისული სიტუაციის დასარეგულირებლად, და ამგვარ სიტუაციებში უფრო საფუძვლიანად უნდა ჩაერთოს საერთაშორისო საზოგადოება და, განსაკუთრებით, გაეროს უშიშროების საბჭო, ასევე მნიშვნელოვანი რეგიონალური და არარეგიონალური ფიგურები.

აგრეთვე, აღმოჩნდა, რომ არსებული სიტუაციის სტაბილიზაციაზე მიმართული მთელი რიგი შეთანხმებებისა და ინსტიტუ-

ტებისა, როგორებიცაა: ერთიანი სამშვიდობო ძალები, ერთიანი საკონტროლო კომისია და ეუთოს ყოფნა სამხრეთ ოსეთში, ასევე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალები და გაეროს სადამკვირვებლო მისია აფხაზეთის კონფლიქტში, რომლებიც შეიქმნა საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეიარაღებული კონფლიქტების შემდგომ, 1990-იანი წლების დასაწყისში (დასახელებული შეთანხმებები და ინსტიტუტები), მოექცა პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებში მიმდინარე ახალი და მეტად საშიში ცვლილებების ფორმატში“.⁵⁵

- ¹ А. Илларионов, Первые впечатления: это скандал, *Live Journal*, (9 სექტემბერი, 2009), <<http://aillarionov.livejournal.com/118326.html>>, 2010, 19 მარტი, 2010წ. მდგომარეობით.
- ² გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 19 დეკემბერი, 2009წ.
- ³ А. Илларионов, იხ. სქოლიო 1.
- ⁴ EU Council, Presentation of the Report of the Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, Brussels, 2009, 13875/09.
- ⁵ იხ. ზემოთ, სქოლიო 2.
- ⁶ Report of Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, (შემდგომში — მოხსენება), ტომი I, გვ. 6, §3. იხ. აგრეთვე: 1-ლი მუხლის §3, და მე-3 მუხლი, EU Council Decision 2008/901/CFSP of 2 December, 2008 concerning an independent international fact-finding mission on the conflict in Georgia in: Official Journal of the European Union, 3.12.2008, EN., 323/66.
- ⁷ *Ibid.*, გვ. 9, §9.
- ⁸ *Ibid.*, გვ. 11, §3.
- ⁹ *Ibid.*
- ¹⁰ *Ibid.*, გვ. 31, §36.
- ¹¹ *Ibid.* გვ. 22, §18.
- ¹² UNGA Res. 3314 (XXIX), 29th Session, (1974), ხელმისაწვდომია: <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/739/16/IMG/NR073916.pdf?OpenElement>.
- ¹³ Отто Лухтерхандт, 'Международно-Правовые Аспекты "Грузинской Войны"', Российский Бюллетень по Правам Человека, Институт Прав Человека (2008), <<http://www.hrights.ru/text/b26/bul26.htm>>, 2010, 19 მარტის მდგომარეობით.
- ¹⁴ მოხსენება, ტომი II, გვ. 128-129.
- ¹⁵ Antonio Cassese 'The Wolf that Ate Georgia', *Guardian*, 2008, 1 სექტემბერი, < <http://www.project-syndicate.org/commentary/cassese5/English>>, 2008, 9 სექტემბრის მდგომარეობით.
- ¹⁶ Ronald Allison, (2009) *The Russian case for military intervention in Georgia: international law norms and political calculation*, *European Security*, 18:2, გვ. 176-177.
- ¹⁷ საგულისხმოა, რომ „მიუკერძოებელი“ ექსპერტი ოტო ლუხტერჰანდტი ასახელებს სხვა ციფრს – 10 რუსი მშვიდობისმყოფელი, რომლებიც იქნენ მოკლულნი. იხ.: Отто Лухтерхандт, 'Международно-Правовые Аспекты "Грузинской Войны"', Российский Бюллетень по Правам Человека, Институт Прав Человека (2008), <<http://www.hrights.ru/text/b26/bul26.htm>>.
- ¹⁸ მოხსენება, ტომი I, გვ. 21, §17.

- ¹⁹ *Ibid.*
- ²⁰ *Ibid.*, გვ. 23, §20.
- ²¹ Roy Allison, (2009) *The Russian case for military intervention in Georgia: international law norms and political calculation*, *European Security*, 18:2, გვ. 178.
- ²² მოხსენება, ტომი II, გვ. 268.
- ²³ *Ibid.*, გვ. 270.
- ²⁴ *Ibid.*, გვ. 263-264.
- ²⁵ *Ibid.*, გვ. 264-269.
- ²⁶ *Ibid.*, გვ. 269-275.
- ²⁷ *Ibid.*, გვ. 275-276.
- ²⁸ *Ibid.*, გვ. 276-280.
- ²⁹ *Ibid.*, გვ. 280-283.
- ³⁰ *Ibid.*, გვ. 283-284.
- ³¹ *Ibid.*, გვ. 285-289.
- ³² Ronald Allison, (2009) *The Russian case for military intervention in Georgia: international law norms and political calculation*, *European Security*, 18:2, გვ. 17, გვ. 176; იხ. აგრეთვე: მოხსენება, ტომი II, გვ. 221; იხ აგრეთვე ილარიონოვის მიერ მოწოდებული დეტალური ინფორმაცია: А. Илларионов, Как готовилась война, *Новая Газета*, (2009, 24-26 ივნისი).
- ³³ იხ.: მოხსენება, ტომი I, გვ. 28, §29.
- ³⁴ მოხსენება, ტომი II, გვ. 254.
- ³⁵ Vaclav Havel, Valdas Adamkus, Mart Laar, Vytautas Landsbergis, Otto de Habsbourg, Daniel Cohn Bendit, Timothy Garton Ash, André Glucksmann, Mark Leonard, Bernard-Henri Lévy, Adam Michnik, Josep Ramoneda, 'Europe must stand up for Georgia', *Guardian*, (2009, 22 სექტემბერი), , <<http://www.guardian.co.uk/commentisfree/2009/sep/22/europe-georgia-russia>>, 2010, 19 მარტის მდგომარეობით.
- ³⁶ მოხსენება, ტომი II, გვ. 268.
- ³⁷ *Ibid.*, გვ. 270.
- ³⁸ *Ibid.*, გვ. 271.
- ³⁹ *Ibid.*, გვ. 289.
- ⁴⁰ *Ibid.*, გვ. 293.
- ⁴¹ *Ibid.*, გვ. 294.
- ⁴² *Ibid.*, გვ. 330.
- ⁴³ *Ibid.*, გვ. 355.
- ⁴⁴ *Ibid.*, გვ. 359.
- ⁴⁵ *Ibid.*, გვ. 361.
- ⁴⁶ *Ibid.*, გვ. 362.
- ⁴⁷ *Ibid.*, გვ. 365.
- ⁴⁸ *Ibid.*, გვ. 375.
- ⁴⁹ *Ibid.*, გვ. 389.
- ⁵⁰ *Ibid.*, გვ. 394.
- ⁵¹ *Ibid.*, გვ. 405.
- ⁵² *Ibid.*, გვ. 416.
- ⁵³ R.D. Asmus, *A Little War that Shook the World*, (2010), (Palgrave Macmillan ed.), გვ. 217-218.
- ⁵⁴ *Ibid.*, გვ. 218.
- ⁵⁵ მოხსენება, ტომი I, გვ. 33-34, §2-3.

**ASPECTS OF INTERNATIONAL LAW OF THE REPORT OF
INDEPENDENT INTERNATIONAL FACT-FINDING
MISSION ON THE CONFLICT IN GEORGIA**

Nearly two years have passed since the tragic events of the Georgian-Russian war in August, 2008. Since then, numerous new developments have revealed the real reasons for this war. From the very beginning, the world has been focused on the aspects of international law of the war. Unfortunately, from the outset Georgia was unable to overcome the extensive Russian information warfare, as the Russian Federation has been spending millions of dollars to conceal the facts behind the Russian intervention into and occupation of Georgia, and has accused Georgia of starting the war.

Unfortunately, the Western press, policymakers, and even some international experts have been deceived by the information on the war waged by the Russian Federation. The Russian version of the story was convenient for some Western policymakers, as the most important role in what had happened was played by some of the leading Western European states by impeding Georgia's active integration into NATO, which helped the Russian Federation to interpret this period as the right moment for intervention into our country.

On December 2, 2008, the Council of the European Union entrusted Ambassador Heidi Tagliavini, a Swiss diplomat well-known in Georgia, to establish an Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia (*hereinafter – the Fact-Finding Mission*). The Mission was tasked “to investigate the origins and the course of the conflict in Georgia, including with regard to international law, humanitarian law and human rights”.

The Report submitted by Ambassador Heidi Tagliavini to the Council of the European Union on September 30, 2009 (*hereinafter – the Report*), resulted in active discussions on the evaluation of the conflict. Some praised the objectivity of the report; others accused the Mission of incompatibility of the facts and analysis. Well-known Russian expert and former advisor of V. Putin, academic A. Illarionov, has characterized the basic part of the report as “scandalous”, since, according to him, “the report supports aggressor, justifies the intervention and represents quasi-judicial ground, for the conduct of current and possibly future acts of aggression, what unfortunately are not excluded”.¹

We do not take such a radical approach in evaluating the Report as, in general, the Volume Two of the Report reflects real events. At the same time, we shall acknowledge that the full independence and impartiality of the Mission was questionable to us from the very beginning, as among the 19 members of the Fact-Finding Mission, some still blamed Georgia in August, 2008, before they became members of the Fact-Finding Mission.

It should be noted that despite this, the number of facts investigated on Russian aggression and their terrific character were so extraordinary that the Fact-Finding Mission had no other way out but to bring the facts to light. However, the analysis of some of the facts is absolutely unacceptable.

The Report has led to controversies in Georgia as well. Unfortunately, this situation has been used by politically motivated so-called experts aimed at disorienting the

Georgian people via television, journals, and newspapers. These actors not only grossly distort the facts, but they do not even try to question the confusion and mistakes discovered in the Report with regard to International Law. On the contrary, these persons try to use the Report to make their “contribution” in accusing Georgia of committing alleged aggression.

To begin with, some “commentators” claim that “the Mission and its Report possessed and yet still enjoys international law significance (?) sic!; that the Mission was composed of the persons, officially designated by the EU Member States (?) sic!, in other words it is the Report of EU official intergovernmental body (?) sic!. Hence, [it should be concluded, that] *the Report of the Mission is legally binding* (?) sic! (emphasis added), despite of the fact whether it will be accepted by any of the Parties or not”.²

As may be noticed, we put a question mark at the end of almost all of the sentences in the paragraph above. This is because the view quoted above in the respective statements represents the payroll of unprecedented illiteracy and lie.

For the purpose of clarifying why this so, we consider each of the above-mentioned, propositions, which to our minds are incorrect:

a) Any expert of the field would know that *such reports are not legally binding*. The Fact-Finding Mission was only tasked to investigate the facts, and to classify and present them to the establishing body. The same Illarionov, referring to the Report, notes: “EU commission is a commission of investigators and not of judges. It is fairly stipulated in the introduction to the Report that the Mission is not a tribunal. None of the conclusions in the Report represents a verdict, but may serve as a basis of such a verdict”.³ Moreover, it is worth mentioning that the EU, having been acquainted with the presented Report, “welcomes the presentation of this Report” and only “takes note of its content”.⁴

b) The Report is said to be legally binding, for the reason of being “the report of EU official intergovernmental body”.⁵

In fact, *Ambassador Heidi Tagliavini herself proves the other thing*— that she was given full

independence not only in determining the procedures and working methods of the Mission, but also in deciding upon the composition of the Mission.⁶ Any alleged “expert” should know that the Fact-Finding Mission could not be an official intergovernmental body, as the term: “intergovernmental” carries a completely different meaning. This kind of body should be composed of persons appointed by governments or international organizations being established by the same governments, but not of private persons, even if such private persons are ambassadors or ex-ministers. Moreover, the Report, while highlighting its investigatory functions, notes that: “In spite of all the work involved, *this Report cannot claim veracity or completeness in an absolute sense*”⁷ (emphasis added).

c) Trying to shelter under the Report for the purpose of proving “criminal acts of Georgia”, critics seem to quote quite objectively the following words: “The shelling of Tskhinvali by the Georgian armed forces during the night of 7 to 8 August, 2008 marked the beginning of the large-scale armed conflict in Georgia”.⁸ However, they stop short from reading the phrase: “[Y]et it was only the *culminating point of a long period of increasing tensions, provocations and incidents*”.⁹ (emphasis added).

The Report underlines that it “shows that any explanation of the origins of the conflict cannot focus solely on the artillery attack on Tskhinvali in the night of 7/8 August and on what then developed into the *questionable* (emphasis added) Georgian offensive in South Ossetia and the Russian military action. The evaluation also has to cover the run-up to the war during the years before and the mounting tensions in the months and weeks immediately preceding the outbreak of hostilities”.¹⁰

The Report states that: “Russia called its military actions in Georgia a “peace enforcement operation”, while Georgia called it an “aggression”. The international community, including major actors such as the EU, was reluctant to enter into any formal qualifications”.¹¹ In summary, the Mission used the terms: “proportional” and “disproportionate response” to classify the actions of the opposing sides. Even the intervention of the Russian Federation into Georgia was labelled a “disproportion-

ate response". As for Georgia's opening fire at Tskhinvali in response to repeated attacks by South Ossetian forces (strong evidence of such attacks can be found in the Report), this was also qualified as "disproportional".

d) The so-called Georgian experts suggest that: "the use of force by the Georgian Side expressed in using GRAD rockets and cluster bombs in Tskhibvali and the surrounding villages, might be said to amount to *aggression* (emphasis added), in accordance with Article 3(a) of the UN Resolution 3314" Here the words "General Assembly", are suspiciously missing. Let's see what this Resolution of the United Nations' General Assembly provides for:

"Article 1: Aggression is the use of armed force by a State against the sovereignty, territorial integrity or political independence of another State, or in any other manner inconsistent with the Charter of the United Nations, as set out in this Definition.

...

Article 3(a): The invasion or attack by the armed forces of a State of the territory of another State, or any military occupation, however temporary, resulting from such invasion or attack, or any annexation by the use of force of the territory of another State or part thereof, [qualify as an act of aggression]".¹²

Some members of the Fact-Finding Mission sought to present Georgia as an aggressor since it attacked "another state", which referred to South Ossetia. To this end, Professor Otto Luchterhandt created a status of "a stable de facto regime entities that are not recognized internationally as states but which might fulfil though not all attributes of statehood". Luckily, the Report has not shared this suggestion. In less than impartial article published in Russia before he was designated an expert of the Fact-Finding Mission, Professor Luchterhandt was propagating the same suggestion.¹³

However, fortunately, the Report referred to South Ossetia as "an entity short of statehood".¹⁴

Let us now turn to what Professor Antonio Cassese, the first President of the International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia (ICTY) and later the Chairman of the United Nations International Commission of Inquiry

on Darfur and a professor at the University of Florence, wrote in his article: *The Wolf that Ate Georgia*:

"Russia has set forth various reasons to justify its armed intervention in Georgia, where the breakaway regions of Abkhazia and South Ossetia are nonetheless under Georgian sovereignty. Russia argues that its invasion was aimed at 1) stopping Georgia's aggression against South Ossetians; 2) ending ethnic cleansing, genocide, and war crimes committed by Georgia there; 3) protecting Russian nationals; and 4) defending South Ossetians on the basis of the peace-keeping agreement signed by Boris Yeltsin and Eduard Shevardnadze in 1992.

None of these legal grounds holds water (emphasis added). By sending its troops to South Ossetia, Georgia no doubt was politically reckless, *but it did not breach any international rule, however nominal its sovereignty may be. Nor do genocide or ethnic cleansing seem to have occurred* (emphasis added); if war crimes were perpetrated, they do not justify a military invasion. Moreover, South Ossetians have Russian nationality only because Russia recently bestowed it on them unilaterally".¹⁵

Ronald Allison, Reader at the universally known London School of Economics and Political Science, writes: "Russia has unyieldingly kept to this 'we were attacked first' claim and referred to the definition of an act of aggression in UN General Assembly Resolution 3314 of 1974 ... However, Russia's claim of Georgian 'aggression' in general against South Ossetia offers no longer basis for Russia's offensive of other forms of combat against Georgia, since Russian territory itself was not under attack. [Hence, for filling this 'gap', at the meeting with members of the Valdai Club, Sochi, V. Putin announced publicly:] 'What did you want us to do ... when an aggressor comes into *your territory*, you need to punch him in the face – an aggressor needs to be punished' (emphasis added)".¹⁶

It should be mentioned that the facts obtained by the Fact-Finding Mission do not provide sufficient grounds for blaming Georgia in the aggression. This explains why the term "aggression" is not used in relation to any of

the Parties in the Introduction to the Report. However, Volume Two of the Report does consider in a great detail to what extent Georgia's actions of August 7, 2008 corresponded with the definition of aggression.

While examining and evaluating the actions of the parties to the conflict, a number of controversial issues have arisen in the Report. In particular: Georgia was accused of allegedly attacking peacekeepers, reportedly causing human casualties. If we accept paragraph 17 of Volume One of the Report: "Russia claimed that in the morning of 8 August, 2008, two Russian peacekeepers were killed and five wounded¹⁷ by the Georgian attacks on the peacekeepers' premises in Tskhinvali. Georgia denied ... [this accusation], arguing that the Georgian troops entering Tskhinvali were fired at from the Russian peacekeepers' compounds and that they had to return fire".¹⁸

It is important to underline that the Report provides as follows: "The Mission does not have independent reports which could substantiate or deny the allegations of either side. Albeit, taking into account the existing dangerous conditions on the ground, casualties among the Russian PKF personnel were likely".¹⁹

According to paragraph 20 of the Report: "[T]he use of force by Georgia against Russian peacekeeping forces in Tskhinvali ... was contrary to international law".²⁰

Deriving from the above, what shall be concluded?

As Ronald Allison notes: "[M]any groups of peacekeepers have been killed in complicated regional conflicts elsewhere, without this resulting in an immediate intervention by tens of thousands of troops of their "mother" country".²¹ Moreover, Volume Two of the Report notes: "[T]he fact of the Georgian attack on the Russian peacekeepers' basis could not be definitely confirmed by the mission".²² The following is read in the next paragraph: "Still, doubts remain whether the Russian peacekeepers were attacked in the first place".²³

Let us revert now to what the Report states on the Russian intervention into Georgia: "Russia was involved in the conflict in several ways. First, Russian peacekeepers who were stationed in South Ossetia on the

basis of the Sochi Agreement were involved in the fighting in Tskhinvali. Second, Russian regular troops were fighting in South Ossetia, Abkhazia and deeper in Georgian territory. Third, North Caucasian irregulars took part in the fighting. Finally, Russia supported Abkhaz and South Ossetian forces in many ways, especially by training, arming, equipping, financing and supporting them ... Under Art. 2(4) of the UN Charter and the parallel customary law, the military operations of the Russian army ... in the territory of Georgia (including South Ossetia and Abkhazia and elsewhere in Georgia) in August 2008 constituted a violation of the fundamental international legal prohibition of the use of force".²⁴

None of the attempts of the Russian Federation to justify its actions on Georgian soil in legal terms are supported in the Report. These actions *inter alia* include: the use of force as self-defence²⁵, necessity and proportionality of the Russian actions²⁶, use of force as fulfilment of the peacekeeping mission²⁷, intervention on initiative of the South Ossetian authorities²⁸, "collective self-defence"²⁹, "humanitarian intervention" for the purpose of suppressing Russian citizens and Ossetians' genocide³⁰, use of force as action to rescue and protect nationals abroad³¹.

Any impartial expert would consider the above-mentioned "actions" to be in full violation of the principles promoted by Article 2(4) of the UN Charter, and the provisions of the UN General Assembly Resolution 3314. This means that all these "actions" are of aggressive character, although the Mission has refrained from making any such qualification.

As for Georgia, the Report does not deny the fact that South Ossetian forces shelled ethnic Georgian villages and peacekeepers, sometimes resulting even in death; nor does it deny an influx of "volunteer" irregular forces from the territory of the Russian Federation to South Ossetia through the Roki tunnel, before August 7, 2008. Meanwhile, the Mission tries to deny the wide scale incursion of the Russian regular forces into the territory of Georgia via the same Roki tunnel. Albeit, according to a number of reports and publications, including those of Russian origin, it is confirmed that "an unauthorized Russian military presence

was in fact already present in the conflict zone on 7 August 2008 ... [holding] regular exercises in South Ossetia, including one just a week before the August war".³²

The fact that Georgia launched massive artillery shelling, including the use of cluster bombs – even in response to intensive attacks from the South Ossetian Side – was considered by the Mission a violation of the principle of prohibition of the use of force, enshrined in the UN Charter, by Georgia. It should be noted that Georgia has admitted to those facts, but claimed to act in response to the attack by the Russian regular and irregular (the so-called "Boeviks") military forces in Tskhinvali and the surrounding regions. To make a comparison, it is worth mentioning that the Mission has condemned Russia's attempt to deny the use of cluster munitions, while shelling the civilian population.³³

As for "the Georgian view that Russian soldiers had entered Georgian territory through the Roki tunnel already before the Georgian air and ground offensive started on 7 August 2008 at 11.35 p.m. could not be verified by the Mission". However, the Mission noted: "*It is not excluded that new evidence might show that Russian soldiers had already entered Georgian territory at that point in time*".³⁴ (emphasis added).

Hence, the absence of facts regarding the influx of Russian regular forces into the territory of Georgia, and on launching an attack on Georgia, has turned out to be sufficient grounds for the Mission to not make any qualification thereupon.

The Russian military intervention into Georgia and the occupation of a significant part of the territory of Georgia, including Abkhazia and South Ossetia, have resulted in discussions on the diplomatic, political, and more importantly, the international legal interpretation of the facts. As already mentioned, the majority of Western, and even some Russian, experts fully support the position of Georgia and criticize the aggressive policy of the Russian Federation.

Several eminent statesmen and politicians attribute vital importance to the situation facing Georgia and the necessity to take urgent steps for the purpose of avoiding widespread attack.

As Vaclav Havel, Valdas Adamkus, and other well-known political and public figures have announced: "[T]he critical question is to determine which country invaded the other, rather than which soldier shot the first bullet".³⁵

Meanwhile, in Georgia some of the so-called experts focus only on the dubious provisions of the Report. Nevertheless, most important is that the Report contains a long list of aggressive acts, flagrantly violating International Humanitarian Law, committed or supported by the Russian Federation:

- Under these circumstances, the Georgian attacks against the Russian peacekeepers' base would equal an attack on an ordinary Russian base in foreign territory, and were therefore specifically addressed against Russia as a state, but this does not constitute a sufficient condition for self-defence. Moreover, as stated above, the alleged Georgian attack on the Russian peacekeepers' base could not be definitely confirmed by the mission;³⁶
- There is no doubt that the Russian peacekeepers, if they had been directly attacked, had the right to immediate response. An immediate military response was necessary and proportionate under that condition. Still, doubts remain as to whether the Russian peacekeepers were attacked in the first place;³⁷
- It is more difficult to decide whether the entire military campaign against Georgia was necessary and proportionate;³⁸
- In conclusion, the Russian intervention in Georgia cannot be justified as a rescue operation for Russian nationals in Georgia;³⁹
- For these reasons, the presence of Georgian police or military in the Kodori Valley cannot be considered an armed attack on Abkhazia;⁴⁰
- The use of force by Abkhazia was not justified under international law and was thus illegal. The same applies to the Russian support for Abkhaz use of force;⁴¹
- While the damage caused to hospitals by GRAD rockets or artillery shelling resulted from the use of inaccurate means of warfare, the helicopter fire at the hospital in Gori seems to indicate a deliberate tar-

getting of this protected object. This may amount to a war crime;⁴²

- While the exact number of summary executions has not been established, and some facts remain uncertain, the Mission nevertheless believes that there is credible evidence of cases of summary executions carried out by South Ossetian forces;⁴³
- The Mission believes there are confirmed cases of ill-treatment and torture committed by South Ossetian forces;⁴⁴
- The Mission believes there are confirmed cases of ill-treatment and torture against detained combatants. Such acts seem to have been committed mainly by South Ossetian forces, in some cases possibly with Russian soldiers present;⁴⁵
- It seems that there have been numerous cases of illegal detention of civilians, arbitrary arrests, abduction and taking of hostages, mostly committed by South Ossetian forces and other South Ossetian armed groups;⁴⁶
- During and, in particular, after the conflict, a systematic and widespread campaign of looting took place in South Ossetia and in the buffer zone against mostly ethnic Georgian houses and properties. Ossetian forces, unidentified armed Ossetians, and even Ossetian civilians participated in this campaign, with reports of Russian forces also being involved. The Russian forces failed to prevent these acts and, most importantly, did not stop the looting and pillage after the ceasefire, even in cases where they witnessed it directly. The Abkhaz forces did not embark on such pillage. There are, however, reports of a few instances of looting and destruction;⁴⁷
- The Russian authorities and the South Ossetian authorities overwhelmingly failed to take measures to maintain law and order and ensure the protection of the civilian population as required under IHL and HRL;⁴⁸
- There were several reasons for the displacement of approximately 135,000 persons in the context of the August 2008 conflict and its aftermath. While the need to avoid the danger of hostilities and the general climate of insecurity account

for most of the displacements, numerous documented cases of violations of IHL and HRL committed in order to force the displacement of ethnic Georgians in South Ossetia lead us to conclude that the prohibition against arbitrary or forced displacement has been violated;⁴⁹

- Several elements suggest the conclusion that ethnic cleansing was carried out against ethnic Georgians in South Ossetia both during and after the August 2008 conflict;⁵⁰
- The protection of the property rights of IDPs is a longstanding issue, with still unsettled disputes over property rights dating back to the conflicts in the 1990s. In South Ossetia, there has been a serious failure on the part of the authorities and the Russian forces to protect the property rights of IDPs during—and, especially, after—the August 2008 conflict. Furthermore, South Ossetian forces did participate in the looting, destruction, and burning of houses during and after the conflict. Comprehensive reparation programmes should be designed and implemented. They should be seen as a complement to the exercise of the right to return of IDPs, and not a substitute for this right;⁵¹
- Serious concern is expressed about the situation of ethnic Georgians in the Gali District (Abkhazia) and the Akhagori District and the effective protection of their rights. The de facto authorities in Abkhazia and South Ossetia must ensure that the rights of these persons are protected. The issue of the status of Abkhazia and South Ossetia can under no circumstances be allowed to result in the discrimination or the infringement of their rights.⁵²

No comments are needed.

In concluding, we would like to refer to the Tagliavini Report and the well-known book by Ronald D. Asmus to make a meaningful assessment of Russian aggressive “deeds” and policy pursuit by the International Community of States.

Ronald D. Asmus makes the following assessment: “This war was also aimed not only against Georgia but against the West more generally. Georgia was the physical target, but

we were in the political crosshairs, too. Tbilisi became the whipping boy for Russian complaints and resentments that had been building for years against the United States, NATO, and those countries Moscow saw as giving encouragement to Georgia. That was clear in everything from how the war was treated in the Russian media, to the way Russian officers described their mission during the brief occupation period, to the graffiti left behind by departing Russian troops. Those resentments started with the United States and NATO but they did not end there. Russian soldiers took pleasure in destroying EU flags as much as they did any symbol of U.S. or NATO presence. Russia's propaganda effort not only blamed the war on the Georgians but directly implicated the United States as having fostered and created this conflict".⁵³

Asmus continues: "Many in the West have tried to step back and pretend that the Russian-Georgian war was a local conflict that they were not party to. But there is little doubt that in Russian eyes this war marked a new Russian policy of rollback and containment – an effort to roll back Western influence and to contain any future expiation of Western institutions to Russia's borders. Moscow was announcing that the days of what it was as retreat were over. This was its way of saying to the West collectively that Georgia was in its backyard and we should stay out. It was meant to send a signal that Russia was literally willing to fight back to prevent further Western encroachment on its borders, above all through NATO enlargement. In that sense, this was the first post –Cold War East –West military conflict".⁵⁴

Despite the fact that the international community of states, particularly the Council of Europe and the European Union, constantly

urge Russia to withdraw the recognition of the so-called "independence" of the break-away regions of Georgia, this has not happened. The illegality of Russia's attitude towards the territorial integrity of Georgia is also underlined by the Report. However, during the entire post-war period, the Russian Federation has been strengthening its military presence in Abkhazia and so-called South Ossetia and "justifying" this by the so-called "agreements", "concluded with independent states", not allowing any international organization or its observers to enter these areas. The entire world is witnessing grave violations of human rights in those areas, but is not able to monitor the situation on the ground.

How long shall the international community tolerate this cynical attitude to the fundamentals of the contemporary international legal order? In this context, we agree with the Report's conclusion that: "There is a need for more timely and more determined efforts to control an emerging crisis situation, and in such situations a more sustained engagement is needed from the international community and especially the UN Security Council, as well as by important regional and non-regional actors.

It has also emerged that the set of stabilizing arrangements and institutions, such as the Joint Peacekeeping Forces (JPKF), the Joint Control Commission (JCC) and the OSCE presence in the case of South Ossetia, as well as the Commonwealth of Independent States Peacekeeping Force (CIS PKF) and UNOMIG for the Abkhaz conflict, which had been established with the assistance of the international community following the armed conflicts in Abkhazia and South Ossetia during the early 1990s, were increasingly overtaken by new and more threatening developments both in the political and military fields".⁵⁵

¹ A. Illarionov, 'The First Impressions: This is A Scandal', *Live Journal*, (09 September, 2009), <<http://aillarionov.livejournal.com/118326.html>>, accessed 19 March, 2010.

² Newspaper "Republic of Georgia", December 19, 2009.

³ A. Illarionov, see note 1.

⁴ EU Council, *Presentation of the Report of the Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia*, Brussels, 2009, 13875/09.

⁵ See above, fn 2.

- ⁶ Report of Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, [hereinafter - Report], Vol. I, p.6, para. 3. Also see: Article 1, para. 3, and Article 3, EU Council Decision 2008/901/CFSP of December 2, 2008 concerning an independent international fact-finding mission on the conflict in Georgia in: *Official Journal of the European Union*, 3.12.2008, EN., 323/66
- ⁷ *Ibid.*, p. 9, para. 9.
- ⁸ *Ibid.*, p. 11, para. 3.
- ⁹ *Ibid.*
- ¹⁰ *Ibid.*, p. 31, para. 36.
- ¹¹ *Ibid.*, p. 22, para. 18.
- ¹² UNGA Res. 3314 (XXIX), 29th Session, (1974), available at: <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/739/16/IMG/NR073916.pdf?OpenElement>.
- ¹³ Otto Luchterhandt, 'International Law Aspects of "Georgian War"', Russian Bulletin of Human Rights, 26, Human Rights Institute (2008). <http://www.hrights.ru/text/b26/bul26.htm>.
- ¹⁴ Report, Vol. II, p. 128-129.
- ¹⁵ Antonio Cassese "The Wolf that Ate Georgia", *Guardian*, September 1, 2008. <http://www.project-syndicate.org/commentary/cassese5/English>; accessed: 09 September, 2008.
- ¹⁶ Ronald Allison, "The Russian case for military intervention in Georgia: international law norms and political calculation", *European Security*, 18:2, (2009) pp. 176-177.
- ¹⁷ It is worth mentioning that "unbiased" expert Otto Luchterhandt indicates another figure - 10 Russian peacekeepers who were killed. See: Otto Luchterhandt, 'International Law Aspects of "Georgian War"'. Russian Bulletin of Human Rights 26, *Human Rights Institute* (2008), <http://www.hrights.ru/text/b26/bul26.htm>.
- ¹⁸ Report, Vol. I, p. 21, para 17.
- ¹⁹ *Ibid.*
- ²⁰ *Ibid.*, p. 23, para. 20.
- ²¹ Roy Allison, "The Russian case for military intervention in Georgia: international law norms and political calculation", *European Security*, 18:2, (2009) p.178.
- ²² Report, Vol. II, p. 268.
- ²³ *Ibid.*, p. 270.
- ²⁴ *Ibid.*, p. 263-264.
- ²⁵ *Ibid.*, p. 264-269.
- ²⁶ *Ibid.*, p. 269-275.
- ²⁷ *Ibid.*, p. 275-276.
- ²⁸ *Ibid.*, p. 276-280.
- ²⁹ *Ibid.*, p. 280-283.
- ³⁰ See: *Ibid.*, p. 283-284.
- ³¹ *Ibid.*, p. 285-289.
- ³² Ronald Allison, "The Russian case for military intervention in Georgia: international law norms and political calculation", *European Security*, 18:2, (2009) p. 17, p. 176; See also: Report, Vol. II, p. 221; See also: A. Illarionov, 'How the War was Prepared', *Новая Газета*, (June 24-26, 2009).
- ³³ See: Report, Vol. I, p. 28, para. 29.
- ³⁴ Report, Vol. II, p. 254.
- ³⁵ Vaclav Havel, Valdas Adamkus, Mart Laar, Vytautas Landsbergis, Otto de Habsbourg, Daniel Cohn Bendit, Timothy Garton Ash, André Glucksmann, Mark Leonard, Bernard-Henri Lévy, Adam Michnik, Josep Ramoneda, 'Europe must stand up for Georgia', *Guardian*, (September 22, 2009), <http://www.guardian.co.uk/commentisfree/2009/sep/22/europe-georgia-russia>.
- ³⁶ *Ibid.*, p. 268.
- ³⁷ *Ibid.*, p. 270.
- ³⁸ *Ibid.*, p. 271.

³⁹ Ibid., p. 289.

⁴⁰ Ibid., p. 293.

⁴¹ Ibid., p. 294.

⁴² Ibid., p. 330.

⁴³ Ibid., p. 355.

⁴⁴ Ibid., p. 359.

⁴⁵ Ibid., p. 361.

⁴⁶ Ibid., p. 362.

⁴⁷ Ibid., p. 365.

⁴⁸ Ibid., p. 375.

⁴⁹ Ibid., p. 389.

⁵⁰ Ibid., p. 394.

⁵¹ Ibid., p. 405.

⁵² Ibid., p. 416.

⁵³ R.D. Asmus, *A Little War that Shook the World* (Palgrave Macmillan ed. 2010) 217-18.

⁵⁴ Ibid., p. 218.

⁵⁵ Report, Vol. I, p. 33-34, para. 2-3.

ბაქოს ნესდების მე-2(7) მუხლი – თეორია v. პრაქტიკა

1. შესავალი

ჩაურევლობის პრინციპი ყოველთვის აღიქმებოდა როგორც სახელმწიფოს დამოუკიდებლად არსებობისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის მყარი საფუძველი თუ წინაპირობა, ანუ საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ერთგვარი საბაზისო კონცეფცია. შესაბამისად, ამ კონცეფციის აქტუალურობა და მნიშვნელობა საერთაშორისო თანამეგობრობის განსჯის დღის წესრიგიდან არც არასოდეს მოხსნილა. ამგვარი მიდგომა კი გულისხმობს: ხსენებული საკითხის მაღალი დონით პოლიტიზებას, არსებული რეალობის სამართლებრივი ტერმინოლოგიით გამართლებას, დებულებათა ინტერპრეტაციას მოწინავე სახელმწიფოთა ინტერესებისა და კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში კი უკანონობის აშკარა ლეგიტიმაციას (შეიძლება დავასახელოთ, თუნდაც, კოსოვოს მაგალითი). სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ გასაკვირი არც არაფერია, ზოგადად, საერთაშორისო სამართლის ორმაგი სტანდარტების ფონზე; მით უმეტეს, როდესაც ვსაუბრობთ ისეთ დელიკატურ საკითხზე, როგორც სახელმწიფოს საშინაო იურისდიქციამში ჩაურევლობის პრინციპია.

ჩაურევლობის პრინციპი საკმაოდ მრავლისმომცველი თემაა, მაგრამ წინამდებარე ნაშრომში ის განხილულია მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნესდების მე-2(7) მუხლის ფარგლებში, ანუ – როგორც ერთადერთი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის ნესდების შემადგენელი ნაწილი. ამ მუხლის უნიკალური ხასიათი ერთდროულად ვრცელდება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ იურისდიქციებზე და მოიცავს სამართლი-

სა და პოლიტიკის ურთიერთკვეთის მწვავე პრეცედენტებს.¹ გასარკვევია: რას მოიცავს სახელმწიფოს საშინაო საქმეების სფერო, რომელში ჩარევაც სხვა სახელმწიფოს აკრძალული აქვს; რას გულისხმობდა ან ახლა რას გულისხმობს ეს აკრძალვა; რამდენად ცვალებადია დასახელებულ სფეროში შემავალ საკითხთა წრე; რა კრიტერიუმის საფუძველზე ხდება საკითხის მიკუთვნება ეროვნული თუ საერთაშორისო იურისდიქციისადმი; რამდენად შეთავსებადია აღნიშნულ სფეროში თეორიული მოსაზრებები და სახელმწიფოთა პრაქტიკული გამოცდილება – ეს იმ შეკითხვების მცირე ნაწილია, რომლებიც იბადება ჩაურევლობის პრინციპზე მსჯელობისას და რაც განხილული იქნება წინამდებარე ნაშრომში, მისი შეზღუდული ფორმატის ფარგლებში.

ნაშრომის პირველ თავში მოცემულია შესავალი დებულებები გაეროს ნესდების მე-2(7) მუხლში ჩამოყალიბებული ჩაურევლობის პრინციპის შესახებ, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკის, თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართებას და ამით აიხსნება განსაკუთრებული ინტერესი ამ საკითხისადმი; მეორე თავში განხილულია მე-2(7) მუხლის ფორმულირების ისტორიული საფეხურები 1943-1945 წლებში, შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მონაწილეობით ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების ფონზე. ამათგან, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის კუთხით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მოსკოვის (1943), დუმბარტონ-ოქსისა (1944) და სან-ფრანცისკოს (1945) კონფერენციები; ნაშრომის მესამე თავში განხილულია მე-2(7) მუხლის

ინტერპრეტაციის საკითხი თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკვეთის ფონზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა ავტონტერპრეტირების მექანიზმის ანალიზი; მეოთხე თავში ყურადღება გამახვილებულია ჩაურევლობის პრინციპის მიმართებაზე სხვა პრინციპებთან, კერძოდ: სახელმწიფო სუვერენიტეტის კონცეფციასთან, ძალის გამოყენების აკრძალვასთან, ჰუმანურობის ელემენტარული დებულებებისა და ადამიანის უფლებათა დოქტრინასთან მიმართებით; მეხუთე თავში, წინა თავებისგან განსხვავებით, მეტი აქცენტი კეთდება მე-2(7) მუხლის პრაქტიკულ გამოყენებაზე, კერძოდ, განხილულია ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლებისა თუ შესაძლებლობის არსებობის სადავო საკითხი; ნაშრომის ბოლო, მეექვსე თავში შეჯამებულია თეორიისა და პრაქტიკის არაერთგვაროვანი მიდგომები გაეროს წესდების მე-2(7) მუხლში ასახული ჩაურევლობის პრინციპისადმი; განხილულია ამ არაერთგვაროვნების გამომწვევი მიზეზები და ერთ-ერთ ასეთ უმთავრეს მიზეზად სახელდება მე-2(7) მუხლის ზოგადი და ორაზროვანი ტექსტი, რომელიც აღნიშნული დებულებების ინტერპრეტირებისა და გამოყენების ურთიერთგამომრიცხავ შესაძლებლობებს ქმნის და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას შეუძლებელს ხდის ჩაურევლობის პრინციპის აქტუალურობის ფონზე.

2. მე-2(7) მუხლი: ისტორიული მიმოხილვა და ფორმირება

როდესაც ვსაუბრობთ გაეროს წესდების მე-2(7) მუხლში ჩამოყალიბებულ ჩაურევლობის პრინციპზე და სამართლიან კრიტიკას გამოვთქვამთ, ერთი მხრივ, მისი ბუნდოვანი და ორაზროვანი ტექსტის მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, პრაქტიკაში ხსენებული პრინციპის არაერთგვაროვანი ინტერპრეტირებისა თუ გამოყენების მიმართ, ამ ფონზე აქტუალური ხდება აღნიშნულ დებულებათა ფორმულირების ისტორიული საფეხურების ანალიზი 1943-1945 წლებში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების ქრილში. წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა მოსკოვის, დუმბარტონ-ოქსისა და სან-ფრანცისკოს კონფერენციების განხილვა.

2.1. მოსკოვის კონფერენცია

მოსკოვის კონფერენციაზე (1943 წლის 19-30 ოქტომბერი) არ განხილულა ჩაურევლობის პრინციპის არსი, მაგრამ ეს ისედაც იგულისხმებოდა, როდესაც სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრები საუბრობდნენ სახელმწიფოთა „მშვიდობიან თანაცხოვრებაზე... ფართო თანამშრომლობაზე“² და „საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად, რაც შეიძლება მოკლე ვადაში, საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსების აუცილებლობაზე, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს სუვერენული თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით“³. სწორედ ასევე ჩაინერა მოსკოვის კონფერენციაზე ოთხი სახელმწიფოს – აშშ-ის, სსრკ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის – ერთობლივ დეკლარაციაში საერთო უსაფრთხოების შესახებ.⁴ დეკლარაციიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია ამ სახელმწიფოთა მცდელობა, საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში წარმოჩენილიყვნენ როგორც ჭეშმარიტად მშვიდობისმოყვარე და თავიანთ განზრახვებში სამართლიანი სახელმწიფოები. არადა, აშშ-ის მიერ წარმოდგენილი დეკლარაციის თავდაპირველ ვარიანტში⁵ სიტყვა „მშვიდობისმოყვარე“ საერთოდ არც იყო ნახსენები, ის მოგვიანებით დაემატა ტექსტს.⁶ თუმცა, სუვერენული თანასწორობის პრინციპის ფონზე, სახელმწიფოთა რეალური ინტერესები უკეთ წარმოჩნდა დეკლარაციის მე-6 პუნქტში: „რომ ომის დამთავრების შემდეგ ისინი არ გამოიყენებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, მხოლოდ ერთობლივი კონსულტაციის შემდეგ და ამ დეკლარაციით გათვალისწინებული მიზნების საფუძველზე.“⁷ საბოლოო ჯამში, მე-6 პუნქტი განიმარტა როგორც დიდი სახელმწიფოების მიერ თვითშეზღუდვის აქტი,⁸ რომელიც ძალაში შედის მხოლოდ და მხოლოდ ჰიტლერული გერმანიის დამარცხების შემდეგ.⁹ ანუ II მსოფლიო ომის შემდეგ პოლიტიკაში აშშ, დიდი ბრიტანეთი და სსრკ შეთანხმდნენ, რომ „არ გამოიყენებდნენ შეიარაღებულ ზომებს სადავო საკითხების გადაწყვეტისას, ერთმანეთთან კონსულტაციის გარეშე“¹⁰, ოღონდ, ზემოხსენებული პუნქტის შეზღუდვაში არ იგულისხმებოდა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე

სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების განლაგება.¹¹ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ე. იდენმა დააკონკრეტა, რომ ამისთვის საჭირო იყო შესაბამის სახელმწიფოსთან კონსულტაციის გამართვა და არა მასთან შეთანხმება.¹²

ამრიგად, მე-6 პუნქტის ტექსტზე დაყრდნობით, ამკარაა, რომ მოსკოვის კონფერენციაზე აღიარებულ იქნა ჩაურევლობის პრინციპის აუცილებლობა, თუმცა იქვე განისაზღვრა მისი დარღვევის პირობები და ერთგვარი *travaux préparatoires* სახით განიმარტა გამონაკლისები, რაც ერთობლივი დეკლარაციის ტექსტში არ მოხვდა (იგულისხმება სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების საკითხი).

2.2. დუმბარტონ-ოქსის კონფერენცია

დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაზე (1944 წლის 21 აგვისტო – 28 სექტემბერი) ძირითადი აქცენტი გაკეთდა საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსებაზე საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების სფეროში – II მსოფლიო ომის დასრულებამდე, ხოლო აშშ-ის, სსრკ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის წარმომადგენლებმა წარადგინეს მემორანდუმები ორგანიზაციის სტრუქტურისა და ფუნქციონირების ზოგად ფორმატთან დაკავშირებით. ეს იყო უფრო აზრთა გაცვლა არაოფიციალური ფორმატის ფარგლებში.¹³

საბჭოთა კავშირის მემორანდუმი – მოცულობით შედარებით მცირეა და მასში არაფერია ნათქვამი ჩაურევლობის პრინციპზე.¹⁴

აშშ-ის მემორანდუმი – მასშიც არ არის ნახსენები ჩაურევლობის პრინციპი,¹⁵ მაგრამ საუბარია უშიშროების საბჭოს მიერ ისეთი დავის ან სიტუაციის დაკვალიფიცირებაზე, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას,¹⁶ ასეთი დავის ერთ-ერთ მაგალითად კი დასახელებული იყო ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში შეიარაღებული ძალების გამოყენება, საერთაშორისო ორგანიზაციის ნებართვის გარეშე.¹⁷ ანუ ირიბად მინიშნებაა გაკეთებული, რომ ჩაურევლობის პრინციპი, მიუხედავად მისი აუცილებლობისა, მაინც შეიძლება შეიზღუდოს საერთაშორისო ორგანიზაციის სანქციის სახით.

გაერთიანებული სამეფოს მემორანდუმი – მასში პირდაპირ არ არის განმარტე-

ბული ჩაურევლობის პრინციპი.¹⁸ უბრალოდ, ამ ქრილში ტერიტორიული ჩაურევლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარანტიები განხილულია უარყოფით კონტექსტში, რომ ახალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ არ უნდა უზრუნველყოს წევრი სახელმწიფოების ჩაურევლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაცვა,¹⁹ რადგან:

1. პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაცვა უნდა განისაზღვროს ორგანიზაციის ერთ-ერთ პრინციპად, ანუ ზოგად დებულებად და არა კონკრეტულ ვალდებულებად, რომლითაც შეზღუდულია ორგანიზაცია და მისი წევრებიც;²⁰

2. ტერიტორიული ჩაურევლობის გარანტია იქნა გამოყენებული ერთა ლიგის სისტემაში და თავიდანვე ამას დიდი კრიტიკა მოჰყვა,²¹ რადგან ამგვარი გარანტიების არსებობას თავად არ შეუძლია „აღკვეთოს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრა და მისი ოკუპაცია შეიარაღებული ძალებით“.²²

ამრიგად, დიდი ბრიტანეთი ზოგადად არ უარყოფდა ჩაურევლობის პრინციპის აუცილებლობას, მაგრამ, ამასთანავე, სასტიკად ეწინააღმდეგებოდა რაიმე გარანტიის გაცემას, რადგან რეალურად აცნობიერებდა, რომ ამგვარი გარანტიები უფრო მეტად ბოჭავდნენ სახელმწიფოებს, ვიდრე უზრუნველყოფდნენ მათ დაცულობას. ამ ქრილში აგრესიის დეფინირებასთან გავლებული პარალელი ასე გამოიყურება: სახელმწიფოები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან ამ პრობლემას, რადგან არ არიან დაზღვეულნი, რომ მომავალში თავადვე ჩაიდნენ აგრესიის აქტებს და „პოტენციური ბუმერანგის ეფექტი... არასოდეს შეიძლება გამოირიცხოს“.²³

ჩინეთის მემორანდუმი – მასში არაფერია ნათქვამი ჩაურევლობის პრინციპზე,²⁴ მაგრამ აგრესიად არის დაკვალიფიცირებული, *inter alia*: შეიარაღებული ძალების შეჭრა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე; სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის დასაბომბად ან სხვა სახელმწიფოს სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო შეიარაღებულ ძალებზე თავდასასხმელად.²⁵

დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაზე მოლაპარაკებების შედეგად მიღებულ იქნა სსრკ-ის, აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს ერთობლივი პროექტი უშიშროების

საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნასთან დაკავშირებით.²⁶ ამ პროექტის მიხედვით, პრინციპების განყოფილებაში არაფერია ნათქვამი ჩაურევლობის პრინციპზე, თუმცა გაეროს დღევანდელი წესდების მე-2 მუხლის დანარჩენი ექვსივე პრინციპი არის დასახელებული.²⁷ მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა დავების მშვიდობიანი მოგვარების განყოფილება, რომელიც მოიცავს ისეთ დავებსა და სიტუაციებს, რაც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებას,²⁸ თუმცა არ არის იმდენად სერიოზული, რომ უშიშროების საბჭომ დააკვალიფიციროს როგორც „ნებისმიერი საფრთხე მშვიდობის მიმართ, მშვიდობის ხელყოფა ან აგრესიის აქტი“ (VIII თავი, B განყოფილება, მე-2 პუნქტი).²⁹ შესაბამისად, ამგვარი დავების მიმართ საბჭოს კომპეტენცია შემოიფარგლება რეკომენდაციების გაცემით (VIII თავი, A განყოფილება, მე-5 პუნქტი),³⁰ ხოლო იურიდიული ხასიათის დავებთან დაკავშირებით – საერთაშორისო სასამართლოსთვის „იურიდიული შეკითხვების“ გადაცემით, რჩევის მიღების მიზნით (მე-6 პუნქტი)³¹ და არა დავის სამართლებრივი გზით გადასაწყვეტად. ამ ყოველივეს ფონზე კი მე-7 პუნქტში გაცხადებულია: „A განყოფილების 1-ლი-მე-6 პუნქტების დებულებები არ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი დავებისა და სიტუაციების მიმართ, რაც, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, დაინტერესებული სახელმწიფოს არსებითად საშინაო იურისდიქციაში ხვდება.“³²

ამრიგად, დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაზე ჩაურევლობის პრინციპი აღიარებულ იქნა მხოლოდ უმნიშვნელო საერთაშორისო დავებისა და სიტუაციების მიმართ.

2.3. სან-ფრანცისკოს კონფერენცია და მე-2(7) მუხლისადმი თანამედროვე მიდგომა

სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე (1945 წლის 25 აპრილი – 26 ივნისი) გაითვალისწინეს დუმბარტონ-ოქსის კონფერენციისას მიღებული უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების პროექტი, როგორც „სათანადო საფუძველი“³³ მაგრამ, ამასთანავე, ჩატარდა სერიოზული სამუშაო კომისიებსა და კომიტეტებში და შემოთავაზებულ იქნა მთელი რიგი ცვლილებებისა:

1944 წლის 10 ოქტომბრის სსრკ-ის, აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს ერთობლივ პროექტში³⁴ სახელმწიფოს არსებითად საშინაო საქმეებში ჩაურევლობაზე მითითება გაკეთებული იყო არა პრინციპების, არამედ დავების მშვიდობიანი დარეგულირების განყოფილებაში.³⁵ ეს მიდგომა გამოასწორეს სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე. კერძოდ, 1945 წლის 5 მაისს ოთხმა სახელმწიფომ – სსრკ, აშშ, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთი – წარმოადგინა ცვლილებების პაკეტი, რომლის თანახმად, VIII თავის A განყოფილების მე-7 პუნქტმა გადმონაცვლა II თავში, მე-7 პრინციპად, მცირე ცვლილებებით: „არსებული წესდება არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც უფლებამოსილებას ანიჭებს ორგანიზაციას, ჩაეროს ისეთ საკითხებში, რაც, თავისი ბუნებით, სახელმწიფოს საშინაო კომპეტენციას განეკუთვნება, ან დაავალდებულოს ნევრი სახელმწიფოები, წარმოადგინონ ამგვარი საქმეები არსებული წესდების მიხედვით გადასაწყვეტად; თუმცა ამ პრინციპმა ზიანი არ უნდა მიაყენოს VIII თავის B განყოფილების გამოყენებას“³⁶ (ანუ იძულებითი ზომების გამოყენებას³⁷).

აღნიშნული ცვლილება ე.წ. „სპონსორმა სახელმწიფოებმა“ განმარტეს „როგორც ძირითადი პრინციპი და არა როგორც ტექნიკური და სამართლებრივი ფორმულა, განკუთვნილი უშიშროების საბჭოს მიერ დავების გადასაწყვეტად, როგორც ეს ჩაინერა დუმბარტონ-ოქსის თავდაპირველ დებულებებსა და ერთა ლიგის პაქტის მე-15 მუხლში“^{38, 39}

ამრიგად, ამიერიდან აღნიშნული დებულება შებოჭავდა არა კონკრეტულად უშიშროების საბჭოს VI თავით გათვალისწინებულ კომპეტენციას, არამედ მთლიანი ორგანიზაციის საქმიანობას.⁴⁰ მოგვიანებით ამ ცვლილების ბოლო ფრაზა კვლავ შეიცვალა მეტი სიცხადის მიზნით: „თუმცა ეს პრინციპი არ ეხება იძულებითი ზომების გამოყენებას VII თავის საფუძველზე.“⁴¹ იგულისხმება: როდესაც სახელმწიფო მოქმედებს თავისი არსებითად საშინაო კომპეტენციიდან გამომდინარე, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას,⁴² თანაც, ისეთ სერიოზულ საფრთხეს, რომ საჭირო ხდება არა VI, არამედ VII თავის საფუძველზე იძულებითი ზომების გამოყენება.

სხვათაშორის, ეს ბოლო ცვლილება წამოაყენა ავსტრალიამ,⁴³ რაც ერთგვარი შუალედური პოზიცია, ერთგვარი კომპრომისი იყო უშიშროების საბჭოს მიერ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების ფართო კომპეტენციასა და სახელმწიფოს საშინაო იურისდიქციაში ჩაურევლობის ძირითად პრინციპს შორის. ერთი მხრივ, ჩაურევლობის პრინციპი ბოჭავს გაეროს, როგორც მთლიანი ორგანიზაციის, მათ შორის უშიშროების საბჭოს, კომპეტენციას, მაგრამ, მეორე მხრივ, გაითვალისწინებს უშიშროების საბჭოს უპირველესი ვალდებულების უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა და ერთადერთი გამონაკლისი იქნა დაშვებული საბჭოს მიერ VII თავის საფუძველზე იძულებითი ზომების გამოყენებასთან მიმართებით.⁴⁴ თანაც, იმ ფონზე, რომ VII თავი სხვა ზომებსაც ითვალისწინებს, კერძოდ: რეკომენდაციის გაცემას (39-ე მუხლი), დროებით ღონისძიებებს (მე-40 მუხლი).⁴⁵

მიუხედავად ხსენებული გამონაკლისისა, უშიშროების საბჭოს უფლებამოსილება მცირედითაც კი არ შეზღუდულა. პირიქით, უფრო მეტად განმტკიცდა. შედეგად მივიღეთ სიტუაცია, სადაც:

- თუ დადგინდება, რომ განსახილველი საკითხი არ განეკუთვნება კონკრეტული სახელმწიფოს საშინაო იურისდიქციას, გაეროს წესდება ჩვეულებრივ მოქმედებს და ამ კუთხით შესაძლებელია VII თავის გამოყენება;
- თუ დადგინდება, რომ განსახილველი საკითხი განეკუთვნება კონკრეტული სახელმწიფოს საშინაო იურისდიქციას, მაშინ, მე-2(7) მუხლის თანახმად, გაეროს წესდება აღარ მოქმედებს, მაგრამ მაინც შესაძლებელია იძულებითი ზომების გამოყენება.⁴⁶

ანუ ორივე შემთხვევაში შესაძლებელია უშიშროების საბჭოს მიერ იძულებითი ზომების გამოყენება. აშკარაა, რომ გაეროს წესდება „...დალის გამოყენების მონოპოლიას ანიჭებს უშიშროების საბჭოს...“⁴⁷. ეს საკითხი კი უმნიშვნელოვანესია თავისი პოლიტიკური და სამართლებრივი კონტექსტით, რადგან:

- ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, VII თავის საფუძველზე მიღებული უშიშ-

როების საბჭოს რეზოლუციები არის იურიდიულად სავალდებულო, თუ საბჭო ასე გადაწყვეტს,⁴⁸ და მიიღება გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს სახელით;⁴⁹

- დავების მშვიდობიანი მოგვარებისა⁵⁰ და ძალის არათუ გამოყენების, არამედ ამგვარი მუქარის აკრძალვის⁵¹ ფონზეც კი, გაეროს წესდება ითვალისწინებს მხოლოდ 2 გამონაკლისს:⁵² თავდაცვის უფლებას (51-ე მუხლი) და VII თავით გათვალისწინებულ იძულებით ზომებს (39-ე–43-ე მუხლები).⁵³ მაგრამ ძალის გამოყენების გამონაკლისების ამგვარი კლასიფიკაცია არ არის სრულყოფილი, რადგან ის არ ითვალისწინებს, გაეროს წესდების 53-ე მუხლის თანახმად, რეგიონალური ორგანიზაციების მიერ ძალის გამოყენების შესაძლებლობას უშიშროების საბჭოს წინასწარი ნებართვის საფუძველზე. ამიტომაც უფრო მისაღებია ვოგან ლოუეს ფორმულირება: 2 გამონაკლისი – თავდაცვა და უშიშროების საბჭოს ნებართვა⁵⁴ (აქ მოიაზრება 42-ე და 53-ე მუხლები ერთად); ან კრისტიან ჩინკინის ფორმულირება: 3 გამონაკლისი – თავდაცვა, VII თავით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებები, VIII თავით გათვალისწინებული რეგიონალური შეთანხმებები.⁵⁵

2.4. მე-2(7) მუხლი: თავდაპირველი განზრახვა

ზოგადად, ჩაურევლობის საკითხი გაეროს დაარსების დღიდანვე „დამქანცველდებატებსა“ და დისკუსიას იწვევს.⁵⁶ „აღბათ, სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ წესდების არცერთ მუხლს არ გამოუწვევია ამდენი საზრუნავი, როგორც ამას [მე-2(7) მუხლს].“⁵⁷ თავად სან-ფრანცისკოს კონფერენციაზეც შეინიშნებოდა აზრთა სხვადასხვაობა და ეს გასაკვირი არც არის, რადგან თითოეული სახელმწიფო საკუთარი ინტერესის გატარებას, დაცვას ცდილობდა.⁵⁸ მაგრამ ეს აზრთა სხვადასხვაობა არ განაპირობებს სან-ფრანცისკოს ჩანაწერების ორაზროვნებას ან ბუნდოვანებას. პირიქით, კონფერენციის ზოგადი მიმართულება და წესდების შემქმნელთა საერთო განზრახვა ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ ნათელი იყო.⁵⁹ საშინაო საქმეებში ჩარევის ზოგადი აკრძალვა განიმარ-

ტა როგორც „პრიორიტეტული პრინციპი ან შეზღუდვა“⁶⁰, უფრო კონკრეტულად კი წესდების მე-2(7) მუხლში:

... ტერმინი „ჩარევა“ გაგებულ იქნა როგორც ნებისმიერი „ქმედება“ [განხორციელებული] გაეროს ნებისმიერი ორგანოს მიერ კონკრეტული სახელმწიფოების საშინაო იურისდიქციის საკითხებთან დაკავშირებით; ე.ი. კონკრეტული სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის საშინაო საქმეებთან დაკავშირებული საკითხის ნებისმიერი განხილვა ან მასზე რეკომენდაციის გაცემა, გამოძიება ან შესწავლა იქნება ინტერვენცია.⁶¹

სხვათაშორის, ციტირებული დებულებები არ არის მხოლოდ პოლიტიკური განცხადებები, ანუ ლეგიტიმურობის პრობლემა აქ არ დგას,⁶² რადგან სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე დასახელებული ცვლილებები წარადგინა იურისტთა კომიტეტმა,⁶³ ხოლო კონფერენციის ფორმატში მომუშავე სამართლის ექსპერტთაგან უმეტესობა შემდგომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (მსს) მოსამართლე გახდა.⁶⁴

2.5. მე-2(7) მუხლი: შემდგომი განვითარება გაეროს სისტემის ფარგლებში

გაეროს სამართლის სისტემის ფარგლებში ჩაურევლობის პრინციპი არ დარჩენილა მე-2(7) მუხლის ლაკონიური და ზოგადი ტექსტის დონეზე, არამედ უფრო მეტად განივრცო და გენერალური ასამბლეის მთელი რიგი რეზოლუციებისა იქნა მიღებული ამ საკითხზე – იმ არსებითი განსხვავებით, რომ:

- მე-2(7) მუხლი გაეროს, როგორც დამოუკიდებელ ერთეულს, უკრძალავს ნებისმიერი სახელმწიფოს საშინაო იურისდიქციაში ჩარევას;⁶⁵
- გენერალური ასამბლეის რეზოლუციები ინდივიდუალურ სახელმწიფოზე ან სახელმწიფოთა ჯგუფზე არის მიმართული⁶⁶ და მათ უკრძალავს ჩარევას.

ამ ჭრილში ნიშანდობლივია:

- 1965 წლის რეზოლუცია 2131 (XX) – „დეკლარაცია სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებლობისა და მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის შესახებ“⁶⁷ – არის „მხოლოდ პოლიტიკური განზრახვის მქონე განცხადება და არა სამართლის ნორმის ფორმულირება.“⁶⁸

- 1970 წლის რეზოლუცია 2625 (XXV) – „დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობასთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.“⁶⁹ ამ დეკლარაციამ, ძირითადად, გაიმეორა წინა რეზოლუციის დებულება ჩაურევლობაზე:⁷⁰ „არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არ აქვს უფლება, ჩაერიოს პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს, სხვა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში.“⁷¹ მაგრამ, წინა დეკლარაციისგან განსხვავებით, ამ რეზოლუციაში გაცხადებულია „საერთაშორისო სამართლის „ძირითადი პრინციპები“⁷² და რეზოლუციის ტექსტი ძალის გამოყენების აკრძალვისა და ჩაურევლობის პრინციპებთან მიმართებით არის ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმების შემცველი.⁷³
 - აქვე აღსანიშნავია 1974 წლის რეზოლუცია 3314 (XXIX) – აგრესიის განმარტება, მე-5(1) მუხლი: „ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ დასახელებული საფუძველი, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ სხვა, არ შეიძლება იქნეს გამოყენებული აგრესიის გასამართლებლად.“⁷⁴ ამ მიდგომით, ჰუმანიტარული ინტერვენცია შეიძლება აგრესიის აქტად დაკვალიფიცირდეს,⁷⁵ თუმცა პრაქტიკა ამკარად სხვაგვარად განვითარდა და ვითარდება.⁷⁶
- თუნდაც ხსენებულ რეზოლუციებზე დაყრდნობით, ჩაურევლობის პრინციპს აქვს აბსოლუტური ხასიათი და მოქმედების სფერო, არანაირი გამონაკლისი არ არის გათვალისწინებული.⁷⁷
- სახელშეკრულებო დონეზე: ჩაურევლობის პრინციპის კონვენციური საფუძვლების მოძიება არ არის რთული. პირიქით, ამ მხრივ გლობალური და რეგიონალური საერთაშორისო ხელშეკრულებები საკმარისზე მეტია.⁷⁸
 - ჩვეულებითი სამართლის დონეზე: ნიკარაგუის საქმეზე მსს-მ ჩაურევლობის პრინციპი აღიარა როგორც „ჩვეულებითი სამართლის პრინციპი, რომელსაც აქვს უნივერსალური გამოყენება.“⁷⁹

3. მე-2(7) მუხლი: ინტერპრეტაცია

მე-2(7) მუხლი მოიცავს საკმაოდ ზოგად ფრაზებს და შედეგად იქმნება „ორმაგი საფრთხე“:

- დღემდე არ არის განსაზღვრული, თუ რა იგულისხმება საშინაო იურისდიქციაში და
- დღემდე სახელმწიფოები ვერ შეთანხმდნენ ინტერვენციის განმარტებაზე, რაც მისაღები იქნება ყველასთვის.⁸⁰

შექმნილი ვითარება გთავაზობს ინტერპრეტაციის ფართო ასპარეზს, მაგრამ წესდებაში არანაირი მითითება არ არის გაკეთებული, თუ ვინ უნდა განახორციელოს განმარტება, რაც „აშკარად განზრახ“ გაკეთდა.⁸¹ ისიც აშკარაა, რომ მტკიცების ტვირთი სრულად იქნა გადატანილი სახელმწიფოს „თანხმობის ძირითად პრინციპზე“, როგორც საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანეს ნორმაზე (შვარზენბერგერი).⁸² ამ ფონზე სახელმწიფო სუვერენიტეტის კონცეფცია მოიცავს სახელმწიფოს თანხმობას საერთაშორისო სამართლის ნორმის სავალდებულოდ აღიარებაზე და სახელმწიფოს მიერ ამ ნორმის ავტონტერპრეტაციას, თუ თავად ამ სახელმწიფომ ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტების უფლებამოსილება არ გადასცა სხვა ორგანოს.⁸³ რადგან გაეროს წესდებამ არ გაიზიარა ერთა ლიგის პაქტის მე-15(8) მუხლის პრეცედენტი⁸⁴ და ჩაურევლობის პრინციპის განსხვავებული, და ისიც ზოგადი, ტექსტი შემოგვთავაზა, ზედმეტი კონკრეტულობის გარეშე, შესაბამისად, მე-2(7) მუხლის განმარტების სხვადასხვა გზა არსებობს. ყველა მათგანის განხილვა შორს ნაგვიყვანს, ამიტომ ყურადღებას შევაჩერებ ყველაზე რეალისტურ და პრაქტიკაში ფართოდ აპრობირებულ მიდგომაზე.

3.1. ავტონტერპრეტაცია

ავტონტერპრეტაცია არის ერთ-ერთი ყველაზე პრაგმატული, რეალობასთან ახლოს მდგომი და სამართლებრივი იდეალიზმისგან მაქსიმალურად დაცლილი მექანიზმი საერთაშორისო არენაზე, რაც განაპირობებს კიდევაც მის ფართო გამოყენებას. ოსკარ შახტერის მიერ შემოთავაზებული სამდონიანი სქემის⁸⁵ მიხედვით, ავტონტერპრეტაცია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმი (II დონე), მჭიდრო

კავშირშია და მყარად ეფუძნება სახელმწიფოთა ქმედებებსა და ინტერესებს (I დონე), მაგრამ, ამასთანავე, აქვს ზოგადსაკაცობრიო ღირებულება (III დონე). კერძოდ, სახელმწიფო *a priori* მოქმედებს საკუთარი ინტერესებიდან და ნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სახელმწიფოს აქვს „მოქმედების თავისუფლება, რასაც ყოველთვის აღიარებდა საერთაშორისო სამართალი საშინაო იურისდიქციის საკითხებთან მიმართებით...“⁸⁶ ამიტომაც სახელმწიფოთა ნებაზე დაფუძნებული ავტონტერპრეტაცია ქმნის მყარ გარანტიას იმისას, რომ საშინაო იურისდიქციას მიკუთვნებული საკითხების განმარტება ყოველთვის სახელმწიფოს სასარგებლოდ მოხდეს.⁸⁷ მაგრამ, ამასთანავე, არსებობს მოლოდინი, რომ ინტერპრეტაცია განხორციელდება ერთიანი ღირებულებების, მისწრაფებებისა და იდეალების დაცვის ფარგლებში. სწორედ ამგვარი ერთიანი მიდგომა უზრუნველყოფს ჩაურევლობის პრინციპის ეფექტიანობას.

მეორე მხრივ, ეს მიდგომა აშკარად ქმნის უხერხულობას საერთაშორისო სამართლის სისტემაში და ეწინააღმდეგება პრინციპს: *nemo iudex in sua causa*⁸⁸ (არავის შეუძლია, მოსამართლე იყოს თავის საქმეში). მართლაც, იქმნება საგანგაშო ვითარება, რაც იმსახურებს სამართლიან კრიტიკას. მაგალითად, ალფ როსი აღნიშნულ მიდგომას აფასებს როგორც „კატასტროფულს“,⁸⁹ ჰანს კელზენი – როგორც „აბსურდულს“.⁹⁰ შესაბამისად, ამ უარყოფით ფონზე იბადება კითხვა: არსებობს კი ავტონტერპრეტაციის ალტერნატიული გზები?

ზოგადად, ალტერნატივა ყოველთვის არსებობს და ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი მოსაზრებები და წინადადებები:

- სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე საბერძნეთის დელეგაციის წინადადება იყო, საშინაო იურისდიქციას მიკუთვნებულ საკითხთა განმარტება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს განხორციელებინა,⁹¹ მაგრამ წინადადება ჩავარდა, რადგან სახელმწიფოთა 2/3 არ აღმოჩნდა მზად, მხარი დაეჭირა საკითხის სამართლებრივი გზით მოგვარებისთვის.⁹² აქ გასაკვირი არც არაფერია, რადგან თავად გაეროს წესდება უპირატესობას ანიჭებს დავების

მშვიდობიანად მოგვარებას, ვიდრე მსს-ისადმი მიმართვას.⁹³ ერთი შეხედვით, მართლაც პარადოქსია, რომ სახელმწიფოებს დავის პოლიტიკურად მოგვარება ურჩევნიათ, ვიდრე წმინდა სამართლებრივად, მაგრამ კონტრარგუმენტები ყოველთვის არსებობს, თუნდაც დროის ფაქტორი, ამიტომაც საერთაშორისო სამართლის სისტემის მაღალი დოზით პოლიტიკების ზოგად ფონზე საბერძენეთის წინადადების ჩავარდნა ლოგიკურიც კი იყო.

- სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე ბელგიის დელეგაციის წინადადება იყო, გენერალური ასამბლეისთვის მიენიჭებინათ ფართო უფლებამოსილება წესდების განმარტების კუთხით.⁹⁴ მაგრამ ასეც რომ იყოს, ასამბლეის გადაწყვეტილებებს რეკომენდაციის სახე აქვს⁹⁵ და არ არის იურიდიულად სავალდებულო,⁹⁶ რაც საერთოდ აზრს უკარგავს ამგვარი ინტერპრეტაციის საჭიროებას. ამრიგად, გენერალური ასამბლეა, როგორც მე-2(7) მუხლის ინტერპრეტაციის მექანიზმი, გამოირიცხებოდა.⁹⁷
- სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე, ერთი მხრივ, აღიარებულ იქნა, რომ საგადასახადო სისტემა და საბაჟო კანონმდებლობა აშკარად სახელმწიფოს საშინაო კომპეტენციას განეკუთვნება,⁹⁸ მაგრამ, მეორე მხრივ, განისაზღვრა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს კომპეტენცია, დაადგინოს სტანდარტები აღნიშნულ სფეროებში,⁹⁹ რაც უფრო გასათვალისწინებელი იქნება სახელმწიფოთა მიერ, მაგრამ არ იქნება იურიდიულად სავალდებულო.¹⁰⁰ სხვაგვარად რომ ვთქვათ: „... [გაეროს წესდების] IX თავში არაფერი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ორგანიზაციას მიენიჭოს უფლებამოსილება, ჩაერიოს წევრ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში“, ¹⁰¹ თუნდაც ინტერპრეტაციის გზით.
- უშიშროების საბჭო გაეროს უმთავრესი პოლიტიკური ორგანოა – „უპრეცედენტო უფლებამოსილებით და შეზღუდული წევრობით, თანაც [გასათვალისწინებელია] ხუთი მუდმივი წევრის უფლება, ვეტო დაადოს არსებით საკითხებს...“¹⁰² პოლიტიკური ორგანოს მიერ განხორციელებული განმარტება კი ლეგიტი-

მურობის პრობლემას წარმოშობს,¹⁰³ მაგრამ საერთო პოლიტიკების ფონზე ესეც ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ. ამასთანავე, უშიშროების საბჭოს გადანყვეტილებები იურიდიულად სავალდებულოა (25-ე მუხლი), ოღონდ მხოლოდ VII თავის საფუძველზე მიღებული რეზოლუციები.¹⁰⁴ მაგრამ:

... მე-2(7) მუხლი განსაკუთრებულ მითითებას აკეთებს, რომ ის არ გამოიყენება VII თავის საფუძველზე მიღებული იძულებითი ზომებისას. ამრიგად, წესდებაში ერთადერთი ადგილი, სადაც ორგანიზაციას აშკარად აქვს კომპეტენცია, სამართლებრივად გადანყვეტოს საკითხი და რეაგირება მოახდინოს მასზე, [ეს] არის ადგილი, სადაც მე-2(7) მუხლი არ მოქმედებს. ორგანიზაცია რომ ყოფილიყო კომპეტენტური, ზოგადად, განემარტა და გამოეყენებინა ფრაზა „საშინაო იურისდიქცია“, მაშინ VII თავისთვის გამონაკლისის დაშვება აღარ იქნებოდა საჭირო.¹⁰⁵

ამრიგად, უშიშროების საბჭოც არ არის უფლებამოსილი, განმარტოს საშინაო იურისდიქციის ფარგლები, VII თავით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებები კი განიხილება არა ჩაურევლობის პრინციპის თანაარსად, არამედ ამ პრინციპის ფარგლებს გარეთ ხვდება, როგორც წმინდა პოლიტიკური ხასიათის გამონაკლისი.

საბოლოო ჯამში, ჩაურევლობის პრინციპი ბოჭავს მთლიანი ორგანიზაციის საქმიანობას, როგორც მოქმედების, ისე ინტერპრეტაციის კუთხითაც, რადგან ამ შემთხვევაში გაერო განიხილება როგორც „დაინტერესებული მხარე“ და მისი ნებისმიერი გადაწყვეტილება აღიქმება როგორც პრინციპის – *nemo iudex in sua causa* – დარღვევა.¹⁰⁶ ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთადერთ გამოსავლად ავტონტერპრეტაცია რჩება, მიუხედავად მისი უარყოფითი მახასიათებლებისა. ამიტომ საბოლოო პოზიცია შეიძლება ამგვარად ჩამოვაყალიბოთ:

მართალია, ავტონტერპრეტაცია სამართლიანობის ელემენტარული გარანტიების უხეშ ხელყოფას ეფუძნება და სულაც არ არის ორიენტირებული საკითხის სამართლებრივი გადაწყვეტისკენ, ის მაინც რჩება განმარტების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მექანიზმად საერთაშორისო არენაზე, ამიტომ მისი არც აბსოლუტური უკუგდება მისაღები და არც სრული მხარდაჭერაა მი-

ზანშენონილი. მაგრამ ის, რასაც შეიძლება თავისუფლად დავეყრდნოთ და თანაც წმინდა სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოში დავრჩეთ, არის სახელმწიფოს თანხმობის ძირითადი პრინციპი, როგორც „სამართლებრივი გამოსატყულება სუვერენიტეტის პოლიტიკური აქტის განგრძობადობისა“¹⁰⁷. შედეგად, ჩაურევლობის პრინციპის ავტონტერპრეტაცია, უარყოფითი მახასიათებლების მიუხედავად, მიზანშენონილი გამოსავალია და „მე-2(7) მუხლში არ არის არანაირი ბუნდოვანება ავტონტერპრეტაციასთან მიმართებით“.¹⁰⁸

4. ჩაურევლობის პრინციპის ურთიერთმიმართება სხვა პრინციპებთან

მე-2(7) მუხლში ასახული ჩაურევლობის პრინციპი არ არის ცალკე მდგომი, განყენებული პრინციპი. მას ანტონიო კასესე მოიხსენიებს როგორც „არსებით და აუცილებელ „ხიდს“ ტრადიციულ, სუვერენიტეტზე ორიენტირებულ საერთაშორისო საზოგადოების სტრუქტურასა და სახელმწიფოთა „ახალ“ ურთიერთდამოკიდებულებას შორის, რომელიც ეფუძნება [სახელმწიფოთა] თანაცხოვრებას... და უფრო მჭიდრო თანამშრომლობას.“¹⁰⁹ შესაბამისად, ჩაურევლობის პრინციპი მჭიდროდ უკავშირდება მთელ რიგს პრინციპებისას, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპები,¹¹⁰ სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნება და სუვერენულ სახელმწიფოთა თანასწორობის პრინციპი.¹¹¹

4.1. ჩაურევლობის პრინციპი, სახელმწიფო სუვერენიტეტი და ძალის გამოყენების აკრძალვა

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სისტემა ძირითადად ეფუძნება სახელმწიფო სუვერენიტეტის დოქტრინასა და სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს. წინააღმდეგ შემთხვევაში „საერთაშორისო საზოგადოების *ordre public*...“¹¹², რომელსაც მრავალგზის ვაკრიტიკებთ დეცენტრალიზაციის,¹¹³ ორმაგი სტანდარტებისა¹¹⁴ და მაღალი დოზით პოლიტიკების გამო,¹¹⁵ ესეც სანატრელი გვექნებოდა.

- „...ჩაურევლობის პრინციპი... არის მათი [სახელმწიფოთა] სუვერენული არ-

სებობის სამართლებრივი უზრუნველყოფა.“¹¹⁶

- „ჩაურევლობის პრინციპი გულისხმობს თითოეული სუვერენული სახელმწიფოს უფლებას, განახორციელოს თავისი საშინაო საქმეები გარეშე ჩარევისგან დამოუკიდებლად ... [ხოლო] დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის ტერიტორიული სუვერენიტეტის პატივისცემა არის საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი საფუძველი“¹¹⁷ და საერთაშორისო სამართალი ასევე მოითხოვს პოლიტიკური მთლიანობის პატივისცემასაც.¹¹⁸
- ჩაურევლობის პრინციპი „ასრულებს აუცილებელი ფარის როლს, რომლის უკან სახელმწიფოებს შეუძლიათ თავის შეფარება იმის ცოდნით, რომ მათი ინტენსიური საერთაშორისო ურთიერთობები გავლენას ვერ მოახდენს მათ უფრო მეტად სასიცოცხლო და დელიკატურ საშინაო ინტერესებზე.“¹¹⁹

დასახელებული მოსაზრებების ავტორიტეტულობის მიუხედავად, ჩემი აზრით, ყველაზე რეალისტურია ვოტსონის შეფასება: „...მე-2(7) მუხლი... არის მხოლოდ სუვერენიტეტის სიმბოლო და არა თავად სუვერენიტეტი.“¹²⁰ ამ ფონზე უფრო ადვილი გასაგები ხდება „სახელმწიფო სუვერენიტეტის ფუნდამენტური პრინციპი[ს], რომელსაც მთელი საერთაშორისო სამართალი ეფუძნება..“¹²¹ მიმართ დამკვიდრებული გამონაკლისის არსებობა და მიზანშენონილობა.

აგრეთვე, ნიშანდობლივია ჩაურევლობისა და ძალის გამოყენებლობის პრინციპების მჭიდრო კავშირი, რადგან ერთი მეორეს არა თუ ავსებს,¹²² არამედ ანაცვლებს¹²³ კიდევ. თანაც, ორივე პრინციპს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის სტატუსი მიანიჭა მსს-მ.¹²⁴

მთლიანობაში, მივდივართ ამგვარ დასკვნამდე: „სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპი... მჭიდროდ არის დაკავშირებული ძალის გამოყენების აკრძალვისა და ჩაურევლობის პრინციპებთან.“¹²⁵

ზემოთქმულთან მიმართებით, საინტერესოა სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე ბრაზილიის დელეგაციის წინადადება:

ორგანიზაციის ყველა წევრმა თავი უნდა შეიკავოს საერთაშორისო ურთიერთობებში ორგანიზაციის სხვა წევრის საგარეო

ან საშინაო საქმეებში ჩარევისა და ძალის გამოყენების ან ამგვარი მუქარისგან, თუ ეს არ შეესაბამება ორგანიზაციის მეთოდებსა და გადანყვეტილებებს. ჩარევის აკრძალვა იმგვარად უნდა იქნეს გაგებული, რომ ის მოიცავდეს ნებისმიერ ჩარევას, რომელიც საფრთხეს უქმნის ორგანიზაციის სხვა წევრების ეროვნულ უშიშროებას, პირდაპირ ან არაპირდაპირ საფრთხეს უქმნის მის ტერიტორიულ მთლიანობას, ან მოიცავს [სახელმწიფოს მიმართ] საგარეო ზეგავლენის გადაჭარბებულ გამოყენებას...¹²⁶

4.2. ჩაურევლობის პრინციპი და ადამიანის უფლებები

წინამდებარე ნაშრომის მეოთხე თავის კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჩაურევლობის პრინციპისა და ადამიანის უფლებათა კონცეფციის ურთიერთმიმართება. აღნიშნული ურთიერთმიმართება, ზოგადად, აღიქმება როგორც გაეროს წესდების ტექსტის ორაზროვნების ერთ-ერთი გამოხატულება: „აკრძალვა ნებისმიერი სახელმწიფოს არსებითად საშინაო იურისდიქციას მიკუთვნებულ საკითხებში ჩარევაზე (მე-2(7) მუხლი) და, ამავე დროს, მოთხოვნა [ორგანიზაციის] წევრების მიმართ, განახორციელონ ერთობლივი ქმედებები, [რათა] მიაღწიონ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უნივერსალურ გამოყენებას ყველას მიმართ (55-ე-56-ე მუხლები).“¹²⁷ მეტი სიცხადისთვის ამ ორაზროვნების არსი შემდეგნაირად განიმარტება: თავიდანვე (იგულისხმება გაეროს შექმნის დღიდან 1990-იან წლებამდე, ცივი ომის დასრულებამდე) „ადამიანის უფლებების დაცვა „სუვერენულ სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივ საქმედ“ ითვლებოდა.“¹²⁸ ამიტომაც, მიუხედავად გაეროს დამსახურებისა, რომ მან ადამიანის უფლებები საერთაშორისო სამართლის ზრუნვის საგნად აქცია, თავად გაეროს წესდებაში ადამიანის უფლებები სულ ოთხგან არის ნახსენები (პრეამბულაში, 1-ლი(3), 55-ე, 56-ე მუხლები).¹²⁹ სან-ფრანცისკოს კონფერენციაზეც ნაკლები ყურადღება დაეთმო აღნიშნულ საკითხს.¹³⁰ მართალია, ზოგიერთი სახელმწიფო ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებს მიიჩნევდა „როგორც შესაძლო საფრთხეს მშვიდობის მიმართ“,¹³¹ საბოლოო ჯამში, სახელმწიფოთა უმეტესობამ, მათ

შორის დიდმა სახელმწიფოებმა, არ გაიზიარეს ადამიანის უფლებათა მნიშვნელოვანი როლი გაეროს საქმიანობაში¹³² და ეს საკითხი უფრო გენერალური ასამბლეისა და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს კომპეტენციას მიაკუთვნეს, ვიდრე უშიშროების საბჭოს სამოქმედო სფეროს.¹³³ შესაბამისად, მე-2(7) მუხლმა განამტკიცა სახელმწიფოს საშინაო იურისდიქციაში ჩაურევლობის პრინციპი, „ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები კი სწორედ საშინაო საქმეების კატეგორიაში მოიაზრებოდა.“¹³⁴ მეტიც, „...1960-იანი წლებიდან 1990-იანი წლების დასაწყისამდე, საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულმა ცივმა ომმა ...გამოიწვია საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის იდეით [სახელმწიფოთა] შეპყრობა.“¹³⁵ მაგრამ როგორც საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედმა სასამართლომ დაადგინა: „საკითხი, ხვდება თუ არა ესა თუ ის პრობლემა გამონაკლისად სახელმწიფოს იურისდიქციაში, არსებითად შედარებითია; იგი დამოკიდებულია საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე.“¹³⁶ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცივი ომის შემდგომ პერიოდში საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებამ,¹³⁷ უშიშროების საბჭოს როლის გაზრდამ¹³⁸ და ადამიანის უფლებათა დაცვის დოქტრინის განვითარებამ¹³⁹ გამოიწვია ის, რომ მე-2(7) მუხლის „თანამედროვე ინტერპრეტაცია შესაძლებელს ხდის გაეროს ორგანოების მიერ იძულებითი ზომების გამოყენებას წევრი სახელმწიფოების მიმართ ადამიანის უფლებათა დარღვევების შემთხვევაში“,¹⁴⁰ „განსაკუთრებით ადამიანის უფლებების მასშტაბური და სისტემატური დარღვევებისას, რომლებიც მოიცავს სიცოცხლის ხელყოფას (ან ამგვარ საფრთხეს) ფართო არენაზე ... [რაც] აღარ განიხილება [სახელმწიფოს] საშინაო საქმედ.“¹⁴¹ ასევე, ნიშანდობლივია ცივი ომის შემდგომი პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბებული უშიშროების საბჭოს პოზიცია, რომ სამოქალაქო მოსახლეობის ან სხვა დაცული პირების მიმართ განზრახი, ფართომასშტაბიანი ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები შეიარაღებული კონფლიქტის დროს განიხილება როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისადმი საფრთხის შექმნა.¹⁴² ანუ უშიშროების საბჭოს VII თავით გათვალისწინებული კომპეტენცია

გაფართოვდა, მე-2(7) მუხლის დებულებათა მიუხედავად. თუმცა აქვე უნდა დაზუსტდეს, რომ უშიშროების საბჭო „არ ერევა სახელმწიფოს შიგნით ... ნებისმიერ[ი] ... ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტებში“, ¹⁴³ რაოდენ სერიოზული და ფართომასშტაბიანიც არ უნდა იყოს ეს დარღვევები, არამედ უშიშროების საბჭოს VII თავით მინიჭებული უფლებამოსილება შეზღუდულია „ფუნქციური ლიმიტით“ და მოქმედებს მხოლოდ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების საფრთხესთან დაკავშირებით. ¹⁴⁴ მაგრამ აქაც მოიძებნება გამოსავალი: პირველი, ამ ზოგად ტერმინთა ინტერპრეტაცია ფართოდ არის შესაძლებელი და მეორე, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელყოფას „უმეტეს შემთხვევებში ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები გამოუწვევია.“ ¹⁴⁵

საბოლოო ჯამში მივიღეთ ასეთი სიტუაცია: თუ ადრე წარმოუდგენელი იყო ადამიანის უფლებათა დარღვევებისას უშიშროების საბჭოს მიერ არათუ იძულებითი ზომების გამოყენება, არამედ ნებისმიერი სახის აქტივობა, მე-2(7) მუხლის თანამედროვე განმარტებით, ჩაურევლობის პრინციპი აღარ არის აბსოლუტური აღნიშნული სფეროს მიმართ, ¹⁴⁶ ადამიანის უფლებათა დაცვამ საერთაშორისო განზომილებაც მოიპოვა. ¹⁴⁷ შესაბამისად, ამ სფეროში ჩადენილ დარღვევებზე უკვე მოქმედებს გაეროს წესდების VII თავი ¹⁴⁸ და უშიშროების საბჭოს სავალდებულო რეზოლუციები. თავის მხრივ, უშიშროების საბჭომ VII თავის საფუძველზე რომ განახორციელოს ღონისძიებები, საჭიროა, სიტუაცია დააკვალიფიციროს 39-ე მუხლით („საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების ან აღდგენის მიზნით“), ანუ სახეზე უნდა იყოს საერთაშორისო კონფლიქტი, თავად გაეროს უმთავრესი და უპირველესი მიზანიც ხომ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებაა (გაეროს წესდების 1-ლი(1) მუხლი). ე.ი. გაეროს სისტემა თავიდანვე განკუთვნილი იყო საერთაშორისო და არა შიდა შეიარაღებული ¹⁴⁹ კონფლიქტისთვის, მაგრამ პრაქტიკა სხვაგვარად განვითარდა. ¹⁵⁰ და ამიტომაც ხშირია შემთხვევა, როდესაც უშიშროების საბჭო არასაერთაშორისო კონფლიქტს აკვალიფიცირებს როგორც საფრთხეს „მშვიდობის მიმართ“, „საერთაშორისო მშვიდობის მიმართ“, რეგიონალური

მშვიდობის მიმართ“ ან „რეგიონში მშვიდობის მიმართ“. ¹⁵¹ შედეგად, სახელმწიფოში არსებული ძალადობა ინვესს VII თავით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას ¹⁵² და ამგვარად იზღუდება მე-2(7) მუხლი.

5. ჩაურევლობის პრინციპის მოქმედება პრაქტიკაში

ზოგადად, ჩაურევლობის პრინციპის პრაქტიკაში გამოყენებისა თუ მოქმედების სფერო საკმაოდ მრავლისმომცველი თემაა, ამიტომ წინამდებარე თავში აქცენტი გაკეთდება ხსენებული სფეროს ფარგლებში სამართლისა და პოლიტიკის ურთიერთკვეთის შედარებით აქტუალურ საკითხებზე, კერძოდ, ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლების არსებობის შესაძლებლობებზე. უფრო კონკრეტულად კი ეს ერთგვარი მცდელობაა, შევაჯამოთ ყოველივე ზემოთქმული, ოღონდ უკვე პრაქტიკულ სიბრტყეში.

5.1. ჰუმანიტარული ინტერვენცია

ჰუმანიტარული ინტერვენცია ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია ჩაურევლობის პრინციპის ჩრდილში, მაგრამ, ნაშრომის შეზღუდული ფორმატის გამო, თავს შევიკავებ მისი შედარებით სრული განხილვისგან; უბრალოდ, მოკლედ ჩამოვაცალიებ საკუთარ პოზიციას, საერთაშორისო სამართლის ავტორიტეტულ მეცნიერთა მოსაზრებებზე დაყრდნობით.

ჰუმანიტარული ინტერვენცია არის ძალის გამოყენება (და არა იძულებითი ზომა) სხვა სახელმწიფოს მიმართ, ¹⁵³ რაც, ამასთანავე, ინვესს ჩაურევლობის პრინციპის ხელყოფას.

საერთაშორისო სამართალში არც კონვენციურ და არც ჩვეულებით დონეზე არ არსებობს სამართლის ნორმა, რომელიც ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლებას აღიარებს. ¹⁵⁴ ამიტომ ამ უფლების სამართლებრივი ბაზისისა თუ გამამართლებელი არგუმენტების ძიების ცდები უსაფუძვლოდ და უაზროდ მიმანია. ¹⁵⁵ ამასთან, სახელმწიფოთა პრაქტიკაზე საუბრისას არც ის უნდა დაგვაინყდეს, რომ დღემდე განხორციელებული არცერთი ინტერვენცია არ ყოფილა „ქუმარიტად ჰუმანიტარული“. ¹⁵⁶ ჰუმანიტარიზმი ყოველთვის იყო კარგი შესანიღბავი

საშუალება და მორალურად გამართლებული არგუმენტი ძლიერი სახელმწიფოების ხელში.¹⁵⁷

მაგრამ, მეორე მხრივ, პრაქტიკაში არის „მძიმე შემთხვევები“, როდესაც მორალური და პოლიტიკური მოსაზრებები გადანონის სამართლებრივ შეფასებას და სიტუაციის დარეგულირების უკანასკნელ საშუალებად რჩება სამართლის ფარგლებს გარეთ მოქმედება;¹⁵⁸ როდესაც შეიარაღებული ინტერვენცია ერთადერთი გამოსავალია ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ან აღსაკვეთად,¹⁵⁹ *bona fide* ჰუმანიტარული საჭიროების საპასუხოდ;¹⁶⁰ როდესაც დაუშვებელია საერთაშორისო თანამეგობრობა „პასიური დამკვირვებლის“ როლით შემოიფარგლოს.¹⁶¹ მაგრამ ეს უნდა იყოს გამონაკლისი შემთხვევა, ყოველ ჯერზე კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით განხორციელებული *ad hoc* ერთჯერადი ქმედება, რომელიც არ უნდა იქცეს საყოველთაო მიდგომად.¹⁶²

ამრიგად, ჰუმანიტარული ინტერვენცია არის წმინდა პოლიტიკური და მორალური მოვლენა,¹⁶³ რომლის გამოყენება პრაქტიკაში უნდა დარეგულირდეს სამართლებრივი კრიტერიუმებით; ანუ, როგორც ერთადერთი და უკანასკნელი მექანიზმი, უნდა მოექცეს სამართლებრივი რეგულირების სფეროში, რათა მაქსიმალურად გაკონტროლდეს მისი ბოროტად გამოყენების ნებისმიერი მცდელობა. ტომას ფრენკი სწორად აღნიშნავს: სახელმწიფო, რომელიც ჰუმანიტარულ ინტერვენციას ახორციელებს, „აქვს მტკიცების ტვირთი, რომ არსებობს ნამდვილი, მყისიერი და აღმასფოთებელი აუცილებლობა, რომელიც სამართლის ნაკლები ხელყოფით ვერ დარეგულირდება.“ თანაც, ეს აუცილებლობა მოითხოვს გაეროს წესდებით გათვალისწინებული სანქციების ამოწურვას.¹⁶⁴

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, ყველაზე შუალედური და ზომიერი პოზიციაა ჰუმანიტარული ინტერვენციის, როგორც პოლიტიკური მოვლენის, მოქცევა სამართლებრივი რეგულირების სფეროში. თანაც, ეს მიდგომა ერთდროულად ითვალისწინებს სამართლებრივ, პოლიტიკურ, პრაქტიკულ და მორალურ კანონზომიერებებს. ე.ი. ჩვენ ვსაუბრობთ ჰუმანიტარული ინტერვენციის შესაძლებლობის, და არა უფლების, არსებობაზე, თუნდაც

გაეროს წესდების მიზნებიდან გამომდინარე. როგორც ჩინკინი აცხადებს: „...ძალის გამოყენება ადამიანის უფლებების დასაცავად ექსტრემალურ შემთხვევებში არ ეწინააღმდეგება გაეროს წესდებას, ექცევა მისი მიზნების კატეგორიაში და მორალურად უდავოდ გამართლებულია.“¹⁶⁵ ისიც მართალია, რომ გაეროს წესდების სტრუქტურა სახელმწიფო სუვერენიტეტს ანიჭებს უპირატესობას,¹⁶⁶ მაგრამ „...საერთაშორისო სამართალი არ მოითხოვს, რომ ყველა შემთხვევაში სუვერენიტეტისა და სახელმწიფო მთლიანობისადმი პატივისცემას მიეცეს უპირატესობა ადამიანის უფლებებისა და სიცოცხლის დაცვასთან მიმართებით...“¹⁶⁷ შედეგად, ჩამოყალიბდა ამგვარი მიდგომა: ადამიანის უფლებათა უხეშ და სისტემატურ ხელყოფას ეძლევა საერთაშორისო განზომილება, აღიქმება, როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისადმი საფრთხე (ანუ სახეზეა 39-ე მუხლით დაკვალიფიცირება) და შესაძლებელი ხდება ძალის გამოყენება უშიშროების საბჭოს თანხმობით.¹⁶⁸ მე-2(7) მუხლის ამგვარი ინტერპრეტირების საფუძველზე გამართლებულია ჰუმანიტარული ინტერვენცია, როგორც უკანასკნელი პოლიტიკური მექანიზმი.

6. დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში განხილულ იქნა გაეროს წესდების მე-2(7) მუხლში ჩამოყალიბებული ჩაურევლობის პრინციპი არაერთგვაროვანი პრაქტიკისა და კიდევ უფრო არაერთგვაროვანი თეორიის ფონზე. ამ არაერთგვაროვნების მიზეზად კი სამართლიანად შეიძლება დავასახელოთ თავად მე-2(7) მუხლის ბუნდოვანი და ორაზროვანი ტექსტი, რომელიც, ერთი მხრივ, ორგანიზაციას უკრძალავს ჩარევას სახელმწიფოთა საშინაო იურისდიქციაში და, ამასთანავე, უშიშროების საბჭოს უფლებას აძლევს, VII თავის საფუძველზე გამოიყენოს იძულებითი ზომები საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ზოგადი და ფართოდ დეფინირებადი კომპეტენციის ფარგლებში. შესაბამისად, იქმნება სერიოზული საფრთხე, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მძლავრი პოლიტიკური მოტივაციის ფონზე, უპრობლემოდ მოხდეს მე-2(7) მუხლის დებულებების მორგება არსე-

ბულ გარემოებებზე. ამგვარ საფრთხეს, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდნენ გაეროს წესდების შემქმნელებიც, მაგრამ მაინც მხარი დაუჭირეს ბუნდოვან ტექსტს. მათ გააკეთეს არჩევანი ორ უკიდურესობას შორის: ერთი მხრივ, ზუსტად განერილი კონცეფციები,¹⁶⁹ რაც ართულებს თეორიული დებულებების მორგებას არაერთგვაროვან პრაქტიკაზე, არადა საჭირო მოთხოვნაა სრული შესაბამისობის დადგენა წესდებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან. ამგვარი მიდგომა აშკარად ავიწროებს დებულებათა გამოყენების არეალს; ხოლო მეორე მხრივ, ბუნდოვანი და ორაზროვანი ტექსტი, რაც დებულებათა ფართო გამოყენებისა და განმარტების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, ამგვარი მიდგომა მეტ თავისუფალ ადგილს ტოვებს სახელმწიფოთა ინტერესებისა და პოლიტიკური ქვეტექსტების გასათვალისწინებლად. „სპონსორმა სახელმწიფოებმა“ სწორედ ამგვარ მიდგომაზე შეაჩერეს არჩევანი, რადგან საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უპირველესი მიზნის მისაღწევად ზუსტად განერილი პროცედურა შეიძლება უმოქმედო გამხდარიყო კონკრეტული კონტექსტისა და კონკრეტული გარემოებების ფონზე,¹⁷⁰ ხოლო ზოგადი და

ორაზროვანი ტერმინოლოგია შესაძლებელს ხდიდა შექმნილი ვითარების გათვალისწინებით ლავირებას. რა თქმა უნდა, მეტი თავისუფლება გულისხმობს პოლიტიკების მაღალ დონესაც, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გაეროს წესდებს სწორედ მონინავე სახელმწიფოები ქმნიდნენ საკუთარი ინტერესებისა და მონინავე პოზიციების სასარგებლოდ. ჩაურევლობის პრინციპთან მიმართებით ჰუმანიტარული ინტერვენციის არათუ გამართლების, არამედ ლეგიტიმაციის საკითხის წამოჭრაც სწორედ ამგვარი მიდგომის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთადერთი ლოგიკური დასკვნაა, რომ: „...მე-2(7) მუხლი უფრო პოლიტიკური საკითხია, ვიდრე სამართლებრივი“.¹⁷¹ ამიტომ ნებისმიერ ქრილში მისი განხილვისას აუცილებელია პოლიტიკური ფაქტორების *a priori* გათვალისწინება და მათი დაბალანსება სამართლებრივი ღირებულებებით. ჩვენ უნდა გვახსოვდეს: არავინ უარყოფს, რომ „სამართალი პოლიტიკის განხორციელების საშუალებაა, მაგრამ ამავდროულად არის მოლოდინი, რომ პოლიტიკაც მოექცევა სამართლის ფარგლებში“.¹⁷²

¹ Watson, J.S., "Autointerpretation, Competence, and the Continuing Validity of Article 2(7) of the UN Charter", in: *The American Journal of International Law*, Vol.71, 1977, გვ. 60.

² Громыко, А.(ред.), *Московская конференция министров иностранных дел СССР, США и Великобритании (19-30 октября 1943 г.)*, изд.: Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945 гг., т.I, Москва, 1978, გვ. 7.

³ *Ib.*, გვ. 30, გვ. 347.

⁴ *Ib.*, გვ. 346-348.

⁵ *Ib.*, გვ. 51-52; იხ. აგრეთვე: *Ib.*, გვ. 55.

⁶ *Ib.*, გვ. 126.

⁷ *Ib.*, გვ. 347.

⁸ *Ib.*, გვ. 198, გვ. 277-278.

⁹ *Ib.*, გვ. 276, გვ. 278.

¹⁰ Громыко, А.(ред.), *Конференция представителей СССР, США и Великобритании в Думбартон-Оксе (21 августа-28 сентября 1944 г.)*, изд.: Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945 гг., т.III, Москва, 1978, გვ. 9.

¹¹ Громыко, А., სქოლიო 2 *supra*, გვ. 198-200.

¹² *Ib.*, გვ. 199.

¹³ იხ.: Громыко, А., სქოლიო 10 *supra*.

¹⁴ *Ib.*, გვ. 102-106.

¹⁵ *Ib.*, გვ. 51-68.

- ¹⁶ *Ib.*, გვ. 59.
- ¹⁷ *Ib.*, გვ. 60.
- ¹⁸ *Ib.*, გვ. 73-99.
- ¹⁹ *Ib.*, გვ. 84-90.
- ²⁰ *Ib.*, გვ. 85.
- ²¹ *Ib.*, გვ. 84.
- ²² *Ib.*, გვ. 85.
- ²³ Simma, B., "NATO, the UN and the Use of Force: Legal Aspects", in: *European Journal of International Law*, Vol.10, 1999, გვ. 22, ხელმისაწვდომია: <http://ejil.oxfordjournals.org/cgi/reprint/10/1/1>. (მართალია, ბრუნო სიმას აღნიშნული შეფასება ჰუმანიტარულ ინტერვენციასთან დაკავშირებით არის გაკეთებული, მაგრამ კარგად ესადაგება აგრესიის დეფინიციასაც.).
- ²⁴ Громыко, А., სქოლიო 10 *supra*, გვ. 245-251.
- ²⁵ *Ib.*, გვ. 249.
- ²⁶ *Ib.*, გვ. 228-242.
- ²⁷ *Ib.*, გვ. 229-230.
- ²⁸ *Ib.*, გვ. 235-236.
- ²⁹ *Ib.*, გვ. 236.
- ³⁰ *Ib.*
- ³¹ *Ib.*
- ³² *Ib.*; UNCIO, Documents, Vol.3, გვ. 13, §7, ციტირებული: Gilmour, D.R., "The Meaning of "Intervene" within Article 2 (7) of the United Nations Charter. A Historical Perspective", in *The International and Comparative Law Quarterly*, Vol.16, No.2, 1967, გვ. 335, სქოლიო 8.
- ³³ Громыко, А.(ред.), Конференция Объединенных Наций в Сан-Франциско (25 апреля-26 июня 1945 г.), изд.: Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945 гг., т.V, Москва, 1980, გვ. 131.
- ³⁴ იხ.: სქოლიო 26 *supra*, და შესაბამისი ტექსტი.
- ³⁵ Громыко, А., სქოლიო 10 *supra*, გვ. 229, გვ. 235-236.
- ³⁶ Громыко, А., სქოლიო 33 *supra*, გვ. 409-413; Gilmour, D.R., სქოლიო 32 *supra*, გვ. 335.
- ³⁷ იხ.: Громыко, А., სქოლიო 10 *supra*, გვ. 237.
- ³⁸ ერთა ლიგის პაქტის მე-15(8) მუხლი: „თუ მხარეთა შორის დავა წამოიჭრება იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მხოლოდ სახელმწიფოს საშინაო იურისდიქციაში ხვდება, და თუ ამას ამტკიცებს ერთ-ერთი მხარე და საბჭოც ამგვარად დაადგენს, მაშინ საბჭო ... არ გასცემს რეკომენდაციას მის გადანყვეტაზე.“ იხ.: Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 61.
- ³⁹ Summary Report of the 17th Meeting of Committee I/1, Doc. 1019, I/1/42, UNCIO, Vol.6, გვ. 507-508, ციტირებული: Gilmour, D.R., სქოლიო 32 *supra*, გვ. 335-336, სქოლიო 11.
- ⁴⁰ The Charter of the United Nations: Report to the President of the Results of the San Francisco Conference by the Chairman of the United States Delegation, the Secretary of State, June 26, 1945 (Department of State Publication 2349, Conference Series 71. 1945), გვ. 57, ციტირებული: Gilmour, D.R., სქოლიო 32 *supra*, გვ. 336, სქოლიო 12.
- ⁴¹ Громыко, А., სქოლიო 33 *supra*, გვ. 587.
- ⁴² *Ib.*, გვ. 20.
- ⁴³ იხ.: Gilmour, D.R., სქოლიო 32 *supra*, გვ. 346-348.
- ⁴⁴ იხ.: *Ib.*, გვ. 348.
- ⁴⁵ Simma, B.(ed.), *The Charter of the United Nations: A Commentary*, Oxford, 2002, გვ. 705, §11.
- ⁴⁶ Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 79, აღნიშნული დებულებები განხილულია 1946 წლის ესპანეთის საკითხის მაგალითზე.

- ⁴⁷ Brownlie, I. & Apperley, C.J., "Kosovo Crises Inquiry: Memorandum on the International Law Aspects", in: *The International and Comparative Law Quarterly*, Vol.49, 2000, გვ. 884, §30.
- ⁴⁸ Simma, B., სქოლიო 45 *supra*, გვ. 705, §11, გვ. 727, §28; Bailey, S.D. & Daws, S., "The Procedure of the UN Security Council", Oxford, 1998, Chapter 5; Schachter, O., "United Nations Law", in: *The American Journal of International Law*, Vol.88, 1994, გვ. 1, სქოლიო 2; Greenwood, C., "Is there a Right of Humanitarian Intervention?", in: *World Today*, 1993, გვ. 3; Talmon, S., "The Statements by the President of the Security Council", in: *Chinese Journal of International Law*, 2003, გვ. 450-451; Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 66; ევროგაერთიანების პირველი ინსტანციის სასამართლო: *Yassin Abdullah Kadi v. Council of the European Union and Commission of the European Communities, supported by United Kingdom of Great Britain and Northern Ireland (T-315/01)*, 2005 წლის 21 სექტემბერი, §153, §156, §189, ხელმისაწვდომია: http://jcb.blogs.com/jcb_blog/files/court_of_first_instance_judgment.pdf.
- ⁴⁹ გაეროს წესდება, 25-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: <http://georgia.unic.org/images/documents/charter.pdf>.
- ⁵⁰ *Ib.*, მე-2(3) მუხლი.
- ⁵¹ *Ib.*, მე-2(4) მუხლი.
- ⁵² McGoldrick, D., Rowe, P. and Donnelly, E., *The Permanent International Criminal Court: Legal and Policy Issues*, Oxford, 2004, გვ. 139-140.
- ⁵³ Christopher Greenwood's Lectures, (2005) *Public International Law, Use of Force*, შეადარე: Greenwood, C., "International Law and the NATO Intervention in Kosovo", in: *The International and Comparative Law Quarterly*, Vol.49, 2000, გვ. 927; Charney, J.I., "Anticipatory Humanitarian Intervention in Kosovo", in: *The American Journal of International Law*, Vol.93, 1999, გვ. 835.
- ⁵⁴ Lowe, V., "International Legal Issues in the Kosovo Crisis", in: *The International and Comparative Law Quarterly*, Vol.49, 2000, გვ. 935.
- ⁵⁵ Chinkin, C., "The Legality of NATO's Action in the Former Republic of Yugoslavia (FRY) Under International Law", in: *The International and Comparative Law Quarterly*, Vol.49, 2000, გვ. 910.
- ⁵⁶ Gilmour, D.R., სქოლიო 32 *supra*, გვ. 332.
- ⁵⁷ *Ib.*, გვ. 331.
- ⁵⁸ *Ib.*, გვ. 333.
- ⁵⁹ *Ib.*
- ⁶⁰ Summary report of the 10th meeting of the Executive Committee, Doc. 1108, EX/28, UNCIO, Vol.5, გვ. 535, ციტირებული: Gilmour, D.R., სქოლიო 32 *supra*, გვ. 343, სქოლიო 37.
- ⁶¹ Gilmour, D.R., სქოლიო 32 *supra*, გვ. 333.
- ⁶² *Ib.*, გვ. 350.
- ⁶³ *Ib.*, გვ. 349.
- ⁶⁴ Rajan, (1961) *United Nations and Domestic Jurisdiction*, გვ. 71, ციტირებული: Gilmour, D.R., სქოლიო 32 *supra*, გვ. 350, სქოლიო 52.
- ⁶⁵ Gilmour, D.R., სქოლიო 32 *supra*, გვ. 331.
- ⁶⁶ *Ib.*; *Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America), Merits, Judgement, I.C.J. Reports 1986*, [შემდგომში - ნიკარაგუის საქმე], §205.
- ⁶⁷ ხელმისაწვდომია: <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/218/94/IMG/NR021894.pdf?OpenElement>.
- ⁶⁸ Official Records of the General Assembly, Twentieth Session, First Committee, A/C.1/SR.1423, გვ. 436, ციტირებული: ნიკარაგუის საქმე, §203.
- ⁶⁹ ხელმისაწვდომია: <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/348/90/IMG/NR034890.pdf?OpenElement>.
- ⁷⁰ ნიკარაგუის საქმე, §203; Kritsiotis, D., "Reappraising Policy Objections to Humanitarian Intervention", in: *Michigan Journal of International Law*, Vol.19,

- 1998, გვ. 1010.
- ⁷¹ გენერალური ასამბლეის 2625 (XXV) რეზოლუციის აღნიშნული მონაკვეთის ქართულენოვანი თარგმანისთვის იხ.: ალექსიძე, ლ.(რედ.), თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი, 2003, გვ. 388-389.
- ⁷² ნიკარაგუის საქმე, §203; იხ. აგრეთვე: Kritsiotis, D., სქოლიო 70 *supra*, გვ. 1012.
- ⁷³ ნიკარაგუის საქმე, §264; იხ. აგრეთვე: Schachter, O., სქოლიო 48 *supra*, გვ. 18.
- ⁷⁴ ხელმისაწვდომია: <http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/739/16/IMG/NR073916.pdf?OpenElement>.
- ⁷⁵ Kittichaisaree, K., *International Criminal Law*, Oxford, 2001, გვ. 214.
- ⁷⁶ წინამდებარე ნაშრომში ჰუმანიტარული ინტერვენციის საკითხი განხილულია მე-5 თავში, იხ.: გვ. 17-18.
- ⁷⁷ Kritsiotis, D., სქოლიო 70 *supra*, გვ. 1009-1010.
- ⁷⁸ იხ.: *Ib.*, გვ. 1008, სქოლიო 5.
- ⁷⁹ ნიკარაგუის საქმე, §204.
- ⁸⁰ Gilmour, D.R., სქოლიო 32 *supra*, გვ. 331.
- ⁸¹ Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 62.
- ⁸² სქოლიო გამოტოვებულია, იხ.: Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 68, სქოლიო 25.
- ⁸³ Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 61.
- ⁸⁴ იხ.: სქოლიო 38 *supra*.
- ⁸⁵ Schachter, O., სქოლიო 48 *supra*, გვ. 22.
- ⁸⁶ Gilmour, D.R., სქოლიო 32 *supra*, გვ. 347.
- ⁸⁷ თუმცა აქ გასათვალისწინებელია, რომელი სახელმწიფო ახორციელებს განმარტებას.
- ⁸⁸ Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 64.
- ⁸⁹ Ross, A. (1950) "The Proviso concerning "Domestic Jurisdiction" in Article 2(7) of the Charter of the United Nations", in *Osterr. Offen. Recht* 2, გვ. 562, გვ. 570, ციტირებული: Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 64, სქოლიო 12.
- ⁹⁰ Kelzen, H. (1951) *The Law of the United Nations*, გვ. 783-784, ციტირებული: Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 65, სქოლიო 20.
- ⁹¹ UNCIO, Documents, გვ. 509, ციტირებული: Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 62, სქოლიო 5.
- ⁹² იხ.: Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 62.
- ⁹³ Schachter, O., სქოლიო 48 *supra*, გვ. 14.
- ⁹⁴ UNCIO, Documents, გვ. 392, ციტირებული: Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 62, სქოლიო 6.
- ⁹⁵ გაეროს წესდება, მე-10 მუხლი.
- ⁹⁶ Bailey, S.D. & Daws, S., "The Procedure of the UN Security Council", Oxford, 1998, Chapter 1; Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 66.
- ⁹⁷ Gilmour, D.R., სქოლიო 32 *supra*, გვ. 339; იხ. აგრეთვე: Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 65-66.
- ⁹⁸ Gilmour, D.R., სქოლიო 32 *supra*, გვ. 341.
- ⁹⁹ იხ.: *Ib.*, გვ. 337.
- ¹⁰⁰ იხ.: *Ib.*
- ¹⁰¹ Report of Rapporteur of Committee II/3, Doc. 861, II/3/55 (1), UNCIO, Vol.10, გვ. 271, ციტირებული: Gilmour, D.R., სქოლიო 32 *supra*, გვ. 344, სქოლიო 40.
- ¹⁰² Bailey, S.D. & Daws, S., "The Procedure of the UN Security Council", Oxford, 1998, Chapter 1.
- ¹⁰³ Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 65; იხ. აგრეთვე: Schachter, O., სქოლიო 49 *supra*, გვ. 7-8.
- ¹⁰⁴ იხ.: სქოლიო 48 *supra*.
- ¹⁰⁵ Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 66.
- ¹⁰⁶ *Ib.*, გვ. 64.

- ¹⁰⁷ *Ib.*, გვ. 66.
- ¹⁰⁸ *Ib.*, გვ. 68.
- ¹⁰⁹ Cassese, A. (1986) *International Law in A Divided World*, გვ. 144, ციტირებული: Kritsiotis, D., სქოლიო 70 *supra*, გვ. 1009, სქოლიო 8.
- ¹¹⁰ ლევან ალექსიძე ამ 2 პრინციპს ერთად განიხილავს. იხ.: ლევან ალექსიძის ლექციები, (2008) საერთაშორისო სამართლის როლი არასაერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებაში.
- ¹¹¹ ტერიტორიული მთლიანობა, პოლიტიკური დამოუკიდებლობა, სახელმწიფო სუვერენიტეტი და საშინაო საქმეებში ჩაურევლობა – ეს ყველაფერი ურთიერთმიმართებაში და ერთ კონტექსტში არის განხილული ნიკარაგუის საქმეში. მეტიც, ჩაურევლობის პრინციპი მსს-მ მოიხსენია როგორც „სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპის დამაგვირგვინებელი.“ იხ.: ნიკარაგუის საქმე, §202.
- ¹¹² Gowlland-Debbas, V. (2002) “The Relationship between Political and International Organizations: The Role of the Security Council in the New International Criminal Court”, in Boisson de Chazournes, L., Romano, C.P., Machenzie, R.(eds.), *International Organizations and International Dispute Settlement: Trends and Prospects*, გვ. 195, იხ. გვ. 196, ციტირებული: McGoldrick, D., სქოლიო 52 *supra*, გვ. 120, სქოლიო 89.
- ¹¹³ იხ.: Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 68; Blokker, N.M. & Kleiboer, M., “The Internationalization of Domestic Conflict: The Role of the UN Security Council”, in: *Leiden Journal of International Law*, Vol.9, 1996, გვ. 11; ალექსიძე, ლ., სქოლიო 71 *supra*, გვ. 272; Higgins, R. (1991) *Recueil des Cours*, Vol.230, გვ. 313-316, ციტირებული: Brownlie, I. & Apperley, C.J., სქოლიო 47 *supra*, გვ. 893 §68; საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი იუგოსლავიისთვის: *Prosecutor v. Dusko Tadic*, 1995 წლის 2 ოქტომბერი, §11, ციტირებული: McGoldrick, D., სქოლიო 52 *supra*, გვ. 115, სქოლიო 75.
- ¹¹⁴ იხ.: Aust, A., *The Security Council and International Criminal Law (draft)*, 2000, გვ. 12.
- ¹¹⁵ იხ.: Levi, W. (1995) *Revue De Droit Int'l*, გვ. 126, ციტირებული: McGoldrick, D., სქოლიო 52 *supra*, გვ. 51, სქოლიო 20; Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 61; Schachter, O., სქოლიო 48 *supra*, გვ. 17-18.
- ¹¹⁶ Kritsiotis, D., სქოლიო 70 *supra*, გვ. 1009.
- ¹¹⁷ *Corfu Channel case, Judgement of April 9th, 1949: I.C.J. Reports, 1949*, გვ. 35.
- ¹¹⁸ ნიკარაგუის საქმე, §202.
- ¹¹⁹ Cassese, A. (1986) *International Law in A Divided World*, გვ. 144, ციტირებული: Kritsiotis, D., სქოლიო 70 *supra*, გვ. 1009, სქოლიო 8.
- ¹²⁰ Watson, J.S., სქოლიო 1 *supra*, გვ. 83.
- ¹²¹ ნიკარაგუის საქმე, §263.
- ¹²² ამ ჭრილში აღსანიშნავია მსს-ს გადაწყვეტილება ნიკარაგუის საქმეზე: სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამხედრო ბანდების დახმარება იარაღით ან სხვაგვარად არ არის შეიარაღებული შეტევა, იგი უფრო ნაკლები სიმძიმისაა, მაგრამ მაინც სახეზეა ორივე პრინციპის – ძალის გამოყენებლობისა და ჩაურევლობის – ხელყოფა. იხ.: ნიკარაგუის საქმე, §205, §247.
- ¹²³ ამ ჭრილში აღსანიშნავია მსს-ს გადაწყვეტილება ნიკარაგუის საქმეზე: „კონტრას“ დაფინანსება არ არის ძალის გამოყენება, მაგრამ არის ჩაურევლობის პრინციპის ხელყოფა. იხ.: ნიკარაგუის საქმე, §228.
- ¹²⁴ ნიკარაგუის საქმე, §264.
- ¹²⁵ *Ib.*, §212, §251.
- ¹²⁶ იხ.: Brownlie, I. & Apperley, C.J., სქოლიო 47 *supra*, გვ. 884-885, §33.
- ¹²⁷ Bailey, S.D. & Daws, S., “The Procedure of the UN Security Council”, Oxford, 1998, Chapter 1.
- ¹²⁸ იხ.: Nowak, M. (2003) *Introduction to the International Human Rights Regime*, გვ. 307; Simma, B.(ed.), (2002) *The Charter of the United Nations: A Commentary*, vol. I, გვ. 160; Weschler J. (2004) “Human Rights” in: Malone, D.M.(ed.), *The UN*

- Security Council: From the Cold War to the 21st Century, გვ. 55; De Than, C. & Shorts, E. (2003) *International Criminal Law and Human Rights*, გვ. 279; Simma, B. (1995) "On Human Rights" in: Tomuschat, C. (ed.), *The United Nations At Age Fifty: A Legal Perspective*, გვ. 266, ციტირებული: ხუციშვილი, ქ., „გაეროს წესების VII თავის ახლებური გამოყენება: რამდენად ადეკვატური რეაგირება მოახდინა გაეროს უშიშროების საბჭომ ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებზე ყოფილ იუგოსლავიასა და რუანდაში?“, იხ.: თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თეორია და პრაქტიკა. ნაშრომების კრებული ეძღვნება აკადემიკოს ლევან ალექსიძის დაბადებიდან 80 წლის იუბილეს, თბილისი, 2007, გვ. 330, სქოლიო 4.
- ¹²⁹ კონსტანტინე კორკელიას ლექციები, (2007) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი.
- ¹³⁰ Schachter, O., სქოლიო 48 *supra*, გვ. 17.
- ¹³¹ Simma, B., სქოლიო 45 *supra*, გვ. 724, §19.
- ¹³² იხ.: Schachter, O., სქოლიო 48 *supra*, გვ. 17.
- ¹³³ Simma, B., სქოლიო 46 *supra*, გვ. 724, §19.
- ¹³⁴ ხუციშვილი, ქ., სქოლიო 128 *supra*, გვ. 332; იხ. აგრეთვე: Schachter, O., სქოლიო 48 *supra*, გვ. 17.
- ¹³⁵ Cassese, A., "On Current Trends towards Criminal Prosecution and Punishment of Breaches of International Humanitarian Law", in: *European Journal of International Law*, Vol.9 No.1, 1998, ხელმისაწვდომია: <http://ejil.oxfordjournals.org/cgi/reprint/9/1/2>.
- ¹³⁶ საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა: *National Decrees Issued in Tunis and Morocco (French Zone)*, 1921 წლის 8 ნოემბერი, ციტირებული: ხუციშვილი, ქ., სქოლიო 129 *supra*, გვ. 330, სქოლიო 5.
- ¹³⁷ Cassese, A., "On Current Trends towards Criminal Prosecution and Punishment of Breaches of International Humanitarian Law", in: *European Journal of International Law*, Vol.9 No.1, 1998.
- ¹³⁸ Casesse, A., *International Criminal Law*, Oxford, 2003, გვ. 335.
- ¹³⁹ Ibid.
- ¹⁴⁰ მალანჩუკი, პ., „აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი“, თბილისი, 2005, მეშვიდე შესწორებული გამოცემა, გვ. 239.
- ¹⁴¹ Greenwood, C., "International Law and the NATO Intervention in Kosovo", in: *The International and Comparative Law Quarterly*, Vol.49, 2000, გვ. 927.
- ¹⁴² Simma, B., სქოლიო 45 *supra*, გვ. 724-725, §20; იხ. აგრეთვე: Greenwood, C., "International Law and the NATO Intervention in Kosovo", in *The International and Comparative Law Quarterly*, Vol.49, 2000, გვ. 930; Lowe, V., სქოლიო 54 *supra*, გვ. 936.
- ¹⁴³ ხუციშვილი, ქ., სქოლიო 128 *supra*, გვ. 347.
- ¹⁴⁴ Simma, B., სქოლიო 45 *supra*, გვ. 725, §21.
- ¹⁴⁵ ხუციშვილი, ქ., სქოლიო 128 *supra*, გვ. 333.
- ¹⁴⁶ იხ.: Chinkin, C., სქოლიო 55 *supra*, გვ. 918.
- ¹⁴⁷ Blokker, N.M. & Kleiboer, M., სქოლიო 113 *supra*, გვ. 15; Greenwood, C., "International Law and the NATO Intervention in Kosovo", in *The International and Comparative Law Quarterly*, Vol.49, 2000, გვ. 927; იხ. აგრეთვე: Greenwood, C., "Is there a Right of Humanitarian Intervention?", in *World Today*, 1993, გვ. 5.
- ¹⁴⁸ Chinkin, C., სქოლიო 55 *supra*, გვ. 918.
- ¹⁴⁹ „...VII თავის საფუძველზე მოქმედებისას უშიშროების საბჭოს ფუნქციები შეზღუდულია შეაიადებული კონფლიქტის ცნებით.“ იხ.: Simma, B., სქოლიო 45 *supra*, გვ. 720, §6.
- ¹⁵⁰ Simma, B., სქოლიო 45 *supra*, გვ. 724, §18.
- ¹⁵¹ Ib., გვ. 721, §8.
- ¹⁵² Ibid., გვ. 723, §18.

- ¹⁵³ Greenwood, C., "Is there a Right of Humanitarian Intervention?", in *World Today*, 1993, გვ. 1.
- ¹⁵⁴ Brownlie, I. & Apperley, C.J., სქოლიო 47 *supra*, გვ. 904, §123(e).
- ¹⁵⁵ ეს საკითხი განსაკუთრებული სიცხადით წარმოჩნდა მსს-ს წინაშე იუგოსლავიის მიერ ინიცირებული სასამართლო პროცედურებისა და უშიშროების საბჭოს 1999 წლის საგანგებო სხდომაზე გამართული დებატებისას, როცა კოსოვოში ჰუმანიტარული ინტერვენციის განმახორციელებელ ნატოს წევრ სახელმწიფოთა არგუმენტები ჰუმანიტარული კატასტროფისა და მორალურ ვალდებულებებს უფრო ეფუძნებოდა, ვიდრე სამართლებრივ ნორმებს. იხ.: Brownlie, I. & Apperley, C.J., "Kosovo Crises Inquiry: Further Memorandum on the International Law Aspects", in: *The International and Comparative Law Quarterly*, Vol.49, 2000, გვ. 908, §16-17.
- ¹⁵⁶ British Foreign Office (Foreign Policy Document No.148): *British Yearbook of Int. Law*, Vol.57 (1986), გვ. 614, იხ. გვ. 619, ციტირებული: Brownlie, I. & Apperley, C.J., სქოლიო 47 *supra*, გვ. 888, §52.
- ¹⁵⁷ *Ib.*, გვ. 905, §125.
- ¹⁵⁸ Simma, B., სქოლიო 23 *supra*, გვ. 22.
- ¹⁵⁹ იხ.: Evidence, Vol.II, გვ. 1, ციტირებული: Boyle, A., "Kosovo: House of Commons Foreign Affairs Committee 4th Report, June 2000", in: *The International and Comparative Law Quarterly*, Vol.49, 2000, გვ. 876; Aust, A. (1992-1993) *Parliamentary Papers*, HC, Paper 235-iii, გვ. 92, §142, ციტირებული: Brownlie, I. & Apperley, C.J., სქოლიო 47 *supra*, გვ. 883, §24; Brownlie, I. & Apperley, C.J., "Kosovo Crises Inquiry: Further Memorandum on the International Law Aspects", in: *The International and Comparative Law Quarterly*, Vol.49, 2000, გვ. 909, §25; Chinkin, C., სქოლიო 55 *supra*, გვ. 924, §3; Greenwood, C., "International Law and the NATO Intervention in Kosovo", in: *The International and Comparative Law Quarterly*, Vol.49, 2000, გვ. 926, გვ. 930-931, გვ. 933; Greenwood, C., "Is there a Right of Humanitarian Intervention?", in: *World Today*, 1993, გვ. 13.
- ¹⁶⁰ Higgins, R. (1991) *Recueil des Cours*, Vol.230, გვ. 313-316, ციტირებული: Brownlie, I. & Apperley, C.J., სქოლიო 47 *supra*, გვ. 893, §68.
- ¹⁶¹ Greenwood, C., "Is there a Right of Humanitarian Intervention?", in: *World Today*, 1993, გვ. 1; იხ. აგრეთვე: Lowe, V., სქოლიო 54 *supra*, გვ. 940.
- ¹⁶² Simma, B., სქოლიო 23 *supra*, გვ. 22.
- ¹⁶³ *Ib.*; Lowe, V., სქოლიო 54 *supra*, გვ. 938.
- ¹⁶⁴ Franck, T. (1993) *Recueil des Cours*, Vol.240, გვ. 256-257, ციტირებული: Brownlie, I. & Apperley, C.J., სქოლიო 47 *supra*, გვ. 891, §67.
- ¹⁶⁵ Chinkin, C., სქოლიო 55 *supra*, გვ. 918.
- ¹⁶⁶ *Ib.*
- ¹⁶⁷ Greenwood, C., "International Law and the NATO Intervention in Kosovo", in: *The International and Comparative Law Quarterly*, Vol.49, 2000, გვ. 929.
- ¹⁶⁸ იხ.: გვ. 15-16 *supra*.
- ¹⁶⁹ Громыко, А., სქოლიო 11 *supra*, გვ. 89.
- ¹⁷⁰ *Ib.*, გვ. 80.
- ¹⁷¹ Watson, J.S, სქოლიო 1 *supra*, გვ. 66.
- ¹⁷² Yasuaki, O., "International Law in and with International Politics: The Functions of International Law in International Society", in *European Journal of International Law*, Vol.14, No.1, 2003, გვ. 108, ხელმისაწვდომია: <http://ejil.oxfordjournals.org/cgi/reprint/14/1/105>.

ARTICLE 2(7) OF THE UN CHARTER - THEORY AND PRACTICES

1. INTRODUCTION

The principle of non-intervention has always been regarded a solid foundation or a necessary precondition for the independent existence of a state and for cooperation between states. Consequently, this principle fairly represents the basic concept of international law and international relations. This approach explains the significance of the principle of non-intervention in the international arena. More precisely, this approach embraces the following: a high level of politicization of the issue, attempts to disguise the existing reality in legal terminology, interpretation of legal provisions in accordance with the interests of superpowers and considering the specific circumstances, and sometimes even clear legitimisation of unlawfulness (such as in the case of Kosovo). This comes as no surprise, within the general context of double standards that exist in international law. These realities should be taken into account even more so when such a delicate issue as the principle of non-intervention is considered in relation to domestic jurisdiction of a state.

The principle of non-intervention is a comprehensive topic; however the present article will consider it solely within the scope of Article 2(7) of the Charter of the United Nations, i.e. as part of the sole universal international organization. The unique nature of this Article covers both international and domestic jurisdictions and simultaneously encompasses the dangerous precedents of the intersection of law and politics.¹ From the beginning, the following must be clarified: What issues does domestic jurisdiction of a state cover, where other states are prohibited from intervening? What did this prohibition mean or what does it

currently mean? How much room is there for change in the list of issues prohibited? What is the criterion for determining whether a matter is of national or international jurisdiction? How compatible are the theoretical considerations and practical experiences of a state in this field? These are just a few examples of questions that emerge when discussing the principle of non-intervention, and these questions will be considered in this article, considering its narrow format.

Chapter 1 of the present article introduces some preliminary notions on the principle of non-intervention as recorded in Article 2(7) of the UN Charter, and summarizes its general scope, including concerns such as interdependence of international law and politics, as well concerns about theory and practice. All these notions taken together explain the special interest towards the principle. Chapter 2 analyses the historical steps that occurred in the years 1943-1945, in formulating Article 2(7) within the framework of the international conferences organized by the U.S.A., the UK, and the USSR. From the standpoint of international legal cooperation, particular attention shall be given to conferences in Moscow, Dumbarton Oaks, and San Francisco, in 1943, 1944, and 1945 respectively. Chapter 3 deals with the issues of interpretation of Article 2(7), considering the possibilities of the intersection of theory and practice. The analysis of the mechanism of autointerpretation is of significant value in this case. Chapter 4 considers the relationship between the principle of non-intervention and other principles such as the concept of state sovereignty, the prohibition of the use of force, and elementary considerations of humanity and the human rights doctrine. Unlike the preceding chapters, Chapter

5emphasizes the practical application of Article 2(7). In particular, this chapter focuses on the controversial question of whether humanitarian intervention is a right or simply a possibility. The final chapter of the article sums up the contentious approaches to theory and practice, related to the principle of non-intervention as provided in Article 2(7) of the UN Charter. This chapter analyses the root causes of this controversy, and suggests one such cause is the general and ambiguous wording of Article 2(7). This is because the general and ambiguous text provides the possibility of mutually exclusive interpretations and applications of the provisions and makes it impossible to form a uniform practice, thus, undermining the significance of the principle of non-intervention.

2. ARTICLE 2(7): HISTORICAL OVERVIEW AND FORMATION

When discussing the principle of non-intervention enshrined in Article 2(7) of the UN Charter, it should be fairly criticized, first for its obscure and ambiguous text, and second for the controversy regarding its interpretation and application. Taking into consideration these difficulties, the analysis of the historical steps of the formulation of Article 2(7) provisions, within the framework of the international conferences held in the years 1943–1945, becomes necessary. This article will pay particular attention to the discussion of the Moscow, Dumbarton Oaks, and San Francisco conferences.

2.1. Moscow Conference

The essence of the principle of non-intervention was not discussed at the Moscow Conference (October 19–30, 1943). However, the scope of the principle was outlined when the Ministers of Foreign Affairs from the U.S., the UK, and the USSR discussed the possibility of “peaceful coexistence... wide cooperation”² and “the necessity of establishing at the earliest practicable date a general international organization, based on the principle of the sovereign equality of all peace-loving states, ... for the maintenance of international peace and security.”³ These were the the words used in the Joint Four-Nation Declaration, concerning

the issues of joint security, concluded by the U.S., the UK, the USSR, and China.⁴ From this declaration, it is easy to understand the intentions of these states - to reveal themselves to the community of nations as true peace-loving states, and to have their actions considered just and fair. However, in the initial draft prepared by the U.S.A.,⁵ the term “peace-loving” was not even mentioned. It was added to the text at a later stage.⁶ Still, within the context of the principle of sovereign equality, the real interests of the states were better revealed in paragraph 6 of the declaration: “That after the termination of hostilities they will not employ their military forces within the territories of other states except for the purposes envisaged in this declaration and after joint consultation.”⁷ Consequently, paragraph 6 was interpreted as an act of self-limitation by the states,⁸ which would have entered into force only following the defeat of Hitler’s Regime in Germany.⁹ In other words, the U.S.A., the UK, and the USSR agreed that after the end of World War II, they “would not use military measures for settling disputes without prior consultation to each other”¹⁰. However, the exceptions set by paragraph 6 did not include air force or navy bases located on the territory of other states.¹¹ The UK Foreign Secretary, Anthony Eden, specified that for the conduction of such actions, it was necessary to consult the respective states, but not necessarily to reach an agreement with them.¹²

Therefore, the wording of paragraph 6 clearly demonstrates that the Moscow Conference recognized the need for the principle of non-intervention, determined the compliance conditions thereupon, and interpreted the exceptions to the rule in the form of *travaux préparatoires*, since they were not reflected in the text of the Joint Four-Nation Declaration (i.e., the issue of the location of air force or navy bases on the territory of other states).

2.2. Dumbarton Oaks Conference

The main emphasis at the Dumbarton Oaks Conference (August 21–September 28, 1944) was made on the establishment of an international organization to deal with the maintenance of international peace and security, before the end of World War II. The rep-

representatives of the U.S.A., the USSR, the UK, and China submitted Tentative Proposals on the general structure and functions of the organization. More likely, it was an exchange of views in an unofficial format.¹³

The Soviet Union Memorandum is of rather a small volume and it says nothing about the principle of non-intervention.¹⁴

The US Memorandum does not mention the principle of non-intervention either.¹⁵ However, it speaks about the Security Council's qualification of such a dispute or situation, which seriously endangers international peace and security.¹⁶ To illustrate such a dispute or situation, the document refers to the instance of the use of armed forces by one state within the jurisdiction of another state, without the authorization of an international organization.¹⁷ Providing such an example is an indirect but clear indication that, despite its significance, the principle of non-intervention may be limited on the basis of the authorization of an international organization.

The United Kingdom Memorandum does not precisely define the scope of the principle of non-intervention.¹⁸ It only argues against providing any guarantees of territorial integrity or political independence, within the scope of the principle. Hence, a new international organization shall not undertake to respect and protect territorial integrity and political independence of all member states.¹⁹ Otherwise:

1. protection of political independence shall be identified as one of the principles of the organization. Therefore, it shall be deemed as a general notion and not a concrete obligation binding neither the organization, nor its members;²⁰

2. guarantees of territorial integrity were given within the system of the League of Nations. However, such guarantees had become an object of criticism from the very beginning,²¹ as they themselves could not "stop intervention in the territory of another state and its occupation by armed forces"²². Hence, their existence had no sufficient grounds.

It is clear from the above that the United Kingdom had not denied the significance of the principle of non-intervention. However, the UK did argue against providing any guarantees to that end, since it fairly regarded them

as setting limits to the actions of states, rather than ensuring their protection. From this standpoint, to draw a parallel with the definition of aggression, assessment will include the following: states attempt to act with special care regarding such issues of subtlety in the international arena, as they are not protected from committing acts of aggression in the future, and "a potential boomerang effect... can never be excluded"²³.

The China Memorandum says nothing about the principle of non-intervention.²⁴ However, it qualifies the following as an act of aggression, *inter alia*: intervention of armed forces in the territory of another state, use of land, sea, or air forces to shell another state's territory or attack other state's land, sea, or air forces.²⁵

As a result of a long process of negotiations at the Dumbarton Oaks Conference, a draft on the establishment of an international organization of security, jointly elaborated by the representatives of the USSR, the U.S.A., and United Kingdom was approved.²⁶ In the draft, the principle of non-intervention was not mentioned in the Chapter of Principles, while all the other six principles in Article 2 of the present day UN Charter were listed.²⁷ However, it is the Section of Pacific Settlement of Disputes that draws our attention. This section covers the disputes and situations that endanger the maintenance of international peace and security;²⁸ however, they are not serious enough to be qualified by the Security Council as "any threat to the peace, breach of the peace or act of aggression" (Chapter VIII, Section B, para. 2).²⁹ Respectively, the competence of the Council for settling such disputes is limited to issuing recommendations (Chapter VIII, Section A, para. 5).³⁰ As for disputes of legal nature, the Security Council is empowered to refer "legal questions" to an international court of justice, for advice (para. 6)³¹ and not for seeking a legal solution to a dispute. After discussing these draft provisions, paragraph 7 of the draft states: "The provisions of paragraphs 1 to 6 of Section A should not apply to situations or disputes arising out of matters which by international law are solely within the domestic jurisdiction of the state concerned."³²

It turns out that at the Dumbarton Oaks Conference, the principle of non-intervention was recognised only in relation to minor disputes and situations.

2.3. San Francisco Conference and Current Approach to Article 2(7)

The draft of the charter of an international organization, elaborated during the Dumbarton Oaks Conference, was considered at the San Francisco Conference (April 25–June 26, 1945) as a “sufficient basis”.³³ At the same time, considerable work was undertaken at commissions and committees, and a number of amendments were suggested. Among them were the following:

In the joint draft of October 10, 1944³⁴ on the establishment of an international organization of security, reference to the principle of non-intervention in domestic jurisdiction of a state was made in the Section of Pacific Settlement of Disputes, rather than in the Chapter of Principles.³⁵ This approach was amended at the San Francisco Conference. More precisely, on May 5, 1945, four states—the USSR, the U.S.A., the United Kingdom, and China submitted a draft package of amendments. They suggested moving paragraph 7 of Section A of Chapter VIII to Chapter II, as the seventh principle, with the following minor alteration: “Nothing contained in this Charter shall authorize the Organization to intervene in matters which are essentially within the domestic jurisdiction of the state concerned or shall require the Members to submit such matters to settlement under this Charter; but this principle shall not prejudice the application of Charter VIII, Section B.”³⁶ (i.e. the application of enforcement measures³⁷).

The suggested change was interpreted by the ‘Sponsoring Powers’ “as a basic principle, and not, as had been the case in the Dumbarton Oaks proposals and in Article 15 of the Covenant of the League of Nations,³⁸ as a technical and legalistic formula designed to deal with the settlement of disputes by the Security Council.”³⁹

Hence, this provision was designed to restrict not only the competence of the Security Council under Chapter VI, but the entire working of the organization.⁴⁰ Later, the last phrase

of the provision was again amended for further clarification: “but this principle shall not prejudice the application of enforcement measures under Chapter VII.”⁴¹ In other words, it was clarified that when a state acts essentially within its domestic competence and thus endangers the maintenance of international peace and security,⁴² and when the threat is high and serious, then it becomes necessary to undertake enforcement actions under Chapter VII, not just pacific measures pursuant to Chapter VI.

It is worth mentioning that this latter amendment was suggested by Australia.⁴³ It was intended to be a compromise between the broad competence of the Security Council to maintain international peace and security, and the significance of the principle of non-intervention in domestic jurisdiction of a state. On one hand, the principle of non-intervention limits the competence of the United Nations, hence regulating its entire operation, including the competence of the Security Council. On the other hand, the practical importance of the application of the Security Council’s primary objective was taken into account and, therefore, the only exception was allowed in favour of Chapter VII enforcement measures.⁴⁴ More precisely, only a narrow exception was allowed despite the fact that Chapter VII foresees other measures such as recommendations (Article 39) and provisional measures (Article 40).⁴⁵ However, this narrow exception has not affected the competence of the Security Council, not even limiting it at a minimum. On the contrary, the SC competence was further strengthened on the basis of the amendment. Consequently:

- if the issue at stake does not belong to matters that are essentially within the domestic jurisdiction of the state concerned, then the operation of the UN Charter, including Chapter VII provisions, is not restricted to this case, as a rule;
- if the issue at stake falls under domestic jurisdiction, then, according to Article 2(7), the UN Charter shall not be applied. There is still, however, a possibility for the application of enforcement actions under Chapter VII.⁴⁶

Hence, the Security Council can take enforcement measures in both cases, and it is

evident that the UN Charter “giv[es] a monopoly of the use of force to the Security Council ...”⁴⁷. This issue turns out to be crucial within its political and legal context, since:

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტების მოქმედება არ არის შეზღუდული მხოლოდ მათი ხელშემკვერელი მხარეების ტერიტორიებით. საერთაშორისო მექანიზმების მიერ საკმაოდ პროგრესულად და განვრცობით განიმარტა ადამიანის უფლებათა დაცვის აქტების ექსტრატერიტორიული გამოყენების ფარგლები. აღნიშნულის დასტურია მთელი რიგი გადაწყვეტილებებისა, კომენტარებისა თუ მოსაზრებებისა, რომლებიც მიმოხილულია წინამდებარე ნაშრომში. შესაბამისად, დღესდღეობით, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია, სახელმწიფომ აიცილოს პასუხისმგებლობა მის მიერ ექსტრატერიტორიული ქმედებების კონტექსტში განხორციელებული ადამიანის უფლებათა დარღვევებისათვის.

სტატიაში მიმოხილული იქნება საერთაშორისო და რეგიონალური მექანიზმების გადაწყვეტილებები ამ მიმართულებით. კერძოდ, ნაშრომის პირველ ნაწილში მოცემულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტების ექსტრატერიტორიულ გამოყენებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი.

მეორე თავი ეთმობა საერთაშორისო რეგიონალურ სისტემებს. მის პირველ ნაწილში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტერიტორიული გამოყენების ფარგლები და ამ კუთხით არსებული ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ძირითადი პრეცედენტები; ამავე თავის მეორე ნაწილი ეხება ადამიანის უფლებათა პან-

ამერიკული კომისიის პრაქტიკას ადამიანის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ამერიკის დეკლარაციის ექსტრატერიტორიულ მოქმედებასთან დაკავშირებით.

ნაშრომის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია მასში განხილული პრაქტიკის ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნები.

1. საერთაშორისო მექანიზმები

1.1. ადამიანის უფლებათა კომიტეტი

1966 წელს მიღებულ იქნა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (შემდგომში – „სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტი“), რომელიც ძალაში შევიდა 1976 წელს.¹ პაქტის მე-2 მუხლის თანახმად, ხელშემკვერელი მხარეები ვალდებულია იღებენ, დაიცვან მასში განმტკიცებული უფლებები თავიანთ ტერიტორიაზე და იურისდიქციის სფეროში მყოფი ყველა პირის მიმართ:

„ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისათვის უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებები [...]“²

ამ მუხლის სიტყვასიტყვით ნაკითხვას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, დაიცვას ადამიანის უფლებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირი მის ტერიტორიაზეა და ამავედროულად მისი იურისდიქციის ქვეშ იმყოფება.³ თუ გადავხედავთ სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტის შემუშავების დროს ქვეყნების მიერ დაფიქსირებულ პოზიციებს, ნათელი გახდება, რომ აღნიშნული მუხლის

ამგვარი ფორმულირება განპირობებული იყო იმ მიზნით, რომ ხელშემკვრელ მხარეებს აეცილებინათ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულება.⁴ თუმცა შემდგომში ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, რომელიც დაარსდა, ამავე დოკუმენტის 28-ე მუხლის თანახმად, მასში განმტკიცებული უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ეს ფორმულირება უფრო ფართოდ განმარტა. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა არაერთხელ დაადასტურა, რომ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი ტერიტორიებით და იგი ვრცელდება მათ ფარგლებს მიღმა მყოფ პირთა მიმართაც, როცა ეს უკანასკნელნი მათი იურისდიქციის ქვეშ ექცევიან. კერძოდ, ადამიანის უფლებათა კომიტეტის 31-ე ზოგად კომენტარში მოცემულია, რომ, მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშემკვრელი მხარეები ვალდებული არიან, პატივი სცენ და დაიცვან პაქტში გათვალისწინებული უფლებები ყველა იმ პირის მიმართ, რომლებიც შეიძლება იყვნენ მათ ტერიტორიაზე და ყველა იმ პირის მიმართ, რომლებიც მათი იურისდიქციის ქვეშ იმყოფებიან. ადამიანის უფლებათა კომიტეტის კომენტარის თანახმად, ეს გულისხმობს ხელშემკვრელი მხარის ვალდებულებას, დაიცვას სამოქალაქო და პოლიტიკურ პაქტში მოცემული უფლებები ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც მისი ძალაუფლების ან ეფექტიანი კონტროლის ქვეშ ექცევა, თუნდაც ეს ადამიანი ფიზიკურად არ იმყოფებოდეს მის ტერიტორიაზე. კომენტარში ასევე მითითებულია, რომ სამოქალაქო და პოლიტიკურ პაქტში გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა არ არის შეზღუდული მხოლოდ ხელშემკვრელ მხარეთა მოქალაქეების მიმართ, არამედ ეს უფლებები ვრცელდება ყველა პირზე, იქნება ეს მესამე ქვეყნის მოქალაქე თუ მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლებიც აღმოჩნდებიან ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ქვეშ. შესაბამისად, ეს პრინციპი ასევე გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც იმყოფებიან ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის ფარგლებს მიღმა ამ ქვეყნის ძალების ძალაუფლების ან ეფექტიანი კონტროლის ქვეშ, მიუხედავად იმისა, თუ რა პირობებში იქნა ეს კონტროლი მოპოვებული. ასეთი

შემთხვევები შეიძლება იყოს, მაგალითად, ხელშემკვრელი მხარის ეროვნული კონტინგენტის შემადგენელი ძალები, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში, – აღნიშნულია ზოგად კომენტარში.⁵

როგორც ზემოთ მოყვანილი კომენტარი ცხადყოფს, სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, დაიცვან არა მხოლოდ თავიანთ ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი ადამიანის უფლებები, არამედ იმ პირთა უფლებებიც, რომლებიც, მართალია, მათი ტერიტორიის საზღვრებს მიღმა იმყოფებიან, თუმცა ექცევიან ამ ქვეყნის ძალაუფლების ან ეფექტიანი კონტროლის ქვეშ.

აღნიშნული მიდგომა არაერთხელ დადასტურდა ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადანიშნულებებში. ამ მხრივ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ზოგიერთი მათგანის მიმოხილვა.

საქმე *ლოპეს ბურგოსი ურუგვაის წინააღმდეგ* ეხებოდა ურუგვაის სამსახურების უკანონო ქმედებებს როგორც არგენტინაში, ისე ურუგვაიში.⁶ კერძოდ, ლოპეს ბურგოსი უკანონოდ იქნა დაკავებული ურუგვაის უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურების მიერ ბუენოს-აირესში და შემდგომ გადაყვანილ იქნა ურუგვაიში. დაკავებულის მიმართ განხორციელდა პაქტით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა ორივე ქვეყანაში.⁷

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განიხილა ეს საქმე და აღნიშნა, რომ მას უფლება ჰქონდა, განეხილა განაცხადი ურუგვაის წინააღმდეგ არგენტინის ტერიტორიაზე განხორციელებული დარღვევების კონტექსტში.⁸ ადამიანის უფლებათა კომიტეტის თანახმად, სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტი და მისი დამატებითი ოქმი ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ იგი არ აკისრებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას იმ ქმედებების მიმართ, რომლებიც მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მოხდება.⁹ მთავარი, რასაც ადამიანის უფლებათა კომიტეტი ანიჭებს მნიშვნელობას, არის არა დარღვევის ადგილი, არამედ კავშირი პირსა და სახელმწიფოს შორის.¹⁰ დაუშვებელი იქნებოდა პაქტის მე-2 მუხლიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის იმგვარად განმარტება, რომელიც უფლებას მისცემდა ხელშემკვრელ მხარეს, ჩაედინა პაქტით აკრძალული ქმედებები სხვა ქვეყა-

ნაში, რომლის ჩადენაც მას არ შეუძლია საკუთარ ტერიტორიაზე, – აღნიშნა ადამიანის უფლებათა კომიტეტმა.¹¹ აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა ურუგვაის მხრიდან სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტის დარღვევები ლოპეს ბურგოსის მიმართ, როგორც არგენტინაში, ისე ურუგვაიში განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის გამო. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტის სხვა დარღვევებთან ერთად, ასევე დაადგინა ურუგვაის პასუხისმგებლობა ლოპეს ბურგოსის არგენტინაში მოტაცებისა და მისი ურუგვაიში გადაყვანისათვის. კერძოდ, მან მიუთითა, რომ ეს იყო თვითნებური დაპატიმრება და დაკავება.¹²

ანალოგიურად, საქმეზე – *სელიბერტი ურუგვაის წინააღმდეგ* – ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა ურუგვაის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლების მიერ ბრაზილიის ტერიტორიაზე განმცხადებლის დაკავების გამო.¹³

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ხელშემკვრელ ქვეყანას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას ადამიანის უფლებები იმ ტერიტორიებზე, სადაც იგი ახორციელებს ეფექტიან კონტროლს.¹⁴ ამ მხრივ აღსანიშნავია დასკვნითი მოსაზრებები ისრაელთან მიმართებით. კერძოდ, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა შეშფოთება გამოთქვა ისრაელის უარყოფით პოზიციასთან დაკავშირებით, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტი სრულად გამოყენებულიყო მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით და აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტის მოქმედება უნდა გავრცელებულიყო არა მარტო ოკუპირებულ, არამედ იმ ტერიტორიების მიმართაც, სადაც ისრაელი ახორციელებდა ეფექტიან კონტროლს.¹⁵ აღნიშნულის გათვალისწინებით, ისრაელს ეთხოვა, ამ ტერიტორიებზე სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია წარმოედგინა.¹⁶

ზემოაღნიშნულის მსგავსად, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა სთხოვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, განეხორციელებინა ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიება თავისი ტერიტორიის ფარგლებს მიღმა, მათ შორის გუანტანამოს ყურე-

ში, ავღანეთსა და ერაყში არსებულ დაკავების ადგილებში სიცოცხლის ხელყოფის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებით.¹⁷

2009 წლის დასკვნით მოსაზრებაში ადამიანის უფლებათა კომიტეტმა შეშფოთება გამოხატა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთში განხორციელებული სამხედრო ოპერაციების შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვისა და მათი არასათანადო მოპყრობის გამო. გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთ ოსეთი იმყოფებოდა რუსეთის *დე ფაქტო* კონტროლის ქვეშ, ადამიანის უფლებათა კომიტეტის თანახმად, იგი პასუხისმგებელი იყო იქ მომხდარი ადამიანის უფლებათა დარღვევებისათვის, რომლებიც ჩაიდინეს არა მარტო მისმა სამხედროებმა, არამედ მისი კონტროლის ქვეშ მყოფმა სხვა შეიარაღებულმა ჯგუფებმა. შესაბამისად, რუსეთის ფედერაციას ეთხოვა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების წარმოება, ასევე დარღვევის მსხვერპლთათვის შესაბამისი კომპენსაციების გაცემა.¹⁸

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა პაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის შეიძლება დადგეს არა მხოლოდ ექსტრატერიტორიული ქმედებისათვის, არამედ ქმედების ექსტრატერიტორიული შედეგისათვის, რაც შეიძლება წარმოიშვას პირის ექსტრადიციის, დეპორტაციის და სხვა ქვეყანაში გადაცემის შემთხვევაში. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ თუ სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტის ხელშემკვრელი ქვეყანა მოახდენს პირის ექსტრადიციას მეორე ქვეყანაში, რასაც თან ახლავს რისკი, რომ ექსტრადირებული პირის მიმართ დაირღვევა ამ პაქტით დაცული უფლებები სხვა იურისდიქციაში, შეიძლება დადგეს გადამცემი ქვეყნის პასუხისმგებლობის საკითხი.¹⁹ შესაბამისად, საქმეში – *ჩიტატი კანადის წინააღმდეგ* – აღნიშნა, რომ განმცხადებლის ექსტრადიცია ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის მიმართ, სიკვდილის დასჯის შემთხვევაში, გამოყენებული იქნებოდა გაზით გაგუდვის მეთოდი, გამოიწვევდა კანადის მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევას. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ სიკვდილით დასჯის ამგვარი ფორმა, დაკავშირებული

ხანგრძლივ ტანჯვასთან, შეუთავსებელი იყო აღნიშნული დოკუმენტის მე-7 მუხლის მოთხოვნებთან, რომელიც კრძალავს წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას.²⁰

ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზემოხსენებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები, შემოიფარგლება არა მხოლოდ მისი ტერიტორიით, არამედ სხვადასხვა შემთხვევაში ასეთი ვალდებულება სცილდება მის ეროვნულ საზღვრებს, როცა დადგინდება ამ ქვეყნის მიერ ექსტრატერიტორიული იურისდიქციის განხორციელების ფაქტი.

1.2. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციების ექსტრატერიტორიული გამოყენების კუთხით საინტერესოა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა (შემდგომში – „საერთაშორისო სასამართლო“).

საერთაშორისო სასამართლო თავის მიერ განხილულ საქმეებში დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტების მოქმედება არ იზღუდება მოცემული ქვეყნის ტერიტორიით და ცალკეულ შემთხვევაში ვრცელდება მის ფარგლებს მიღმაც.

ამ კუთხით საინტერესოა საერთაშორისო სასამართლოს მოსაზრება საქმეზე – *პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე კედლის აგების სამართლებრივი შედეგები*.²¹ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საერთაშორისო სასამართლომ განიხილა საკითხი, ვრცელდებოდა თუ არა პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა ის საერთაშორისო კონვენციები, რომელთა მონაწილე ისრაელი იყო.²²

ისრაელი ამტკიცებდა, რომ ადამიანის უფლებათა კონვენციები არ შეიძლებოდა გავრცელებულიყო მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ვინაიდან ეს კონვენციები მიზნად ისახავდა მშვიდობიან პერიოდში ამ ქვეყნის მოქალაქეების დაცვას საკუთარი ხელისუფლებისაგან. ისრაელის თანახმად, მხოლოდ ჰუმანიტარული სამართალი შეიძლებოდა გამოყენებულიყო კონფლიქტურ სიტუაციებში.²³

საერთაშორისო სასამართლომ უარყო ისრაელის მოსაზრება, რომ ადამიანის უფლებათა კონვენციები წყვეტდა მოქმედებას საომარ ვითარებაში და, პირველ რიგში, განიხილა სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტის მოქმედების ფარგლები.²⁴

საერთაშორისო სასამართლოს აზრით, ამ პაქტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს მისი მოქმედების ფარგლებს, შეიძლება განიმარტოს მრავალგვარად. კერძოდ, ეს შეიძლება გულისხმობდეს, რომ დოკუმენტი ვრცელდება მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ერთდროულად არიან ქვეყნის ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ფარგლებში; ამ მუხლის გაგება შეიძლება ისეც, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტი ვრცელდება იმ პირთა მიმართ, რომლებიც არა მარტო მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებიან, არამედ იმ პირთა მიმართაც, რომლებიც, თუმცა სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა არიან, მაგრამ ექცევიან ამ უკანასკნელის იურისდიქციის ქვეშ. იმისათვის, რომ პასუხი გაეცა, თუ რომელი განმარტება იქნებოდა სწორი, საერთაშორისო სასამართლო შეუდგა აღნიშნული საკითხის დეტალურ განხილვას.²⁵

საერთაშორისო სასამართლომ იმთავითვე მიუთითა, რომ, თუმცა ქვეყნის იურისდიქცია ძირითადად ტერიტორიულია, ცალკეულ შემთხვევაში იგი შეიძლება გასცდეს ეროვნული ტერიტორიის საზღვრებს. საერთაშორისო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი მიდგომა სწორედ პაქტის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი იქნებოდა.²⁶ თავისი მოსაზრებების დასტურად საერთაშორისო სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრაქტიკაზე, სადაც არაერთხელ დადგინდა ქვეყნის მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტით ნაკისრი ვალდებულებების დაცვის საკითხი მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, სადაც იგი იურისდიქციას ახორციელებდა.²⁷

აღნიშნულის გათვალისწინებით, საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტი ვრცელდება იმ ქმედებებთან მიმართებით, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს მიღმა მისი იურისდიქციის განხორციელებასთან.²⁸

ამის შემდგომ საერთაშორისო სასამართლო შეუდგა ეკონომიკური, სოციალ-

ური და კულტურული უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის ექსტრა-ტერიტორიული გამოყენების საკითხის განხილვას. განსხვავებით სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტისაგან, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტი არ შეიცავს მსგავს დებულებას მისი გამოყენების ფარგლებთან დაკავშირებით, რაც საერთაშორისო სასამართლო იმით ახსნა, რომ ეს უკანასკნელი მოიცავს ისეთ უფლებებს, რომლებიც არსებითად ტერიტორიული ხასიათისაა. ამის მიუხედავად, საერთაშორისო სასამართლო დაადგინა: არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტი მოქმედებს არა მარტო ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც მისი სუვერენიტეტი ვრცელდება, არამედ იმ ტერიტორიებზეც, სადაც ეს ქვეყანა ახორციელებს ტერიტორიულ იურისდიქციას.²⁹

აღნიშნულის დასტურად საერთაშორისო სასამართლო, ერთი მხრივ, მიუთითა პაქტის გარდამავალ მე-14 მუხლზე, რომლის შესაბამისადაც მისი მონაწილე ქვეყნები იღებენ ვალდებულებას, ორი წლის განმავლობაში უზრუნველყონ სავალდებულო უფასო საყოველთაო განათლება თავისი მეტროპოლიის ტერიტორიასა და მის იურისდიქციაში მყოფ სხვა ტერიტორიებზე; მეორე მხრივ, კი მიუთითა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც ისრაელი ვალდებული იყო, ეს პაქტი გამოეყენებინა თავისი ეფექტიანი კონტროლის ქვეშ არსებული ყველა ტერიტორიისა და მოსახლეობის მიმართ.³⁰

შესაბამისად, საერთაშორისო სასამართლო დაადგინა, რომ ისრაელი ვალდებული იყო, დაეცვა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ პაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რომლებიც მისი იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა 37 წლის განმავლობაში.³¹

ყოველგვარი დამატებითი მსჯელობის გარეშე საერთაშორისო სასამართლო დაადგინა, რომ 1989 წლის კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ გამოიყენებოდა პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. კერძოდ, მან მიუთითა კონვენციის მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, ყველა ხელშემ-

კვრელი მხარე ვალდებულია დაიცვას კონვენციით დაცული უფლებები ყველა ბავშვის მიმართ, რომლებიც მისი იურისდიქციის ქვეშ იმყოფებიან.³²

ვინაიდან ზემოაღნიშნული კონვენციები ვრცელდებოდა პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, საერთაშორისო სასამართლო დაადგინა, რომ კედლის მშენებლობა ამ ტერიტორიებზე ზღუდავდა სამოქალაქო და ეკონომიკური პაქტით დაცული გადაადგილების თავისუფლებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის (გარდა ისრაელის მოქალაქეებისა და მათთან ასიმილირებული პირებისა). აღნიშნული ქმედებით ასევე იზღუდებოდა შრომის, ჯანმრთელობის, განათლებისა და ადეკვატური ცხოვრების პირობების უფლებები, რასაც ითვალისწინებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია.³³

გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად იურისდიქცია და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ერთმანეთთან გაიგივებულ კატეგორიებად აღიქმება, რისი ერთ-ერთი მაგალითიც არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, არანაკლებ საინტერესოა საერთაშორისო სასამართლოს ის საქმეები, რომლებშიც განხილულია, თუ რომელი ქმედებები შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს, მისი პასუხისმგებლობის დადგენის მიზნით. აღსანიშნავია, რომ თანახმად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მრავალი გადაწყვეტილებისა, რომლებიც დეტალურად არის მიმოხილული მე-2 თავში, თუ ქმედება მიეკუთვნება ქვეყანას, მაშინ, ითვლება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი ახორციელებს ექსტრატერიტორიულ იურისდიქციას. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად სახელმწიფოს ვალდებულება, ადამიანის უფლებათა დოკუმენტებიდან გამომდინარე, დამოკიდებულია ქმედების ამ სახელმწიფოსათვის მიკუთვნებაზე, ინტერესმოკლებული არ იქნება ამ მიმართულებით საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა. საერთაშორისო სასამართლოს პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია საქმეებში: *ნიკარაგუა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ*³⁴ და *ბოსნია სერბიის წინააღმდეგ*³⁵.

საქმეში – ნიკარაგუა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ – საერთაშორისო სასამართლომ განიხილა ნიკარაგუის მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლთა ჯგუფის – „კონტრას“ – მიერ განხორციელებული ქმედებების ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მიკუთვნების საკითხი.³⁶ ამ საქმესთან დაკავშირებით ნიკარაგუის მთავრობა ამტკიცებდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პასუხისმგებლობას „კონტრას“ მიერ განხორციელებული ქმედებებისათვის, ვინაიდან ეს ჯგუფი დაქირავებული, ორგანიზებული, დაფინანსებული და მართული იყო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ და, შესაბამისად, იმყოფებოდა ამ უკანასკნელის *ეფექტიანი კონტროლის* ქვეშ.³⁷

ამრიგად, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დაისვა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი იმ პირის ან პირთა ჯგუფის ქმედებებისათვის, რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფო ორგანოს სტატუსი. საერთაშორისო სასამართლომ არ გამოიციხა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესაძლებლობის საკითხი ამგვარ შემთხვევებში. თავდაპირველად მან განიხილა, როგორი ურთიერთკავშირი იყო „კონტრასა“ და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის, კერძოდ: იყო თუ არა სახეზე იმგვარი კონტროლისა და დამოკიდებულების ხარისხი, რაც, სამართლებრივი მიზნებისათვის, გაათანაბრებდა „კონტრას“ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების ორგანოსთან ან ხელისუფლების სახელით მოქმედ ჯგუფთან.³⁸ სასამართლოს თანახმად, სახელმწიფოს მიეკუთვნება პირთა ჯგუფის ქმედებები, თუ ეს უკანასკნელი მოცემული ქვეყნის *სრულ დაქვემდებარებაში* იმყოფება.³⁹

თუმცა საერთაშორისო სასამართლომ არ ამოწურა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ იმ პირის ან პირთა ჯგუფის ქმედებებისათვის, რომელიც მის *სრულ დაქვემდებარებაში* იმყოფება. მან აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს ისეთ შემთხვევაშიც, როცა სახეზე არ არის სრული დამოკიდებულება.⁴⁰ საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ პირის ან პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი დარღვევები მიეკუთვნება სახელმწიფოს იმ შემთხვევაშიც, თუ დადა-

სტურდა, რომ ეს ქვეყანა ახორციელებდა *ეფექტიან კონტროლს* იმ სამხედრო ოპერაციებზე, რომელთა დროსაც აღნიშნული დარღვევები განხორციელდა.⁴¹

საერთაშორისო სასამართლომ განიხილა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ „კონტრას“ მიმართ განხორციელებული კონტროლის ხარისხი და დაადგინა, რომ სამხედრო, ფინანსური, ლოგისტიკური და სხვა სახის დახმარების განევა, ასევე ამ ჯგუფის ოპერაციების დაგეგმვა და სამხედრო სამიზნეების შერჩევა არ იყო საკმარისი, რათა ამ პირთა ქმედებები მიკუთვნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არ იყო პასუხისმგებელი „კონტრას“ მიერ ჩადენილი ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებისათვის, ვინაიდან არ დაკმაყოფილდა *ეფექტიანი კონტროლის* ტესტი.⁴²

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალმა ყოფილი იუგოსლავიისათვის (შემდგომში – „ტრიბუნალი“) 1999 წელს გააკრიტიკა საერთაშორისო სასამართლოს მიერ დადგენილი *ეფექტიანი კონტროლის* ტესტი. კერძოდ, *ტადიჩის*⁴³ საქმეში ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი დამაჯერებლობას იყო მოკლებული და არ შეესაბამებოდა არც საერთაშორისო სამართლის ლოგიკას, არც სასამართლო და სახელმწიფოთა პრაქტიკას.⁴⁴ შესაბამისად, ტრიბუნალის მიერ უარყოფილ იქნა *ეფექტიანი კონტროლის* ტესტი და მის ნაცვლად შემუშავდა *ზოგადი კონტროლის* სტანდარტი, რითაც მნიშვნელოვნად გაფართოვდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლები.⁴⁵

ტრიბუნალმა განასხვავა კერძო პირის ქმედება შეიარაღებული ჯგუფის ქმედებისაგან და მათი ქმედებების სახელმწიფოსადმი მიკუთვნების მიზნით დადგენილ იქნა სხვადასხვა სტანდარტი. რათა განისაზღვროს, მოქმედებდა თუ არა კერძო პირი როგორც სახელმწიფოს *დე ფაქტო* ორგანო, საჭიროა დადგინდეს, რომ მან მიიღო კონკრეტული ინსტრუქცია კონკრეტული ქმედების განხორციელების მიზნით, ან უკვე განხორციელებული ქმედება შემდგომში მხარდაჭერილ იქნა სახელმწიფოს მიერ.⁴⁶ შეიარაღებულ

ჯგუფთან მიმართებით ტრიბუნალმა განსხვავებული მიდგომა შეიმუშავა. კერძოდ, შეიარაღებული ფორმირების მიმართ საკმარისია, სახელმწიფო ახორციელებდეს ზოგად კონტროლს (ამ შემთხვევაში მხოლოდ ფინანსური დახმარება ან სამხედრო აღჭურვა თუ ტრენინგი საკმარისი არ არის ზოგადი კონტროლის დასადგენად). თუმცა ეს არ მოითხოვს, სახეზე იყოს სახელმწიფოს მიერ გაცემული კონკრეტული ბრძანებები ან ყოველი ინდივიდუალური ღონისძიება იმართებოდეს ამ ქვეყნის მიერ.⁴⁷

ტრიბუნალმა ჩათვალა, რომ, საერთაშორისო სამართლის თანახმად, არ არის საჭირო, ყველა ოპერაცია იგეგმებოდეს იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც ახორციელებს კონტროლს ამ ჯგუფზე. საერთაშორისო სამართლის თანახმად, კონტროლი სახეზე იქნება, თუ სახელმწიფო, ამ შეიარაღებული ფორმირების დაფინანსების, ტრენინგის, აღჭურვისა და სხვა ოპერაციული დახმარებების განეხილავს გარდა, მონაწილეობს ამ ჯგუფის სამხედრო მოქმედებების ორგანიზებაში, კოორდინაციასა და დაგეგმვაში.⁴⁸ შესაბამისად, ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ ასეთი ჯგუფის მიერ განხორციელებული ქმედებები მიეკუთვნება სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა კონკრეტული ინსტრუქცია ამ სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით.⁴⁹

გარდა ზემოაღნიშნულისა, ტრიბუნალმა შეიმუშავა მესამე ტესტი იმ სიტუაციებთან მიმართებით, როცა კერძო პირები თავიანთი საქციელის გამო უთანაბრდებიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს.⁵⁰

აღსანიშნავია, რომ *ტადიჩის* საქმე არ დარჩენილა კრიტიკის გარეშე არა მხოლოდ განსხვავებული სტანდარტის გამო, რაც მან შემოიღო, არამედ იმისთვისაც, რომ მას საერთოდ არ უნდა განეხილა ეს საკითხი.⁵¹ მოგვიანებით საქმეში – *ნიკარაგუა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ* – დადგენილი ტესტი დადასტურდა საერთაშორისო სასამართლოს მიერ.

ეფექტიანი კონტროლის საკითხი კვლავ განიხილა სასამართლომ 2007 წელს საქმეზე – *ბოსნია სერბიის წინააღმდეგ*.⁵² ამ საქმის განხილვისას გაეროს საერთაშორისო სასამართლომ უარყო ტრიბუნალის მიერ დადგენილი სტანდარტი და დაადასტურა ის პოზი-

ცია, რომელიც ადრე საქმეზე – *ნიკარაგუა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ* – გამოიხატა. კერძოდ, საერთაშორისო სასამართლოს თანახმად, *ზოგადი კონტროლის* ტესტის გამოყენება შესაძლებელი იყო იმის დასადგენად, კონფლიქტი საერთაშორისო იყო თუ არასაერთაშორისო. თუმცა ამ ტესტის გამოყენება სახელმწიფო პასუხისმგებლობის საკითხების დასადგენად არამიზანშენილად მიიჩნია, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფო პასუხისმგებლობის შესახებ საერთაშორისო სამართალს.⁵³

საქმეზე – *ბოსნია სერბიის წინააღმდეგ* – გადწყვეტილება გულისხმობს, რომ გაეროს საერთაშორისო სასამართლო მომავალში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხების დადგენისას გააგრძელებს *ეფექტიანი კონტროლის* ტესტის გამოყენებას.⁵⁴

ზემოაღნიშნული განსხვავებული მიდგომების გათვალისწინებით, იბადება კითხვა, თუ რომელი სასამართლოს პოზიციას უნდა მიენიჭოს უპირატესობა. გოლდსტონისა და ჰამილტონის აზრით, ამ შემთხვევაში საერთაშორისო სასამართლო უნდა მივიჩნიოთ უფრო კომპეტენტურად, ვინაიდან სწორედ მას ენიჭება ზოგადი იურისდიქცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც საერთაშორისო საჯარო სამართლის სფეროს განეკუთვნება;⁵⁵ კასესეს თანახმად, თანამედროვე რეალობისა და ტენდენციების გათვალისწინებით, ტრიბუნალის მიდგომა უფრო გონივრული და შესაფერისია.⁵⁶ იგი თვლის, რომ *ეფექტიანი კონტროლის* ტესტს ორი მნიშვნელოვანი ნაკლი ახასიათებს: პირველი, იგი არ ეფუძნება რაიმე პრეცედენტს ან სახელმწიფოს პრაქტიკას და, მეორე, იგი არ შეესაბამება სახელმწიფო პასუხისმგებლობის სამართლის არსებით პრინციპებს, რომელთა ძირითადი მიზანია, სახელმწიფომ ვერ შეძლოს უკანონო ქმედებისათვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდება, რასაც იგი ჩაიდენს კერძო პირთა ჯგუფის მეშვეობით.⁵⁷

საკმარისი საფუძველი არსებობს მტკიცებულებისათვის, რომ საერთაშორისო სასამართლოს მიდგომა მოძველებულია და არ ეხმიანება თანამედროვე რეალობას. საერთაშორისო და რეგიონალური ინსტიტუტების უმრავლესობის პოზიციის გათვალისწინებით, რაც ქვემოთ არის მიმოხილული,

სასამართლოს მიერ იმ სტანდარტთან დაბრუნება, რომელიც მან 1986 წელს შეიმუშავა, არამიზამენონილია და მოკლებულია ლოგიკურ დასაბუთებას.

2. ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონალური სისტემები

2.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

1950 წელს ხელი მოეწერა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას (შემდგომში – „ევროპული კონვენცია“), რომელიც ძალაში შევიდა 1953 წელს.⁵⁸

ევროპული კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.“⁵⁹ როგორც ეს მუხლი ნათელყოფს, ევროპული კონვენციის მონაწილე წევრი ქვეყნები ვალდებულია იღებენ, დაიცვან ადამიანის უფლებები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში.

თუ რას მოიცავს ქვეყნის იურისდიქცია, ამაზე არაერთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული ყოფილი ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში – „ევროპული სასამართლო“) მიერ. როგორც ეს ქვემოთმოყვანილ გადაწყვეტილებებში დეტალურადაა განხილული, ევროპული კონვენციის მოქმედება არ იზღუდება მხოლოდ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიით და ცალკეულ შემთხვევაში ვრცელდება მის ფარგლებს გარეთ. ამ თავში განხილული იქნება ევროპული კონვენციის ექსტრატერიტორიულ გამოყენებასთან დაკავშირებული პრეცედენტები.

ჯერ კიდევ საქმის – *იქსი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ* – 1965 წლის გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ აღნიშნული იყო, რომ ევროპული კონვენციის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეები ექცევიან ამ ქვეყნის იურისდიქციაში მაშინაც კი, როდესაც ისინი ცხოვრობენ საზღვარგარეთ. შესაბამისად, ამ პირთა მიმართ საელჩოების ან საკონსულოების მიერ განხორციელებულმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს

აღნიშნული ქვეყნის პასუხისმგებლობა, ევროპული კონვენციიდან გამომდინარე.⁶⁰

საქმე *ჰესი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* ეხებოდა გაერთიანებული სამეფოს მხრიდან ევროპული კონვენციის დარღვევის საკითხებს ბერლინში მდებარე მოკავშირეთა სამხედრო ციხეში დაპატიმრებული პირის მიმართ, რომელიც გასამართლებულ იქნა ნიურნბერგის სასამართლოს მიერ მშვიდობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის. ეს საპატიმრო მდებარეობდა ბერლინის ბრიტანულ სექტორში. მიუხედავად იმისა, რომ განაცხადი ეხებოდა ბერლინის ციხეში მყოფი პირის პატიმრობის პირობებს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ არ გამოიციხა გაერთიანებული სამეფოს პასუხისმგებლობა მისი ტერიტორიის მიღმა განხორციელებული ქმედებების მიმართ. კერძოდ, მან მიუთითა, რომ პრინციპში არ არსებობდა რაიმე სამართლებრივი მიზეზი, თუ რატომ არ უნდა გამოეწვია ბრიტანეთის ხელისუფლების ქმედებებს ბერლინში ბრიტანეთის მთავრობის პასუხისმგებლობა.⁶¹

1992 წელს *დანის წინააღმდეგ* მიღებული საქმე ეხებოდა მისი დიპლომატიური წარმომადგენლობის ქმედებებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.⁶² ამ საქმეზე, გერმანიის ფედერაციის რესპუბლიკაში მოხვედრის მიზნით, განმცხადებელი, სხვა მოქალაქეებთან ერთად, შევიდა დანის საელჩოს ტერიტორიაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, დანის ელჩმა დახმარებისათვის ადგილობრივ პოლიციას მიმართა, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებმა კი ეს პირები დააკავეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს უფლებამოსილი წარმომადგენლების, მათ შორის დიპლომატებისა და საკონსულოს თანამშრომლების, ქმედებები მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე გამოიწვევს ამ სახელმწიფოს იურისდიქციის გავრცელებას იმ პირებზე, რომელთა მიმართაც განხორციელდა აღნიშნული ქმედებები. შესაბამისად, ამ საქმეზე დადგინდა, რომ დანის ელჩის მოქმედების შედეგად ხსენებული პირი მოხვდა დანის სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ.⁶³

სოერინგის საქმეში ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დამნაშავეს ექსტრადიციამ შეიძლება წარმოშვას გადამცემი სახელმწიფოს მიერ კონვენციით ნა-

კისრი ვალდებულებების დარღვევა, როცა არსებობს დასაბუთებული ეჭვი, ეს პირი დაექვემდებარება ნამებას ან არაადამიანურ მოპყრობას მეორე ქვეყანაში. ევროპული სასამართლოს თანახმად, დამნაშავეს გადამცემი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საფუძველი არის გადაცემის ფაქტი, ვინაიდან სწორედ ეს ქმედება აყენებს პირს არასათანადოდ მოპყრობის რისკის წინაშე მეორე ქვეყანაში.⁶⁴ „ეს არის ის პასუხისმგებლობა, რომელიც მონაწილეს სახელმწიფოს შეიძლება დაეკისროს მის მიერ ისეთი ქმედების განხორციელების გამო, რისი უშუალო შედეგიც იქნება პირის დაუცველად დატოვება აკრძალული უკანონო მოპყრობის წინაშე,“⁶⁵ – აღნიშნა ევროპულმა სასამართლომ.

განსაკუთრებით საინტერესოა *ლოიზ-იდუს* საქმე, რომელიც შეეხებოდა ექსტრატერიტორიული იურისდიქციის საკითხს მეორე ქვეყნის ტერიტორიის ეფექტიანი კონტროლის შემთხვევაში.⁶⁶

ეს საქმე შეეხებოდა თურქეთის მიერ 1974 წელს ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპაციის შედეგად განმცხადებლის ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სხვადასხვა უფლების დარღვევას.⁶⁷ თურქეთის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციების შედეგად 1983 წელს ჩამოყალიბდა „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა“, რომელიც არ იქნა აღიარებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ.⁶⁸ განაცხადი წარდგენილ იქნა თურქეთის წინააღმდეგ, ვინაიდან თურქეთის სამხედროების ქმედებების შედეგად განმცხადებელი ვერ სარგებლობდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული საკუთრების მშვიდობიანი სარგებლობის უფლებით.⁶⁹

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის მთავრობა ამტკიცებდა, განაცხადი დაუშვებლად გამოცხადებულიყო, ვინაიდან იგი სცილდებოდა მისი იურისდიქციის სფეროს, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განაცხადში დასმული საკითხები განეკუთვნებოდა თურქეთის იურისდიქციას. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული კონვენციის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შეიძლება წამოიჭრას, როცა სამხედრო მოქმედებების შედეგად, მიუხედავად ამ სამხედრო ქმედებების კანონიერი ხასიათისა, იგი ახორციელებს ეფექტიან

კონტროლს თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მდებარე ტერიტორიაზე. სწორედ ამ ტერიტორიის კონტროლის ფაქტი არის ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ვალდებულების საფუძველი, მიუხედავად იმისა, ეს კონტროლი ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ ხორციელდება პირდაპირ, თუ დაექვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ.⁷⁰

ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპირებულ ტერიტორიაზე თურქეთის იურისდიქციის დადგენის შემდგომ ევროპული სასამართლო შეუდგა განაცხადში წამოჭრილი სავარაუდო დარღვევების თურქეთისადმი მიკუთვნების საკითხის გარკვევას.⁷¹ ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა თურქეთის მთავრობის არგუმენტი, რომ იგი ვერ იქნებოდა პასუხისმგებელი განაცხადში მითითებულ ფაქტებზე, ვინაიდან მისი შეიარაღებული ძალები მოქმედებდნენ „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ ადმინისტრაციის სახელით.⁷² ამ საკითხის გადაწყვეტად ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია საჭიროდ იმის დადგენა, ახორციელებდა თუ არა თურქეთის მთავრობა დეტალურ კონტროლს „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ ხელისუფლების ქმედებებზე.⁷³ მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხების გადაწყვეტისას ევროპულმა სასამართლომ საკმარისად მიიჩნია ზოგადი კონტროლი, რომელსაც იგი ახორციელებდა ამ ტერიტორიაზე. შესაბამისად, დადგინდა თურქეთის მთავრობის პასუხისმგებლობა ევროპული კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა მთელი რიგის შეუსრულებლობისათვის.⁷⁴

საინტერესოა აქვე აღინიშნოს, რომ ზოგადი კონტროლის სტანდარტი, რაც ევროპულმა სასამართლომ გამოიყენა პასუხისმგებლობის საკითხების გადაწყვეტისას, გაცილებით ფართოა, ვიდრე ის სტანდარტი, რომელიც საერთაშორისო სასამართლოს მიერ იქნა გამოყენებული ზემოხსენებულ *ნიკარაგუისა* და *ბოსნიის* საქმეებზე.⁷⁵ უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული სასამართლოს მიდგომა საკმაოდ ლოგიკური, რაციონალური და ეფექტურია, თუ მხედველობაში მივიღებთ სამხედრო ოკუპაციის შედეგად წამოჭრილ პრობლემებს. წინამდებარე სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ ევროპული სასამართლოს მიერ საერთაშორისო სასა-

მართლოს მსგავსად შეზღუდული სტანდარტის მიღება ძალიან ძნელს გახდოდა თურქეთის პასუხისმგებლობის დადგენას დარღვევათა მთელი რიგისათვის, რის შედეგადაც ჩრდილოეთ კვიპროსის მოსახლეობა ვერ შეძლებდა ევროპული კონვენციით დაცული უფლებებით სრულად სარგებლობას.

ანალოგიური გადაწყვეტილება იქნა მიღებული ევროპული სასამართლოს მიერ საქმეში – *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ* სახელმწიფოთაშორის განაცხადზე.⁷⁶ ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა *ლოიზიდუს* გადაწყვეტილებაში მიღებული დასკვნები და აღნიშნა, რომ თურქეთი პასუხისმგებელი იყო არამხოლოდ თავისი სამხედრო ძალების, არამედ ადგილობრივი ადმინისტრაციის ქმედებებზე, რაც არსებობდა თურქეთის სამხედრო და სხვა სახის დახმარებით.⁷⁷

საკმაოდ სადავო გადაწყვეტილება მიიღო ევროპულმა სასამართლომ *ბანკოვიჩის* საქმეზე.⁷⁸ განაცხადის საფუძველი ნატოს ძალების მიერ იუგოსლავიის ფედერალურ რესპუბლიკაზე განხორციელებული საჰაერო თავდასხმა იყო. სამხედრო ოპერაციის შედეგად რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, გარდაცვლილების ნათესავებმა, თავისი და გარდაცვლილთა უფლებების დაცვის მიზნით, მიმართეს ევროპულ სასამართლოს ევროპული კონვენციის იმ ხელშემკვრელი ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც იყვნენ ნატოს წევრები.⁷⁹ თუმცა განაცხადი დაუშვებლად გამოცხადდა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საჭირო იურისდიქციული კავშირი დაზარალებულებსა და მოპასუხე სახელმწიფოს შორის. შესაბამისად, ისინი ვერ მოექცნენ ამ ქვეყნების იურისდიქციის ქვეშ. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ევროპული კონვენცია იყო ევროპული საჯარო წესრიგის ინსტრუმენტი და იგი მოქმედებდა მხოლოდ ხელშემკვრელ მხარეთა სამართლებრივ სივრცეში. შესაბამისად, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა, ვინაიდან იგი არ იყო ევროპული კონვენციის წევრი ქვეყანა, ვერ ხვდებოდა ამ სამართლებრივ სივრცეში.⁸⁰

ბანკოვიჩის საქმის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და არათანმიმდევრულია,

თუ გავითვალისწინებთ ევროპული სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკასა და მის შემდგომ მიღებულ გადაწყვეტილებებს. აღსანიშნავია, რომ *ბანკოვიჩის* საქმეს მოჰყვა მთელი რიგი საქმეებისა, რომლებშიც კიდევ უფრო გაფართოვდა ექსტრატერიტორიული იურისდიქციების გავრცელების შემთხვევები. ეს საქმეები ქვემოთ იქნება მიმოხილული.

ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია *ილაშკუს* საქმე.⁸¹ განაცხადი ეხებოდა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს მოლდოვის დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე. განაცხადი წარდგენილ იქნა ორი ქვეყნის წინააღმდეგ: მოლდოვის წინააღმდეგ, ვინაიდან დნესტრისპირეთი მოლდოვის განუყოფელი ნაწილია და, ამავე დროს, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რადგან იგი ახორციელებდა *დე ფაქტო* იურისდიქციას ამ ტერიტორიაზე.

გადაწყვეტილება *ილაშკუს* საქმეზე ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ევროპულმა სასამართლომ კიდევ უფრო გააფართოვა იურისდიქციის ცნება. შეიძლება ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება სახელმძღვანელო დოკუმენტია ევროპული კონვენციის პირველ მუხლში მოცემული იურისდიქციის ცნების განსაზღვრის კუთხით.⁸² განსხვავებით ჩრდილოეთ კვიპროსისაგან, რომელიც თურქეთის მიერ იყო კუპირებული, მოლდოვის დნესტრისპირეთის ტერიტორიის ოკუპაცია არ მომხდარა რუსეთის მიერ. თუმცა დნესტრისპირეთში რუსეთის იურისდიქციის დადგენისას ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა სხვა გარემოებებს: მოლდოვის თვითგამოცხადებული დნესტრისპირეთის რესპუბლიკა დაარსდა რუსეთის ფედერაციის მიერ განეული დახმარების შედეგად და დაარსების შემდგომ რუსეთი სისტემატურ სამხედრო, ეკონომიკურ, ფინანსურ და პოლიტიკურ დახმარებას უწევდა ამ რეჟიმს. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაციის იურისდიქცია ვრცელდებოდა მოლდოვის დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე.⁸³ კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თვითგამოცხადებული დნესტრისპირეთის რესპუბლიკა შეიქმნა რუსეთის ფედერაციის დახმარებით და იმყოფება მისი *ეფექტიანი ხელისუფლების* ან, სულ მცირე,

გადამწყვეტი გავლენის ქვეშ და ნებისმიერ შემთხვევაში არსებობს რუსეთის ფედერაციის მიერ განეული სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერით.⁸⁴ შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლები იმყოფებოდნენ რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ და იგი პასუხისმგებელი იყო განაცხადში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით.⁸⁵

ილაშკუს შემდგომ ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება *ისას* საქმეზე,⁸⁶ რომელიც ეხებოდა ერაყის ტერიტორიაზე თურქეთის სამხედროების მიერ მეცხვარეების სავარაუდო მკვლელობას. მიუხედავად იმისა, რომ განაცხადი ეხებოდა თურქეთის იურისდიქციის საკითხებს ერაყის ტერიტორიაზე განხორციელებული ქმედებებისათვის, რაც ამკარად ევროპული კონვენციის *სამართლებრივი სივრცის* მიღმა მდებარეობს, ევროპული სასამართლო მზად იყო, დაედგინა თურქეთის პასუხისმგებლობა მისი სამხედროების მოქმედებათა შედეგად ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის. თუმცა განაცხადი დაუშვებლად გამოცხადდა, ვინაიდან დადგინდა, რომ თურქეთის შეიარაღებულ ძალებს არ განუხორციელებიათ სამხედრო ოპერაციები იმ კონკრეტულ ადგილას, სადაც კონვენციის სავარაუდო დარღვევას ჰქონდა ადგილი და შესაბამისად, განმცხადებლები ვერ მოხვდნენ თურქეთის იურისდიქციის ქვეშ.⁸⁷

აღსანიშნავია, რომ *ოჯალანის* საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა თურქეთის იურისდიქცია კენიაში განხორციელებული ექსტრატერიტორიული ქმედების გამო.⁸⁸ კერძოდ, განმცხადებელი დაკავებულ იქნა თურქეთის უშიშროების სამსახურების მიერ თურქეთში რეგისტრირებულ თვითმფრინავში კენიის საერთაშორისო აეროპორტის ტრანზიტულ ზონაში. მიუხედავად ქმედების ექსტრატერიტორიული ხასიათისა, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ დაკავების მომენტიდანვე განმცხადებელი მოექცა თურქეთის ხელისუფლების და, შესაბამისად, მისი იურისდიქციის ქვეშ.⁸⁹ ევროპულმა სასამართლომ განასხვავა ეს საქმე ზემოხსენებული *ბანკოვიჩის* საქმისაგან იმით, რომ განმცხადებელი თურქეთის უშიშროების სამსახურებმა ფიზიკურად აიძ-

ულეს, დაბრუნებულიყო თურქეთში და დაკავების მომენტიდანვე იგი ამ უკანასკნელთა ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდა.⁹⁰

ევროპული კონვენციის *სამართლებრივი სივრცის* კუთხით საინტერესოა 2008 წელს მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე – *პედი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*. განაცხადის საფუძველი თურქეთის სამხედროების ქმედებების შედეგად შვიდი ირანელის სიკვდილი იყო. ევროპული სასამართლოს წინაშე განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ეს პირები თურქეთის სამხედროებმა ჯერ დააკავეს ირანის ტერიტორიაზე და შემდგომ გადაიყვანეს თურქეთის საზღვარზე, სადაც განხორციელდა მათი ფიზიკური ლიკვიდაცია.⁹¹ თურქეთის მთავრობა უარყოფდა რაიმე ექსტრატერიტორიულ ქმედებებს, თუმცა აღიარა, რომ ეს პირები დაიღუპნენ თურქეთის საზღვარზე გადმოსული ტერორისტების გაქცევის აღსაკვეთად უშიშროების სამსახურების მიერ წარმოებული ოპერაციისას შევეულმფრენიდან განხორციელებული გასროლების შედეგად.⁹² ევროპულმა სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ იმის გარკვევა, თუ რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელდა ეს ქმედებები და საკმარისად მიიჩნია თურქეთის მთავრობის აღიარება, რომ განმცხადებელთა ნათესავები დაიღუპნენ შევეულმფრენიდან გახსნილი ცეცხლის შედეგად. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთის იურისდიქცია ვრცელდებოდა მათზე.⁹³ აღსანიშნავია, რომ ამ დასკვნის მიღებამდე ევროპულმა სასამართლომ მიმოიხილა ის საქმეები, სადაც დადგენილი იყო ექსტრატერიტორიული იურისდიქციის განხორციელების შემთხვევები, მათ შორის საქმე *ისა თურქეთის წინააღმდეგ*.⁹⁴ ის ფაქტი, რომ ევროპულმა სასამართლომ საჭიროდ არ ჩათვალა, გაერკვია, რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე მოხდა ეს ქმედებები, – თურქეთისა თუ ირანის, – კიდევ ერთხელ იმის დასტურად გამოდგება, რომ ევროპული კონვენციის მოქმედება არ იზღუდება მხოლოდ მისი *სამართლებრივი სივრცის* ფარგლებით, როგორც ეს *ბანკოვიჩის* საქმესთან დაკავშირებით იყო მითითებული, არამედ ვრცელდება მის ფარგლებს მიღმაც.

საქმე დაუშვებლად გამოცხადდა, ვინაიდან ჩაითვალა, რომ განმცხადებლებს არ ამოუწურავთ შიდასახელმწიფოებრივი სა-

შუალელები, როგორც ამას ევროპული კონვენცია მოითხოვს.⁹⁵

ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე – *ისაკი თურქეთის წინააღმდეგ* – ძალიან საინტერესოა, ვინაიდან იგი შეეხება თურქეთის იურისდიქციის გავრცელებას ჩრდილოეთ კვიპროსის საზღვართან არსებულ გაეროს ნეიტრალურ ბუფერულ ზონაში.⁹⁶ განაცხადს საფუძვლად დაედო ბერძენი წარმოშობის კვიპროსელი ანასტასიოს ისაკის სიკვდილი თურქეთის მიერ ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპაციის წინააღმდეგ წარმოებული დემონსტრაციის მსვლელობისას. პროტესტის გამოხატვის მიზნით, ბერძენი წარმოშობის შეუიარაღებელი კვიპროსელი დემონსტრანტები შევიდნენ გაეროს ბუფერულ ზონაში. ამასთან, თურქეთის ძალებმა ცეცხლის შეწყვეტის ზოლიდან ბუფერულ ზონაში შეუშვეს ხელკეტებითა და რკინის ნაჭრებით შეიარაღებული თურქი წარმოშობის კვიპროსელები და, ასევე, ჩრდილოეთ კვიპროსის პოლიციის წარმომადგენლები. ანასტასიოს ისაკი დაიღუპა ფიზიკური დაზიანებების შედეგად, რომელიც მას მიაყენეს ნეიტრალურ ზონაში. მის ცემაში, თურქული წარმოშობის კვიპროსელი დემონსტრანტების გარდა, მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ კვიპროსის პოლიციის წარმომადგენლები და თურქი ან თურქული წარმოშობის კვიპროსელი სამხედრო/პოლიციის მუშაკები.⁹⁷

მიუხედავად იმისა, რომ განაცხადში მოყვანილი ფაქტები გაეროს ნეიტრალურ ბუფერულ ზონაში მოხდა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი იყო თურქეთის ხელისუფლების და/ან მისი ეფექტიანი კონტროლის ქვეშ და, შესაბამისად, იგი ექცეოდა ამ უკანასკნელის იურისდიქციის სფეროში.⁹⁸

ბანკოვიჩის საქმე არ უნდა იქნეს მიჩნეული წამყვან გადანყვეტილებად ევროპული კონვენციის ექსტრატერიტორიული გამოყენების საკითხების განმარტებასთან დაკავშირებით. უდავოდ ალოგიკური იქნება დასკვნა, რომ მხოლოდ დაკავების შემთხვევაში შეიძლება პირი მოექცეს სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ, მაგრამ არა გასროლის მომენტში. *ბანკოვიჩის* გადანყვეტილება შეიძლება იმგვარად იქნეს გაგებელი, რომ პირის დაკავების ნაცვლად უმჯობესია, მოხდეს მისი ფიზიკური

ლიკვიდაცია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო შეძლებს პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებას.⁹⁹ რა თქმა უნდა, ამგვარი დასკვნები არათუ არაგონივრული და მიუღებელია, არამედ აბსოლუტურად შეუსაბამო ევროპული კონვენციით დადგენილ სტანდარტებთან.

2.2. ადამიანის უფლებათა პანამერიკული კომისია

1948 წელს მიღებულ იქნა ადამიანის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ამერიკის დეკლარაცია.¹⁰⁰ სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტისა და ევროპული კონვენციისაგან განსხვავებით, დეკლარაცია ტერიტორიულ გამოყენებასთან დაკავშირებით არ შეიცავს მსგავს დებულებებს.¹⁰¹ თუმცა ადამიანის უფლებათა პანამერიკულმა კომისიამ (შემდგომში – „პანამერიკული კომისია“), ადამიანის უფლებათა კომისიისა და ევროპული სასამართლოს მსგავსად, არ შეზღუდა დეკლარაციის მოქმედება სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრებით. ამ მხრივ აღსანიშნავია საქმე *კოარდი და სხვები ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ*,¹⁰² რომელიც შეეხებოდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედროთა მიერ განხორციელებულ დარღვევებს გრენადაში. ამ საქმესთან დაკავშირებით პანამერიკულმა კომისიამ აღნიშნა, რომ ყოველი ამერიკული სახელმწიფო ვალდებული იყო, დაეცვა ადამიანის უფლებები თავისი იურისდიქციის ფარგლებში. პანამერიკული კომისიის აზრით, მართალია, იურისდიქცია ზოგადად ხორციელდება კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ პირთა მიმართ, მაგრამ, გარკვეულ შემთხვევებში, იგი ვრცელდებოდა სახელმწიფოს ექსტრატერიტორიულ ქმედებებზე, როცა უცხო ქვეყანაში მყოფი პირი ექცევა მეორე ქვეყნის კონტროლის ქვეშ, ხშირად ამ უკანასკნელის წარმომადგენლების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ქმედებების შედეგად.¹⁰³

მსგავსი პოზიცია გამოხატა პანამერიკულმა კომისიამ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ პანამაში 1989 წელს განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებით. კერძოდ, მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების ქმედებათა ექსტრატერიტორიული ხასიათისა, სამხედრო ოპერაციების შედეგად დაზარალებულ იმ მო-

ქალაქეთა განაცხადი, რომლებსაც მიადგათ ფიზიკური და ქონებრივი ზიანი და რომლებმაც ინვნიეს ოჯახის წევრების დაღუპვა, დასაშვებად გამოცხადდა.¹⁰⁴

ჯერ კიდევ 1999 წელს, *ბანკოვიჩის* საქმეზე ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული დასკვნების საპირისპიროდ, პანამერიკულმა კომისიამ დაადგინა კუბის რესპუბლიკის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლების მიერ საერთაშორისო საჰაერო სივრცეში მსუბუქი საჰაერო ხომალდის ჩამოგდებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა სამოქალაქო მფრინავების დაღუპვა. კერძოდ, პანამერიკულმა კომისიამ აღნიშნა, რომ, მიუხედავად ექსტრატერიტორიული ქმედებისა, დაზარალებულები მოექცნენ კუბის რესპუბლიკის ხელისუფლების ქვეშ. შესაბამისად, დადგინდა ამ უკანასკნელის მიერ ადამიანის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ამერიკის დეკლარაციით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა.¹⁰⁵

2002 წელს პანამერიკულმა კომისიამ ამერიკის შეერთებულ შტატებს სთხოვა, მოკლედ დროში უზრუნველყო გუანტანამოში დაკავებულითა სტატუსის განსაზღვრა, რათა მათ ესარგებლათ სამართლებრივი დაცვის გარანტიებით.¹⁰⁶

ზემოხსენებული საქმეები ადასტურებს, რომ ადამიანის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ამერიკის დეკლარაციის გამოყენება არ არის შეზღუდული მხოლოდ მოპასუხე ქვეყნის ეროვნული ტერიტორიით და იგი ვრცელდება ასევე სახელმწიფოს ექსტრატერიტორიულ ქმედებებზე.

დასკვნა

როგორც ზემოაღნიშნული პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტების მოქმედება არ შემოიფარგლება ქვეყნის ეროვნული ტერიტორიით და ხშირად მათი მოქმედება ვრცელდება მის ფარგლებს გარეთაც.

ადამიანის უფლებათა ექსტრატერიტორიული დაცვის ვალდებულება წარმოიშობა, როდესაც ერთი ქვეყანა ახორციელებს ეფექტიან კონტროლს მეორე ქვეყანაში ან მისი ტერიტორიის ნაწილზე, მაგალითად, ოკუპაციის შემთხვევაში. როგორც ეს ზემოაღნიშნული *ლოიზიდუსა* და *კვიპროსის*

საქმეთა გადანყვეტილებებით დადგინდა, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წარმოიშობა არა მხოლოდ მისი სამხედრო ძალების, არამედ ადგილობრივი ადმინისტრაციის ან კერძო პირთა ქმედებებთან დაკავშირებით.

თუმცა სახელმწიფოს ვალდებულება – დაიცვას ადამიანის უფლებები, არ არის შეზღუდული მხოლოდ ეფექტიანი კონტროლის პირობებში, როგორც ეს ზემოთ იქნა მიმოხილული, *ილაშკუს* გადანყვეტილებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა სახელმწიფოს ექსტრატერიტორიული პასუხისმგებლობა. კერძოდ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახეზე არ არის ეფექტიანი კონტროლი, შესაძლებელია წარმოიშვას სახელმწიფოს ვალდებულება ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, თუ დადგინდება, რომ ერთი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი იმყოფება მეორე ქვეყნის ეფექტიანი ხელისუფლების ან გადამწყვეტი გავლენის ქვეშ. ამის კლასიკური მაგალითია მოლდოვის დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა, რომელიც დაარსდა და შემდგომში არსებობდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერით. როგორც ზევით იქნა მიმოხილული, ამ საქმეზე დადგინდა რუსეთის ეფექტიანი ხელისუფლება დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე და, შესაბამისად, მას დაეკისრა პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა დარღვევებისათვის.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის შეიძლება ასევე დაისვას ექსტრატერიტორიული ქმედების დროს, როცა დაზარალებული მოექცევა მეორე სახელმწიფოს ხელისუფლების ქვეშ. ეს სწორედ ისეთი შემთხვევებია, როცა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დგება არა მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე ეფექტიანი კონტროლის ან ეფექტიანი ხელისუფლების განხორციელების საფუძველზე, არამედ იმ ექსტრატერიტორიული ქმედებების გამო, რომელთა შედეგად დაირღვა პირის უფლებები. ამის მაგალითი შეიძლება იყოს: უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე პირის დაკავება, საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქისათვის ამავე ქვეყნის ტერიტორიაზე პასპორტის გაცემაზე უარის თქმა, ექსტრატერიტორიული ქმედების შედეგად ადამიანის გარდაცვალება და ა.შ. მართალია, ამ უკანასკნელთან დაკავშირე-

ბით ევროპულმა სასამართლომ *ბანკოვიჩის* საქმეზე საპირისპირო დასკვნები მიიღო, თუმცა, როგორც ეს ზემოთ იქნა მიმოხილული, აღნიშნული საქმე არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს წამყვან გადაწყვეტილებად იურისდიქციის საკითხების განსაზღვრისას.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი წამოიჭრება არა მარტო ექსტრატერიტორიული ქმედებების შემთხვევაში, არამედ ისეთ შემთხვევაშიც, როცა ერთი ქვეყნის მიერ თავის იურისდიქციაში განხორციელებული ქმედება საფუძვლად დაედება მეორე იურისდიქციაში ამ პირის უფლებების დარღვევას. ასეთი შემთხვევა შეიძლება მოხდეს, მაგალითად, პირის ექსტრადიციისას, როცა

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მიმღებ სახელმწიფოში მისი უფლებები შეილახება.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტების ექსტრატერიტორიული გავრცელება აბსოლუტურად ლოგიკური და აუცილებელიც არის. დაუშვებელია, სახელმწიფომ პასუხისმგებლობა აიცილოს აკრძალული ქმედებისათვის იმ საფუძვლით, რომ ეს ქმედება მისი ტერიტორიის საზღვრებს მიღმა მოხდა. შესაბამისად, შეუძლებელია არ დავეთანხმოთ საერთაშორისო მექანიზმების პრაქტიკას, სადაც პროგრესულად და ფართოდ იქნა განმარტებული ადამიანის უფლებათა დაცვის დოკუმენტების მოქმედების ფარგლები.

¹ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966 წელი, საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

² *Id.* მე-2 მუხლი.

³ Michael J. Dennis, *Application of Human Rights Treaties Extraterritorially in Times of Armed Conflict and Military Occupations*, 99 (1) A.J.I.L. (2005), 122.

⁴ *Id.* გვ. 123-124.

⁵ General Comment No. 31, Nature of the General Legal Obligation Imposed on States Parties to the Covenant, 26/05/2004, CCPR/C/21/Rev.1/Add.13, (General Comments), §10, <<http://www.ohchr.org>> (29.05.2009).

⁶ *Lopez Burgos v. Uruguay*, Communication No.52/1979, 29/07/81, CPR/C/13/D/52/1979, HRC, (Jurisprudence), <<http://www.ohchr.org>> (29.05.2009).

⁷ *Id.* §§ 2.2. – 2.4.

⁸ *Id.* § 12.1.

⁹ *Id.* § 12.3.

¹⁰ *Id.* § 12.2.

¹¹ *Id.* § 12.3.

¹² *Id.* § 13.

¹³ *Celiberti v. Uruguay*, Communication No.56/1979, 29/07/81, CCPR/C/13/D/56/1979, HRC, (Jurisprudence), <<http://www.ohchr.org>> (29.05.2009).

¹⁴ Sarah Joseph, Jenny Schultz and Melissa Castan, *the International Covenant on Civil and Political Rights: Cases, Materials and Commentary*, 2nd ed. Oxford: Oxford University Press, 2005, 87.

¹⁵ HRC, Israel, 18/08/98, CCPR/C/79/Add.93, (Concluding Observations/Comments), § 10, <<http://www.ohchr.org>> (29.05.2009).

¹⁶ HRC, Israel, 21/08/2003, CCPR/CO/78/ISR, (Concluding Observations/Comments), § 11, <<http://www.ohchr.org>> (29.05.2009).

¹⁷ HRC, United States of America, 15.09.06, CCPR/C/USA/CO/3, § 14. <<http://www.ohchr.org>> (29.05.2009).

¹⁸ HRC, The Russian Federation, 24/11/2009, CCPR/C/RUS/CO/6, (Concluding Observations/Comments), § 13, <<http://www.ohchr.org>> (28.01.2010).

¹⁹ *Charles Chitat Ng. v Canada*, Communication No.469/1991, 7/01/1994, CCPR/C/49/D/469/1991, HRC, § 14.2, <<http://www.ohchr.org>> (29.05.2009).

²⁰ *Id.* § 16.4. – 17.

²¹ *Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory*, Advisory Opinion, I. C. J. Reports 2004, p. 136.

²² *Id.* § 102.

²³ *Id.*

²⁴ *Id.* §§ 105 - 108.

²⁵ *Id.* § 108.

- ²⁶ *Id.* § 109.
- ²⁷ *Id.*
- ²⁸ *Id.* § 111.
- ²⁹ *Id.* § 112.
- ³⁰ *Id.*
- ³¹ *Id.*
- ³² *Id.* § 113.
- ³³ *Id.* § 134.
- ³⁴ *Military and Paramilitary Activities in und against Nicaragua (Nicaragua v. United States of America)*. Merits, Judgment. I.C.J. Reports 1986, [შემდგომში - “Nicaragua case”].
- ³⁵ *Case Concerning the Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Bosnia and Herzegovina v. Serbia and Montenegro)*, I.C.J., Judgment of 26 February 2007, [შემდგომში - “Genocide case”].
- ³⁶ Nicaragua case, *supra* სქოლიო, 34, § 20.
- ³⁷ *Id.* § 1, § 20 & §114.
- ³⁸ *Id.* §109.
- ³⁹ *Id.* §110.
- ⁴⁰ *Id.* §§109 -115.
- ⁴¹ *Id.* §115.
- ⁴² *Id.*
- ⁴³ ICTY, Appeals Chamber, *Tadić* , 15 July 1999 (Case no. IT-94-1-A).
- ⁴⁴ *Id.* § 116 and § 124.
- ⁴⁵ *Id.* § 137.
- ⁴⁶ *Id.*
- ⁴⁷ *Id.*
- ⁴⁸ *Id.*
- ⁴⁹ *Id.*
- ⁵⁰ *Id.* §141.
- ⁵¹ Richard J. Goldstone & Rebecca J. Hamilton, *Bosnia v. Serbia: Lessons from the Encounter of the International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia*, 21 Leiden Journal of International Law (2008), 101 [შემდგომში - “Goldstone & Hamilton”].
¹⁶ HRC, Israel, 21/08/2003, CCPR/CO/78/ISR, (Concluding Observations/Comments), § 11, <<http://www.ohchr.org>> (29.05.2009).

¹⁷ HRC, United States of America, 15.09.06, CCPR/C/USA/CO/3, § 14. <<http://www.ohchr.org>> (29.05.2009).

¹⁸ HRC, The Russian Federation, 24/11/2009, CCPR/C/RUS/CO/6, (Concluding Observations/Comments), § 13, <<http://www.ohchr.org>> (28.01.2010).

¹⁹ *Charles Chitat Ng. v Canada*, Communication No.469/1991, 7/01/1994, CCPR/C/49/D/469/1991, HRC, § 14.2, <<http://www.ohchr.org>> (29.05.2009).

²⁰ *Id.* § 16.4 – 17.

²¹ *Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory*, Advisory Opinion, I. C. J. Reports 2004, p. 136.

²² *Id.* § 102.

²³ *Id.*

²⁴ *Id.* §§ 105 - 108.

²⁵ *Id.* § 108.

²⁶ *Id.* § 109.

²⁷ *Id.*

²⁸ *Id.* § 111.

²⁹ *Id.* § 112.

³⁰ *Id.*

- ³¹ *Id.*
- ³² *Id.* § 113.
- ³³ *Id.* § 134.
- ³⁴ *Military and Paramilitary Activities in und against Nicaragua (Nicaragua v. United States of America)*. Merits, Judgment. I.C.J. Reports 1986, [Hereinafter Nicaragua case].
- ³⁵ *Case Concerning the Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Bosnia and Herzegovina v. Serbia and Montenegro)*, I.C.J., Judgment of 26 February 2007, [Hereinafter Genocide case].
- ³⁶ Nicaragua case, *supra* note, 34, § 20.
- ³⁷ *Id.* § 1, § 20 & §114.
- ³⁸ *Id.* §109.
- ³⁹ *Id.* §110.
- ⁴⁰ *Id.* §§109 -115.
- ⁴¹ *Id.* §115.
- ⁴² *Id.*
- ⁴³ ICTY, Appeals Chamber, *Tadić* , 15 July 1999 (Case no. IT-94-1-A).
- ⁴⁴ *Id.* § 116 and § 124.
- ⁴⁵ *Id.* § 137.
- ⁴⁶ *Id.*
- ⁴⁷ *Id.*
- ⁴⁸ *Id.*
- ⁴⁹ *Id.*
- ⁵⁰ *Id.* §141.
- ⁵¹ Richard J. Goldstone & Rebecca J. Hamilton, *Bosnia v. Serbia: Lessons from the Encounter of the International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia*, 21 Leiden Journal of International Law (2008), 101 [hereinafter Goldstone & Hamilton].
- ⁵² Genocide case, *supra* note, 35.
- ⁵³ *Id.* §§ 396 – 407.
- ⁵⁴ Goldstone & Hamilton, *supra* note 51, at 102.
- ⁵⁵ *Id.* at 97.
- ⁵⁶ Antonio Cassese, *The Nicaragua and Tadic tests revisited in light of the ICJ judgment on genocide in Bosnia*, 18(4) E.J.I.L. (2007), 665.
- ⁵⁷ *Id.* 654.
- ⁵⁸ The European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms of 4 November 1950, effective for Georgia as of 20 May 1999.
- ⁵⁹ *Id.*
- ⁶⁰ *X v. the Federal Republic of Germany*, Application no.1611/6225, 25 September 1965, Yearbook, vol. 8, p. 158.
- ⁶¹ *Hess v. the United Kingdom*, Application no. 6231/73, 28 May 1975, DR 2, p. 72.
- ⁶² *W.M.v. Denmark*, Application no. 17392/90, Commission Decision of 14 October 1992, DR 73, p. 193.
- ⁶³ *Id.* § 1.
- ⁶⁴ *Soering v. the United Kingdom*, Application no. 14038/88, 7 July 1989, Series A no. 161, § 91.
- ⁶⁵ *Mamatkulov and Askarov v. Turkey*, Applications nos. 46827/99 and 46951/99, Judgment of 4 February 2005, § 67, <www.echr.coe.int>.
- ⁶⁶ *Loizidou v. Turkey* (preliminary objections), judgment of 23 March 1995, Series A no. 310 [hereinafter *Loizidou* case, (preliminary objections)].
- ⁶⁷ *Id.* §11.
- ⁶⁸ *Cyprus v. Turkey*, [GC], no. 25781/94, § 14 ECHR 2001-IV [hereinafter *Cyprus* case].
- ⁶⁹ *Loizidou* case, (preliminary objections), *supra* note 66, §11.
- ⁷⁰ *Id.* § 62.
- ⁷¹ *Id.* § 64.

- ⁷² *Loizidou v. Turkey*, judgment of 18 December 1996 (merits), *Reports of Judgments and Decisions* 1996-VI § 54.
- ⁷³ *Id.* § 56.
- ⁷⁴ *Id.*
- ⁷⁵ See, Section 1 above.
- ⁷⁶ *Cyprus case*, *supra* note 68.
- ⁷⁷ *Id.* § 77.
- ⁷⁸ *Banković and Others v. Belgium and Others* (dec.) [GC], no. 52207/99, ECHR 2001-XII.
- ⁷⁹ *Id.* §§ 1 - 11.
- ⁸⁰ *Id.* §§ 79 - 80.
- ⁸¹ *Ilaşcu and Others v. Moldova and Russia*, [GC], no. 48787/99, ECHR 2004-VII [Hereinafter *Ilaşcu case*].
- ⁸² Clare Ovey & Robin White, Jacobs & White, *the European Convention on Human Rights*, 4th ed. Oxford: Oxford University Press, 2006, 24.
- ⁸³ *Ilaşcu case*, *supra* note 81, § 392.
- ⁸⁴ *Id.*
- ⁸⁵ *Id.* § 394.
- ⁸⁶ *Issa and Others v. Turkey*, Application no. 31821/96, Admissibility Decision of 16 November 2004, <www.echr.coe.int> (21.05.2009).
- ⁸⁷ *Id.* §§ 81- 82.
- ⁸⁸ *Öcalan v. Turkey* [GC], no. 46221/99, ECHR 2005-IV.
- ⁸⁹ *Id.* § 91.
- ⁹⁰ *Öcalan v. Turkey*, Application no. 46221/99, Judgment of 12 March 2003, § 93, <www.echr.coe.int> (15.05.2009).
- ⁹¹ *Mansur Pad and others v. Turkey*, Application no. 60167/00, Admissibility Decision of 28 June 2007, §§ 5 – 8, <www.echr.coe.int> (15.05.2009).
- ⁹² *Id.* §§ 21 – 26.
- ⁹³ *Id.* §§ 54 – 55.
- ⁹⁴ *Id.* §§ 52 – 53.
- ⁹⁵ *Id.* §§ 71 – 72.
- ⁹⁶ *Maria Issak and Others v. Turkey*, Application no. 44587/98, Admissibility Decision of 28 September 2006, <www.echr.coe.int> (18.05.2009).
- ⁹⁷ *Id.*
- ⁹⁸ *Id.*
- ⁹⁹ D. McGoldrick, Extraterritorial Application of the International Covenant on Civil and Political Rights in F. Coomans and M. Kamminga, eds, *Extraterritorial Application of Human Rights Treaties* (Intersentia, 2004), 41 *et seq.* cited in Loukis G. Loucaides, Determining the extra-territorial effect of the European Convention: facts, jurisprudence and the Bankovic case, *E.H.R.L.R.*, (2006), 406.
- ¹⁰⁰ American Declaration on the Rights and Duties of Man, 1966, I. Brownlie and G. S. Goodwin-Gill (eds), *Basic Documents on Human Rights*, Oxford: Oxford University Press, 2006, 927.
- ¹⁰¹ Marko Milanovic, *From Compromise to Principle: Clarifying the Concept of State Jurisdiction in Human Rights Treaties*, 8 *Hum. Rts. L. Rev.* 432.
- ¹⁰² *Coard et al v. United States*, case no.10.951, Report no. 109/99, <<http://www.cidh.oas.org>> (30.05.2009).
- ¹⁰³ *Id.* § 37.
- ¹⁰⁴ Case no. 10.573, Report no. 31/93, <<http://www.cidh.oas.org>> (30.05.2009).
- ¹⁰⁵ *Armando Alejandro Jr., Carlos Alberto Costa, Mario de la Peña, and Pablo Morales v. Cuba*, case no.11.589, Report no. 86/99, <<http://www.cidh.oas.org>> (24.05.2009).
- ¹⁰⁶ Precautionary Measures in Guantanamo Bay, Cuba, the Inter-American Commission on Human Rights, 13.03. 2002, <<http://www1.umn.edu/humanrts>> (15.08.2008).

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ადამიანის უფლებების დაცვის
კუთხით არსებული მდგომარეობა და რუსეთის ფედერაციის
მიერ საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევა

1. შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ურთულესი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები შეექმნა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა უმნიშვნელოვანესია. ეს კი, განსაკუთრებით, ხაზგასასმელია საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ორი მოუგვარებელი კონფლიქტის (აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში) არსებობის პირობებში. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე არსებული რთული მდგომარეობის მიუხედავად, იურიდიულად, როგორც აფხაზეთი, ისე ოსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ *de jure* ახორციელებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების კონტროლს. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლეგიტიმური ხელისუფლებები თბილისიდან მოქმედებენ და ვერ ახორციელებენ საქართველოს კონსტიტუციით დაკისრებულ ვალდებულებებს.

2008 წლის 7 აგვისტოს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თბილისი გადადიოდა შეტევაზე აშკარა რუსული აგრესიისაგან თავის დასაცავად. საქართველომ სამხედრო ოპერაცია ცხინვალის რეგიონის – სამხრეთ ოსეთის რეგიონული ცენტრისა და სეპარატისტული რეგიონის სხვა ნაწილების წინააღმდეგ წამოიწყო. საქართველოს სამთავრობო ძალებმა წაინიეს მხოლოდ ინტენსიური დაბომბვიდან რამდენიმე დღის შემდეგ, რამაც საქართველოს ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფ სოფლებში სამოქალაქო მოსახლეობის

მსხვერპლი გამოიწვია. ეს წაწვეა მას შემდეგ განხორციელდა, რაც დადასტურდა, რომ სერიოზული რუსული სახმელეთო ჯარები შემოიჭრნენ საქართველოში, როკის გვირაბის მეშვეობით¹. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულდა მას შემდეგ, რაც რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა „არაპროპორციული ძალის გამოყენებით“ განახორციელეს სამხედრო შეტევა ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში².

რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მოახდინეს სამხრეთ ოსეთისა და კიდევ ერთი სეპარატისტული რეგიონის – აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრების მიღმა სოფლების ოკუპირება³. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში კონფლიქტები მოუგვარებელი დარჩა და 7-12 აგვისტოს განმავლობაში იგი საქართველო-რუსეთს შორის შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა⁴. საქართველოს დასავლეთ ნაწილიდან განხორციელებული ცალკე წარმოებული ოპერაციის ფარგლებში, რომელიც აფხაზეთის გავლით განვითარდა, რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქები დასავლეთ საქართველოში – ფოთი, ზუგდიდი და სენაკი. ამ ქალაქებში რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა დააყენეს საკონტროლო გამშვები პუნქტები და გადახერგეს გზები⁵.

რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა აგრესიამ გამოაშკარავა არსებული სიტუაცია და მას რეალური სახელი დაარქვა – „საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია და ქვეყნის ეკონომიკურ და სტრატეგიულ ინფრასტრუქტურაზე თავ-

დასხმა, რომელთაგან თითოეული საქართველოს სუვერენიტეტზე განხორციელებულ პირდაპირ შეტევად შეიძლება ჩაითვალოს.⁶

2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენები — რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს გარკვეული ტერიტორიების ოკუპაცია და მის მიერვე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება — შედეგად მოჰყვა კოსოვოს მაგალითის გამოყენებას, თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების ჩათვლით. რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება კი საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევაა.⁷

2. ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა 2008 წლის კონფლიქტის შედეგად

სიტუაცია ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში ძალიან მძიმეა სამოქალაქო მოსახლეობისთვის. ისინი იზოლირებულნი არიან საქართველოს დანარჩენი ტერიტორიისგან, დარჩენილნი არიან საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგის გარეშე ან ამგვარ დახმარებასა და მონიტორინგის შესაძლებლობას ძალიან მცირე დოზით იღებენ. მათ დიდი პრობლემები ექმნებათ ზამთრის თვეებში, განსაკუთრებით საკვები და სხვა პროდუქტების ნაკლებობისა და ელექტროენერჯითა და გაზით მომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.⁸

2.1. მკვლელობები, ძარცვა და ადამიანის უფლებათა სხვა დარღვევები

ხშირად ჰყვებიან, რომ რუსეთის საოკუპაციო ძალები ახორციელებენ ძარცვას, რაც გამონვეულია რუსეთის შეიარაღებულ ძალებში საკვებით მომარაგების დეფიციტით. ფაქტობრივად, რუსეთის შეიარაღებული ძალების კვებით უზრუნველყოფა ხდება მცირე ჯგუფების მიერ, რომლებიც იარაღის მუქარით სასტიკად უსწორდებიან და ძარცვავენ გალის რაიონში მცხოვრებ მშვი-

დობიან მოსახლეობას და საკვებ პროდუქტებს ამგვარად მოიპოვებენ.⁹

რუსეთის შეიარაღებული ძალები და სეპარატისტთა დაჯგუფებები ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ ქართულ მოსახლეობას შეურაცხყოფას აყენებენ. ისინი ეთნიკურად ქართველთა საცხოვრებელ სახლებს ძარცვავენ და თავს ესხმიან. მშვიდობიანი მოსახლეობის ფიზიკური შეურაცხყოფის მრავალი და რამდენიმე მკვლელის შემთხვევაა აღრიცხული.¹⁰

ოკუპირებულ ტერიტორიათა მომიჯნავე ტერიტორიებზე გზების დანალმვისა და ქართულ საპატრულო პოლიციასა და პოლიციის პოსტებზე შეიარაღებული თავდასხმის მრავალი შემთხვევაა აღრიცხული. შედეგად, რამდენიმე ქართველი პოლიციელი დაიღუპა და მრავალი მძიმედ დაიჭრა. ქართულ სოფლებზე მუდმივი თავდასხმები ხდება, ხორციელდება სროლები ოკუპირებული ტერიტორიების მხრიდან¹¹. შენიშნულია სროლის ინციდენტები და განგრძობადი პროვოკაციები სეპარატისტული რეგიონების ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების გასწვრივ, რამაც შესაძლოა განახლებული შეიარაღებული დაპირისპირება გამოიწვიოს. განსაკუთრებით სამწუხაროა 16 ქართველი პოლიციელისათვის სროლა და სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან ახლოს ევროკავშირის მიერ მოვლინებულ მონიტორებზე თავდასხმები.¹²

ასევე შეიძლება აღინიშნოს, რომ სამხრეთ ოსეთის ბუფერულ ზონებში არაღელვარული მილიციისა და ბანდიტური დაჯგუფებების მიერ ჩადენილი ეთნიკური წმენდის აქტები ხშირად ხორციელდებოდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების შემდეგაც და დღესაც გრძელდება.¹³

2.2. გადაადგილების თავისუფლება

დაახლოებით 42000 ეთნიკური ქართველი, რომლებიც აფხაზეთისა და გალის რაიონში ცხოვრობენ, რუსეთის ფედერაციის კონტროლს დაქვემდებარებული ეთნიკურად ჰომოგენური ტერიტორიის შექმნის ბოლო ხელშემშლელი ფაქტორია. საქართველო-რუსეთს შორის ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა სეპარატისტებთან ერთად გალსა და საქართველოს დანარჩენ ნაწილს შორის ყველა შესაძლო

დამაკავშირებელი გზაჩაკეტეს და ქართველთა წინააღმდეგ მიმართული სადამსჯელო ღონისძიებები გააძლიერეს. გადაადგილების თავისუფლება უკიდურესად შეზღუდულია. ეთნიკურ ქართველებს ეკრძალებათ *de facto* საზღვრის გადაკვეთა. შეტყობინებები ე.წ. სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე ფულის გამოძალვისა და ადამიანთა შეურაცხყოფის შესახებ ხშირია. სხვა გზების გამოყენებით გადაადგილების თავისუფლების აბსოლუტურად შეზღუდვის მიზნით რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა და სეპარატისტებმა გაანადგურეს მდინარე ენგურზე არსებული ყველა ხიდი, რომელნიც გალის რაიონს საქართველოს დანარჩენ ნაწილებთან აკავშირებდა. შეიარაღებული ძალები ხიდების დანვასა და განადგურებას აგრძელებენ და ნაღმავენ ადმინისტრაციულ საზღვარს. უსაფრთხოების დაცვის ქვეტექსტით მკვლევარების, გამოსასყიდის მიღების მიზნით გატაცებების, უკანონო დაკავებების, ძარცვის შემთხვევა, ისე როგორც სხვადასხვა სადამსჯელო რეიდი, ხშირია.¹⁴

2.3. საქართველოს პასპორტებთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემები

აფხაზმა სეპარატისტებმა კიდევ უფრო გაამძაფრეს ეთნიკურ ქართველებზე ზეწოლის განხორციელების პოლიტიკა მათ მიერ საქართველოს მოქალაქეობის დათმობისა და რუსეთის პასპორტების მიღების მიზნით. შედეგად, დღეს გალის რაიონში მცხოვრებ დაახლოებით 1500 ადამიანს აფხაზეთის მოქალაქეობა აქვს. ამასთან ერთად, ქართველთა იძულებითი განწვევა აფხაზურ შეიარაღებულ ძალებში ძალზე მწვავე საკითხად რჩება.¹⁵

2.3.1. რუსული პასპორტების დარიგება

1990-იანი წლების მიწურულს რუსეთის მთავრობამ აფხაზეთის მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის შეთავაზება აქტიურად დაიწყო – საერთაშორისო მგზავრობისთვის რუსული პასპორტების დარიგების გზით. 2000 წელს რუსეთის მიერ საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის თავს მოხვევა აფხაზებს რუსული პასპორტებით რუსეთში თავისუფლად შესვლის შესაძლებლობას აძლევდა.¹⁶ ეს იყო აფხაზეთში მცხოვრები არარუსეთის მოქალაქეებისთ-

ვის რუსული პასპორტების დარიგების დასტური¹⁷, რადგან აფხაზეთის რეგიონში საქართველოს მოქალაქეები ცხოვრობდნენ და, ამასთან ერთად, საერთაშორისო თანამეგობრობა აფხაზეთს აცხადებს საქართველოს განუყოფელ ნაწილად. აფხაზეთა შორის რუსეთის პასპორტების დარიგებას აფხაზეთის რეგიონის დანარჩენი საქართველოდან იზოლაციის შორს მიმავალი მიზანი ჰქონდა.

აფხაზეთის კანონმდებლობა ცნობს ორმაგ რუსულ-აფხაზურ მოქალაქეობას, ქართულ-აფხაზურ ორმაგ მოქალაქეობას კი არ აღიარებს. ბლექის იურიდიული ლექსიკონი შემდეგნაირად განმარტავს პასპორტს: „ადამიანის პიროვნებისა და მოქალაქეობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადამიანს უცხო ქვეყანასა და უცხო ქვეყნიდან მგზავრობის შესაძლებლობას აძლევს.“¹⁸ მაშინ, როდესაც ავთენტური პასპორტი „მხოლოდ ვარაუდს იწვევს, რომ მისი მფლობელი მისი გამცემი ქვეყნის მოქალაქეა, ამ ვარაუდის უარყოფა ადვილი არ არის.“¹⁹ ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ პასპორტი სინამდვილეში მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტია.²⁰ პასპორტი მის მფლობელს საზღვარგარეთ მისი გამცემი ქვეყნის დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობის დაცვით სარგებლობის უფლებას აძლევს. რუსეთის დუმის წევრები ხშირად აკეთებენ განცხადებებს, სადაც ხაზს უსვამენ, რომ ეთნიკური აფხაზები, რომლებიც რუსულ პასპორტებს ფლობენ, რუსეთის მოქალაქეები არიან; რუსეთის დუმის დეპუტატებისავე განცხადებების თანახმად, როგორც რუსეთის მოქალაქეებს, ამ ადამიანებს რუსეთის სახელმწიფოს დაცვით სარგებლობის უფლება აქვთ, როგორც ეს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუტციით არის გარანტირებული.²¹ ავთენტური პასპორტების გაცემის პარალელურად გაყალბებული პასპორტების ძალიან დიდი ბაზარია.²² რუსეთის პასპორტის მფლობელებს თვეში დაახლოებით 50 დოლარის შესაბამისი რუსული პენსიის²³ მიღებისა და სოციალური დაცვის სხვა საშუალებებით სარგებლობის უფლება აქვთ – ორივე მათგანი საქართველოს პენსიებსა და სოციალურ გარანტიებზე მნიშვნელოვნად მაღალია.²⁴ ამასთან, მრავალი აფხაზი მცირემასშტაბიან კონტრაბან-

დაშია ჩართული და რუსეთის პასპორტი მათი ბიზნესისთვის საჭიროა. აფხაზეთში მცხოვრებმა ეთნიკურმა ქართველებმა საზღვარგარეთ სამგზავროდ, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ან პოლიტიკურ პროცესებში ჩასართველად რუსეთის პასპორტები უნდა აიღონ. საქართველოს პასპორტის მქონე ადამიანებს არ მიეცემათ რუსეთის ვიზები და რუსეთის პასპორტის არმქონეთა უმეტესობამ, რომლებსაც საქართველოდან რუსეთში გამგზავრება უნდათ, მესამე სახელმწიფოს გავლით უნდა იმგზავროს.²⁵

„მოქალაქეობის შესახებ“ კანონის მეშვეობით, რომელმაც ეთნიკურ ქართველებს საქართველოს მოქალაქეობის უარყოფა აიძულა ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, *de facto* ხელისუფლებამ აფხაზეთში მოქალაქეთა ხმის მიცემისა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა განაგრძო.²⁶

აფხაზეთის მოქალაქეების მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღებისთვის მაკვალიფიცირებელი პოლიტიკა, რამაც რუსეთის მთავრობის ოფიციალური მხარდაჭერა მოიპოვა, ერთი სტრატეგიის ნაწილია. ეს კი ეფუძნება იმ ვარაუდს, რომ აფხაზეთის მოქალაქეთა ორმაგი მოქალაქეობა საქართველოსთან ახალი კონფლიქტის შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ მათ დაცვას გააუმჯობესებს. საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის მოთხოვნას რუსეთთან კავშირისა და ორმაგი მოქალაქეობის პოლიტიკის თაობაზე ტერიტორიული მთლიანობის პრინციპთან შეუსაბამოდ მიიჩნევს. საქართველოს ხელისუფლება მიიჩნევს, რომ აფხაზეთის – რუსეთის მთავრობის მიერ თანხმობის შემთხვევაში – რუსეთის ფედერაციასთან თავისუფლად დაკავშირებულ სახელმწიფოდ ქცევა პირდაპირი ანექსია, საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევაა.²⁷

2.4. გავლენა სავაჭრო-ეკონომიკური და სატრანსპორტო ურთიერთობების აღდგენის მეშვეობით

1996 წლის 19 იანვარს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც წევრმა სახელმწიფოებმა აღიარეს, რომ „აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და იკისრეს ვალდებულება, საქართ-

ველოს ნებართვის გარეშე არ დაამყარებენ სავაჭრო-ეკონომიკურ, ფინანსურ, სატრანსპორტო თუ სხვა სახის ურთიერთობებს აფხაზეთის მხარის ხელისუფლებასთან.“²⁸ ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, რუსეთის ფედერაციის მთავრობამ აფხაზეთის მხარესთან სავაჭრო, ეკონომიკურ და სხვა სახის თანამშრომლობაზე რამდენიმე ხელშეკრულება დადო.²⁹

სხვადასხვა რუსული კომპანიისა და სამოგზაურო სააგენტოს ფილიალები წარმატებით მოქმედებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე³⁰ და რუსულ-აფხაზეთი ურთიერთობებისა და თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას უწყობენ ხელს და, ამავდროს, სეპარატისტული რეჟიმის შემდგომ ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ.

ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენამ რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის სატრანსპორტო მიმოსვლა გაზარდა: სოჭსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლა განახლდა 2002 წელს³¹, ხოლო 2004 წელს განახლდა მარშრუტები: სოხუმი – როსტოვი და სოჭი – ახალი ათონიცი;³² 2003 წელს რუსეთი რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის საზღვაო მიმოსვლის აღდგენის ინიციატორად გამოვიდა.³³ უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირების აღდგენა საქართველოს მხარის თანხმობის გარეშე მოხდა.

2.5. განათლების უფლება

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება გალისრაიონში ასევე შეზღუდულია, მშობლიური ენა სკოლებში როგორც *უბრალო სასწავლო საგანი*, ისე ისწავლება. მასწავლებლებს აიძულებენ, ჩაერთონ პოლიტიკურ საქმიანობაში.³⁴

ქართველ ბავშვებს არ აქვთ შესაძლებლობა, ისწავლონ მშობლიურ ენაზე და მათ ქართულ სკოლებში სიარულის არანაირი შესაძლებლობა არ აქვთ, მათ შორის არც მოსაზღვრე ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში. 2008 წლის 21 ოქტომბერს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაკეტეს სოფელ საბერიოდან (გალის რაიონი) წალენჯიხისკენ მიმავალი გზა და ადგილობრივ ბავშვებს წალენჯიხის რაიონის სოფელ წყოუშის ქართულ სკოლაში სიარული აუკრძალეს. შედეგად, დაახლოებით 60 ბავშ-

ვს ქართულ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა არ აქვს.³⁵

2.6. დაბრუნების უფლება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამხრეთ ოსეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა 2008 წლის ომის შემდეგ 131 310-ს შეადგენს, მათგან 107 381-მა ადამიანმა საკუთარ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება მოახერხა და 23 929 ადამიანი ხანგრძლივად დარჩენილ იძულებით გადაადგილებულ პირად არის მიჩნეული. თუმცა ამ რაოდენობას წინა კონფლიქტის (1992) შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები უნდა მივუმატოთ, რაც 12 493-ს შეადგენს (მთლიანობაში 36422 ადამიანი).³⁶

რაც შეეხება აფხაზეთს (1992 წლიდან) იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა 270 141-ს შეადგენს, მათგან 1 989 ადამიანი 2008 წლის აგვისტოს შემდეგ გახდა იძულებული, დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 350 000 ადამიანი აფხაზეთიდან ლტოლვილია.³⁷

ახალგორის რაიონში დარჩენილი მოსახლეობის თაობაზე სერიოზული ნუხილის გამოხატვა ხდება. დაახლოებით 5 100-მა ადამიანმა უკვე დატოვა ეს რეგიონი და ივარაუდება, რომ უსაფრთხოების ზომების არარსებობის, მკაცრი ზამთრის, საკვები და სხვა პრობლემების, გაზის, გათბობის, ფინანსური დახმარებისა და შემოსავლის არარსებობის გამო, რეგიონს კიდევ უფრო მეტი ადამიანი დატოვებს.³⁸

გალის რეგიონში დაბრუნებული ქართველების მდგომარეობა არამყარი რჩება. დანარჩენი საქართველოსგან გამყოფი *de facto* საზღვრის დახურვამ რეგიონის მოსახლეობაზე დიდი გავლენა მოახდინა. მოსახლეობისთვის ოჯახური კავშირების შენარჩუნება, საკუთარი მოსავლის გაყიდვა, ჯანდაცვის უზრუნველყოფით სარგებლობა ან ფინანსური დახმარების მიღება *de facto* საზღვრის მეორე მხარეს სულ უფრო რთული ხდება.³⁹

გადაადგილებულ პირებს, რელიგიის, ეთნიკური კუთვნილებისა თუ მოქალაქეობის მიუხედავად, საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლება აქვთ. თუმცა ადამი-

ანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართალი აქცენტს სხვა ქვეყნიდან დაბრუნების უფლებაზე უფრო აკეთებს. საკმარისი საფუძველია იმის დასადგენად, რომ შესაბამის სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, გააკეთონ ყველაფერი, რათა ქვეყნის შიგნითაც მოხდეს გადაადგილებული პირებისთვის სახლში დაბრუნების უფლების უზრუნველყოფა.⁴⁰

ეს უფლება ეფექტური და შენარჩუნებადი სამშვიდობო შეთანხმების მისაღწევად სრულად და ეფექტურად უნდა იყოს დაცული. დაბრუნების უფლება უნდა მოიცავდეს კონფლიქტის სრულ ტერიტორიას, არა მხოლოდ ე.წ. „ბუფერულ ზონას“, არამედ თავად სამხრეთ ოსეთსაც.⁴¹

2.6.1. ბუფერული ზონა

ყოფილ „ბუფერულ ზონაში“ მდგომარეობა რთული რჩება, ადამიანების სწრაფი ტყვიით, დანაღმის შედეგად, აუფეთქებელი საარტილერიო იარაღისა თუ მატყუარა ნაღმების შედეგად გახშირებული დაღუპვის გამო. ამასთან, ევროპის კავშირის სადამკვირვებლო მისიის სწრაფად მოწვევამ მრავალ ადამიანს ყოფილ ე.წ. „ბუფერულ ზონაში“⁴² საკუთარ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობა მისცა.

საქართველოს, მათ შორის ყოფილი ე.წ. „ბუფერული ზონის“, სკოლებში სწავლება განახლდა და ბავშვებს სასწავლო აღჭურვილობა დაურიგდათ.⁴³

2.7. კონფლიქტის დროს რუსეთის მშვიდობისმყოფელთა მიერ ადამიანის უფლებების დარღვევები

მშვიდობისმყოფელებს კონფლიქტის რომელიმე მხარისთვის სამხედრო, ფინანსური ან საორგანიზაციო დახმარების უფლება არ აქვთ⁴⁴. მათ ეკრძალებათ კონფლიქტის მხარის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების განხორციელება⁴⁵. უფრო მეტიც, შიდა კონფლიქტის რომელიმე მხარისთვის წრთვნისა და სამხედრო მხარდაჭერის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, თუ ეს მხარდაჭერა ქვეყნის შიგნით განთავსებული მშვიდობისმყოფელებისგან მოდის⁴⁶, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაა. საქმეში – *ნიკარაგუა აშშ-ის წინააღმდეგ* – მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ნათლად აჩვენა, რომ ინტერ-

ვენციის აკრძალვის პრინციპი სახელმწიფოს „პირდაპირ ან არაპირდაპირ, შეიარაღებული ძალებით ან მათ გარეშე, სხვა სახელმწიფოს შიდა დაპირისპირებაში ჩარევას“ უკრძალავს.⁴⁷ საქმეში – *კონგო უგანდის წინააღმდეგ* – მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქმედებები, რომლებიც არღვევენ ჩაურევლობის პრინციპს, „თუ ისინი პირდაპირ ან არაპირდაპირ გადაიზრდებიან ძალის გამოყენებაში, ასევე შეადგენს საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენებლობის პრინციპის დარღვევას.“⁴⁸ „ეს ნორმები ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმების დეკლარირებას ახდენენ.“⁴⁹

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისგან შემდგარი მშვიდობისმყოფელთა ძალები აფხაზეთში 1994 წლიდან არის შესული. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ძალები ადამიანის უფლებების დაცვაზე არიან პასუხისმგებელნი.⁵⁰ უნდა ვაღიაროთ, რომ კონფლიქტის ტერიტორიაზე ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ნაცვლად რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები აფხაზეთის მიერ ჩადენილი დარღვევებისა და დანაშაულების უამრავ ფაქტზე თვალს ხუჭავენ და ხშირად თავადაც მონაწილეობენ ამგვარ ოპერაციებში.⁵¹

2008 წლის 10 აგვისტოს სამშვიდობო მისიების მიმართულებით გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწე ედმონდ მულემ გაეროს უშიშროების საბჭოს მოახსენა, რომ გაეროს სადამკვირვებლო მისიამ საქართველოში (რომელიც 100-ამდე დამკვირვებელს მოიცავდა) წინა დღეს „ზემო კოდორის ქართული სოფლების მიმდინარე საჰაერო დაბომბვები“ შენიშნა. მათ ასევე „კოდორის ხეობის მიმართულებით აფხაზური მხარის მიერ მძიმე შეიარაღებისა და სამხედრო პერსონალის მნიშვნელოვანი რაოდენობის გადაადგილება“ შენიშნეს.⁵²

მულემ ასევე აღნიშნა, რომ აფხაზეთის სეპარატისტი ლიდერი სერგეი ბალაფში იმუქრებოდა, რომ ქართულ შეიარაღებულ ძალებს კოდორის ველიდან გააძევებდა. საკუთარი მანდატის დარღვევით რუსი „მშვიდობისმყოფელები“ აფხაზეთის აჯანყებულთა შეიარაღების „ამგვარი ორგანიზების შეჩერებას არ შეეცადნენ“.⁵³

კოდორის ველიდან გაეროს სადამკვირვებლო მისიის თხუთმეტი დამკვირვებელი იქნა გამოყვანილი, რადგან აფხაზმა აჯანყებულებმა განაცხადეს, რომ მათი უსაფრთხოება უზრუნველყოფილი ვერ იქნებოდა. რუსეთის მშვიდობისმყოფელებმა აფხაზურ ძალებს გალის რაიონშიც და აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს მომიჯნავე მდინარე ენგურის გასწვრივ ორგანიზების უფლებაც მისცეს. ამის შემდგომ რუსეთისა და აფხაზეთის შეიარაღებული ძალები მდინარის გავლით ზუგდიდის რაიონში, აფხაზეთის სამხრეთ-დასავლეთითა და საქართველოს უდავო ტერიტორიაზე შევიდნენ.⁵⁴ რუსეთის მშვიდობისმყოფელები პირდაპირ იყვნენ ჩართულნი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა ყველა დარღვევაში.

3. რუსეთის ვაქცინაციის მიერ

საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევა

რუსეთის ფედერაციის ძალები საქართველოში, აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაც *de jure* საქართველოს ნაწილია, საქართველოს თანხმობის ან მასთან შეთანხმების გარეშე შემოვიდნენ.⁵⁵ რუსეთის ფედერაციის ძალები (ოკუპანტი ძალა) საქართველოს მთავრობის თანხმობის ან მასთან შეთანხმების გარეშე საქართველოს ტერიტორიის, მათ შორის აფხაზეთის ეფექტურ კონტროლს ახორციელებდა. 2008 წლის 10 ოქტომბრამდე რუსეთმა ასევე აიღო თავზე ოკუპანტი ძალის უფლებამოსილება ქარელისა და გორის რაიონებში, ტერიტორიებზე, რომელთა საქართველოს იურისდიქციის ქვეშ ყოფნა დავას არ იწვევს. რუსეთის ძალების ამ რეგიონებში ყოფნა საქართველოს ხელისუფლების მიერ სუვერენიტეტის სრულ და თავისუფალ განხორციელებას ხელს უშლიდა.⁵⁶

საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, სახელმწიფოს „საკუთარ ტერიტორიაზე სუვერენიტეტი აქვს“. ყველა სუვერენი თანაბარუფლებიანია და საკუთარ ტერიტორიაზე ახორციელებს იურისდიქციას.⁵⁷ გაეროს წესდება აღიარებს სუვერენული სახელმწიფოს უფლებას, „მართოს საკუთარი ტერიტორია და მოქალაქეები“.⁵⁸ მართალია, ქვეყნის სუვერენიტეტი შეუზღუდავი ცნება არ არის, იგი საერთაშორისო სამართალში უდიდესი მნიშვნელობისაა.⁵⁹ საქმეში *კონგო*

უგანდის წინააღმდეგ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა: „თუ სახელმწიფო საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა ხელშემკვრელი მხარეების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ვალდებულებას ... და ამგვარი ვალდებულების შესასრულებლად თანამშრომლობის ვალდებულებას იტვირთებს, ეს აშკარა სამართლებრივად სავალდებულო ხასიათის დანაპირებია, რომ არ მოხდება მართლსაწინააღმდეგო რომელიმე ქმედების განმეორება.“⁶⁰

გაეროს უშიშროების საბჭო აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. რუსეთის ფედერაცია გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას სავალდებულო იურიდიული ძალა აქვს გაეროს წევრი ქვეყნებისათვის, თუ ის მიღებულია ქარტიის VII თავზე დაყრდნობით. შესაბამისად, რუსეთი სამართლებრივად ვალდებულია, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას პატივი სცეს. უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული ამგვარი რეზოლუციის რუსეთის ფედერაციის მიერ პატივისცემის არგამოხატვა სიტუაციას მხოლოდ ართულებს.⁶¹

აფხაზეთის აღიარებით რუსეთის ფედერაციამ საქართველოში შემოჭრის შემდეგ კიდევ ერთხელ დაარღვია სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპები.⁶²

კითხვაც კი არ უნდა დაისვას იმის შესახებ, მოხდება თუ არა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველოს ამ ორი ტერიტორიიდან ერთ-ერთის აღიარება. ევროკავშირის მხრიდან რუსეთის ფედერაციაზე ზენოლის განხორციელების გაგრძელება მნიშვნელოვანია, რათა მან ამ საკითხებთან დაკავშირებით აღებული საკუთარი საერთაშორისო ვალდებულებების პატივისცემა მოახდინოს.⁶³

„ჰუმან რაიტს ვოჩიც“ აკრიტიკებდა რუსეთს მის მიერ აფხაზეთის აღიარებით სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების დარღვევისთვის.⁶⁴

ეს მოსაზრებები დიამეტრულად ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის პოზიციას, რომლის თანახმად, როგორც აფხაზეთმა, ისე სამხრეთ ოსეთმა გამოაცხადეს საკუთარი დამოუკიდებლობა და რუსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იქნ-

ნენ აღიარებულნი. რუსეთის ხელისუფლების ინტერპრეტაციის შესაბამისად, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ოკუპირებული ტერიტორიები არ არის, ესენი დამოუკიდებელი სახელმწიფოებია. შესაბამისად, საქართველოს არ შეუძლია ამ ტერიტორიებზე გამოსაყენებელი არანაირი კანონის მიღება.⁶⁵

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთის ფედერაციამ მოახდინა საქართველოს ტერიტორიების (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის) ოკუპაცია, რაც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაა.

4. ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე საქართველოსა და რუსეთის ვადერაციას შორის გაფორმებული შეთანხმება

2008 წლის აგვისტოში, როდესაც რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილები დაიკავეს, რუსეთის ფედერაციამ საქართველოში ვითარების ესკალაცია მოახდინა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ, ევროპის კავშირის თავმჯდომარე ქვეყნის – საფრანგეთის – ლიდერმა, მშვიდობის დასამყარებლად შუამავლობა ითავა, რათა მომხდარიყო კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა. მან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ექვსპუნქტიანი შეთანხმების მიღწევა შეძლო, რომლის მიზანი 2008 წლის 6 აგვისტოს მდგომარეობის აღდგენა იყო (მდგომარეობისა, რომელიც კონფლიქტის ახალ ესკალაციამდე არსებობდა).

2008 წლის 16 აგვისტოსთვის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და მისმა რუსმა კოლეგამ, პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის, როგორც ევროპის კავშირის თავმჯდომარე ქვეყნის ლიდერის, შუამავლობით შედგენილ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიან შეთანხმებას ხელი მოაწერეს. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულება მხარეებს საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტისა და მათი ყველა შეიარაღებული ძალის 6-აგვისტომდელი მდგომარეობით გაყვანისკენ მოუწოდებდა,⁶⁶ განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ეს ჯერ არ იყო მომხდარი, რაც სხვებთან ერ-

თად მოიცავდა ახალგორს, სამხრეთ ოსეთში და ზემო კოდორის ხეობას, რომელიც ესაზღვრება აფხაზეთს, მაგრამ წარსულში საქართველოს ხელისუფლების მიერ იმართებოდა.⁶⁷ მეორე საკითხი გახლდათ ის, რომ საქართველოს ტერიტორიის ანკლავებში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები წინანდელზე გაცილებით უფრო დიდი რაოდენობით იყვნენ კონცენტრირებული. ორ რეგიონში მთლიანად 7 500 სამხედრო მოსამსახურე იყო, მაშინ როდესაც მანამდე, შესაძლოა, 3 000-ზე ნაკლები იყო. ერთ-ერთი მთავარი საკითხი გახლდათ ის, რომ ევროკავშირის მონიტორინგის მისიები პრობლემებს აწყდებოდნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის გადაკვეთისას.⁶⁸ რუსეთი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ პრეზიდენტ სარკოზისა და პრეზიდენტ მედვედევს შორის მიღწეულ შეთანხმებას სრულად არ დაემორჩილა.

ამასთან ერთად, 2008 წლის 17 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ *de facto* ხელისუფლებებთან ამ ტერიტორიებზე რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნის ნებადამრთველი დებულებების შემცველ შეთანხმებებს მოაწერა ხელი. 2008 წლის 27 აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საქართველოში რუსეთის მშვიდობისმყოფელთა მისიის ოფიციალური დასრულების შესახებ ბრძანებას ხელი მოაწერა. მანამდე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მშვიდობისმყოფელთა მისიას შეთანხმების საფუძველზე ჰქონდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ყოფნის უფლება. 2008 წლის 28 აგვისტოს ქვეყნის პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოაცხადა.⁶⁹ 26 აგვისტოს რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღიარა, რასაც შედეგად საქართველოს მიერ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის განწყვეტა მოჰყვა.⁷⁰

2008 წლის 10 ოქტომბრისთვის რუსეთის შეიარაღებული ძალები, ძირითადად, გავიდნენ აფხაზეთის გარე ტერიტორიიდან, მათ ქართველებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის აფხაზეთში მისასვლელის ბლოკირება მოახდინეს, რამაც ადგილობრივ მცხოვრებლებს საფრთხე შეუქმნა

და რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვისა და ჰუმანიტარული სამართლის დაცვის მონიტორინგი რთული გახდა. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების თანახმად, საერთაშორისო დამკვირვებლებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ისე როგორც საქართველოს დანარჩენ ნაწილში, მონიტორინგი უნდა ჩატარებინათ. ევროკავშირის დამკვირვებლებმა პატრულირება 2008 წლის 1 ოქტომბერს დაიწყეს, თუმცა წლის ბოლოსთვის ვერ მოხერხდა მათი აფხაზეთის ტერიტორიაზე შეშვება. გაეროს მონიტორინგის მისია აფხაზეთის ტერიტორიაზე ფუნქციონირებას განაგრძობდა, თუმცა აფხაზეთში და რუსულმა ძალებმა მათი მოქმედების არეალი ქართველებით დასახლებული კოდორით შემოფარგლეს.⁷¹

ევროპის საკითხთა ბრიტანეთის სახელმწიფო მინისტრის, პარლამენტის წევრ კაროლინ ფლინტის, განცხადებით, საქართველოში უსაფრთხოების თვალსაზრისით, სიტუაცია ჯერ კიდევ რთული რჩება. მისივე მტკიცებით, აფხაზეთში ეთნიკური ქართველების მდგომარეობა განსაკუთრებით პრობლემური იყო. ადამიანის, და კერძოდ უმცირესობათა, უფლებების დარღვევების შესახებ ცნობები ორი სეპარატისტული რეგიონიდან და რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებიდან კვლავაც გრძელდება. მხოლოდ გაეროს სადამკვირვებლო მისიას ჰქონდა აფხაზეთში შესვლის გონივრული შესაძლებლობა, თუმცა მისი მანდატი თებერვლის შუა რიცხვებში ამოიწურა. ხელისუფლება მოუწოდებდა რუსეთს, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, აფხაზეთში შესვლის უფლება დაუყოვნებლივ მისცემოდა.⁷²

5. საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ

აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია და საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს და მხარს უჭერს. საქართველოს სუვერენიტეტი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მის შემადგენლობაში ყოფნის ჩათვლით, 1991 წლის 21 დეკემბრის ალმა-ატის ხელშეკრულებით აღიარებული იყო. საქართველოს კონსტი-

ტუცია, კერძოდ კი მისი პირველი და მეორე მუხლები საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს განსაზღვრავს აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების ჩათვლით. 1990-იანი წლებიდან მიმდინარე სეპარატისტული ომის შედეგად აფხაზეთის არაღიარებულმა მთავრობამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობამ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე უარი განაცხადა. ახალი კონფლიქტის ესკალაციის შემდეგ მხოლოდ რუსეთმა, ნიკარაგუამ და ჰამასმა აღიარეს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი *de jure* საქართველოს კონტროლის ქვეშ რჩებიან.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე კიდევ უფრო გართულდა მდგომარეობა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის თვალსაზრისით. საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ ემყარება იმ პრინციპს, რომ საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონი – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი – საქართველოს განუყოფელი ნაწილებია, რომელთა ოკუპირება რუსეთის ფედერაციის მიერ არამართლზომიერად მოხდა. ეს თეზა აშკარად არის გამოხატული კანონის პრეამბულაში საქართველოს სუვერენიტეტის, ერთიანობისა და განუყოფლობის ხაზგასმითა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ამ ტერიტორიაზე ყოფნისთვის „სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის უკანონო სამხედრო ოკუპაციის“ წოდებით. კანონის პირველი მუხლი კანონის მიზნად ასახელებს „იმ ტერიტორიების სტატუსის განსაზღვრას, რომლებიც ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად“.⁷³

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი ხაზგასმით ადგენს რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობას აფხაზეთის (საქართველო) და სამხრეთ ოსეთის (საქართველო) ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევისთვის. მორალური და მატერიალური ზიანისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას. როგორც წესი, საერთაშორისო პასუხისმგებლობის საკითხები

ეროვნული კანონმდებლობით არ რეგულირდება. მათი გადაწყვეტა საერთაშორისო სამართლის გამოყენებით ხდება.⁷⁴

ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ევროპული სამართლოს პრაქტიკის თანახმად, ევროპული კონვენციის ექსტრატერიტორიული იურისდიქციის გამოყენება შესაძლებელია, თუ სახელმწიფო გარკვეული ტერიტორიის „ეფექტურ საერთო კონტროლს“ ახორციელებს.⁷⁵ სწორედ ეს სიტუაციაა რუსეთის ფედერაციასთან მიმართებით როგორც აფხაზეთის (საქართველო), ისე სამხრეთ ოსეთის (საქართველო) შემთხვევაში. თუმცა უნდა მოხდეს იმის გაანალიზებაც, რომ ოკუპანტი ძალის პასუხისმგებლობა ექსტრატერიტორიული პრინციპის საფუძველზე მეორე სახელმწიფოს ნებისმიერი პასუხისმგებლობისგან სრულად არ ათავისუფლებს.⁷⁶ უნდა აღინიშნოს, რომ კანონი არის საქართველოს საერთო წუხილის გამოხატვა აღნიშნულ ტერიტორიასთან მიმართებით, და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მხედველობაში მიღებით⁷⁷ სახელმწიფოს ნება, დაარეგულიროს ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამართლებრივი ურთიერთობები, შესაძლოა, ამ ტერიტორიის მიმართ საქართველოს პასუხისმგებლობის მაჩვენებლად ჩაითვალოს.⁷⁸

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთის ფედერაციას აფხაზეთის ტერიტორიაზე აქვს იურისდიქცია და, როგორც ზემოთაც იქნა აღნიშნული, როგორც ტერიტორიის მაკონტროლებელს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ტერიტორიაზე ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისთვის.

6. დასკვნა

აბსოლუტურად ნათელია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიასა და მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების უსაფრთხოება, ისე როგორც ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციით უზრუნველყოფილი თითქმის ნებისმიერი ადამიანის უფლების, როგორებიცაა: სიცოცხლის უფლება, ნამების აკრძალვა, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლე-

ბა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, კანონის გარეშე დასჯის აკრძალვა, და სხვ., ისევე როგორც დამატებითი ოქმებით დაცული უფლებები, როგორებიცაა, მაგალითად: საკუთრების დაცვის უფლება, განათლების უფლება (დამატებითი ოქმი, პარიზი, 20 მარტი, 1952), მოქალაქეთა გაძევების აკრძალვა) თავისუფალი გადაადგილების უფლება (მე-4 ოქმი) და დაცვა სერიოზული საფრთხის ქვეშ არის და თითქმის არ არის დაცული. რუსეთს მის *de facto* კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევისთვის სრული პასუხისმგებლობა ეკისრება. ამასთან ერთად, რუსეთის ფედერაცია მართავს პოლიტიკურ პროცესებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. აფხაზეთში გამართული საპრეზიდენტო არჩევნები რუსეთის მიერ სეპარატისტული რეგიონის პოლიტიკურ პროცესებში ჩარევის მკაფიო მაგალითად შეიძლება იყოს გამოყენებული. რუსეთის მაღალი რანგის ოფიციალური პირები, პრეზიდენტის ჩათვლით, ღიად უჭერდნენ მხარს ერთ-ერთ საპრეზიდენტო კანდიდატს და წარმართეს მისი საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანია.

რუსეთის მაღალი რანგის ოფიციალური პირების რეგულარული ვიზიტები აფხაზეთში, შეხვედრები აფხაზეთთან, აფხაზეთის პოლიტიკური პროცესების მართვაში რუსეთის ჩართულობას ადასტურებს.

ეუთოს უმაღლესმა კომისარმა ეროვნული უმცირესობების საკითხებში კნუტ ვალე-ბეკმა ღრმა მწუხარება გამოხატა რეგიონში არსებულ ჰუმანიტარულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. 2009 წლის 14 აპრილს ჰააგაში მან გააკეთა მონოდება, რომ შეწყდეს აფხაზეთის ქართულ მოსახლეობაზე განხორციელებული ზენოლა. მან განაცხადა შემდეგი: „*ძალზე ვწუხვარ აფხაზეთის გალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, რამაც უსაფრთხოების თვალსაზრისით გააუარესა მდგომარეობა. ჩემი კონფლიქტის თავიდან აცილების მანდატის შესაბამისად, მოვუწოდებ de facto ხელისუფლებას, შეწყდეს გალის რაიონის ქართულ მოსახლეობაზე განხორციელებული ზენოლა, რაც გამოკვეთილია მათი განათლების უფლების შელახვით, სავალდებულო „პასპორტიზაციით“, აფხაზურ სამხედრო ძალებში იძულებითი განწვევითა და მათი თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვით“.*

¹ იხ.: საქართველოში რუსეთის აგრესიის ამსახველი განრიგი, საქართველოს მთავრობის დოკუმენტი; 2008 წლის 21 სექტემბერი, თბილისი, <http://www.iam-georgian.org/2008/11/22/timeline-of-russian-aggression-in-georgia/>.

² დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიურო, ადამიანის უფლებების ანგარიში. საქართველო, 2008: ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის პრაქტიკის შესახებ, 25 თებერვალი, 2009, <http://www.state.gov/g/drl/rls/hrrpt/2008/eur/119080.htm>

³ Ibid.

⁴ Ibid.

⁵ Human Rights Watch-ის ანგარიში: „ალში გახვეული: სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის სამოქალაქო მსხვერპლნი და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები“, 2009 წლის იანვარი, 1-56432-427-3.

⁶ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1633 (2008). საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგები, <http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/AdoptedText/ta08/ERES1633.htm>.

⁷ Ibid

⁸ Ibid.

⁹ იხ.: საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შესახებ, 2009 წლის აგვისტო, <http://www.report.smr.gov.ge/>

¹⁰ Ibid.

¹¹ Ibid

- ¹² იხ.: საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის მე-11 შეხვედრა, 2009 წლის 16-17 თებერვალი, 2009, <http://www.parliament.ge/index.php?lang=id=GEO&sec=id=491&info=id=22854>
- ¹³ იხ.: ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1633 (2008). საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგები, <http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/AdoptedText/ta08/ERES1633.htm>
- ¹⁴ იხ.: საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შესახებ, 2009 წლის აგვისტო, <http://www.report.smr.gov.ge/>
- ¹⁵ *Ibid.*
- ¹⁶ იხ.: რუსეთის პასპორტის ფლობა საერთაშორისო მგზავრობისთვის მოქალაქეობისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლებას უზრუნველყოფს. თუმცა ეს ავტომატურად არ ანიჭებს ისეთ პრივილეგიებს, როგორებიცაა: დაბადებისა და ქორწინების რეგისტრაცია, ცხოვრების უფლება და სხვა შედეგები, რომლებიც შიდა პასპორტის ქონას მოითხოვენ.
- ¹⁷ იხ.: ევროპის კავშირის კომიტეტი, მე-3 სესიის ანგარიში; საქართველოს შემდეგ ევროკავშირისა და რუსეთის 2008-2009 წლების თანმიმდევრული ანგარიში, <http://www.publications.parliament.uk/pa/ld200809/ldselect/lddecom/26/2602.htm>.
- ¹⁸ იხ.: ანტონი ოსტი, საერთაშორისო სამართლის სახელმძღვანელო, 181, Cambridge University Press, 2005 წლის 25 აპრილი, ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://books.google.com/books?hl=en&lr=&id=EqO9rKlcoQMC&oi=fnd&pg=PR19&dq=ANTHONY+AUST,+HANDBOOK+OF+INTERNATIONAL+LAW+&ots=r3dPmZJiYp&sig=Z0wWa0Zb4NluOgGD3hQ-D06FV4#PPR17.M1>.
- ¹⁹ *Ibid.*
- ²⁰ იხ.: ბურდიკ ჰ. ბრიტინი, საერთაშორისო სამართალი საზღვაო ოფისისთვის, 183 (მე-4 რედ., 1981).
- ²¹ იხ.: Konstitutsiia Rossiiskoi Federastii, art. 61, თარგმნილი და ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://www.constitution.m/en/10003000-01.htm>; („რუსეთის ფედერაციამ საკუთარი მოქალაქეების დაცვა და მათზე მზრუნველობა საზღვარგარეთ უნდა უზრუნველყოს“).
- ²² იხ.: დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიურო, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ადამიანის უფლებების ანგარიში: საქართველო, 2006 წლის 8 მარტი, ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის პრაქტიკის შესახებ, 25 თებერვალი, [http://www.state.gov/g/drl/rls/hiTpt/2\(K\)5/61649.htm](http://www.state.gov/g/drl/rls/hiTpt/2(K)5/61649.htm).
- ²³ იხ.: დაან ვან დერ შრიეკი, *სამხრეთ ოსეთი ულტიმატუმს იღებს, საქართველოს დახმარებას უარყოფს*. EURASIANET. 2004 წლის 23 ივნისი. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eavO623O4.shtml>;
- ²⁴ იხ.: აპტო ლობიაკასი, *საქართველო დასავლეთისკენ ბენვის ხიდით მიიწევს*, რადიო „თავისუფალი ევროპა“ / რადიო „თავისუფლება“, 2006 წლის 24 ნოემბერი, <http://rferl.org/featuresarticle/2006/n/e709c840-fcb4-4d7i-a69e-5233le23683a.html>.
- ²⁵ დემოკრატიის ბიურო, საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი, აფხაზეთი დღეს, ევროპის ანგარიში N'M 76, 135-ე სუპრა ნოტი, 2006 წლის 15 სექტემბერი, <http://www.crisisgroup.org/librai/documents/europe/caucasus/176abkhazia-today.pdf>.
- ²⁶ დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიურო, ადამიანის უფლებების ანგარიში. საქართველო, 2008: ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის პრაქტიკის შესახებ, 25 თებერვალი, 2009, <http://www.state.gov/g/drl/rls/hrrpt/2008/eur/119080.htm>
- ²⁷ ლიზ ფულერი, „როგორ წარმოუდგენია აფხაზეთს თავისი შემდგომი ურთიერთობა რუსეთთან?“ კავკასიის ანგარიში, ტომი 4, 36 (2001). ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: www.rferl.org/Caucasus-report/2001/10/36-291001.html.
- ²⁸ იხ.: ლ. ჩხენკელი, „ძლიერს ჭკუა არ სჭირდება/რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებით“, თბილისი, 2003, გვ. 257-309.

²⁹ *Ibid.*

³⁰ *Ibid.*

³¹ იხ.: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ რუსეთის ფედერაციისთვის გაგზავნილი შენიშვნები, 11-08/1565, 26.12.2002; 7-25/2162, 21.07.99. – გამოუქვეყნებელი მასალა.

³² იხ.: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ რუსეთის ფედერაციისთვის გაგზავნილი შენიშვნები, 11-06/1197 – გამოუქვეყნებელი მასალა.

³³ იხ.: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ რუსეთის ფედერაციისთვის გაგზავნილი შენიშვნები, 11-06/1419 – გამოუქვეყნებელი მასალა.

³⁴ იხ.: საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შესახებ, 2009 წლის აგვისტო. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://www.report.smr.gov.ge/>

³⁵ *Ibid.*

³⁶ *Ibid.*

³⁷ *Ibid.*

³⁸ იხ.: ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1648 (2009), საქართველოსა და რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარული შედეგები. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/AdoptedText/ta09/ERES1648.htm>.

³⁹ *Ibid.*

⁴⁰ ადამიანის უფლებები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის, თომას ჰამარბერგის სპეციალური მისია საქართველოსა და რუსეთის ფედერაციაში (ვლადიკავკაზი, ცხინვალი, გორი, თბილისი და მოსკოვი, 22-29 აგვისტო, 2008. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1338365&Site=CommDH>).

⁴¹ *Ibid.*

⁴² იხ.: ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1648 (2009), საქართველოსა და რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარული შედეგები. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/AdoptedText/ta09/ERES1648.htm>.

⁴³ *Ibid.*

⁴⁴ იხ.: სამხედრო მოქმედებები კონგოს ტერიტორიაზე (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდის წინააღმდეგ), 2005 I.C.J. 116, 10 (19 დეკემბერი), <http://www.icjci.org>.

⁴⁵ იხ.: იორამ დინშტაინი, ომი, აგრესია და თავდაცვა გვ. 307-308 (კემბრიჯის უნივერსიტეტის მე-4 გამოცემა, 2005).

⁴⁶ იხ.: ნოელ მ. შან აჰან ქუტისი, მტრები კარიბჭის მიღმა: რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლით აღიარებული პრინციპების დარღვევა. საქართველო (CASE W. RES. J. INT'L L.) ტომი 40:281.

⁴⁷ იხ.: *Nicaragua v. U.S.*, 1986 მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, 14,108 (1986 წლის 27 ივნისი).

⁴⁸ იხ.: სქოლიო 47.

⁴⁹ *Ibid.*

⁵⁰ იხ.: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საბჭოს გადანყვეტილება საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მშვიდობისმყოფელთა გამოგზავნის შესახებ, 1994 წლის 12 ოქტომბერი.

⁵¹ იხ.: ე. ასტემიროვა, *რუსეთის მშვიდობისმყოფელთა მიერ აფხაზეთში ჩადენილი დანაშაულები*, თბილისი, 1998.

⁵² იხ.: საქართველოს კრიზისი, საერთაშორისო დებატები, 2008 წლის სექტემბერი. ტომი 6, მე-6 ნაწილი. გვ. p1-25, 25p, 34209293.

⁵³ *Ibid.*

⁵⁴ *Ibid.*

⁵⁵ იხ.: Human Rights Watch report-ის ანგარიში „აღმა გახვეული: სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის სამოქალაქო მსხვერპლნი და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები“, 2009 წლის იანვარი, 1-56432-427-3.

- ⁵⁶ *Ibid.*
- ⁵⁷ იხ.: სქოლიო 47.
- ⁵⁸ იხ.: სქოლიო 47.
- ⁵⁹ იხ.: სამხედრო მოქმედებები კონგოს ტერიტორიაზე (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდის წინააღმდეგ), 2005 I.C.J. 116, 10 (19 დეკემბერი), <http://www.icjciij>.
- ⁶⁰ იხ.: სქოლიო 47.
- ⁶¹ *Ibid.*
- ⁶² იხ.: სქოლიო 17, ზემოთ.
- ⁶³ იხ.: სქოლიო 47.
- ⁶⁴ იხ.: Human Rights Watch report-ის ანგარიში „ალში გახვეული: სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის სამოქალაქო მსხვერპლნი და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები“, 2009 წლის იანვარი, 1-56432-427-3.
- ⁶⁵ იხ.: ევროპული კომისია „კანონი დემოკრატიისთვის“ მეშვიშობით (ვენეციის კომისია), დასკვნა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის თაობაზე, 38-ე პარაგრაფი. მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ, 78-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 13-14 მარტი, 2009).
- ⁶⁶ იხ.: „საქართველო: ექვსპუნტიანი გეგმა“, საფრანგეთის რესპუბლიკის საელჩო ვაშინგტონში, 14 აგვისტო, 2008. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://ambafranceus.org/spip.php?article1101> (ნანახია: 12 ნოემბერი, 2008).
- ⁶⁷ იხ.: სქოლიო 17.
- ⁶⁸ *Ibid*
- ⁶⁹ დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიურო, ადამიანის უფლებების ანგარიში. საქართველო, 2008: ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის პრაქტიკის შესახებ, 25 თებერვალი, 2009, <http://www.state.gov/g/drl/rls/hrrpt/2008/eur/119080.htm>.
- ⁷⁰ *Ibid.*
- ⁷¹ *Ibid.*
- ⁷² იხ.: სქოლიო 17.
- ⁷³ საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, 23 ოქტომბერი, 2008 431-II, www.parliament.ge
- ⁷⁴ იხ.: ევროპული კომისია „კანონი დემოკრატიისთვის“ მეშვიშობით (ვენეციის კომისია), დასკვნა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის თაობაზე, 38-ე პარაგრაფი. მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ, 78-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 13-14 მარტი, 2009).
- ⁷⁵ იხ.: ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, 1995 წლის 23 მარტი, გადაწყვეტილება საქმეზე: ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ, 62-ე პარაგრაფი; 2004 წლის 8 ივლისი, გადაწყვეტილება საქმეზე – ილაშკუ და სხვები რუსეთის ფედერაციისა და მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ, 382-385-ე პარაგრაფები. იხ., ასევე: ვენეციის კომისიის 2008 წლის ანგარიში შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის თაობაზე (CDL-AD (2008)004, 305-306-ე და 314-ე პარაგრაფები).
- ⁷⁶ განმარტებები გადაწყვეტილებაში საქმეზე – ილაშკუ და სხვები რუსეთის ფედერაციისა და მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ, 322-ე პარაგრაფი et seq. მოლდოვის პასუხისმგებლობის შესახებ.
- ⁷⁷ განსაკუთრებით: ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე – ილაშკუ და სხვები რუსეთის ფედერაციისა და მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ..
- ⁷⁸ იხ.: ევროპული კომისია „კანონი დემოკრატიისთვის“ მეშვიშობით (ვენეციის კომისია), დასკვნა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის თაობაზე, 38-ე პარაგრაფი. მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ, 78-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 13-14 მარტი, 2009).

SHORENA NIKOLEISHVILI

HUMAN RIGHTS SITUATION FOLLOWING THE WAR IN AUGUST 2008 AND VIOLATION OF GEORGIA'S SOVEREIGNTY BY THE RUSSIAN FEDERATION

1. INTRODUCTION

Georgia has encountered vast social, economic, and political problems since the collapse of the Soviet Union. The problem related to the territorial integrity of Georgia is of utmost significance, especially when two unresolved conflicts (in Abkhazia and South Ossetia) exist within the internationally recognized borders of Georgia. Despite the escalated situation in the territories of Abkhazia, Georgia and South Ossetia, these territories juridically are still considered integral parts of Georgia. It should be mentioned that the government of Georgia exercises only de jure control over the territories of Abkhazia, Georgia and South Ossetia. Legitimate governments of Abkhazia and South Ossetia are situated in Tbilisi and fail to fulfil obligations and liabilities imposed by the Constitution of Georgia.

მელეთო ტერიტორიასთან, ნათელია, მისი სტატუსის განსაზღვრა არ შეიძლება იყოს რომელიმე საერთაშორისო კონვენციის საგანი. თუმცა ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ სუვერენიტეტი არ არის აბსოლუტური პრინციპი, ანუ მისი განხორციელება შეზღუდულია საერთაშორისო სამართლით.

სუვერენიტეტთან დაკავშირებით არსებობს ორი ძირითადი სადავო საკითხი, რომლებიც შეეხება პორტებში შესვლის წესსა და უცხოეთის გემებზე იურისდიქციის საკითხს.

საერთო ნორმაა, რომ უცხოეთის გემებს არ აქვთ შიდა წყლებში ნაოსნობის უფლება.⁴³ უფრო სადავოა საკითხი პორტებში შესვლის შესახებ.

სწორედ ამ საკითხზე იქნება უფრო დეტალურად შეჩერებული ყურადღება ქვემოთ.

პორტები

პორტები საზღვაო და სახმელეთო ტერიტორიებს შორის უმნიშვნელოვანესი დამაკავშირებელი წერტილია. ისინი, როგორც აუცილებელნი საოკეანო კომერციისთვის და სახელმწიფოს შიდა ტერიტორიაზე პირდაპირი შეღწევის საშუალება, სანაპირო სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილებია და სანაპირო სახელმწიფოს აბსოლუტური სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფებიან.⁴⁴ ამდენად, პორტის სახელმწიფოს უფლებამოსილება, მიიღოს და აღასრულოს კანონები უცხოეთის გემების წინააღმდეგ, ძალიან ფართოა და მნიშვნელოვანწილად ეფუძნება საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებს.⁴⁵

ზემოხსენებული იურისდიქცია ყველაზე უფრო კარგად ჩანს პორტის სახელმწიფოს უფლებამოსილებაში: (1) დახუროს პორტები საერთაშორისო ნაოსნობისთვის და (2) დაადგინოს მასში შესვლის წესები⁴⁶. სახელმწიფო არა მარტო ადგენს თავის პორტებში შესვლის წესებს, არამედ იმასაც, თუ ნაპირიდან რა მანძილის დაშორებით შეუძლია მოსახოვოს მან გემს ამ პირობების დაკმაყოფილება.⁴⁷

რამდენადაც პორტი სანაპირო სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია და იქ ეს უკანასკნელი თავის სრულ იურისდიქციას ახორციელებს, პორტის სახელმწიფოს აქვს აბსოლუტური უფლება, სრულად დახუროს თავისი პორტ(ებ)ი უცხო სახელმწიფოების

გემების შესვლისთვის.⁴⁸ რადგან სახელმწიფოს უფლება, დახუროს ნაოსნობისთვის პორტი, მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი სასიცოცხლო ინტერესების დაცვასთან, – მაგალითად, სანაპირო სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ან გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება, – ძალიან ძნელი სამტკიცებელია, რომ ასეთი გადაწყვეტილება გაუმართლებელი და უსაფუძვლოა.⁴⁹

ნაოსნობისათვის დახურული პორტების საკითხის განხილვისას შეუძლებელია, არ წამოიჭრას კითხვა განსაცდელში მყოფი გემების შესახებ. ავტორების მტკიცებით, არსებობს პრინციპი, „ისევე ძველი, როგორც თავად საზღვაო სამართალი“, რომელიც ადგენს, რომ პორტები უნდა გაიხსნას დაუძლეველი ძალის გარემოებების დროს.⁵⁰ ეს წესი გამოიყენება მაშინ, როდესაც არსებობს გემის, ან მისი ეკიპაჟის, ან მისი ტვირთის დაკარგვის რეალური საფრთხე. თუმცა, თუ გემი განსაცდელში ჩავარდა გაუმართავობის გამო, ეს უკვე ნაკლებ სავარაუდოა, დაუძლეველი ძალის გარემოებად ჩაითვალოს.⁵¹ გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი ავტორის მტკიცებას, განსაკუთრებულ შემთხვევებში განსაცდელში მყოფ გემს უნდა მიეცეს პორტში შესვლის უფლება, უპირისპირდება პორტის სახელმწიფოს ინტერესები, დაიცვას და შეინარჩუნოს პორტში ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და მართლწესრიგი.⁵² თუ ცნობილია, რომ გემს საშიში ნივთიერებები გადააქვს, მაშინ, როგორც წესი, სახელმწიფოები თავს იკავებენ მისთვის უფლების მიცემისაგან, მოითხოვოს თავშესაფარი დაუძლეველი ძალის გარემოებების გამო, რათა თავიდან აიცილონ შესაძლო ეკოლოგიური საფრთხეები. თუმცა ასეთმა მიდგომამ რეალურად შეიძლება უფრო სერიოზული ზარალი გამოიწვიოს.⁵³

რაც შეეხება ჩვეულებრივ პირობებში ნაოსნობისათვის ღია პორტებში უცხო ქვეყნის გემების დაშვების საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც *Aramco*-ს 1958 წლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, „საერთაშორისო სამართლის თანახმად, ყოველი ქვეყნის პორტები უნდა იყოს ღია სხვა სახელმწიფოს გემებისათვის და მათი დახურვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას მოითხოვს პორტის სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესები.“⁵⁴

მიუხედავად ზემოხსენებულისა და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ იგულისხმება, სახელმწიფოთა საერთაშორისო პორტები ღია უნდა იყოს გემების საერთაშორისო მოძრაობისათვის, ამ წესს მაინც არ მოუპოვებია ჩვეულებითი სამართლის ნორმის სტატუსი. რასაც ბევრი მეცნიერიც იზიარებს.⁵⁵

შესაბამისად, სანაპირო სახელმწიფოს აქვს უფლება, გახსნას ან დახუროს საკუთარი პორტები, როდესაც სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესები, როგორებიცაა: მშვიდობა, უსაფრთხოება, მართლწესრიგი და საზოგადოებრივი ჯანდაცვა, დგება დღის წესრიგში. ეს მიდგომა მხარდაჭერილია სახელმწიფოთა პრაქტიკით, რომელზეც ქვემოთ იქნება საუბარი, ასევე ჟენევის 1923 წლის სტატუტში საზღვაო პორტების საერთაშორისო რეჟიმის შესახებ. ეს სტატუტი მიღებული იყო სანაოსნო ინდუსტრიის ლიბერალიზაციისა და საერთაშორისო ვაჭრობის ხელშესაწყობად. თუმცა დღეისათვის მხოლოდ 40 სახელმწიფოა მასში განევრინებული და ისეთი დიდი დროშის სახელმწიფოები, როგორებიცაა: ლიბერია, ბაჰამა, სამხრეთ კორეა, ჩინეთი, სიგნაპური, კანადა და აშშ, მისი რეჟიმის მიღმა დარჩენილი.⁵⁶ მიუხედავად ამისა, სტატუტმა მაინც შეასრულა თავისი როლი სახელმწიფოთა პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, რამდენადაც იგი ადგენს პორტების ხელმისაწვდომობისა და პორტებს შიგნით თანაბარი მოპყრობის წესს, ნაცვალგების საფუძველზე.⁵⁷ სტატუტმა, რა თქმა უნდა, ქვაკუთხედის როლი შეასრულა საერთაშორისო სანაოსნო ოპერაციების ლიბერალიზაციაში და ხელი შეუწყო პორტების ხელმისაწვდომობის უფლებაში დისკრიმინაციის აღმოფხვრას, მაგრამ მან ვერ შეძლო ჩამოეყალიბებინა პორტების ხელმისაწვდომობის თავისუფლება ვერც ჩვეულებითი სამართლის ნორმად, და ვერც ხელმომწერი მხარეებისათვის სავალდებულო ნორმად.⁵⁸ როგორც ზემოთ არის აღნიშნული, სახელმწიფოებს არათუ აქვთ უფლება, დაადგინონ პორტებში შესვლის წესები, არამედ შეუძლიათ, საერთოდ დახურონ პორტები საერთაშორისო ნაოსნობისთვის.

საერთაშორისო სასამართლომ *Nicaragua*-ს საქმეში კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შიდა წყლები მოქცეულია სანაპირო სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ და, შესაბამისად, ეს უკანასკნელი უფლებამოსილ-

ია, ამ სუვერენიტეტის ძალით მოაწესრიგოს თავის პორტებში შესვლის წესი.⁵⁹

პორტების ხელმისაწვდომობა ასევე შეიძლება გამომდინარეობდეს ორმხრივი ხელშეკრულებებიდან, სადაც მხარეები ნაცვალგების საფუძველზე აძლევენ ერთმანეთის გემებს საკუთარ პორტებში შესვლის უფლებას. საქართველოს ამდაგვარი ორმხრივი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ათზე მეტ სახელმწიფოსთან.⁶⁰ მაგალითად, ჩინეთ-გერმანიის 1995 წლის შეთანხმება საზღვაო ტრანსპორტზე ადგენს, რომ:

„თითოეული მხარის გემს უფლება აქვს, აწარმოოს ნაოსნობა ორივე მხარის საერთაშორისო ვაჭრობისათვის ღია პორტებს შორის, გადაზიდონ ტვირთი და გადაიყვანონ მგზავრები ორ მხარეს ან ერთ-ერთ მხარესა და მესამე სახელმწიფოებს შორის.“⁶¹ ანალოგიურად, გაერთიანებულ სამეფოსა და იაპონიას შორის 1962 წლის ხელშეკრულება ვაჭრობაზე, სანარმოებსა და ნაოსნობაზე ადგენს, რომ მხარეებს აქვთ ერთმანეთის საერთაშორისო ვაჭრობისათვის ღია ყველა პორტში შესვლის თავისუფლება.⁶² აღსანიშნავია, რომ ასეთი ორმხრივი ხელშეკრულებები მხოლოდ პორტებით არ შემოიფარგლება და ასევე ფარავს საერთაშორისო ვაჭრობისათვის ღია წყლებსა და ადგილებს.⁶³

რაც შეეხება გაეროს კონვენციას, როგორც სენატისადმი შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიმართვაშია აღნიშნული, კონვენცია არ ზღუდავს სანაპირო სახელმწიფოს უფლებას, გაამკაცროს ან შეზღუდოს თავის პორტებში შესვლა, შიდა წყლებში შესვლა ან ტრანზიტი. თუ უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი გემი აღმოჩენილ იქნება სანაპირო სახელმწიფოს შიდა წყლებში, ამ უკანასკნელის ნებართვის გარეშე, კონვენციით დაშვებულია ასეთი გემების წინააღმდეგ გონივრული აღმკვეთი ღონისძიებების განხორციელება.⁶⁴ ერთადერთი ვალდებულება, რომელიც ამ დროს სანაპირო სახელმწიფოს ეკისრება, არის ის, რომ სათანადო წესით გამოაქვეყნოს მის მიერ მიღებული მოთხოვნები პორტებში შესვლის თაობაზე.⁶⁵

გაეროს კონვენცია ასევე ადგენს ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოებისათვის ზღვის ხელმისაწვდომობის უფლებას და ტრანზიტის თავისუფლებას.⁶⁶ ამ დებულებაში იგულისხმება, რომ მათ აქვთ სხვა სახელმწიფოების პორტების ხელმი-

სანვდომობის უფლება, რადგან სხვაგვარად ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა განახორციელონ მათ ზღვაზე გასვლა და ტრანზიტის თავისუფლება. მაგრამ ეს მოთხოვნა ეხება არა ყველა პორტს, არამედ მხოლოდ სატრანზიტო და ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოებს შორის გამოსაყენებლად შეთანხმებულ პორტებს.⁶⁷ მართალია, პორტების ხელმისაწვდომობის საკითხი ნაცვალგების საფუძველზე დგება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გასაგები მიზეზების გამო, ეს პრინციპი არ მოქმედებს.

რაც შეეხება სახელმწიფოთა პრაქტიკას პორტების ხელმისაწვდომობის შესახებ, შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ უამრავ სახელმწიფოს შემუშავებული აქვს საკუთარი წესები, თუ როგორ შეუშვან უცხო ქვეყნის გემები საკუთარ პორტებში. მაგალითად, გერმანიაში, ჰამბურგის პორტში, გემის შესვლა დამოკიდებულია კომპეტენტური ორგანოების თანხმობაზე, თუ: გემს ემუქრება ჩაძირვის საფრთხე, გემი ან მისი ტვირთი ცეცხლის ალშია გახვეული, ან ამგვარი საფრთხის წინაშეა, გემიდან იღვრება ნავთი, ან გემი ექვემდებარება დასჯას ზღვაში ჩადენილი სამართალდარღვევის გამო.⁶⁸

ალასკის სანაპიროსთან 1989 წელს, ტანკერ "Exxon Valdez"-ის ჩაძირვის შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა 1990 წელს გამოსცა ნავთობის დაბინძურების აქტი (OPA 1990), რომლის თანახმად, ერთმაგვსკერიან ტანკერებს აეკრძალათ შეერთებული შტატების რომელიმე პორტში შესვლა.⁶⁹ ეს მოთხოვნა გემებიდან ზღვის დაბინძურების შესახებ 1973/78 კონვენციაზე (MARPOL 73/78) უფრო მკაცრ რეჟიმს ადგენდა.

ყოფილა შემთხვევები, როდესაც სანაოსნო მრეწველობა პოლიტიკური თამაშების მსხვერპლი გამხდარა. მაგალითად, 1986 წელს სირიამ გაერთიანებული სამეფოს მიერ დიპლომატიური ურთიერთობების ცალმხრივად შეწყვეტის საპასუხოდ ბრიტანულ გემს აუკრძალა მის პორტებში შესვლა.⁷⁰

თუმცა ჩამოყალიბებული პრაქტიკაა, რომ სახელმწიფო თავის პორტში შესულ გემებს ექცევა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.⁷¹ ეს მოიცავს როგორც დისკრიმინაციას დროის მიხედვით, ისე საზღვაო სახელმწიფო თუ ზღვაზე გასასვლელის არმქონე. თუმცა სანაპირო სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია, განაცხადოს უარი

ატომური გემის ან ისეთი გემის მიღებაზე, რომელსაც გადააქვს განსაკუთრებით საშიში ნივთიერებები.⁷²

თუმცა, დროის მიხედვით, პორტებში მოქმედებს ეროვნული და განსაკუთრებული, ხელსაყრელი რეჟიმი, ისევე როგორც ამ ორი რეჟიმის კომბინაცია.⁷³

საქართველოს პორტებში გემების შესვლის წესი

სახელმწიფო საზღვრის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სავაჭრო, სამხედრო და არასამხედრო გემები შედიან იმ პორტებში, რომლებიც ღიაა ნაოსნობისათვის,⁷⁴ შესაბამისად დადგენილი წესის თანახმად (პრეზიდენტის ბრძანებულებით). საქართველოს კანონმდებლობა⁷⁵ ერთმანეთისაგან განასხვავებს, ერთი მხრივ, არასამხედრო კომერციულ გემებს და, მეორე მხრივ: სამხედრო გემებს, სპეციალური დანიშნულების გემებს, რომლებიც ასრულებენ სახელმწიფოს დავალებას,⁷⁶ და ატომურ გემებს.

უცხო სახელმწიფოს სპეციალური დანიშნულების გემი, რომელიც სახელმწიფო დავალებას ასრულებს საქართველოს პორტებსა და შიდა წყლებში შემოსვლის ნებართვის მისაღებად, დიპლომატიური არხებით შუამდგომლობას აღძრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს წინაშე შემოსვლამდე არაუგვიანეს 14 დღისა. გადწყვეტილებას გემის შემოსვლის შესახებ უფლებამოსილი ორგანო გემთმფლობელს აცნობებს შემოსვლამდე არაუგვიანეს 7 დღისა. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება, თუ გემი ასრულებს სამაშველო ან ზღვის დაბინძურების სალიკვიდაციო სამუშაოებს.⁷⁷

სამხედრო და ატომური გემების საქართველოს პორტებში შესვლის განზრახვის შესახებ დიპლომატიური არხებით 1 თვით ადრე უნდა აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. უშიშროების საბჭო 1 კვირის ვადაში იხილავს წინადადებას და აძლევს რეკომენდაციებს პრეზიდენტს, რომელიც 2 კვირის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას.⁷⁸

რაც შეეხება კომერციული და სხვა არასამხედრო გემების შესვლის წესს საქართველოს პორტებში, ყველა შემოსული გემი

უნდა იმყოფებოდეს დროშის სახელმწიფოს მიერ აღიარებული საკლასიფიკაციო საზოგადოების ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.⁷⁹ სხვა რაიმე კონკრეტულ მოთხოვნას, რომელიც განსხვავებული იქნებოდა საერთაშორისო კონვენციებისაგან, საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს.

იურისდიქცია

იურისდიქცია უკავშირდება სახელმწიფოთა ზოგადი სამართლებრივი კომპეტენციის კონკრეტულ ასპექტებს. იურისდიქცია მჭიდროდ უკავშირდება სუვერენიტეტს,⁸⁰ სასამართლო, საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ კომპეტენციას. ერთმანეთისაგან განასხვავებენ საკანონმდებლო იურისდიქციასა (*legislative or prescriptive jurisdiction* – წესებისა და ნორმების დადგენის უფლებამოსილება) და აღმასრულებელ ანუ იძულებით იურისდიქციას (*enforcement or prerogative jurisdiction* – ამ წესებისა და ნორმების აღმასრულებელი ქმედებების განხორციელების უფლებამოსილება).⁸¹

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი წესით არსებობს იურისდიქციის ორი პრინციპი – ტერიტორიული და მოქალაქეობრივი,⁸² დღეისათვის სახელმწიფოთა პრაქტიკა წარმოაჩენს იურისდიქციის სხვა პრინციპებსაც, რომელთაგან რამდენიმეს შევხებით.

ტერიტორიული პრინციპი – იურისდიქცია საკუთარ ტერიტორიაზე

სახელმწიფო ახორციელებს იურისდიქციას თავისი ტერიტორიის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, ვის მიერ არის ჩადენილი ქმედება. სწორედ ტერიტორიული პრინციპის საფუძველზე ახორციელებს სახელმწიფო იურისდიქციას თავის პორტში შემოსულ უცხო ქვეყნის გემებზე.

მოქალაქეობრივი პრინციპი – იურისდიქცია საკუთარ მოქალაქეებზე საზღვარგარეთ

ეს პრინციპი ზოგადად აღიარებულია როგორც იურისდიქციის საფუძველი ექსტრატერიტორიულ აქტებზე.

იმის გამო, რომ შეიძლება წარმოიშვას ორმაგი იურისდიქციის განხორციელების საფრთხე ტერიტორიული და მოქალაქეო-

ბრივი პრინციპების გამოყენებისას, ასევე ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევაში, ბევრი ქვეყანა ადგენს შეზღუდვებს მოქალაქეობრივი პრინციპის გამოყენებაზე.

მოქალაქეობრივი პრინციპი საზღვაო სამართალში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროშის სახელმწიფოს იურისდიქციის ანალოგად. თუმცა, როგორც მეცნიერები სამართლიანად მიიჩნევენ, ეს ორი იურისდიქცია არ არის იდენტური – დროშის სახელმწიფოს იურისდიქცია თავისი ბუნებით უფრო *sui generis* არის.⁸³

დროშის სახელმწიფოს იურისდიქცია ყველგან ვრცელდება გემზე, რომელ ზონაშიც არ უნდა იმყოფებოდეს იგი. უფრო მეტიც, არის საკითხები, რომლებზეც მხოლოდ დროშის სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება.⁸⁴

თუმცა დროშის სახელმწიფოს იურისდიქციის მთავარი პრობლემა აღსრულებასთანაა დაკავშირებული. ხელსაყრელი დროშების შემოღებასთან⁸⁵ და მათ სულ უფრო მზარდ პოპულარობასთან ერთად, როდესაც მცირე ზომის, არცთუ ისე დიდი საზღვაო ტრადიციების მქონე, სახელმწიფოები⁸⁶, თავიანთი დროშის ქვეშ აერთიანებენ მსოფლიო სავაჭრო ფლოტის უმეტეს ნაწილს, ძალიან ძნელია რაიმე სახის იძულებასა და აღსრულებაზე საუბარი. ეს, ერთი მხრივ, შეუძლებელია ტექნიკურად და, მეორე მხრივ, გამკაცრებულმა წესებმა შეიძლება შეამციროს ასეთი დროშების პოპულარობა გემთმფლობელებს შორის, რასაც პირდაპირი ეკონომიკური შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ სახელმწიფოებისთვის. ამდენად, ტერიტორიული პრინციპი, ანუ პორტის სახელმწიფოს იურისდიქცია, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

თავდაცვითი ან უსაფრთხოების პრინციპი

სახელმწიფოები ითვალისწინებენ იურისდიქციას უცხოელებზე საზღვარგარეთ ჩადენილ აქტებზე, რომლებიც ხელყოფენ მათ უშიშროებას. ეს კონცეფცია მოიცავს პოლიტიკური დანაშაულების სიმრავლეს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ამით. მას მიეკუთვნება სავალუტო, სამედიცინო და ეკონომიკური დანაშაულები. სანამ ეს პრინციპი გამოიყენება კონკრეტული ინტერესების დასაცავად, ის გამართლებულია, მაგრამ

არსებობს იმის საფრთხეც, რომ თავდაცვის პრინციპის ფართო განმარტებამ, რაც დაფუძნებულია სახელმწიფოს „უსაფრთხოების“ ინტერესებზე, რომელიც თავისთავად ძალიან ფართო და მგრძობიარე საკითხია, უფლების ბოროტად გამოყენებისთვის დატოვოს ადგილი.

უნივერსალურობის პრინციპი

ეს პრინციპი აძლევს უფლებას სახელმწიფოს, განახორციელოს იურისდიქცია უცხოელებზე, როდესაც ჩადენილი ქმედება ხელყოფს საერთაშორისო წესრიგს. ასეთი დანაშაულების რიცხვს მიეკუთვნა მეკობრეობა⁸⁷, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა⁸⁸, მონებით ვაჭრობა⁸⁹ და ასევე, მსოფლიოში მიმდინარე უკანასკნელი მოვლენების ფონზე – ტერორიზმი.⁹⁰

აღმასრულებელი იურისდიქციის ექსტრატერიტორიული განხორციელების დროს ძირითადი პრინციპია ის, რომ არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე რაიმე ქმედების განხორციელება მისი პირდაპირი თანხმობის გარეშე. თუმცა ეკონომიკურ დანაშაულებთან დაკავშირებით სახელმწიფოთა პრაქტიკა უფრო წინააღმდეგობრივია.⁹¹

ასევე უნდა არსებობდეს სერიოზული და *bona fide* კავშირი მომხდარ მოვლენასა და იურისდიქციის წყაროს შორის.

იურისდიქცია გემებზე

როდესაც სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და იურისდიქციაზე ვსაუბრობთ შიდა წყლებში გემების მიმართ, აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რომელ გემზე ხორციელდება ეს იურისდიქცია. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდის არ ვრცელდება გემზე არცერთი სხვა სახელმწიფოს იურისდიქცია, გარდა მისი დროშის სახელმწიფოსი, რომელსაზღვაო ზონაშიც არ უნდა იმყოფებოდეს იგი.⁹²

გაეროს კონვენციის თანახმად, სამხედრო და სხვა სამთავრობო გემები, რომლებიც გამოიყენებიან არაკომერციული მიზნებისათვის, სარგებლობენ სრული იმუნიტეტით სანაპირო და პორტის სახელმწიფოს იურისდიქციისაგან.⁹³ თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ასეთმა გემებმა პატივი არ უნდა სცენ პორტის სახელმწიფოს კანონებსა და წესებს და არ უნდა შეასრულონ ისინი.⁹⁴ ასეთ

შემთხვევაში სანაპირო სახელმწიფო უფლებამოსილია და შემოიფარგლება იმით, რომ მოსთხოვოს დამრღვევ გემს, დაუყოვნებლივ დატოვოს მისი წყლები,⁹⁵ ხოლო შესაბამისი გემის დროშის სახელმწიფო პასუხისმგებელია მიყენებულ ზიანზე.⁹⁶

სამხედრო და სხვა სამთავრობო გემების იმუნიტეტის საკითხი ერთმნიშვნელოვანი არ ყოფილა და მისი სამართლის კრისტალიზებული ნორმის სახით ჩამოყალიბებას გარკვეული დრო დასჭირდა. თუ სამხედრო გემებთან დაკავშირებით საკითხი ყოველთვის მეტ-ნაკლებად განსაზღვრული იყო და კითხვის ნიშნებს იშვიათად აჩენდა, სხვა სამთავრობო გემების მიმართ პრობლემა იყო იმის დადგენა, ყველა ასეთ გემს ჰქონდა იმუნიტეტი, თუ მხოლოდ არაკომერციული მიზნებით გამოიყენებულ გემებს?

1873 წლის საქმეზე გემ *Charkiech*-ის შესახებ, რომელიც ეკუთვნოდა ეგვიპტის სუვერენს, იყო ეგვიპტის ნახევრადსუვერენული სახელმწიფო გემი და დაცურავდა ოსმალთა იმპერიის სამხედრო დროშის ქვეშ, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ *in rem* პროცესი გემის მესაკუთრის წინააღმდეგ შეიძლება განხორციელდეს იყო საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით, იმის მიუხედავად, რომ ქონების მესაკუთრე უცხო სახელმწიფოს სუვერენია და ასეთი სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს კიდევ *jus corone* ქონებიდან. რადგან, თუ სუვერენი აცნობიერებს ვაჭრობის ხასიათს და აგზავნის თავის კუთვნილ გემს სხვა ქვეყანაში სავაჭროდ, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ამგვარი ქმედებით უარს ამბობს ნებისმიერ პრივილეგიასა და იმუნიტეტზე, რაც სხვაგვარად შეიძლება ჰქონოდა ამ გემს, როგორც სუვერენის საკუთრებას. მოსამართლე სერ რობერტ ფილიმორმა განაცხადა, რომ არავის უარუყვია და ვერც უარყოფდა, რომ გემი გამოიყენებოდა ვაჭრობის მიზნებისათვის და, შესაბამისად, იგი მიეკუთვნებოდა სავაჭრო ფლოტს.⁹⁷

სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება კოდიფიცირებულ იქნა უკვე 1926 წელს, როდესაც მიიღეს ბრიუსელის კონვენცია „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გემების იმუნიტეტთან დაკავშირებული წესების უნიფიცირების შესახებ.“ ამ კონვენციამ დაადასტურა, რომ მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი არაკომერციული

მიზნებით გამოყენებული გემი შეიძლება იყოს იმუნიტეტის მატარებელი.⁹⁸

რაც შეეხება სავაჭრო ფლოტს, მათ მართ სანაპირო სახელმწიფო ახორციელებს იურისდიქციას, რომელიც არის საერთაშორისო ხელშეკრულებების საგანი. საერთაშორისო კონვენციები აღიარებს, რომ გემის უსაფრთხო ნაოსნობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა (გემის შემონახვა დიზაინის, აღჭურვილობისა და სხვ. მიზნებით) არის სანაპირო სახელმწიფოს განსაკუთრებული იურისდიქციის საგანი შიდა წყლებში,⁹⁹ სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის განხორციელება კი იწყება სახელმწიფოს მიერ კონკრეტული პირობების დადგომის შემდეგ, რაზეც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება საუბარი.

შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში ტერმინი „გემი“, თუ სანაპირო პირდაპირ არ იქნა მითითებული, ნიშნავს მხოლოდ კომერციული მიზნებისათვის გამოყენებულ მცურავ საშუალებას.

სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია შიდა წყლებში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შიდა წყლები სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილია და პორტებში შემოსულ გემებსა და მათ ეკიპაჟებზე, რომლებიც ნებაყოფლობით იმყოფება შესაბამის ზონაში, ვრცელდება სანაპირო სახელმწიფოს სრული იურისდიქცია,¹⁰⁰ თუ სხვაგვარად არ არის გადანყვეტილი პორტისა და დროშის სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო შეთანხმებით.

ამდენად, სანაპირო სახელმწიფოს არა მარტო შეუძლია, მიიღოს კანონები და წესები თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი გემებისათვის, არამედ მოითხოვოს მათი შესრულება და უზრუნველყოს კიდეც ეს.

ამასთან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გემზე ყოველთვის ვრცელდება დროშის სახელმწიფოს იურისდიქცია, რაც გარკვეულ ნორმათა კოლიზიას (ან იურისდიქციათა კონფლიქტს) იწვევს.

თუმცა სანაპირო სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია, შეზღუდოს თავისი იურისდიქციის გამოყენება კონკრეტული საკითხებით და დაუტოვოს ნაწილი დროშის სახელმწიფოს.¹⁰¹

როგორც სახელმწიფოთა პრაქტიკა აჩვენებს, ისინი უცხო ქვეყნის გემზე იურის-

დიქციას მხოლოდ იმ შემთხვევაში ახორციელებენ, თუ ქმედება საფრთხეს უქმნის მათ სასიცოცხლო ინტერესებს, მაგალითად: მშვიდობას, მართლწესრიგს, პორტებში სიმშვიდეს და ა.შ., თუმცა ყოველ სახელმწიფოს აქვს ინდივიდუალური მიდგომა – რა ითვლება მისთვის სასიცოცხლო ინტერესებად, და ეს მიდგომა არსებობს ორი სახით: ფრანგული და ანგლოამერიკული;¹⁰²

ანგლოამერიკული მიდგომა ჩამოყალიბდა გაერთიანებული სამეფოს პასუხებში ჰააგის 1929 წლის „კითხვარზე“ და ამერიკულ პრეცედენტებში, მაგალითად, საქმეში – *Cunard S.S.Co v. Mellon* (1923), რომელთა მიხედვით, შესაბამისი ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, ყოველი სახელმწიფო თავის იურისდიქციას ახორციელებს საკუთარ შიდა წყლებში. ინგლისური სასამართლოები სრულ იურისდიქციას აცხადებენ უცხო სახელმწიფოს გემების ეკიპაჟებზე დიდი ბრიტანეთის შიდა წყლებში. საქმის – *Regina v. Cunningham* – მიხედვით, სამი ამერიკელი მეზღვაური დაისაჯა გემის ბორტზე სხვა მეზღვაურზე თავდასხმისათვის. რადგან გემი ლუზაზე იდგა ინგლისის სანაპიროებთან, დანაშაული მიჩნეულ იქნა ინგლისის ტერიტორიაზე ჩადენილად.¹⁰³

ანალოგიურად, შესაბამისი ხელშეკრულების არარსებობისას აშშ-იც სრული იურისდიქციის პრინციპს ემხრობა შიდა წყლებში ჩადენილ დანაშაულებზე. ეს მიდგომა დაფიქსირდა *Wildenhus*-ის საქმეზე (1887), როცა ბელგიური გემის ეკიპაჟის ერთმა წევრმა მოკლა მეორე წევრი აშშ-ის ერთ-ერთ პორტში დგომის დროს.¹⁰⁴ ხოლო მექსიკამ იგივე წესი აამოქმედა საქმეში – *Public Minister v. Jensen* (1894), მიუხედავად იმისა, რომ გემის ჩაძირვას, რომელიც გამოწვეული იყო კაპიტნის წინდაუხედავობით, არ მოჰყოლია პორტში სიმშვიდის დარღვევა.¹⁰⁵

ფრანგული მიდგომა კი ჩამოყალიბდა ორ ამერიკულ გემთან – „*Sally*“-სა და „*Newton*“-თან მიმართებით. ეკიპაჟის წევრებს შორის გემზე მომხდარ ჩხუბის ფაქტზე საფრანგეთის სასამართლომ დაადგინა, რომ პორტში გემის ბორტზე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, როცა ის მხოლოდ გემის შიდა განაწესს არღვევს და ეხება გემსა და ეკიპაჟს, ადგილობრივი ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს, თუ ეს პირდაპირ გავლენას არ ახდენს პორტში წესრიგსა და უსაფრთხოებაზე და

თუ გემიდან არ მიიღებენ დახმარების თხოვნას.¹⁰⁶ ამ წესში გარკვეული შესწორება შევიდა ამერიკის გემ "Tempset"-თან დაკავშირებით, როდესაც კაპიტნის თანაშემწემ ჰავრის პორტში მოკლა ეკიპაჟის ერთი წევრი და ერთიც დაჭრა. ამ შემთხვევაში სასამართლომ განახორციელა იურისდიქცია, რადგან მომხდარმა ნაპირზე სიმშვიდე დაარღვია.¹⁰⁷

როგორც ზემოხსენებული მაგალითებიდან ჩანს, თუ ერთ შემთხვევაში სასამართლო გემზე მომხდარ მკვლელობას ამ უკანასკნელის შიდა საქმედ მიიჩნევს, სხვა შემთხვევაში ასე არ თვლის. ხოლო 1970-იანი წლებიდან დაწყებული, როდესაც განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო და ყოველდღიურად მკაცრდება გარემოს დაცვასთან,¹⁰⁸ უსაფრთხო ნაოსნობასა¹⁰⁹ და მეზღვაურთა სოციალურ სტანდარტებთან¹¹⁰ დაკავშირებული მოთხოვნები, სულ უფრო და უფრო ნაკლებია შემთხვევები, რაც გემის შიდა საქმედ შეიძლება ჩაითვალოს და, შესაბამისად, იზრდება პორტის სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის განხორციელების ფარგლები და მოცულობა. განსაკუთრებით, ეს ეხება გარემოს დაზიანების¹¹¹, უკანონო თევზჭერის¹¹², უკანონო მიგრაციის, კონტრაბანდის, ჯაშუშობისა და ტერორიზმის შემთხვევებს.¹¹³

საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს ტერიტორიაზე (მათ შორის შიდა წყლებში) ჩადენილ დანაშაულზე ვრცელდება საქართველოს სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია.¹¹⁴ თუმცა საზღვაო ნაოსნობის შესახებ ზემოხსენებულ ორმხრივ ხელშეკრულებებში აღნიშნულია, რომ საქართველოს სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია უცხო ქვეყნის გემებზე საქართველოს პორტებში ვრცელდება იმ შემთხვევაში: (1) თუ დანაშაულის შედეგები ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე; (2) საფრთხეს უქმნის ქვეყნის უშიშროებას; (3) ჩადენილია საქართველოს მოქალაქის მიერ ან მის წინააღმდეგ; (4) დაკავშირებულია ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან.¹¹⁵ იურისდიქციის განხორციელების მიზნით ჩატარებული პროცესუალური ნორმები სრულად უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს, გემის დროშის სახელმწიფოს დიპლომატიური ან საკონსულო აგენტის ინფორმირებით და/ან უშუალო მონაწილეობით.

დასკვნა

საბოლოოდ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შიდა წყლები, და მათ შორის პორტები, არის სანაპირო სახელმწიფოს სრული იურისდიქციის ქვეშ, რაც არცერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო სასამართლოს რომელიმე განწყვეტილებით სათუთ არ გამხდარა. სანაპირო სახელმწიფო არა მარტო ახორციელებს იურისდიქციას, არამედ ადგენს კიდევ ამ იურისდიქციის გავრცელების ფარგლებს, როცა საკუთარი შიდა წყლების სადელიმიტაციოდ საწყისი ხაზების სისტემას იყენებს. ეს იურისდიქცია მოიცავს სრულ და შეუზღუდავ საკანონმდებლო იურისდიქციას. რაც შეეხება აღმასრულებელ იურისდიქციას, მისი განხორციელება სანაპირო სახელმწიფოს პრაქტიკასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებულ ვალდებულებებზეა დამოკიდებული.

მიუხედავად მცდელობებისა, პორტებში თავისუფალი შესვლის წესი ვერ ჩამოყალიბდა ვერც ჩვეულებითი და ვერც სახელშეკრულებო სამართლის ნორმად. ეს ლოგიკურიცაა, ზემოთქმულიდან გამომდინარე.

ამდენად, მხოლოდ სანაპირო სახელმწიფოს ნებაზეა დამოკიდებული, განსაზღვროს, დაუშვებს თუ არა საკუთარ პორტებში საერთაშორისო ნაოსნობას, და თუ დაუშვებს, რა პირობებით. მას სრული უფლებამოსილება აქვს, აღკვეთოს გემის მოძრაობა თავის პორტსა და შიდა წყლებში, თუკი ეს უკანასკნელი ვერ პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან დაწყებული და 21-ე საუკუნეში კიდევ უფრო მზარდი საფრთხეების გათვალისწინებით, მაგალითად, როგორებიცაა: ეკოლოგიური უსაფრთხოება, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, საერთაშორისო ტერორიზმი, მოსახლეობის ჯანდაცვა, სულ უფრო იზრდება საკითხები დასფეროები, რომლებიც პორტის სახელმწიფოს იურისდიქციის საგანი ხდება და სულ უფრო მცირდება გემის ე.წ. „შიდა საქმეები“, რომლებიც დროშის სახელმწიფოს კანონმდებლობით უნდა მონესრიგდეს, მათ შორის უცხოეთის პორტებში ყოფნისას.

- ¹ Lindy S. Johnson, Coastal State Regulation of International Shipping, Ocean Publications Inc., 2004, გვ. 31.
- ² United Nations Convention on the Law of the Sea, Montego Bay, 10 December 1982 (UNCLOS), მე-3 მუხლი.
- ³ UNCLOS, 33.3 მუხლი.
- ⁴ UNCLOS 57-ე მუხლი.
- ⁵ UNCLOS, 76.1 მუხლი.
- ⁶ იხ. R.R. Churchill & A. V. Lowe 'The law of the sea'3rd edition, 1999, გვ. 31 და შემდგომ.
- ⁷ W. Michael Reisman & Gayl S. Westerman, *Straight Baselines in International Maritime Boundary Delimitation* 105 (1992); *Straight Baselines: The Need for a Universally Applied Norm*, J. Ashley Roach, Robert W. Smith, US Department of State, Washington, DC, USA, Ocean Developments & International law, 2000, Taylor & Francis; O'Connell & Shearer, *International law of the Sea*, Vol. II, Oxford University Press, USA, 1983; Haijiang Yang, *Jurisdiction of the Coastal State over Foreign Merchant Ships in Internal Waters and the Territorial Sea*, Hamburg Studies on Maritime Affairs, 2004; E.D. Brown, *The International Law of the Sea, Documents, Cases and Tables*, Vol. I, Dartmouth Publishing Company Limited, 1994; R.R. Churchill & A. V. Lowe 'The law of the sea'3rd edition, 1999.
- ⁸ იქვე.
- ⁹ UNCLOS, მე-7 მუხლი.
- ¹⁰ იქვე, მე-10 მუხლი.
- ¹¹ იქვე, მე-9 მუხლი.
- ¹² იქვე, მე-11 და მე-12 მუხლები.
- ¹³ იქვე, მე-13 მუხლი.
- ¹⁴ იქვე, მე-7 მუხლი.
- ¹⁵ იქვე, მე-6 მუხლი.
- ¹⁶ თარგმანი შესრულებულია ავტორის მიერ.
- ¹⁷ R.R. Churchill & A.V. Lowe 'The law of the sea'3rd edition გვ. 33.
- ¹⁸ ნორვეგიულად სიტყვა "skjaergaard" კლდოვან კედელს ნიშნავს.
- ¹⁹ Anglo-Norwegian Fisheries Case, 1951, ICJ Reports, გვ. 128.
- ²⁰ იქვე, გვ. 129.
- ²¹ მართალია, სასამართლოს არ ჩამოეთვლია ასეთი ქვეყნები, მაგრამ მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა: ეკვადორი, ეგვიპტე, ირანი, საუდის არაბეთი და იუგოსლავია. იხ. Whiteman, ტომი IV, გვ. 148, ციტირებული R.R. Churchill & A. V. Lowe 'The law of the sea'3rd edition, 1999, გვ. 34.
- ²² ICJ Reports, გვ. 131.
- ²³ Convention on the territorial Sea and Contiguous Zone, Geneva 1958, მუხლი 4. იხ. E.D. Brown, *The International Law of the Sea, Documents, Cases and Tables*, Vol. II, Dartmouth Publishing Company Limited, 1994.
- ²⁴ UNCLOS, მე-7 მუხლი, იქვე.
- ²⁵ UNCLOS, მე-7(3) მუხლი.
- ²⁶ UNCLOS, მე-7(3) მუხლი.
- ²⁷ UNCLOS, მე-7(5) მუხლი.
- ²⁸ UNCLOS, მე-7(4) მუხლი.
- ²⁹ UNCLOS, მე-7(6) მუხლი.
- ³⁰ იხ. R.R. Churchill & A. V. Lowe 'The law of the sea'3rd edition, 1999, გვ. 35.
- ³¹ შემდგომში – „სმ“. 1 საზღვაო მილი დაახლოებით 1857 მეტრს უდრის.
- ³² R.R. Churchill & A. V. Lowe 'The law of the sea'3rd edition, 1999, გვ. 39.
- ³³ იხ.: Office of Ocean Affairs, U.S. Department of State, *Limits in the Sea*, Nos. 14 (Burma), 33 (Philippines), 107. (USSR), 117 (China), 120 (Japan), 121 (South Korea).
- ³⁴ R.R. Churchill & A. V. Lowe 'The law of the sea'3rd edition, 1999, გვ. 39.
- ³⁵ იქვე.
- ³⁶ *Straight Baselines: The Need for a Universally Applied Norm*, J. Ashley Roach, Robert W. Smith, US Department of State, Washington, DC, USA, Ocean Developments & International law, 2000, Taylor & Francis, გვ. 48.

- ³⁷ იქვე, გვ. 49.
- ³⁸ W. Michael Reisman & Gayl S. Westerman, *Straight Baselines in International Maritime Boundary Delimitation* 105 (1992).
- ³⁹ UNCLOS, მე-14 მუხლი.
- ⁴⁰ Legal Division of the Oceans and Airspace, გვ. 1-4.
- ⁴¹ UNCLOS, 47-ე მუხლი.
- ⁴² აქ არსებობს ერთი გამონაკლისი, როდესაც სწორი საწყისი ხაზების გავლების შემდეგ საზღვაო სივრცის ის ნაწილი აღმოჩნდება შიდა წყლების ფარგლებში, რომელიც მანამდე მას არ ეკუთვნოდა, გემებს ადრინდებურად უნარჩუნდებათ ამ მონაკვეთზე მშვიდობიანი გავლის უფლება (UNCLOS, მე-8.2 მუხლი).
- ⁴³ UNCLOS, მე-8 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ შიდა წყლებში შეიძლება მოქმედებდეს მშვიდობიანი გავლის უფლება და ისიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში.
- ⁴⁴ Lindy S. Johnson, *Coastal State Regulation of International Shipping*, Ocean Publications Inc., 2004, გვ. 35.
- ⁴⁵ A.V. Low, *The Rights of Entry into Maritime Ports in International law*, 14 *San Diego Law Review* 597, 1977, გვ. 606-10.
- ⁴⁶ ამასთან, ეს უკანასკნელი არა მარტო პორტში შესვლის, არამედ იქიდან გამოსვლის წესებსაც გულისხმობს. მაგალითად, იხ. გაეროს კონვენციის 27-ე(2) და 28-ე(3) მუხლები, რომლებიც სანაპირო სახელმწიფოს ანიჭებს მოქმედების უფლებას მას შემდეგ, რაც გემი დატოვებს პორტს. საქართველოს საზღვაო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად: „ყოველი გემი, განურჩევლად დროშის სახელმწიფოსი და კუთვნილების ფორმისა, ვალდებულია, საზღვაო ნავსადგურიდან გემის გასვლამდე საზღვაო ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის სამსახურისაგან მიიღოს გასვლის წერილობითი თანხმობა.“ საქართველოს პორტებში გემების შესვლისა და გასვლის წესები დეტალურად განსაზღვრულია საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის 2009 წლის 15 ივნისის 75 ბრძანებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით: „ნავსადგურის წესები“. მაგალითად, ამ რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, სარენ გემს, რომელსაც არ გააჩნია თევზჭერის ლიცენზია, ზღვაში გასვლის წერილობითი თანხმობა ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გემზე არსებული სარენი იარაღი არ არის თევზჭერისთვის მზა მდგომარეობაში.
- ⁴⁷ Lindy S. Johnson, *Coastal State Regulation of International Shipping*, Ocean Publications Inc., 2004, გვ. 36. ასევე მაგალითად, იხ. Federal Law No. 19 of 1993 of the delimitation of the maritime zones of the United Arab Emirates, 17 October 1993. მე-3 მუხლი ადგენს, რომ „სახელმწიფომ უნდა დაადგინოს თავის შიდა წყლებში შესვლის პირობები და უნდა აღასრულოს ეს პირობები ნებისმიერი გემის მიმართ, რომელსაც განზრახული აქვს შესვლა“. თარგმანი შესრულებულია ავტორის მიერ. *National Legislation – DOALOS/OLA-United Nations*.
- ⁴⁸ მაგალითად, საქართველომ ეს უფლება გამოიყენა სოხუმის პორტის მიმართ. იხ. საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის 140 ბრძანებულება „აფხაზეთის (საქართველო) ტერიტორიის ფარგლებში რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე, სოხუმის საზღვაო ნავსადგურში პორტ-პუნქტებსა და საზღვაო აკვატორიაში სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 3 აგვისტოს 313 ბრძანებულება „საქართველოს საზღვაო სივრცის აფხაზეთის საზღვაო რაიონში საქართველოს უფლებების, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და უშიშროების დაცვის შესახებ“, რომელთა თანახმადაც, საქართველოს ტერიტორიული ზღვისა და შიდა წყლების აფხაზეთის მონაკვეთსა და სოხუმის პორტში ნაოსნობა აკრძალულია. სოხუმის პორტი დახურულია ნებისმიერი გემისთვის, გარდა ჰუმანიტარული ტვირთების შემომატანი გემებისა.
- ⁴⁹ R.R. Churchill & A. V. Lowe *'The law of the sea'* 3rd edition, 1999, გვ. 62.
- ⁵⁰ O'Connell & Shearer, *International law of the Sea*, Oxford University Press, USA, 1983, II ტომი, გვ. 853 და შემდგომ, *The Eleanor case (1809)*, Edwards 135. ამ საქმეში ლორდ სტოველმა დაადგინა, რომ „რეალური და თავიდან აუცილებელი განსაცდელი უნდა იყოს ნებისმიერ დროს საკმარისი პასპორტი ადამიანებისთვის ჰუმანური კანონების ნებისმიერი ასეთი გამოყენებისას“. ციტირებულია:

- Colombos, *The International Law of the Sea* (1967), გვ. 177. , Haijiang Yang, *Jurisdiction of the Coastal State over Foreign Merchant Ships in Internal Waters and the Territorial Sea*, *Hamburg Studies on Maritime Affairs*, 2004, გვ. 64.
- ⁵¹ D.J.Devine, *Ships in Distress – a judicial contribution from the South Atlantic*, 20 *marine Policy* 229, 234 (1996), ციტირებული: Lindy S. Johnson, *Coastal State Regulation of International Shipping*, *Ocean Publications Inc.*, 2004, გვ. 37.
- ⁵² Kari Hapaka, *marine Pollution in International law* 163 (1981).
- ⁵³ 2002 წლის 13 ნოემბერს ესპანეთის ხელისუფლებამ უარი განუცხადა პორტში შეშვებაზე ბაჰამის დროშის ქვეშ მცურავ ტანკერ “Prestige”-ს, რასაც, საბოლოოდ, ესპანეთის სანაპიროდან 133 სმ-ის დაშორებით ამ ტანკერის ჩაძირვა და საშინელი ეკოლოგიური და ეკონომიკური შედეგები მოჰყვა. გადარჩენის სამუშაოები ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური იყო. გალიციის სანაპიროდან 555 კმ-ის რადიუსით დიდი ხნის განმავლობაში თევზჭერა აიკრძალა. *Oil tanker sinks off Spanish coast*, guardian.co.uk, Tuesday 19 November 2002 18.39 GMT; IMO Maritime Knowledge Centre, *Information Resources on the “Prestige”* (last update: 28 January 2010), at [http://www.imo.org/includes/blastDataOnly.asp?data_id%3D27510/Prestige_28January2010 .pdf](http://www.imo.org/includes/blastDataOnly.asp?data_id%3D27510/Prestige_28January2010.pdf). უკანასკნელი ვიზიტი 2010 წლის 26 თებერვალს.
- ⁵⁴ *Saudi Arabia v. Aramco*, *Arbitral Tribunal*, 23 August 1958 [1963] 27 ILR 212, ციტირებული: R.R. Churchill & A. V. Lowe ‘*The law of the sea*’ 3rd edition, 1999, გვ. 61. თარგმანი შესრულებულია ავტორის მიერ.
- ⁵⁵ O’Connell & Shearer, *International law of the Sea*, Oxford University Press, USA, 1983, ტომი II, გვ. 848; R.R. R.R. Churchill & A. V. Lowe ‘*The law of the sea*’ 3rd edition, 1999, გვ. 61 და შემდგომ.
- ⁵⁶ Haijiang Yang, *Jurisdiction of the Coastal State over Foreign Merchant Ships in Internal Waters and the Territorial Sea*, *Hamburg Studies on Maritime Affairs*, 2004, გვ. 53.
- ⁵⁷ 1923 Geneva Statute on the International Regime of Maritime Ports, მუხლი 2, იხ. E.D. Brown, *The International Law of the Sea, Documents, Cases and Tables*, Vol. II, Dartmouth Publishing Company Limited, 1994
- ⁵⁸ Haijiang Yang, *Jurisdiction of the Coastal State over Foreign Merchant Ships in Internal Waters and the Territorial Sea*, *Hamburg Studies on Maritime Affairs*, 2004, გვ. 56.
- ⁵⁹ ICJ Reports [1986], გვ. 111. ეს მიდგომა სასამართლომ გაიმეორა *Land, Island and maritime Frontier Dispute* 1992, ICJ Reports [1992], 351-ე პუნქტი.
- ⁶⁰ მაგ.: 1997 წლის 10 აპრილის შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სავაჭრო ნაოსნობის შესახებ; 1996 წლის 26 მარტის შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუმინეთის მთავრობას შორის სავაჭრო ნაოსნობის შესახებ; 1996 წლის 19 მარტის საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის სავაჭრო ნაოსნობის შესახებ; 1996 წლის 8 მარტის საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სავაჭრო ნაოსნობის შესახებ; 1993 წლის 25 ივნისის საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის სავაჭრო ნაოსნობის შესახებ; 1993 წლის 3 ივნისის საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის სავაჭრო ნაოსნობის შესახებ; 1993 წლის 13 აპრილის შეთანხმება საქართველოსა და უკრაინის მთავრობებს შორის სავაჭრო ნაოსნობის შესახებ და სხვ.
- ⁶¹ შეთანხმების მე-2 მუხლი, ციტირებული Haijiang Yang, *Jurisdiction of the Coastal State over Foreign Merchant Ships in Internal Waters and the Territorial Sea*, *Hamburg Studies on Maritime Affairs*, 2004, გვ. 56. თარგმანი ინგლისურიდან შესრულებულია ავტორის მიერ.
- ⁶² მე-20(1) მუხლი, ციტირებული: E.D. Brown, *The International Law of the Sea, Documents, Cases and Tables*, Vol. I, გვ. 39. Dartmouth Publishing Company Limited, 1994.
- ⁶³ იხ. 58-ე-მე-60 მითითებები.
- ⁶⁴ Message from The President of the United States transmitting United Nation Convention on the law of the Sea, with Annexes, Done at Montego Bay, December 10, 1982 (The “Convention”) and the Agreement Relating to The Implementation of Part XI of The United Nations Convention of The Law of the Sea of 10 December,

- 1982, With Annexes, Adopted at New York, July 28, 1994 (The "Agreement"), and signed by the United States, Subject to ratification, on July 29, 1994; 103 D Congress 2d Session, October 7, 1994, Treaty Doc. 103-39, U.S. Government Printing Office, Washington: 1994, გვ. 14.
- ⁶⁵ UNCLOS, 211-ე (3) მუხლი,
- ⁶⁶ UNCLOS, X ნაწილი.
- ⁶⁷ UNCLOS, 125-ე (2) მუხლი.
- ⁶⁸ Haijiang Yang, Jurisdiction of the Coastal State over Foreign Merchant Ships in Internal Waters and the Territorial Sea, Hamburg Studies on Maritime Affairs, 2004, გვ. 61.
- ⁶⁹ Lindy S. Johnson, Coastal State Regulation of International Shipping, Ocean Publications Inc., 2004, გვ. 54.
- ⁷⁰ Haijiang Yang, Jurisdiction of the Coastal State over Foreign Merchant Ships in Internal Waters and the Territorial Sea, Hamburg Studies on Maritime Affairs, 2004, გვ. 63.
- ⁷¹ O'Connell & Shearer, International law of the Sea, Oxford University Press, USA, 1983, II ტომი, გვ. 849.
- ⁷² Haijiang Yang, Jurisdiction of the Coastal State over Foreign Merchant Ships in Internal Waters and the Territorial Sea, Hamburg Studies on Maritime Affairs, 2004, გვ. 86.
- ⁷³ Haijiang Yang, Jurisdiction of the Coastal State over Foreign Merchant Ships in Internal Waters and the Territorial Sea, Hamburg Studies on Maritime Affairs, 2004, გვ. 98.
- ⁷⁴ საქართველოში ნაოსნობისთვის ღია პორტების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონის მე-18(2) მუხლის თანახმად. ასეთი დღეისათვის არის: ფოთი, ბათუმი, სუფსა, ყულევი. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 მაისის 344 ბრძანებულება სუფსის საზღვაო ნავსადგურის შექმნისა და საქართველოში უცხოეთის გემებისთვის ღია ნავსადგურების ნუსხის დამტკიცების შესახებ (კოდიფიცირებული).
- ⁷⁵ საზღვაო სივრცის შესახებ კანონი და სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონი.
- ⁷⁶ აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საზღვრის დაცვის შესახებ კანონის მე-2 მუხლის (ო) პუნქტში ეს უკანასკნელი განმარტებულია როგორც: „ნებისმიერი სანაოსნო საშუალება, რომელიც გამოიყენება სამეცნიერო-კვლევითი ან სხვა არასამეწარმეო საქმიანობისთვის.“ სავარაუდოდ, კანონმდებელი გულისხმობს გემებს, რომლებიც, გაეროს კონვენციით (31-ე და 32-ე მუხლები) მოხსენიებულია როგორც „სხვა სამათავრობო გემები, გამოყენებული არაკომერციული მიზნებისათვის“ (ინგლისურად: *other government ships operated for non-commercial purposes*), მიუხედავად იმისა, რომ კანონში მოცემული ტერმინი არ არის ინგლისური შესატყვისის იდენტური და არ იძლევა ასეთი ტიპის გემების ამომწურავ დახასიათებას. საზღვრის დაცვის შესახებ კანონში ანალოგიური გემები მოხსენიებულია „სახელმწიფო ან სპეციალური დანიშნულების გემებად, რომლებიც გამოიყენებიან არაკომერციული მიზნით“, რაც უფრო ახლოს არის შინაარსობრივად გაეროს კონვენციაში გამოყენებულ ტერმინთან. თუმცა აღნიშნული პრობლემის დეტალური განხილვა წინამდებარე ნაშრომის საგანი არ არის.
- ⁷⁷ სახელმწიფო საზღვრის დაცვის შესახებ კანონის მე-18(3) მუხლი.
- ⁷⁸ იქვე, მე-18(4) და მე-18(5) მუხლები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საზღვაო სივრცის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წინასწარი ნებართვა არ არის საჭირო, თუ გემზე ასეთი ოფიციალური ვიზიტის დროს იმყოფება სახელმწიფოს მეთაური, მხოლოდ 5 დღით ადრე ხდება შეტყობინება და თუ გემი განსაცდელში იმყოფება.
- ⁷⁹ საქართველოს საზღვაო კოდექსის მე-10 მუხლი.
- ⁸⁰ ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2006, გვ. 285 და შემდგომ.
- ⁸¹ Haijiang Yang, Jurisdiction of the Coastal State over Foreign Merchant Ships in Internal Waters and the Territorial Sea, Hamburg Studies on Maritime Affairs, 2004, გვ. 61 და შემდგომ.
- ⁸² იხ. ევროპული სასამართლოს მოხსენება *Woodpulp Cases* (ხე-ტყის (ცელულოზის) საქმეებზე), სადაც ნათქვამია, რომ „საერთაშორისო სამართალში არ-

- სებობს იურისდიქციის მხოლოდ ორი პრინციპი – მოქალაქეობრივი და ტერიტორიული.“ Alison Jones, Brenda Sufirin, *EC Competition Law: Text, Cases and Materials* გვ. 1374 <http://books.google.com/books>
- ⁸³ Haijiang Yang, *Jurisdiction of the Coastal State over Foreign Merchant Ships in Internal Waters and the Territorial Sea*, Hamburg Studies on Maritime Affairs, 2004, გვ. 61 და შემდგომ.
- ⁸⁴ მაგალითად, გემის შიდაგანაწესი, დისციპლინური წესები და ა.შ.
- ⁸⁵ ე.წ. FOC – Flag of Convenience – ეს ტერმინი გამოიყენება ღია რეგისტრის დროშების აღსანიშნავად.
- ⁸⁶ პანამა და ლიბერია ლიდერები არიან ტონაჟის მიხედვით, ასევე ძალიან პოპულარულია მარშალის კუნძულები, ბაჰამის, სეიშელის დროშები. *Lloyds' Report* 2002.
- ⁸⁷ UNCLOS, მე-100 მუხლი.
- ⁸⁸ UNCLOS 108-ე მუხლი.
- ⁸⁹ UNCLOS 99-ე მუხლი.
- ⁹⁰ Haijiang Yang, *Jurisdiction of the Coastal State over Foreign Merchant Ships in Internal Waters and the Territorial Sea*, Hamburg Studies on Maritime Affairs, 2004, გვ. 34.
- ⁹¹ მაგ., აშშ-ის საზღვაო კოდექსის ბონერის დამატება.
- ⁹² მაგ., იხ. საქართველოს საზღვაო კოდექსის მე-3 მუხლი, რომელიც პირდაპირ აცხადებს, რომ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება სამხედრო გემებზე.
- ⁹³ UNCLOS, 32-ე და 96-ე მუხლები.
- ⁹⁴ იქვე, 30-ე მუხლი.
- ⁹⁵ იქვე.
- ⁹⁶ იქვე, 31-ე მუხლი.
- ⁹⁷ იხ.: Simmonds, *the cases on the law of the sea*, ტომი II, გვ. 56 და შემდგომ.
- ⁹⁸ International Convention for the Unification of Certain Rules Concerning The Immunity of State-Owned Ships, Brussels, Aprils 10th, 1926. მე-3.1 მუხლი. www.imli.org/legal_docs/docs/A13.DOC. უკანასკნელი ვიზიტი განხორციელდა 2010 წლის 27 თებერვალს.
- ⁹⁹ UNCLOS, MARPOL, etc.
- ¹⁰⁰ R.R. Churchill & A. V. Lowe 'The law of the sea'3rd edition, 1999, გვ. 65.
- ¹⁰¹ Haijiang Yang, *Jurisdiction of the Coastal State over Foreign Merchant Ships in Internal Waters and the Territorial Sea*, Hamburg Studies on Maritime Affairs, 2004, გვ. 85.
- ¹⁰² R.R. Churchill & A. V. Lowe 'The law of the sea'3rd edition, 1999, გვ. 66 და შემდგომ.
- ¹⁰³ იქვე.
- ¹⁰⁴ იქვე.
- ¹⁰⁵ იქვე.
- ¹⁰⁶ R.-J. Dupuy, D. Vignes, *A Handbook on the New law of the Sea* (Dordrecht, Nijhoff), 1991, გვ. 247 და შემდგომ.
- ¹⁰⁷ იქვე.
- ¹⁰⁸ MARPOL, 73/78.
- ¹⁰⁹ SOLAS, OPA, 1990 და ა.შ.
- ¹¹⁰ SOLAS, STCW, 1978, ILO 147.
- ¹¹¹ არის ქვეყნები, სადაც გარემოს დაბინძურება სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულადაა გამოცხადებული. მაგ.: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლი), ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლი), საქართველო (სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლი).
- ¹¹² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-300 მუხლი.
- ¹¹³ Haijiang Yang, *Jurisdiction of the Coastal State over Foreign Merchant Ships in Internal Waters and the Territorial Sea*, Hamburg Studies on Maritime Affairs, 2004, გვ. 95.
- ¹¹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლი.
- ¹¹⁵ მაგ.: საბერძნეთთან სავაჭრო ნაოსნობის შესახებ შეთანხმების მე-16 მუხლი, აზერბაიჯანსა და რუმინეთთან სავაჭრო ნაოსნობის შესახებ შეთანხმების მე-11 მუხლი, ჩინეთთან სავაჭრო ნაოსნობის შესახებ შეთანხმების მე-14 მუხლი.

MARITIME INTERNAL WATERS: DELIMITATION, LEGAL STATUS AND JURISDICTION

I. INTRODUCTION

The aim of this research is to give an overview of the legal regime of internal waters and ports; namely their status, rules, and regulations concerning the entry of ships flying the flags of other states therein, and the jurisdiction of criminal law exercised by the coastal states over such vessels.

The research is based upon the 1982 United Nation's Convention on the Law of the Sea (herein referred to as the UN Convention), other multilateral conventions, regional and bilateral agreements, practice of states and the ICJ, and, of course, the works of highly qualified publicists.

First, the definitions of the basic legal terms are discussed briefly.

II. DEFINITIONS OF BASIC LEGAL TERMS

A. BASELINES

As this article aims to discuss coastal state jurisdiction over its internal waters and ports, it is necessary to review the status of internal waters and their delimitation. Whereas the coastal states jurisdiction over internal waters and territorial sea differs significantly,¹ it is vital to indicate a clear boundary between these maritime zones. Baselines separate internal waters from the territorial sea; furthermore, baselines are used to measure the breadth of the territorial sea,² the internal contiguous zone,³ the Exclusive Economic Zone⁴ and the continental shelf.⁵

Traditionally, the status of baselines was regarded as the foundation for forming the legal status of a territorial sea.⁶ This approach was reasonable when a territorial sea was the only maritime zone subject to the coastal state's ju-

risdiction. With the changes to the law of the sea and re-distribution of the world's oceans, the importance of baselines increased, and scientists now deal with its legal status independently.⁷ However, baselines are referred to in Section 2 of Part II dealing with the breadth of a territorial sea.

Baselines were first discussed at the 1930 Hague Conference. Notwithstanding the failure to adopt a unified legal document during the Conference, the norms developed therein were reflected in the 1958 Geneva Convention on Territorial Sea and Contiguous Zone (herein referred to as the Geneva Convention).⁸

Historically, baselines were highly dependent upon the sea tide. If a state's coastline were always smooth, drawing baselines would not have been so difficult and would have been more easily regulated: that is, states would have measured the most extreme points of high and low water marks. However, the reality is different and, in the majority of cases, coastlines are curved, or surrounded by islands, bays, or water mouths. This reality was taken into account very precisely while drafting the UN Convention which refers to geographical peculiarities such as deeply indented and cut into coastlines, fringes of islands along the coast in its immediate vicinity,⁹ bays,¹⁰ mouths of rivers,¹¹ ports and roadsteads,¹² low tide elevations,¹³ islands,¹⁴ and reefs.¹⁵

The difficult topography of coastlines was the reason for establishing two types of baselines: straight and normal.

Normal Baselines

Under Article 3 of 1958 Geneva Convention on Territorial Sea and Contiguous Zone, and under Article 5 of the Law of the Sea Con-

vention, the normal baseline for measuring the breadth of the territorial sea is the low-water line along the coast as marked on large-scale charts officially recognized by the coastal state.

The states that are willing to subject as much water space as possible to their jurisdiction decided to chose low tide elevations as the starting point for measuring the breadth of a territorial sea and other maritime zones; this approach is especially effective in cases of states with intensive tides.¹⁶

Straight Baselines

Norway, having very difficult coastline relief, developed the concept of straight baselines in the second half of the 19th century. Norway's coastline is very irregular and is carved by bays, islands, ports, reefs, and rocks. Norway used several straight lines to delimit the territorial sea. These straight lines were drawn on the low tide elevations of skjaergaard.¹⁷ Since the 1930s, England had been protesting this method used by Norway, and submitted the case to the International Court of Justice (ICJ) in 1949. The United Kingdom claimed that drawing straight baselines conflicted with international law.¹⁸ In its decision, the ICJ stated that the method used by Norway for drawing straight baselines does not conflict with international law standards.¹⁹

The ICJ stated that other states also employed straight lines²⁰ and no states, including the UK, protested against this method; the method was used for the first time in 1869 by Norway, and only in 1933 did the UK raise its protest against the method.²¹

Having recognized the straight baselines as permitted under international law, the ICJ also established rules, obligatory for states, for drawing straight baselines. These rules were codified initially in the Geneva Convention²² and later in the UN Convention.²³ They indicate that straight baselines have to be drawn in accordance with following rules: (1) straight baselines must not depart to any appreciable extent from the general direction of the coast;²⁴ (2) sea areas lying within the lines must be sufficiently closely linked to the land domain;²⁵ (3) account may be taken of economic interests peculiar to the region concerned, the re-

ality and the importance of which are clearly evidenced by long usage;²⁶ (4) straight baselines shall not be drawn to and from low-tide elevations, unless lighthouses or similar installations which are permanently above sea level have been built on them, or except in instances where the drawing of baselines to and from such elevations has received general international recognition;²⁷ and (5) the system of straight baselines may not be applied by a state in such a manner as to cut off the territorial sea of another state from the high seas or an Exclusive Economic Zone.²⁸

The provisions of the UN Convention on straight baselines do not create an obligation for states to employ straight baselines. Despite the existence of all geographical requirements for drawing straight baselines, the coastal state has discretion to choose which method to employ (for example, the U.S. did not use straight baselines along the Alaskan coastline, though relief of the coast there would have justified using this method²⁹).

It is apparent from the divergent views about the scope of the MSR regime as embodied in UNCLOS, that the cause of disagreement is the 'definition' of MSR. It is to be noted that the definition of a contentious issue is the firm starting point for initiating a debate on its scope. UNCLOS does not elaborate on the definition of MSR. This provides many op-

portunities for the disputant states, China and the U.S. in this case, to put forth their own perspective on the rights and obligations of the state parties to UNCLOS, underpinned with their own interests. Further, it encourages the transformation of a legal matter into a political issue, as in the case between China and the U.S. This may set a trend and become a precedent for other nation states to undermine the authority of UNCLOS as a comprehensive regime to deal with all issues pertaining to ocean governance. The *Impeccable* incident, thus, underscores the need to negotiate a *sui generis* MSR regime in consonance with the spirit of UNCLOS, to regulate scientific research in the EEZ of a coastal state.

V. CONCLUSION

The present analysis of the *Impeccable* incident highlights the extent of the U.S.-China conflict of interest in the South China Sea, due to the ambiguities inherent in the 1982 UNCLOS. UNCLOS establishes a comprehensive legal order for the world's oceans and seas, embodying the rights and duties of states in various ocean zones and covering all ocean-related activities including Marine Scientific Research (MSR). It exemplifies the codification the maritime practices of the states. The essence of this legal order is that all rights claimed by the states must be subject to the fulfilment of their concomitant obligations as provided in UNCLOS. It embodies the rights and obligations of states over the maritime domain.

UNCLOS establishes jurisdiction, rights, and obligations of states with respect to MSR. It is apparent that the MSR regime as embodied in UNCLOS is susceptible to various interpretations by states to suit their interests and concerns. The ambiguities in certain key areas of MSR, that is to say, the definition and scope of MSR in the EEZ of a coastal state, provide ample latitude for states to indulge in infringement and brinkmanship, as evidenced in the recent *Impeccable* incident.

The *Impeccable* incident has the potential to disturb the delicate balance of rights and obligations of coastal states and maritime states embedded in UNCLOS. Moreover, it has far-reaching implications for inter-state coopera-

tion for addressing various international concerns in other areas as well, including MSR. It is, thus, apparent that there is a need to review the MSR regime in light of new developments in MSR. The advent and use of high technology in MSR, which was not foreseen when UNCLOS was brought into effect, presents a challenge in designing a comprehensive regulatory regime that would be relevant and acceptable in the current day and age. While science and technology evolve very quickly, legal regimes tend to lag behind due to complexities inherent in inter-governmental negotiation processes, which require building a consensus on the issue. This gap is particularly evident in MSR in the EEZ of a coastal state.

Finally, it may be concluded that the *Impeccable* incident underscores the prob-

lems encountered in the implementation of the MSR regime established by UNCLOS, as well as the lack of consensus among states over the MSR regime in practice. Indeed, it creates an opportunity for growth of a new irritant in international relations of the maritime domain. Therefore, there is a need to clarify the ambiguities in the legal regime for MSR, with the view to avoid situations like the *Impeccable* incident in future. Hence, it is suggested that the United Nations Open-ended Informal Consultative Process on Oceans and the Law of the Sea (the Consultative Process) should clarify the contentious issues related to Marine Scientific Research. It is also suggested that the matter be considered by the Meeting of Parties to UNCLOS, to build a consensus on a comprehensive regulatory regime for MSR.

* Associate Fellow, National Maritime Foundation, New Delhi, India and Visiting Faculty, Indian Society of International Law, New Delhi. Currently, Nippon Fellow, International Tribunal for the Law of the Sea, Hamburg, Germany. E-mail: agarwalnet@gmail.com.

¹ For an overview of the *Impeccable* incident, see Kamlesh Kumar Agnihotri, *Chinese Snort in 'The Year Of The Ox' - Is U.S. Worried?*, 23 April, 2009, pp. 1, 6, www.maritimeindia.org-commentaries.

² There is considerable ambiguity about the exact position of the incident, as the co-ordinates of the ship could not be ascertained despite best efforts. However, it was definitely not at the high seas, being only 75 nautical miles from the recognized Chinese territory of Hainan.

³ See J.A. Roach, "Marine Scientific Research and the New Law of the Sea", *Ocean Development and International Law*, Vol. 27 (1996): 60.

⁴ See UN, *United Nations Convention on the Law of the Sea, United Nations Treaty Series (UNTS)*, vol. 1833, p. 3; adopted in Montego Bay, 10 December 1982; Entry into force: 16 November, 1994; Status: 158 state parties.

⁵ Since the Convention does not offer solutions to all traditional and future problems of the seas and oceans, it established United Nations Open-ended Informal Consultative Process on Oceans and the Law of the Sea (UNICPOLOS) to support this process.

⁶ These zones have to be measured from baselines, which are normally the low-tide water mark along the coast (normal baselines) or archipelagic baselines defined by reference to lists of geographical coordinates of points. Waters on the landward side of the baseline are internal waters of the state or, in the case of archipelagic baselines, archipelagic waters.

⁷ See UN, *United Nations Convention on the Law of the Sea, United Nations Treaty Series (UNTS)*, vol. 1833, p. 3; adopted in Montego Bay, 10 December 1982; Entry into force: 16 November, 1994; Status: 158 state parties. Since the Convention does not offer solutions to all traditional and future problems of the seas and oceans, it established United Nations Open-ended Informal Consultative Process on Oceans and the Law of the Sea (UNICPOLOS) to support this process.

⁸ UNCLOS, however, confers rights and obligations on the states which are parties to the Convention. Under international law, a state becomes a party to the Convention on its ratification. See, UN Convention on Law of the Sea.

- ⁹ The rights of a coastal state over the contiguous zone extend to (a) prevention of infringement of customs, fiscal, immigration, or sanitary laws and regulations within its territory or territorial sea and (b) punishment of infringement of the above laws and regulations committed within its territory or territorial sea. See Article 33 of the Convention.
- ¹⁰ Briefly, under UNCLOS, all coastal states are given an Exclusive Economic Zone of 200 nautical miles from baselines along the shore, except where a zone of that width would infringe on the EEZ of another State. Article 76 outlines:
- how a coastal state may stake claim beyond the EEZ;
 - puts upper limits on how far a claim can extend;
 - establishes the Commission on the Limits of the Continental Shelf (CLCS) to review claims prepared by a coastal state.
- ¹¹ Article 56 of the Convention.
- ¹² See Article 56 of the Convention.
- ¹³ Though China has ratified the 1982 UNCLOS, the U.S., interestingly, is not a party to it. Notwithstanding this, the President of the United States issued an “Oceans Policy Statement” in which he declared that “the United States will recognize the rights of other States in waters off their coasts, as reflected in the Convention” and that “the United States will exercise and assert its navigation and over-flight rights and freedoms on a world-wide basis in a manner that is consistent with the balance of interest reflected in the Convention”. See *Weekly Compilation of Presidential Documents*, Vol. 19, No. 10, pp. 383-385, 4 March, 1983; Rene-Jean Dupuy and Daniel Vignes, eds, *Handbook on the New Law of the Sea* (Dordrecht: Martinus Nijhoff Publishers, 1991), p. 244.
- ¹⁴ See Law on Territorial Sea, the preamble.
- ¹⁵ See the EEZ Act, article 1.
- ¹⁶ See China Daily, ‘South China Sea fishing ban ‘indisputable’, 9 June 2009, http://www.chinadaily.com.cn/china/2009-06/09/content_8263930.htm (Last accessed on 03 July, 2009)
- ¹⁷ Ibid.
- ¹⁸ The Chinese communication (CML/18/2009 of 7 May, 2009) was in response to Vietnamese submission dated 7 May, 2009 to the ‘UN Commission on the Limits of the Continental Shelf’, http://www.un.org/Depts/los/clcs_new/submissions_files/vnm37_09/chn_2009re_vnm.pdf. (accessed on June 19, 2009)
- ¹⁹ Ibid.
- ²⁰ Peter Dutton & John Garofano, “China undermines Maritime Laws”, *Far Eastern Economic Review*, Vol. 172, No. 3, Apr 2009, pp. 44-47.
- ²¹ Ibid
- ²² Ibid
- ²³ See U.S. Navy, *A Cooperative Strategy for 21st Century Seapower*, 2007, p.11, para. 3.
- ²⁴ See U.S. Navy, *A Cooperative Strategy for 21st Century Seapower*, 2007, p. 6-10.
- ²⁵ See Chengkun Ma, PLA News Analysis, No. 17, March 2009.
- ²⁶ See Sam Bateman, *Clashes at Sea: When Chinese Vessels Harass US Ships*, RSIS Commentaries, No. 27, March 13, 2009.
- ²⁷ It implies that international agreements are to be followed in good-faith. See Vienna Convention on the Law of Treaties, *United Nations Treaty Series (UNTS)*, vol. 1155, 1969, p. 331. Adopted on May 23, 1969; Entry into force: 27 January, 1980; Status: 109 Country parties.
- ²⁸ See the UNCLOS, article 238.
- ²⁹ See the UN, “Vienna Convention on the Law of Treaties,” *United Nations Treaty Series*, Vol. 1155, 1969, p. 331 (Adopted on 23 May 1969, Entered into force on 27 January 1980), article 31, General rule of interpretation.
- ³⁰ See the UNCLOS, *ibid.*, Part XV, annex V.
- ³¹ See the UNCLOS, *ibid.*, Part XV, annex VI, VII, VIII.

დიპლომატიური ურთიერთობების განწყობის პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძვლები და შედეგები

შესავალი

საერთაშორისო სამართალი ეფუძნება სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაცხოვრებასა და თანამშრომლობას. სახელმწიფოთა ერთმანეთთან თანამშრომლობის მოვალეობა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია¹ და ასახულია გაეროს 1970 წლის დეკლარაციაში „საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე, რომლებიც შეეხება სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად“ (გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 2625),² აგრეთვე, 1975 წლის ჰელსინკის დასკვნით აქტში.³ (სხვათა შორის, ორივე სამართლებრივი აქტი მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ნიკარაგუის* საქმეზე აღიარა როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის დებულებათა ამსახველი აქტები.⁴) ამ პრინციპის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან, მიუხედავად მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების განსხვავებულობისა, ითანამშრომლონ ერთმანეთთან საერთაშორისო ურთიერთობათა სხვადასხვა დარგში და სხვადასხვა პრობლემის გადასაჭრელად, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობისა და ჩაურევლობის პრინციპების შესაბამისად.⁵

სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება სამართლებრივი წინაპირობაა სხვადასხვა სფეროში შემდგომი ურთიერთობების გაღრმავებისა და თანამშრომლობისა, იგი ხელს უწყობს მეგობრული ურთიერთობების განვითარებას, მშვიდობისა და უსაფრთხოების მხარდაჭერას. მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და

ფართო თანამშრომლობის პრინციპები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დიპლომატიური სამართლის ქრილში, რადგან საერთაშორისო სამართლის ეს სფერო სწორედ სახელმწიფოთა შორის კეთილგანწყობილი და მშვიდობაზე ორიენტირებული ურთიერთობების განვითარებას ემსახურება. „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის 1961 წლის კონვენციის“ (შემდგომში – კონვენცია) მე-2 მუხლის თანახმად, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება და მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობების დაფუძნება ხორციელდება სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რასაც, როგორც წესი, წინ უძღვის ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს *de facto* ან *de iure* ცნობა.

დიპლომატიური ურთიერთობების განწყობის ზოგადსამართლებრივი საფუძვლები

საგულისხმოა, რომ განსხვავებით დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისაგან, რაც საკმაოდ დეტალურად არის განერილი ვენის კონვენციაში, ეს უკანასკნელი განსაზღვრავს იმ სამართლებრივ/პოლიტიკურ საფუძვლებს, რომლებზე დაყრდნობითაც სახელმწიფოებს შეეძლებოდათ ამა თუ იმ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობის განწყვეტა. არ არსებობს ლეგალური ზღვარი სახელმწიფოს მიერ დიპლომატიური ურთიერთობის განწყვეტისა, მაგრამ ეს, ძირითადად, პოლიტიკური საფუძვლებით არის განპირობებული.⁶ ალბათ, სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია ის, რომ თავიდანვე კონვენციაში არ ჩაინერა დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტის საფუძვლები.

კონვენციის მე-2 მუხლში ნახსენები სახელმწიფოთა „ორმხრივი თანხმობა“ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ძირითადი საფუძველია. შესაბამისად, თუ რომელიმე სახელმწიფოს მხრიდან ხდება ამ მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტის უგულებელყოფა, დიპლომატიური ურთიერთობა წყდება.

დიპლომატიური ურთიერთობების განყვეტა – ეს არის ოფიციალური პოლიტიკური ურთიერთობების განყვეტა სახელმწიფოებს შორის ამა თუ იმ საკითხში დაპირისპირების გამო.⁷ ეს ქმედება არ ნიშნავს ცნობაზე უარის თქმას და ავტომატურად არ იწვევს საკონსულო⁸ და სავაჭრო ურთიერთობების შეწყვეტას.

მიუხედავად იმისა, რომ ვენის 1961 წლის კონვენცია არ განსაზღვრავს დიპლომატიური ურთიერთობების განყვეტის სამართლებრივ/პოლიტიკურ საფუძვლებს, შესაძლებელია, შევეცადოთ პოლიტიკური გადაწყვეტილება – განყვეტა დიპლომატიური ურთიერთობა, მოვაქციოთ სამართლებრივ ჩარჩოებში.

დიპლომატიური ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის მყარდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რაც ფორმდება სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ხელშეკრულებით (ოქმი, კომუნიკე). საგულისხმოა, რომ ამ კატეგორიის საერთაშორისო ხელშეკრულებებში ფიქსირდება მხოლოდ სახელმწიფოთა ნება, დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობები და ამ ურთიერთობათა ფარგლებში იმოქმედონ ვენის 1961 წლის კონვენციის დებულებათა შესაბამისად. რაც შეეხება ხელშეკრულების ფორმას, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ხელშეკრულებები, მართალია, საერთაშორისო ხელშეკრულების კლასიკური მაგალითი არ არის,⁹ თუმცა რეგულირდება საერთაშორისო სამართლით და, შესაბამისად, ხდება „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციით“ განსაზღვრულ ხელშეკრულებათა კატეგორიაში. 1969 წლის ვენის კონვენცია დეტალურად განსაზღვრავს საერთაშორისო ხელშეკრულების შეწყვეტისა და მისი მოქმედების შეჩერების სამართლებრივ საფუძვლებს¹⁰, მაგ.: კონვენციის 54-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება, რომელიც არ შეიცავს დებულებებს მისი შეწყვეტის შესახებ, შესაძლებელია შეწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ: ა) დადგენილია, რომ

მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ დაეშვათ ხელშეკრულების დენონსაცია ან მისგან გასვლა, ან ბ) ხელშეკრულების დენონსაციის ან მისგან გასვლის უფლება იგულისხმება თვით ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე. „დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ“ ხელშეკრულებათა ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ მხარეებს ხელშეკრულების დადების მომენტისათვის განზრახული ჰქონდათ, დაეშვათ ხელშეკრულების დენონსაცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება ეფუძნება მხარეთა ურთიერთშეთანხმებას, ორმხრივ თანხმობას, ხოლო ამავე ურთიერთობის განყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა და, როგორც წესი, გამოიხატება ცალმხრივი აქტით.

დიპლომატიური ურთიერთობების განყვეტის სამართლებრივი საფუძვლების ძიების პროცესში მიზანია არა წმინდა სამართლებრივი მიზეზების კვლევა, არამედ პოლიტიკური გადაწყვეტილებების სამართლებრივი დასაბუთების მცდელობა.

საგულისხმოა, რომ „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენციის მე-60 მუხლის თანახმად, „ორმხრივი ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის მიერ არსებითი დარღვევა უფლებას აძლევს სხვა მონაწილეს, მიუთითოს ამ დარღვევაზე, როგორც ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტის ან შეჩერების საფუძველზე“, ამავე კონვენციის 61-ე მუხლი კი ითვალისწინებს ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შესაძლებლობას ხელშეკრულების შემდგომი შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, თუ ეს შეუძლებლობა გამომწვეულია იმ ობიექტის სამუდამო გაქრობის ან მოსპობის შედეგად, რომელიც აუცილებელია ხელშეკრულების შესასრულებლად. და ბოლოს, 1969 წლის კონვენციის 62-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი შესაძლებელია გახდეს ისეთ გარემოებათა ძირეული ცვლილება, რომელთა არსებობა არსებით საფუძველს უქმნიდა მხარეთა თანხმობას მათთვის ხელშეკრულების შესრულების სავალდებულობაზე.¹¹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ დიპლომატიური ურთიერთობების დამყა-

რების სამართლებრივი საფუძველი მხარეთა შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებაა, და თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა, ხელშეკრულების შემდგომი შესრულების შეუძლებლობა ან გარემოებათა ძირეული შეცვლა შეიძლება გახდეს „საერთაშორისო ხელშეკრულების“ მთლიანად ან ნაწილობრივ მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების საფუძველი, დიპლომატიური ურთიერთობის განწყვეტის შესახებ მიღებული გარკვეული პოლიტიკური გადაწყვეტილებები შესაძლოა გავამყაროთ ჩამოთვლილი სამართლებრივი არგუმენტებით.

დიპლომატიური ურთიერთობების განხვედის მიზეზები:

სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევა

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, დიპლომატიური სამართალი, თავისი ბუნებით, სახელმწიფოთა შორის კეთილგანწყობილი და მშვიდობაზე ორიენტირებული ურთიერთობების განვითარებას ემსახურება. შესაბამისად, ეს მიდგომა აისახა ვენის 1961 წლის კონვენციაში „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“, კერძოდ, კონვენციის 41-ე მუხლის 1-ლ პუნქტში ვკითხულობთ: „თავიანთი პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შეუღალახავად, ყველა პირი, ვინც ასეთი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობს, ვალდებულია, პატივი სცეს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებსა და წესებს. ისინი აგრეთვე ვალდებულნი არიან, არ ერეოდნენ ამ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში“. რომ გავარკვიოთ, თუ რა ითვლება სახელმწიფოს საშინაო ურთიერთობებში ჩარევად, რაც ხშირად დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტის მიზეზი ხდება, საინტერესოა, თვალი გადავავლოთ 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ჩამოყალიბების წინაისტორიას:

41-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ტექსტის თავდაპირველ წყაროდ ასახელებენ 1928 წლის ჰავანის კონვენციას. კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად: „უცხო ქვეყნის დიპლომატიურ მოხელეებს არ შეუძლიათ ჩაერიონ იმ სახელმწიფოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკაში, სადაც ისინი თავიანთ ფუნქციებს ახორციელებენ“. ¹² მოგვიანებით, 1957 წელს

საერთაშორისო სამართლის კომისიამ ამ საკითხის განხილვისას გაითვალისწინა ჰავანის კონვენციის მე-12 მუხლის ტექსტი, თუმცა კანონპროექტში მხოლოდ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევაზე გააკეთა აქცენტი, რადგან მიიჩნია, რომ საგარეო ურთიერთობები ისედაც მოიაზრებოდა დიპლომატიის სამოქმედო სფეროდ და, ზოგადად, დიპლომატიური ფუნქციების განხორციელების არენად. ¹³ საგულისხმოა, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს, თუნდაც საერთაშორისო არენაზე ყოველად მიუღებელი და არადემოკრატიული სახელმწიფოს, ¹⁴ საშინაო და საგარეო პოლიტიკა არის ამ სახელმწიფოს ექსკლუზიური სფერო და მასთან პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო სუვერენიტეტის ფუნდამენტური პრინციპი. შესაბამისად, კომისიის მიერ გაკეთებული საბოლოო ფორმულირება სულაც არ გამორიცხავს საგარეო საქმეებს სახელმწიფოს იურისდიქციიდან. „...სახელმწიფოს შიდა პოლიტიკა მისი ექსკლუზიური შიდა კომპეტენციაა, ¹⁵ ...სახელმწიფოს სუვერენიტეტი ვრცელდება მის საგარეო პოლიტიკაზეც“.¹⁶

ინტერესს იწვევს საერთაშორისო სამართლის კომისიის დასკვნა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება, არ ჩაერიოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს შიდა იურისდიქციაში და დიპლომატიის ვალდებულება, არ ჩაერიოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს შიდა საქმეებში კერძო ქმედებების განხორციელებისას, ორი სხვადასხვა ვალდებულებაა და რომ სახელმწიფოთა ჩაურევლობის პრინციპი არ უნდა ასახულიყო ვენის კონვენციაში. ¹⁷ აქედან გამომდინარე, რთულია, ვისაუბროთ შიდა საქმეებში ჩარევაზე, როგორც დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტის ერთ-ერთ მიზეზზე, ვინაიდან ერთი დიპლომატიის „კერძო ქმედებები, რომელთაც ის არ ახორციელებს ინსტრუქციების შესაბამისად“, ¹⁸ არ შეიძლება განიხილებოდეს სახელმწიფოთა შორის სერიოზული დაპირისპირების გამომხატველ მოქმედებად.

აღნიშნული დებულების ამგვარი ინტერპრეტაცია შესაძლებელია ატარებდეს წმინდა თეორიულ ხასიათს, ვინაიდან სახელმწიფოთა პრაქტიკა აბსოლუტურად სხვა ფაქტებზე მეტყველებს. მართალია, 41-ე მუხლის 1-ლ პუნქტში საუბარია დიპლომა-

ტიური იმუნიტეტებითა და პრივილეგიებით მოსარგებლე პირებზე, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ისინი წარმოადგენენ თავიანთ სახელმწიფოს და მოქმედებენ მისი სახელით. შესაბამისად, სახელმწიფოს ჩაურევლობის ვალდებულება ირიბად, მაგრამ მაინც უნდა მოვიაზროთ. რაც შეეხება კონვენციაში მკაფიო ჩანაწერის არარსებობას, ეს მეტწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობის ვალდებულება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილია და, შესაბამისად, ისედაც იგულისხმება.

დიპლომატიური ურთიერთობის განწყვეტის მიზეზი ხშირად მეორე სახელმწიფოს მიერ გაკეთებული განცხადებები ან დიპლომატიური წარმომადგენლობების თანამშრომელთა ადგილსამყოფელი ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა ხდება. მაგალითად, 1981 წელს აშშ-მა სთხოვა ლიბიას, დაეხურა თავისი საელჩო ვაშინგტონში და გაეწვია წარმომადგენლობის ყველა წევრი 5 დღის განმავლობაში¹⁹, იმის საპასუხოდ, რომ ლიბიამ მხარი დაუჭირა საერთაშორისო ტერორიზმს. პარალელურად, ასევე დაიხურა აშშ-ის საელჩო ტრიპოლში.

2008 წლის 23 დეკემბერს ფიჯის რესპუბლიკამ განაცხადა ახალ ზელანდიასთან დიპლომატიური ურთიერთობის განწყვეტის შესახებ. ფიჯის თავდაცვის მინისტრმა ვორენვე მბაინიმარამამ საჯაროდ განაცხადა, რომ ახალი ზელანდიის დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი კეროლან მაკდონალდი ოპოზიციის ორგანიზაციათა წევრებთან თანამშრომლობდა. ფიჯის გენერალური პროკურორის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილება დიპლომატიური წარმომადგენლობის გაძევების შესახებ განაპირობა მისმა ქმედებებმა, რომლებიც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ დიპლომატიური ქცევის წესებს ეწინააღმდეგებოდა. მისივე განცხადებით, ახალი ზელანდიის დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალის წევრები აქტიურ მხარდაჭერას უწევდნენ მათ, ვინც ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდა და ამით ადგილობრივ მოსახლეობაში მღელვარებას აღვივებდნენ.²⁰ აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, დიპლომატიური წარმომადგენ-

ლობის, ნებისმიერი რანგის დიპლომატიური თანამდებობის პირის მხრიდან მსგავსი ქმედება შესაძლოა აღქმულ და შეფასებულ იქნეს სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობად, რაც, ჩარევის სიმძიმის გათვალისწინებით, შესაძლოა, გახდეს ურთიერთობების განწყვეტის მიზეზი.

საგულისხმოა, რომ დიპლომატიურ წარმომადგენლობას ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არათუ არ ეკრძალება ოპოზიციურ პარტიებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, არამედ ის გარკვეულწილად ვალდებულიც არის, მათთან იქონიოს პერიოდული კავშირი, რათა სრულად იყოს ინფორმირებული ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ და სრულფასოვნად შეძლოს კონვენციით ნაკისრი ფუნქციების განხორციელება. ბუნებრივია, ინფორმაციის მოპოვება უნდა ხდებოდეს მხოლოდ კანონიერი საშუალებების გამოყენებით და უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს ინტერესებს. 1961 წლის კონვენციის მე-3 მუხლში ჩამოთვლილია დიპლომატიური წარმომადგენლობის ძირითადი ფუნქციები, მათ შორის საინტერესოა 1-ლი პუნქტის d) ქვეპუნქტი, სადაც საუბარია იმაზე, რომ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში პირობებისა და ამბების გამორკვევა და მთავარი დიპლომატიური სახელმწიფოს მთავრობისათვის მათი შეტყობინება უნდა ხდებოდეს ყოველგვარი კანონიერი საშუალებებით. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება მძევლების საქმეზე: იმ დიპლომატიური ფუნქციის განხორციელება, რომელიც ასახულია მე-3.1(d) მუხლში, კერძოდ „ადგილსამყოფელ სახელმწიფოში პირობებისა და ამბების გამორკვევა“, „შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორცაა: „ჯაშუშობა“ ან „შიდა საქმეებში ჩარევა“.²¹

მესამე სახელმწიფოები

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტის მიზეზი ხშირად მესამე სახელმწიფო ხდება. ამის მაგალითია ირანსა და ეგვიპტეს შორის 1979 წელს განწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობა. რევოლუციამდე ირანისა და ეგვიპტის ურთიერთობა მეგობრულ ხასიათს ატარებდა. ომის დროს ირანმა საჰაერო დერეფანი გაუხსნა საბ-

ჭოთა თვითმფრინავებს, რომლებსაც ეგვიპტეში იარაღი და საბრძოლო აღჭურვილობა გადაჰქონდათ, ამასთან, როდესაც არაბულმა სახელმწიფოებმა ისრაელს ემბარგო დაუნესეს და ნავთობს აღარ აწვდიდნენ, ირანი ერთადერთი მუსლიმანური სახელმწიფო აღმოჩნდა, რომელმაც ეს წესი დაარღვია. ირანი კეთილგანწყობილი იყო ეგვიპტის მიმართ, რომელიც არაბული სახელმწიფოების მიერ ლიდერადაა აღიარებული. 1979 წლის რევოლუციის შედეგად ირანის ხელისუფლებაში შიიტი სასულიერო პირები მოვიდნენ, ლიდერ აიათოლა ჰომეინის მეთაურობით. მათმა იდეოლოგიურმა კონცეფციამ ისლამური რევოლუციის ექსპორტის შესახებ არაბულ სახელმწიფოებში სერიოზული განგაში გამოიწვია.

შიიტი სასულიერო პირები, რომლებიც მონარქისტულ რეჟიმს ეწინააღმდეგებოდნენ, უპირისპირდებოდნენ შაჰის ხელისუფლების კავშირს ისრაელთან. სიონიზმის იდეოლოგიურ მტრად თავის გამოცხადების შემდეგ ირანის ხელისუფლება აქტიურად დაუპირისპირდა არაბეთ-ისრაელის სამშვიდობო პროცესს. ირანსა და ეგვიპტეს შორის ურთიერთობა მას შემდეგ გაუარესდა, რაც ეგვიპტემ ირანის შაჰს პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. 1979 წელს ირანსა და ისრაელს შორის დადებულმა სამშვიდობო ხელშეკრულებამ, დაძაბულ პოლიტიკურ ფონზე, გამოიწვია ირანსა და ეგვიპტეს შორის დიპლომატიური ურთიერთობის განწყვეტა. ჰომეინის განცხადებით, ამ ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა მხოლოდ ეგვიპტესა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობის განწყვეტით იქნებოდა შესაძლებელი.

სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება შესაბამისი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს *de jure* აღიარებას გულისხმობს, შესაბამისად, ხშირად ისეც ხდება, რომ სახელმწიფოები გაურბიან ისეთ სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას, რომლებსაც დიდ სახელმწიფოებთან აქვთ დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობა და ამ მიზეზით უკვე დამყარებულ დიპლომატიურ ურთიერთობებსაც წყვეტენ. ამის მაგალითია ჩინეთისა და ტაივანის შემთხვევა. მრავალი სახელმწიფო არ ამყარებს ტაივანთან დიპლომატიურ ურთიერთობას, სწორედ

ჩინეთის მიერ შერჩეული პოლიტიკის გამო ერიდებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტას, ტაივანს კი მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო აღიარებს, მიუხედავად იმისა, რომ ის ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს იმისათვის, რათა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო მოგვევლინოს საერთაშორისო ასპარეზზე.²² მაგალითად, ჩინეთთან ურთიერთობის აღსადგენად კოსტა რიკამ თითქმის 60-წლიანი ურთიერთობა განწყვეტა ტაივანთან. მხოლოდ პატარა და ღარიბ ქვეყნებს აქვთ ტაივანთან დიპლომატიური ურთიერთობა დამყარებული, თუმცა მას, კოსტა რიკას მსგავსად, ცენტრალური ამერიკის სხვა ქვეყნებთანაც ემუქრება დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტა.²³

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ამგვარი დიპლომატია ჰალშტაინის დოქტრინას უკავშირდება. ჰალშტაინის დოქტრინის თანახმად, მესამე სახელმწიფოების მიერ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ არამეგობრულ აქტად აღიქმებოდა (*acte peu amical*) და, როგორც წესი, ასეთ სახელმწიფოსთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა დიპლომატიურ ურთიერთობას წყვეტდა ან საერთოდ არ ამყარებდა. თავდაპირველად გამონაკლისი საბჭოთა კავშირი იყო.²⁴

სანქციები

სახელმწიფოს უფლება, განწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა მეორე სახელმწიფოსთან, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ მძევლების საქმეში დაადგინა როგორც სანქცია, საპასუხო რეაქცია დიპლომატის მიერ თავისი პრივილეგიებისა და იმუნიტეტების ბოროტად გამოყენებაზე.²⁵ სასამართლომ დაადგინა:

პირველ რიგში, გასათვალისწინებელია: დიპლომატიური სამართალი – ეს არის თვითმარეგულირებელი სამართლებრივი რეჟიმი, რაც იმას ნიშნავს, რომ თავადვე განსაზღვრავს სანქციებს დიპლომატიური სამართლის ნორმების დარღვევებისას.²⁶ კონვენცია, ერთი მხრივ, ადგენს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ვალდებულებებს დიპლომატიურ პრივილეგიებსა და იმუნიტეტებთან მიმართებით; მეორე მხრივ, ით-

ვალისწინებს დიპლომატიური მისიის წევრთა მიერ პრივილეგიებისა და იმუნიტეტების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას და ადგენს „ქმედით ღონისძიებებს“, რათა ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ შეძლოს მისი თავიდან აცილება.²⁷

საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ირანმა აშშ დაადანაშაულა მის შიდა საქმეებში „პირდაპირ“²⁸ და 25-წლიან ჩარევაში,²⁹ რითაც შეეცადა გაემართლებინა თეირანში აშშ-ის საელჩოს დარბევის, საელჩოს პერსონალისა და სტუმრების მძევლად აყვანის ფაქტები. სასამართლომ არ გაითვალისწინა ირანის არგუმენტები, „რადგან დიპლომატიური სამართალი თავად ადგენს დაცვის საშუალებებს და სანქციებს დიპლომატიური ან საკონსულო მისიების წევრთა უკანონო ქმედებების საწინააღმდეგოდ“.³⁰ ამგვარ სანქციებად სასამართლომ დაასახელა:

კონვენციის მე-9 მუხლი – დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალის წევრის *persona non grata*-დ ან მიუღებელ პირად გამოცხადება „ნებისმიერ დროს... გადაწყვეტილების დაუსაბუთებლად“.³¹

მაკრედიტებელ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტა – როგორც „უფრო რადიკალური სანქცია, თუ მისიის წევრთა მიერ მათი ფუნქციების დარღვევის შემთხვევები მიაღწევს სერიოზულ კონდიციებს“.³²

სამწუხაროდ, ირანის მთავრობამ არ გამოიყენა თავის ხელთ არსებული სამართლებრივი შესაძლებლობები – სანქციები – და მიმართა იძულებით ზომებს აშშ-ის საელჩოს პერსონალის წინააღმდეგ. შესაბამისად, სასამართლომ ირანი საერთაშორისო კონვენციებისა და ზოგადი საერთაშორისო სამართლის ნორმების ხელყოფაში დაადანაშაულა.³³

სანქციების კონტექსტში საინტერესოა გაეროს წესდების 41-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტის შესაძლებლობას, როგორც უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ერთ-ერთ სანქციას, თუმცა ამ კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ 41-ე მუხლის ეს ნაწილი წმინდა თეორიულ ხასიათს ატარებს და ჯერაც არ ყოფილა იმპლემენტირებული რომელიმე სახელმწიფოს მიერ.

დიპლომატიური ურთიერთობების დროებითი განწყვეტა

დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტა ორ სახელმწიფოს შორის არსებული დაძაბული, შეიძლება ითქვას, მტრული ურთიერთობების გამომხატველი ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური ფორმაა. შესაბამისად, დიპლომატიური ურთიერთობების საბოლოოდ განწყვეტას და დიპლომატიური წარმომადგენლობის სამუდამოდ განწვევას სახელმწიფოები ხშირად დიპლომატიური წარმომადგენლობის დროებით განწყვეტას ამჯობინებენ.

დიპლომატიური წარმომადგენლობის დროებითი განწყვეტა უფრო მარტივი ფორმა და პროცედურაა, ვიდრე ურთიერთობის საბოლოო განწყვეტა. წარმომადგენლობების დროებითი განწყვეტა გულისხმობს, რომ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა საგრძნობლად „გაცივდა“, მაგრამ, ამავე დროს, არც ერთ მხარეს არ სურს ურთიერთობის საბოლოოდ განწყვეტა და იმედოვნებენ, რომ შექმნილ ვითარებას ექნება დროებითი ხასიათი. მაგალითად, 1987 წელს დიდ ბრიტანეთსა და ირანს შორის დაიძაბა ურთიერთობა, რაც ირანის საკონსულო თანამშრომლის მანჩესტერში დაკავებით დაიწყო. მას ბრალად ედებოდა მალაზიის გაქურდვა. ვითარება მაშინ გამწვავდა, როდესაც დიდი ბრიტანეთის დიპლომატი თეირანში დააკავეს, რასაც შედეგად ამ ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალის რამდენიმე წევრის განწვევა მოჰყვა. დიდმა ბრიტანეთმა 1980 წლიდან 1988 წლამდე გაიწვია თავისი საელჩო სრული შემადგენლობით და მის ინტერესებს ირანში შევადეთის საელჩოში არსებული ბრიტანეთის ინტერესების განყოფილება იცავდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდი ბრიტანეთი მაინც მიიჩნევდა, რომ მას ჰქონდა სრული დიპლომატიური ურთიერთობები ირანთან,³⁴ რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობისა და დიალოგის შესაძლებლობას მაინც გულისხმობს.

როგორც წესი, დიპლომატიური წარმომადგენლობის გამოწვევა ხდება იმ სახელმწიფოდან, სადაც ხდება შეიარაღებული კონფლიქტი ან სამოქალაქო დაპირისპირება. ასეთ ვითარებაში შეუძლებელი ხდება დიპლომატიური ფუნქციების ეფექტური და უსაფრთხო განხორციელება, როგორც ეს

1992 წელს მოხდა, როდესაც საფრანგეთის, იტალიისა და ბულგარეთის დიპლომატები, რომლებიც დარჩნენ ქაბულში სამოქალაქო ომის დროს, გაიწვიეს, რადგან ინტენსიური სროლები მიმდინარეობდა ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ამბოხებულ ხალხს შორის.³⁵

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ისევე როგორც ლიბიის შემთხვევაში, 1991 წელს მოითხოვა სომალის საელჩოს დახურვა და საელჩოს თანამშრომლების განწვევა, ხოლო 1994 წელს რუანდის საელჩოს იგივე მოთხოვნა წაუყენა. იმდროინდელმა პრეზიდენტმა კლინტონმა რუანდასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აშშ-ს არ შეუძლია დაუშვას იმ რეჟიმის წარმომადგენლების დარჩენა თავის ტერიტორიაზე, რომლებიც გენოციდს უჭერენ მხარს.³⁶

ერთ-ერთ უჩვეულო სიტუაცია შეიქმნა 1975 წელს. მას შემდეგ, რაც სამხრეთ ვიეტნამის მთავრობა გადააყენეს, დიდ ბრიტანეთში ვიეტნამის ელჩი საელჩოს პერსონალთან ერთად გადადგა მანამ, სანამ დიდი ბრიტანეთი ცნობდა ახალ მთავრობას, და დიდი ბრიტანეთის მთავრობას წარმომადგენლობის კარ-მიდამო, საკუთრება და არქივები დასაცავად გადასცა. მიუხედავად იმისა, რომ რეალურად წარმომადგენლობა არ იყო გამოწვეული, დიდმა ბრიტანეთმა, „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 45-ე მუხლის თანახმად, თავი ვალდებულად ჩათვალა, სამხრეთ ვიეტნამის დაცვა თავის თავზე აეღო.³⁷

რაც შეეხება უკვე განვლული დიპლომატიური წარმომადგენლობის კარ-მიდამოს დაცვას, ვენის კონვენციის შესაბამისად, ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს და დაიცვას უკვე განვლული დიპლომატიური წარმომადგენლობის კარ-მიდამო.³⁸ კარ-მიდამოს ხელშეუხებლობა და ტერმინი „პატივი სცეს და დაიცვას“ არ მოიაზრება ისე, თითქოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ორგანოებს არ აქვთ კარ-მიდამოში შესვლის უფლება. 1984 წელს, დიდ ბრიტანეთში მომხდარი შემთხვევის შემდეგ, დიდმა ბრიტანეთმა მიიღო ნორმატიული აქტი „დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობის კარ-მიდამოს შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს წარმომადგენლობის კარ-მიდამოს სტატუსის გაუქმებას (1987 წლის აქტი). ეს სტატუსი, ეროვნული

კანონმდებლობის მიზნების შესაბამისად, დამოკიდებულია საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობაზე.³⁹ 1984 წლის 17 აპრილს ლონდონში, ლიბიის სახალხო ბიუროს წინ, გარკვეული ჯგუფი ლიბიის ხელისუფლების წინააღმდეგ მართავდა დემონსტრაციას, რისი მიზეზიც ლიბიაში პოლიტიკური არეულობის დაწყება იყო. დემონსტრაციის დროს სახალხო ბიუროდან ცეცხლი გახსნეს, რასაც ერთი დემონსტრანტის დაჭრა და ბრიტანელი პოლიციელის დაღუპვა მოჰყვა. ბრიტანეთის პოლიციამ მოითხოვა, გაეჩხრიკა სახალხო ბიურო, რომელიც ვენის კონვენციის შესაბამისად განიხილებოდა როგორც დიპლომატიური წარმომადგენლობა. ბრიტანულმა პოლიციამ ასეთი ნებართვა ვერ მიიღო, რადგან „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის თანახმად, დიპლომატიური წარმომადგენლობის კარ-მიდამო ხელშეუხებელია. წარმომადგენლობის კარ-მიდამო ხელშეუხებლად გამოცხადდა მანამ, სანამ წარმომადგენლობის ყველა წევრი ქვეყნიდან არ გაემგზავრებოდა. მხოლოდ მათ მიერ ტერიტორიის დატოვების შემდეგ შეეძლო პოლიციას ჩხრეკის ჩატარება მკვლელობის გამოსაძიებლად. ამიტომ ბრიტანული პოლიცია, როგორც დანაშაულზე რეაგირების ერთადერთ საშუალებას, დაეყრდნო „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 41-ე და მე-9 მუხლებს და სახალხო ბიუროს თანამშრომლები *persona non grata*-დ გამოაცხადა.⁴⁰

საქართველო-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობები

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წლის 1 ივლისს დამყარდა.

რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის, ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციის, ე.წ. „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების“ უკანონო აღიარებისა და ამ რეგიონებში ეთნიკური წმენდის ჩატარების შემდეგ საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტის შესახებ განწყვეტილება მიიღო, რის შესახებაც 2008 წლის 3 სექტემბერს სათანადო ნოტიო აცნობა რუსეთის მხარეს.

საგულისხმოა, რომ საქართველო-რუსეთს შორის 1992 წლიდან 2008 წლის ჩათვლით დადებულია ასზე მეტი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება სხვადასხვა სფეროში,⁴¹ ამავე დროს საქართველო და რუსეთი, როგორც საერთაშორისო სამართლის სრულყოფილებიანი წევრები, არიან ასობით მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოები, რაც, თავის მხრივ, ბადებს მნიშვნელოვან საერთაშორისოსამართლებრივ ვალდებულებებს. „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენციის 63-ე მუხლის თანახმად: „სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ან საკონსულო ურთიერთობების განწყვეტა გავლენას არ ახდენს მათ შორის ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების არსებობა ხელშეკრულების შესრულების აუცილებელი წინაპირობაა“. აქედან გამომდინარე, რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობებში დღის წესრიგში დადგა „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ ვენის 1961 წლის კონვენციის 45-ე და 46-ე მუხლების ამოქმედების აუცილებლობა.

ვენის კონვენციის 45-ე მუხლი არის სამართლებრივი ჩარჩო მთავარი დიპლომატიური სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად, მაშინ, როდესაც დიპლომატიური ურთიერთობა წყდება, ხოლო მთავარი დიპლომატიური და ადგილსამყოფელი სახელმწიფოები არსებობას განაგრძობენ როგორც სუვერენული სახელმწიფოები, და სუვერენიტეტს ორივე მხარე აღიარებს.⁴²

„დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 45-ე მუხლი ადგენს იმ მინიმალურ სტანდარტს, რაც მთავარი დიპლომატიური სახელმწიფოს აძლევს საშუალებას, თავისი წარმომადგენლობის კარ-მიდამოს, ქონებისა და არქივების დაცვა მესამე სახელმწიფოს ანდოს, ასევე ამავე მუხლზე დაყრდნობით, მთავარი დიპლომატიური სახელმწიფოს ეძლევა შესაძლებლობა, თავისი და თავის მოქალაქეთა ინტერესების დაცვა მიანდოს მესამე სახელმწიფოს, რომელიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოსათვის მისაღები იქნება.⁴³

ის ფაქტი, რომ „ვენის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 45-ე

მუხლის **b** და **c** პუნქტებში ჩაიწერა ტერმინი „მისაღები“, შემთხვევითი არ ყოფილა. ტერმინი საერთაშორისო სამართლის კომისიამ განზრახ შეარჩია. ამით მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ადგილსამყოფელ სახელმწიფოს არ ეძლეოდა წინასწარი თანხმობის უფლება. განწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების შემდეგ მთავარი დიპლომატიური სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად ვენის კონვენციაში ჩაიწერა დებულება, რომლის თანახმადაც მესამე სახელმწიფო იცავს მთავარი დიპლომატიური სახელმწიფოს ინტერესებს. განსხვავებით „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ კონვენციის 46-ე მუხლისაგან, რომლის მიხედვითაც, საჭიროა ადგილობრივი სახელმწიფოს წინასწარი თანხმობა, რათა მთავარი დიპლომატიური სახელმწიფოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ დაიცვას მესამე სახელმწიფოს ინტერესები, 45-ე მუხლის **b** და **c** პუნქტების მიხედვით არ არის ადგილობრივი სახელმწიფოს თანხმობა საჭირო მანამ, სანამ მთავარი დიპლომატიური სახელმწიფო ინტერესების დაცვას ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არ მიანდობს მესამე სახელმწიფოს.

კონვენცია არ უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტის შემთხვევაში, ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ განაცხადოს უარი – მთავარი დიპლომატიური სახელმწიფოს ინტერესები დაიცვას სხვა, მესამე სახელმწიფომ. ასეთი რამ მოხდა 1961 წელს, როდესაც ინდონეზიამ ჰოლანდიასთან დიპლომატიური ურთიერთობის განწყვეტის შემდეგ არ დართო ნება ჰოლანდიას, რომ მისი ინტერესები დაეცვა დიდ ბრიტანეთს ან სხვა სახელმწიფოს. ეს გადაწყვეტილება მაშინდელი მსოფლიოსათვის აღმაშფოთებელი აღმოჩნდა, ინდონეზიის ნაბიჯი გააკრიტიკეს, ხოლო კონკრეტული ფაქტი შეფასდა როგორც უპრეცედენტო, საერთაშორისო პრაქტიკისაგან განსხვავებული და მიუღებელი ქმედება.⁴⁴

კონვენციის 46-ე მუხლზე დაყრდნობით, 2009 წლის მარტში გაიხსნა საქართველოში შვეიცარიის საელჩოს რუსეთის ფედერაციის ინტერესების სექცია, იმავე დღეს გაიხსნა რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექცია. შვეიცარიის კონფედერაცია შემთხვევით არ ყოფილა შერჩეული ე.წ. „მფარველი“ სახელმწიფოს როლში. შვეიცარიას, ასევე

შვედეთს, როგორც ნეიტრალურ სახელმწიფოებს, საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვთ ამ მიმართულებით⁴⁵ და, თავიანთი სტატუსიდან გამომდინარე, იმსახურებენ ორივე მხარის ნდობას. საქართველოს მხრიდან აღნიშნული გადანყვეტილება განპირობებული იყო ძირითადად რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ინტერესების დაცვის აუცილებლობით. მართალია, როგორც ზემოთ აღინიშნა, „საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის 1963 წლის კონვენციის“ მე-2 მუხლის თანახმად, დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტა არ გულისხმობს *ipso facto* საკონსულო ურთიერთობების განწყვეტას, თუმცა რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე არცერთ მხარეს არ გამოუთქვამს ცალკე საკონსულო ურთიერთობების შენარჩუნების სურვილი. შესაბამისად, საქართველოს 2008 წლის 3 სექტემბრის ცალმხრივი აქტით (ნოტა) მხარეთა შორის განყდა როგორც დიპლომატიური, ისე საკონსულო ურთიერთობები.

დასკვნა

რა პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძვლებითაც არ უნდა იყოს არგუმენტირებული სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტის შესახებ გადანყვეტილება, როგორც პრაქტიკა გვაჩვენებს, რამდენადაც მარტივია აღნიშნული ურთიერთობების განწყვეტის პროცედურა, იმის გათვალისწინებით, რომ ამისათვის საკმარისია ერთი რომელიმე სახელმწიფოს ნება, იმდენად რთული და ხანგრძლივი პროცესია განწყვეტილი ურთიერთობების აღდგენა. შედეგობრივი თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ პოლიტიკური დიალოგის არარსებობის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია რაიმე სახის ურთიერთობების გაგრძელება და, მით უფრო, განვითარება. რუსეთ-საქართველოს მაგალითზე შეიძლება თამამად ითქვას, რომ პარალიზებული ურთიერთობები ყველა სხვა სფეროში, რადგან ნებისმიერი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების კეთილსინდისიერად

შესრულების სურვილის შემთხვევაშიც კი მხარეთა შორის კომუნიკაცია აბსოლუტურად გაყინულია.⁴⁶

„დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ ვენის 1961 წლის კონვენციის თანახმად, წარმომადგენლობის ძირითადი ფუნქციებში შედის: მოქალაქეთა ინტერესების დაცვა, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მთავრობასთან დიალოგი, მთავრობების და ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობების ნახალისება, ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და სხვა დარგებში მათი ურთიერთობის განვითარება და სხვ.⁴⁷ ამ მეტად მნიშვნელოვანი ურთიერთობის არარსებობის პირობებში საქართველო-რუსეთს შორის შეჩერებული საჰაერო მიმოსვლა, ინვესტიციების განხორციელება, ვაჭრობა, კულტურული კავშირების განვითარება, ტურიზმი, ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობა და კიდევ მრავალი სხვა, რაც ხშირად კონკრეტულ მოქალაქეთა სასიცოცხლო ინტერესს ეხება.

მართალია, საქართველომ პირველმა გადადგა ნაბიჯი მეზობელ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტისაკენ, რაც, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, მხარეთა შორის დაძაბული პოლიტიკური ვითარების, შეიარაღებული კონფლიქტის შედეგი გახდა, თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ დიპლომატიის მთავარი როლი, მისი ძირითადი დანიშნულება იკვეთება სწორედ კონფლიქტის დროს. „მშვიდობიანი კომპრომისი“, „ნორმა უწყვეტი დიალოგის შესახებ“ დიპლომატიის ძირითადი პრინციპებია.

დიპლომატიური ურთიერთობის განწყვეტა, როგორც არაერთხელ აღინიშნა, პოლიტიკური ურთიერთობების განწყვეტას ნიშნავს და, შესაბამისად, პრაქტიკულად შეუძლებელია ამ გადანყვეტილების სამართლებრივი საფუძვლების მოძებნა, ანუ გადანყვეტილება პოლიტიკური ხასიათისაა. მართლაც, არავინ უარყოფს, რომ „სამართალი პოლიტიკის განხორციელების საშუალებაა, მაგრამ ამავდროულად არის მოლოდინი, რომ პოლიტიკაც მოექცევა სამართლის ფარგლებში“.⁴⁸

- ¹ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო: *Military and Paramilitary Activities In and Against Nicaragua (Nicaragua v. U.S.A.)*, 1986 წლის 27 ივნისი (შემდგომში – *ნიკარაგუის საქმე*), §203, გვ. 107; თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 2003, გვ. 335.
- ² *ნიკარაგუის საქმე*, §264, გვ. 133; იხ., აგრეთვე: თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 2003, გვ. 335.
- ³ *Ib. იხ. აგრეთვე Anne Peters. International Dispute settlement: A Network of Cooperational Duties. European Journal of International Law. 2003. Vol.14 No.1, p. 2.*
- ⁴ *ნიკარაგუის საქმე*, §264 გვ. 133.
- ⁵ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 2003, გვ. 335-336.
- ⁶ Eileen Denza, *Diplomatic Law Commentary on the Vienna Convention on Diplomatic Relations.*
- ⁷ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 2003, გვ. 97.
- ⁸ ვენის 1963 წლის კონვენცია „საკონსულო ურთიერთობების შესახებ“, მე-2 მუხლი.
- ⁹ „დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ“ შეთანხმებები არ შეიცავს დებულებებს მისი მოქმედების შეწყვეტის თაობაზე.
- ¹⁰ „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენცია. III თავი.
- ¹¹ „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენცია, მე-60-62-ე მუხლები.
- ¹² *Ib.*, გვ. 376.
- ¹³ *ILC Yearbook 1957 Vol. I pp.143-5.* ციტირებული: Denza, Eileen. *Diplomatic Law, A Commentary on the Vienna Convention on Diplomatic Relations (2nd ed.)*. Oxford: Clarendon Press, 1998, გვ. 376.
- ¹⁴ *ნიკარაგუის საქმე*, §263 გვ. 133.
- ¹⁵ *Ib.*, §258 გვ. 131.
- ¹⁶ *Ib.*, §265 გვ. 133.
- ¹⁷ *ILC Yearbook 1957 Vol. I pp.143-50.* ციტირებული: Denza, Eileen. *Diplomatic Law, A Commentary on the Vienna Convention on Diplomatic Relations (2nd ed.)*. Oxford: Clarendon Press, 1998, გვ. 375-376.
- ¹⁸ Denza, Eileen. *Diplomatic Law, A Commentary on the Vienna Convention on Diplomatic Relations (2nd ed.)*. Oxford: Clarendon Press, 1998, გვ. 376.
- ¹⁹ Eileen Denza, *Diplomatic Law Commentary on the Vienna Convention on Diplomatic Relations.*
- ²⁰ Pacific Islands News Association, *official web-page*. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაძაბული ურთიერთობების მესამე წლის თავზე (იმავე წყაროზე დაყრდნობით), 2010 წლის თებერვალში, ფიჯისა და ახალი ზელანდიის ხელისუფლების მალალმა თანამდებობის პირებმა (საგარეო საქმეთა მინისტრებმა) განაცხადეს დიპლომატიური წარმომადგენლობების კვლავ წარგზავნის მზაობის შესახებ, რასაც ლოგიკურად ურთიერთობების დათბობა და აღდგენა მოჰყვება.
- ²¹ მძევლების საქმე, §85, გვ. 39.
- ²² <http://de.wikipedia.org/wiki/Hallstein-Doktrin>
- ²³ <http://www.spiegel.de/politik/ausland/0,1518,487215,00.html>
- ²⁴ ჰალშტაინის დოქტრინა კონრად ადენაუერის მოსკოვში ვიზიტისა და საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდეგ, 1955 წელს იქნა ფორმულირებული და ამავე წლის ელჩების კონფერენციაზე,

ქალაქ ბონში, საჯაროდ გაცხადდა. ამ დოქტრინას, როგორც ვარაუდობდნენ, შეეძლო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა სრულ იზოლაციამდე მიეყვანა. თუმცა დოქტრინის გამოყენება ყოველთვის და ყველასთან მიმართებით არ ხდებოდა. მაგალითად, 1957 წელს, როდესაც გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ კაიროში გახსნა ბიურო, რომელიც მთელ არაბულ სამყაროსთან დიპლომატიური ურთიერთობისათვის იყო გამიზნული, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ჰალშტაინის დოქტრინა არ გამოიყენა. რეალურად იგი მხოლოდ ორჯერ გამოიყენეს: თავდაპირველად ყოფილი იუგოსლავიის მიმართ 1957 წელს, და 1963 წელს კუბის მიმართ. გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ დიპლომატიური ურთიერთობა განწყვიტა კუბასთან იმ მიზეზით, რომ კუბამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა აღიარა. როდესაც აფრიკულმა ქვეყანამ, გვინეამ, 1958 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა, ორივე გერმანულმა სახელმწიფომ მოინდომა გვინეაში საელჩოს გახსნა. გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გვინეაში სავაჭრო წარმომადგენლობა დააფუძნა, ცოტა ხნის შემდეგ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ გვინეაში საელჩო გახსნა. 1960 წელს დამოუკიდებლობამოპოვებულმა სახელმწიფომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიპლომატები გაგზავნა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ კი საპასუხოდ დიპლომატიური წარმომადგენლობა გაიწვია. გვინეამ უარყო აღმოსავლეთ ბერლინში დიპლომატების გაგზავნის ფაქტი. ამ განცხადების შემდეგ გვინეასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობა აღდგა, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ კი საგარეო პოლიტიკაში მარცხი განიცადა.

- ²⁵ მძევლების საქმე, §84, გვ. 38.
- ²⁶ Bruno Simma and Dirk Pulkowski. Of planets and the Universe: Self-Contained Regimes in International Law. European Journal of International Law. 2006. Vol.17 No.3 p.485.
- ²⁷ მძევლების საქმე, §86, გვ. 40.
- ²⁸ *Ib.*, §35, გვ. 19.
- ²⁹ *Ib.*, §81, გვ. 37.
- ³⁰ მძევლების საქმე, §83, გვ. 38.
- ³¹ მძევლების საქმე, §85, გვ. 39. იხ. აგრეთვე Denza, Eileen. Diplomatic Law, A Commentary on the Vienna Convention on Diplomatic Relations (2nd ed.). Oxford: Clarendon Press, 1998, გვ. 63.
- ³² მძევლების საქმე, §85, გვ. 40.
- ³³ *Ib.*, §95 გვ. 44.
- ³⁴ Eileen Denza, Diplomatic Law Commentary on the Vienna Convention on Diplomatic Relations.
- ³⁵ Eileen Denza, Diplomatic Law Commentary on the Vienna Convention on Diplomatic Relations.
- ³⁶ Eileen Denza, Diplomatic Law Commentary on the Vienna Convention on Diplomatic Relations.
- ³⁷ Eileen Denza, Diplomatic Law Commentary on the Vienna Convention on Diplomatic Relations.
- ³⁸ ვენის კონვენცია „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“, 45-ე მუხლი.
- ³⁹ Eileen Denza, Diplomatic Law Commentary on the Vienna Convention on Diplomatic Relations.
- ⁴⁰ <http://www.apidya.com/nur/cases/case-libyscher-botschaftsfall.html>
- ⁴¹ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო დოკუმენტაცია და ოფიციალური მონაცემები ვებგვერდზე: www.mfa.gov.ge
- ⁴² Eileen Denza, Diplomatic Law Commentary on the Vienna Convention on Diplomatic Relations .
- ⁴³ ვენის 1961 წლის კონვენცია „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“, 45-ე მუხლის a,b პუნქტები.

- ⁴⁴ Elieen Denza, Diplomatic Law Commentary on the Vienna Convention on Diplomatic Relations.
- ⁴⁵ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს იცავს შვეიცარიის საელჩო თეირანში.
- ⁴⁶ შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს მეშვეობით, ძირითადად, ხორციელდება საკონსულო ურთიერთობები, რაც, თავის მხრივ, უფრო ფუნქციური ხასიათისაა, ხოლო დიპლომატიური ანუ პოლიტიკური ურთიერთობების ქრილში შვეიცარიის საელჩო პრაქტიკულად მხოლოდ „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე“ რუსეთის ფედერაციის არათანმიმდევრული ქმედებების შედეგად საქართველოს მხარის საპროტესტო ნოტების ადრესატისათვის გადაცემას ახდენს.
- ⁴⁷ „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ ვენის 1961 წლის კონვენცია, მე-3 მუხლი.
- ⁴⁸ Onuma Yasuaki. International law in and with International politics: The functions of International Law in International Society. European Journal of International Law. 2003. Vol.14 No.1, p. 108 .

POLITICAL AND LEGAL GROUNDS AND OUTCOMES OF SEVERANCE OF DIPLOMATIC RELATIONS

INTRODUCTION

International law is based on the peaceful coexistence and broad cooperation of states. The obligation of states to cooperate with each other is one of the main principles of international law¹ and is reflected in the UN “Declaration on Principles of International Law concerning Friendly Relations and Cooperation among States based on the Charter of the United Nations” of 1970 (Resolution of General Assembly 2625),² as well as in the Helsinki Final Act of 1975³. (It is worth mentioning that both legal acts were recognized by the International Court of Justice in the Nicaragua case as acts reflecting the provisions of international customary law⁴). According to this principle, and despite the differences of their political, economic and social systems, states are obliged to cooperate with each other in different areas of international relations, in order to resolve different problems in line with the principles of sovereign equality and non-interference.⁵

ამასთან ერთად, მხედველობაში მისაღება ის ფაქტი, რომ, მართალია, პროცედურებისა და წესების 85-ე წესის გამოყენება უნდა ხდებოდეს რომის სტატუტის 68-ე(3) მუხლით დადგენილი მონაწილეობის რეგულირებისას, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ 85-ე წესით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაცვა მონაწილეობის ავტომატური და ზოგადი უფლების გამოყენებას განაპირობებს. ეს კი მსხვერპლის პირადი ინტერესებისა და მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვას გვერდზე ტოვებს, და მათი განხილვა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, როდესაც იხილება მონაწილეობის კონკრეტული ფორმები.¹⁷

მსხვერპლთა უსაფრთხოების, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად კარგად ყოფნის,

ღირსებისა და პირადი ცხოვრების დაცვის¹⁸ პარალელურად რომის სტატუტი ადგენს, რომ მსხვერპლთა „მოსაზრებები“ და „წუხილები“ უნდა იქნეს სასამართლოსთვის წარდგენილი, თუ მსხვერპლთა პირად ინტერესებზე არის გავლენა მოხდენილი.¹⁹

სასამართლოს პირველ გადაწყვეტილებაში მსხვერპლთა მონაწილეობის თაობაზე „[სასამართლოს] პალატამ მიიჩნია, რომ მსხვერპლთა პირადი ინტერესები განხილვის საგანია ზოგადად გამოძიების ეტაპზე [ხაზგასმა ავტორისა], რადგან მსხვერპლთა მონაწილეობამ ამ ეტაპზე შესაძლოა, უზრუნველყოს ფაქტების განმარტება, დამნაშავეთა დასჯა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა“.²⁰

მსხვერპლთა მონაწილეობის თაობაზე შუამდგომლობათა შეფასების სასამართლოს მიერ განვითარებული პრაქტიკა²¹ იმის მაჩვენებელია, რომ გამოძიების ეტაპზე მსხვერპლთა მონაწილეობის უზრუნველყოფა დროის წამლები, ორმაგი პროცესია. მსხვერპლებმა პირველ ეტაპზე, მანამ, სანამ ექვმიტანილის ან ბრალდებულის იდენტიფიცირებაც კი მოხდება, უნდა აჩვენონ საქმისწარმოებაში ზოგადი ინტერესი. ამ ეტაპზე სასამართლოსთვის არც არის საჭირო „მსხვერპლისთვის მიყენებული ზიანის აბსოლუტური განსაზღვრა, რადგან ამის დადგენა, საქმის ვითარებიდან გამომდინარე, სასამართლოს პალატის მიერ მომდევნო ეტაპზე მოხდება, საჭიროების მიხედვით“.²²

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მსხვერპლთა განხილვა ხდება როგორც „თანასწორთა შორის უფრო თანასწორებისა“, რის შედეგადაც სისხლის სამართლის პროცესის დროში განვრცობა შესაძლოა, საჭიროზე უფრო მეტად ხდებოდეს. „თანასწორთა შორის უფრო თანასწორებად“ მიჩნევის თვალნათელი მაჩვენებელია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს I პალატის მოსაზრება მსხვერპლთა „პირადი ინტერესების“ თაობაზე²³, რომლის ფართოდ ინტერპრეტირებული გაგების თანახმად, მსხვერპლთა ერთ-ერთი „პირადი ინტერესი“ გამოძიების ეტაპზე იმის დანახვაა, რომ მათ წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენი ბრალდებულებად იხილონ.²⁴

მართალია, „...მსხვერპლთა უფლებების პატივისცემა და სრული რეალიზაცია სისხ-

ლის სამართლის მართლმსაჯულების მეშვეობით, როგორც ეს უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ, საერთაშორისო სამართალში მსხვერპლთა უფლებების შემდგომი კოდიფიცირების უნიკალური შესაძლებლობაა“,²⁵ არ უნდა მოხდეს ამ ინტერესის სახელით თანაბარი საჭიროებისა და სამართლებრივი ღირებულების – სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით²⁶ დადგენილი ბრალდებულთა სამართლიანი სასამართლოსა და მიუკერძოებელი, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების უფლების შეზღუდვა. ბალანსის დაცვა დელიკატური, შესაძლოა, სამართლის პოლიტიკისა და, ზოგადად, პოლიტიკური თვალსაზრისით,²⁷ არცთუ ისე პოპულარული, მაგრამ სამართლიანობის განცდის დასამკვიდრებლად უმნიშვნელოვანესია.

III. ყოვლილი იუმოსლაჰისა და რუანდისთვის გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილი სისხლის სამართლის ტრიბუნალის მიღგომა მსხვერპლთა მონაწილეობის საკითხისადმი

მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის მსხვერპლთა დაცვა და მათი გადმოსახედიდან სამართლიანობის აღდგენა უნდა მოიაზრებოდეს საერთაშორისო სისხლის სამართლის სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედად, მეცნიერთა მოსაზრებებში განსხვავებული მიდგომებიც ფიგურირებს, რაც შესაძლოა, პრაქტიკის განზოგადებიდან გამომდინარეობს, ან, საერთოდ, ამგვარი პრაქტიკის შექმნას თავად უწყობს ხელს. კრაიერის, ფრიმანისა და სხვათა ავტორობით მომზადებული ნაშრომი საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიზნებს შორის ჩამოთვლის შემდეგ: სამაგიეროს მიგება, დანაშაულის მომავალში ჩადენის თავიდან არიდება (თავის შეკავება) და ა.შ. „სამართლიანობა მსხვერპლთათვის“ არ არის მოხვედრილი იმ სიაში, რომელიც ცალ-ცალკე ჩამოთვლის საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიზნებს. მსხვერპლთა ხსენება ხდება მხოლოდ დამატებითი მიზნების ჩამონათვალში, რაც გაერთიანებულია ერთ

თავში: „უფრო ფართო მიზნები“. ეს უკანასკნელი კი, მართალია, მსხვერპლთა პირველ რიგში ახსენებს, მაგრამ ასევე აერთიანებს იმგვარ მიზნებს, როგორებიცაა: ისტორიის ფურცელზე დაფიქსირება, შერიგება კონფლიქტის დასრულების შემდგომ და ა.შ.²⁸

აღნიშნული მიდგომა საინტერესოა როგორც თეორიული საფუძველი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის განვითარებისა და ეს იმის გათვალისწინებითაც, რომ როგორც ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი, ისე რუანდისთვის, *ad hoc* სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების სამართლებრივი საფუძვლითა და პრაქტიკით ნაყოფიერი ნიადაგის მომზადება მოხდა იმისთვის, რომ რომის სტატუტის 68-ე მუხლის პირველ, მე-2, მე-4 და მე-5 ნაწილებში მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირებით დახვეწილი, განვითარებული ნორმების შეტანა გახდა შესაძლებელი²⁹. ამასთან, რომის სტატუტის 68-ე მუხლის მე-3 ნაწილი სპეციფიკურად მიეძღვნა მსხვერპლთა [სისხლის სამართლის პროცესის წარმოებაში ფართო] მონაწილეობას. აღნიშნულის ფონზე მნიშვნელოვანია ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდისთვის შექმნილი ტრიბუნალების სამართლებრივი რეგულირებისა და პრაქტიკის, სტატის შეზღუდული ფორმატიდან გამომდინარე, ძალზე მოკლე მიმოხილვა რომის სტატუტის 68-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დებულებებისა და სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის ანალიზისთვის.

ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდისთვის შექმნილი ტრიბუნალების წესდებებში ტერმინი „მსხვერპლი“ ვინროდ იყო განმარტებული: მსხვერპლი არის „პირი, რომლის წინააღმდეგ ის დანაშაული იქნა, სავარაუდოდ, ჩადენილი, რომელზეც ტრიბუნალის იურისდიქცია ვრცელდება“.³⁰

ნიკოლიჩის საქმეში ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილმა სისხლის სამართლის ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ „დასჯამ შესაბამისად უნდა ასახოს სამართლიანობისკენ მოწოდება, როგორც იმ პირებისგან, რომლებიც პირდაპირ გახდნენ დანაშაულის მსხვერპლნი, ისე დანაშაულის არაპირდაპირ მსხვერპლთაგან“.³¹

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების საფუძველზე წევრმა სახელმწიფოებმა პროცედურებისა და

მტკიცებულების წესების მიღებისას მსხვერპლის განმარტების მიღებისას აქცენტი მსხვერპლად გახდომაზე – ვიქტიმიზაციაზე – გააკეთეს³² და არა იმ შემზღუდავ კავშირზე, რაც ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალისთვის შექმნილი ტრიბუნალის მე-2 წესში იყო ასახული.

ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდისთვის გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სისხლის სამართლის *ad hoc* ტრიბუნალების შექმნისას კი, საერთაშორისო დონეზე მსხვერპლთა მონაწილეობა შეუძლებლად იქნა მიჩნეული, რაც განპირობებული იყო იმით, რომ „ათობით ათასი“ მსხვერპლი აღმოჩნდა იმ დანაშაულების სამიზნე, რომლებიც ამ ტრიბუნალთა კომპეტენციაში ხვდებოდა. შესაბამისად, ყველა მსხვერპლისთვის ხმის მიცემის შესაძლებლობა ტრიბუნალების ეფექტურობისა და სამართლიანად მოქმედების ხელისშემშლელ ფაქტორად განიხილებოდა.

თუმცა თავად ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მოტივაცია,³³ ტრიბუნალის პირველი ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, ასეთი იყო: „ტრიბუნალმა მორალური პასუხისმგებლობა იგრძნო, სასამართლო საქმისწარმოება დაეწყო შეძლებისდაგვარად სწრაფად, რომ ყველა მხარეს, როგორც მსხვერპლს, ისე დამნაშავეს, ადგილობრივ მონაწილეებსა თუ დისტანციიდან დამკვირვებლებს, შესაძლებლობა მისცემოდათ, დაენახათ, რომ ადამიანის უფლებების თავზეხელაღებული დარღვევები დაუსჯელად არ დარჩებოდა“.³⁴

რომის სტატუტით შექმნილი სასამართლოს სამართლებრივი ბაზისა და შესაბამისი პრაქტიკის ანალიზისას ბუნებრივი ინტერესი ჩნდება, ეს უკანასკნელი გაეროს მიერ შექმნილი *ad hoc* ტრიბუნალების პარალელურად იყოს გაანალიზებული. ეს თუნდაც იმ პრაქტიკით არის განპირობებული, რომლის თანახმად, რუანდისთვის შექმნილი *ad hoc* სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალთან დაკავშირებით, რუანდაში განხორციელებული გენოციდის შემდეგ, „რუანდის საზოგადოებრივი აზრი ხშირად არ აღიქვამდა მართლმსაჯულების აღსრულებას, რადგან არ ჩანდა, რომ ეს ასე იყო. ეს კი რუანდის სისხლის სამართლის ტრიბუნალის უმთავრესი პრობლემა გახლდათ“.³⁵

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იმი-
სა, რომ რუანდაში ტრიბუნალის მიერ „მარ-
თლმსაჯულების აღსრულების“ დანახვა ძა-
ლიან გაძნელდა, შესაძლოა, სწორედ დანა-
შაულის მსხვერპლთა პასიური როლი და
მის საქმისწარმოებაში მათი შეზღუდული
ჩართულობის შესაძლებლობაც იყო. ახლა
უკვე, წლების გასვლის შემდეგ, საერთაშო-
რისო სამართლის მრავალი ცნობილი კო-
მენტატორი ნათლად მიუთითებს იმას, რომ
მსხვერპლთა მონაწილეობა ყოფილი იუგო-
სლავიისა და რუანდის საერთაშორისო სის-
ხლის სამართლის ტრიბუნალების საქმიანო-
ბაში, განსხვავებით სისხლის სამართლის
საერთაშორისო სასამართლოსგან, ძალზე
შეზღუდულია. პროფესორ კასესეს ანალ-
იზის თანახმად, „...მაშინ, როდესაც ყოფილი
იუგოსლავიისა და რუანდის საერთაშორისო
სისხლის სამართლის ტრიბუნალების სამარ-
თალწარმოებაში მსხვერპლებს არანაირი
ავტონომიური როლი არ აქვთ, რამდენა-
დაც ისინი სასამართლოს წინაშე მხოლოდ
მონმეებად შეიძლება წარსდგნენ, ისიც მა-
შინ, თუ მათი გამოძახება სისხლის სამართ-
ლის საქმისწარმოების რომელიმე მხარის
(ჩვეულებრივ, პროკურორის) ან თავად სასა-
მართლოს მიერ მოხდება, სისხლის სამართ-
ლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუ-
ტით მათ რამდენიმე როლი მიენიჭათ...“³⁶

**IV. სისხლის სამართლის საერთაშორისო
სასამართლოს ადმინისტრაციაში
მსხვერპლთა სისხლის სამართლის
პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა**

რომის სტატუტის ხელმოსაწერად გახს-
ნისას გაეროს მაშინდელმა გენერალურმა
მდივანმა კოფი ანანმა განაცხადა, რომ „უმ-
თავრესი ინტერესი მსხვერპლთა და საერთა-
შორისო თანამეგობრობის, როგორც მთლი-
ანის, [დაცვა ...] უნდა იყოს. ... [სასამართლო],
სამართლიანობის ინსტრუმენტი უნდა იყოს,
და არა გამორჩენის“.³⁷

რომის სტატუტის 68-ე(4) მუხლი სპე-
ციალურად ადგენს გასათვალისწინებელი
დაცვის ღონისძიებების, უსაფრთხოების
მექანიზმების, რჩევის მიცემისა და დახმარე-
ბის განევის შესაძლებლობას, რაც მსხვერ-
პლთა და მონმეთა განყოფილების მიერ
პროკურორსა და სასამართლოს შეიძლება
მიენოდოს.

რომის სტატუტის მე-15(3) მუხლისა
და მისი შესაბამისი „პროცედურებისა და
მტკიცებულებების წესების“ 50-ე მუხლის
შესაბამისად, პროკურორისთვის ან მსხვერ-
პლთა და მონმეთა სამსახურისთვის ცნო-
ბილი მსხვერპლნი ინფორმირებულნი იქ-
ნებიან, რომ შეძლონ წინა სასამართლო
განხილვის პალატის წინაშე გამოცხადება.
გამოძიების ინტერესებისა და ცალკეული
პიროვნებების უსაფრთხოების გათვალის-
წინებით, მსხვერპლთა ჯგუფებსაც მიენო-
დებათ ზოგადი შეტყობინება.

მსხვერპლთა და მონმეთა დაცვის გან-
ყოფილება ასევე შეატყობინებს იმ მსხვერ-
პლებს, „რომლებსაც უკვე ჰქონდათ კომუ-
ნიკაცია სასამართლოსთან“, რომ გამოხა-
ტონ საკუთარი პოზიცია სასამართლოს
იურისდიქციისა ან საქმის დასაშვებობის
საკითხებთან დაკავშირებით³⁸.

სისხლის სამართლის საერთაშორისო
სასამართლოს პრაქტიკა აჩვენებს, რომ
მსხვერპლთა ისევე, როგორც მონმეთა და-
ცვა პრაქტიკაში საკმაოდ ფართოდ არის
გამოყენებული. ასეთივე წარმატებით არის
ამის განცხადება შესაძლებელი ყოფილი
იუგოსლავიისა და რუანდის ტრიბუნალებ-
თან მიმართებითაც, მიუხედავად ტრიბუ-
ნალებსა და სასამართლოში მსხვერპლთან
განსხვავებული მიდგომებისა.³⁹

**V. დასკვნა. რამდენად ეფექტური
და რეალურია სისხლის სამართლის
საერთაშორისო სასამართლოს მიერ
დადგენილი მსხვერპლთა სისხლის
სამართლის პროცესში მონაწილეობის
მექანიზმები**

მსხვერპლის როლი მნიშვნელოვნად
არის გაძლიერებული სისხლის სამართლის
საერთაშორისო სასამართლოს წესდებაში.
რომის სტატუტის მიხედვით, მსხვერპლთა
ინტერესების შესაბამისად, მათ სისხლის
სამართლის პროცესში მონაწილეობის უფ-
ლება აქვთ. ამავდროულად, რომის სტატუ-
ტის 68-ე მუხლი არ უნდა იყოს გაგებული
ვინროდ, თითქოს მისი მოქმედება მხოლოდ
სისხლის სამართლის პროცესის წარმოებას
ეხება სასამართლოში. ეს ნორმა სასამართ-
ლოს მიერ „საქმისწარმოებას“ შეეხება, მისი
ფართო გაგებით, და არა მხოლოდ სასა-
მართლო განხილვას⁴⁰.

ამას სასამართლოს შექმნის წინა ისტორიაც განაპირობებს: ერთიანი, მუდმივმოქმედი, შეძლებისდაგვარად უნივერსალური სასამართლოს შექმნის იდეა იყო საერთაშორისო, ყველაზე უფრო სასტიკ დანაშაულებზე სწრაფი რეაგირების მუდმივი შესაძლებლობის შექმნა. მიზანი მხოლოდ დამშინებელი მექანიზმის მუდმივ არსებობას არ გულისხმობდა. იდეის საბაზისო ელემენტი ასევე იყო მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის სწრაფად აღდგენის დიდი იდეა.

რომის სტატუტის საფუძველზე, სასამართლო პალატას ფართო უფლებამოსილება აქვს, სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო პროცესის ჩასატარებლად მითითებები გასცეს.⁴¹

რომის სტატუტით შექმნილი სასამართლოს სანყისი ეტაპის პრაქტიკა იმის მაჩვენებელია, რომ მსხვერპლის მონაწილეობა სასამართლოს საქმისწარმოების პროცესში, რომელშიც მსხვერპლის პირადი ინტერესები შეიმჩნევა, უმნიშვნელოვანესია⁴².

თუ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში შესაძლო მსხვერპლთა სრულ შემადგენლობასთან იმუშავებს, რაც სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაულების მხედველობაში მიღებით, მილიონობით ადამიანი შესაძლოა, იყოს, მნიშვნელოვანია იმ მექანიზმების ზუსტი განსაზღვრა, რაც სასამართლოს გადაჭირთულობას არ გამოიწვევს დროისა და ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ამავდროულად, ის ფაქტორიც უნდა იყოს აუცილებლად გათვალისწინებული, რომ მოწმეთა წარმომადგენლობის უზრუნველყოფის ხარჯზე არ უნდა მოხდეს სისხლის სამართლის პროცესში ეჭვმიტანილი და ბრალდებული ადამიანების უფლებათა დარღვევა.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სამართლებრივი ბაზა და პრაქტიკა მიმართული უნდა იყოს ადამიანთა – და, ბუნებრივია, სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაულების მსხვერპლთა – დაცვისკენ, არ უნდა მოხდეს ამ აღმატებული იდეის სახელით თავად ამ პრინციპის დისკრედიტირება. ერთ-ერთი საფრთხე კი ამ მიმართულებით შესაძლოა ისიც იყოს, რომ

მსხვერპლს სისხლის სამართლის პროცესში ჩართვის შესაძლებლობა აქვს მანამდეც კი, სანამ მოხდება კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დადგენა. ეს კი, შესაძლოა, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით გარანტირებული მნიშვნელოვანი უფლებების დარღვევის წინაპირობად იქცეს.

არც იმის უგულებელყოფა უნდა მოხდეს, რომ დაზარალებულის უფლებების დაცვის სახელით არ შეიძლება, სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპის უგულებელყოფა მოხდეს, (რომის სტატუტი, 68-ე(4) მუხლი).

ორ ეტაპად დაყოფილი მსხვერპლის იდენტიფიცირების პროცედურა⁴³ უფრო მეტად წელავს სასამართლო პროცესს და, სავარაუდოდ, არღვევს იმ მსხვერპლის უფლებებს, რომლის დასაცავადაც შემუშავდა დაცვის მექანიზმები სასამართლოს მიერ. თუმცა ამ უარყოფით შეფასებასთან ერთად მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ კომენტატორების მიერ პროკურორის არჩეული გზა, რათა მოხდეს მსხვერპლთა იდენტიფიცირების ორი ეტაპის შემოღება, გაკრიტიკებულია. დევიდ დონატ-კატანი მკაფიოდ აცხადებს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს „პროკურორის განყოფილება მცადრ გზას დაადგა, როდესაც შესაბამისი [მსხვერპლის ინდენტიფიცირების] პროცედურა „ორეტაპიან პროცესად“ დაახასიათა, რომლის დროსაც მსხვერპლის, როგორც ასეთის, აღიარება შეიძლება მოხდეს პირველ ეტაპზე, რაც საჭიროებს მეორე სასამართლო გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, შეილახა თუ არა მისი პირადი ინტერესები“.⁴⁴

ისიც უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, რომ რომის სტატუტის 68-ე მუხლის პირველი ნაწილი მთავრდება დებულებით, რომლის თანახმად „[მოწმის დაცვისა და დახმარების] ღონისძიებები ზიანს არ უნდა აყენებდნენ ან არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ბრალდებულის უფლებების დაცვას და სამართლიან და მიუკერძოებელ სასამართლოს“.⁴⁵

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლოს ევალება იმის დადგენაც, რომის სტატუტის 68-ე(3) მუხლის შესაბამისად ხომ არ მოხდება ეჭვმიტანილის ან ბრალდე-

ბულის უფლებების შელახვა, მსხვერპლის პროცესში ჩართვის უზრუნველყოფით.

პროფესორი კასესე შენიშნავს, რომ, მიუხედავად სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის ფართო ჩართულობის უზრუნველყოფისა, და ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდისთვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების ფონზე, ვერც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო მოახერხა სამოქალაქო სამართლის სისტემის ქვეყნებისთვის ტიპური სისტემის სრულად შემოღება, რაც სამოქალაქო მოსარჩელის სახით სისხლის სამართლის პროცესში ჩართვის უფლებას ითვალისწინებს.⁴⁶

ეს კი, სავარაუდოდ, თუ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმისწარმოების დროში განვიხილავთ პროცესს წარმოვიდგენთ, შესაძლოა, უფრო დადებით მომენტადაც იქნეს გათვალისწინებული,

ვიდრე სასამართლოს რეგულაციების ნაკლად, რადგან საბოლოო მიზანი სისხლის სამართლის საერთაშორისო ორგანოსი უნდა იყოს: „მართლმსაჯულების დადგენა, მომავალი დანაშაულების თავიდან არიდება და მშვიდობის აღდგენისა და შენარჩუნებისთვის ხელისშეწყობა“.⁴⁷

ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ მსხვერპლის მონაწილეობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის პროცესში, სამართლიანი, მიუკერძოებელი სასამართლოსა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვის თვალსაზრისით, არ უნდა იყოს შესაძლებელი გამოძიების ეტაპზე, სანამ ბრალდებულის იდენტიფიცირება მოხდება. ეს არ უნდა ხდებოდეს თუნდაც იმიტომ, რომ პროკურორის დამოუკიდებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგეს⁴⁸, ან ბრალდებულის საპროცესო უფლებები არ დაირღვეს, ანდა სისხლის სამართლის წარმოება ზედმეტად არ გახანგრძლივდეს.

¹ იხ.: “Second Day, Wednesday, 11/21/1945, Part 04”, in Trial of the Major War Criminals before the International Military Tribunal. Volume II. Proceedings: 11/14/1945-11/30/1945. [Official text in the English language.] Nuremberg: IMT, 1947, გვ. 98-102. Justice Jackson’s Opening Statement for the Prosecution, www.yale.edu/lawweb/avalon/imt/proc/11-21-45.htm, ნანახია: 12/03/2009.

² 1998 წლის იენის-ივლისში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების ხელმოსაწერად გასახსნელად კონფერენციის რომში გამართვის გამო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებას ასევე მოიხსენიებენ, როგორც „რომის სტატუტს“. წინამდებარე ნაშრომშიც „რომის სტატუტი“ ასევე იქნება გამოყენებული სასამართლოს წესდების აღმნიშვნელად.

³ „ყურადღებით იღებს რა მხედველობაში, რომ ამ საუკუნის მანძილზე მილიონობით ბავშვი, ქალი და მამაკაცი გახდა კაცობრიობის სინდისის ღრმად შემადრწუნებელი წარმოუდგენელი სისასტიკის მსხვერპლი“... (ხაზგასმა ავტორისა) იხ.: რომის სტატუტი, პრეამბულა, მეორე აბზაცი.

⁴ იხ. Triffterer, O. (2008) “Preamble” in Triffterer, O. (ed.), “Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers’ Notes, Article by Article”, გვ. 3.

⁵ იხ. Zehr, H. (1990) *Changing Lenses: A New Focus For Crime And Justice* 181 Herald Press.

⁶ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შემთხვევაში ეს უფლება მოიცავს არა მხოლოდ სასამართლო განხილვის ეტაპს, არამედ ე.წ. „სიტუაციის“ დამუშავების ეტაპსაც, როდესაც კონკრეტული ეჭვმიტანილი ან ბრალდებული არც კი არის იდენტიფიცირებული.

⁷ იხ. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები: 827(1993) და 955(1994).

⁸ „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნა“, კონცეფციასთან დაკავშირებით, ზოგადად, იხ.: Simma, B. (ed.), (2002) *The Charter of the United Nations: A Commentary*, ტ. I, გვ. 717-729.

- ⁹ კოლუმბიის წინადადება: კომენტარები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საერთაშორისო სემინარის ანგარიშზე, PNCICC/1999/WGRPE/DP.37, 10 აგვისტო, 1999.
- ¹⁰ იხ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი: პრეამბულა, მეორე აბზაცი, მე-15(3), მე-19(3), 43(6)-ე, 53(1,გ)-ე, 53(2,გ)-ე, 54(1,ბ)-ე, 54(3,ბ), 57(3,გ)-ე, 57(3,დ)-ე, 64(2)-ე, 64(2,ე)-ე, 65(4)-ე, 68(1)-ე, 68(2)-ე, 68(3)-ე, 68(4)-ე, 75(1)-ე, 75(2)-ე, 75(3)-ე, 75(6)-ე, 79(1)-ე, 82(4)-ე, 87(4)-ე, 90(6,ბ)-ე, 93(1,კ)-ე, 110 (4,ბ)-ე მუხლები.
- ¹¹ იხ. Bergsmo, M., Pejić, J. (2008), "Article 15: Prosecutor" in Triffterer, O. (ed.), "Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers' Notes, Article by Article" გვ. 590.
- ¹² იხ. Bitti, G., Friman H. (2001) "Participation of Victims in the Proceedings" in Lee R.S., et al (ed.) "The International Criminal Court: Elements of Crimes and Rules of Procedure and Evidence" გვ. 456-491.
- ¹³ შედარებისთვის იხ. Art. 6(b) of the Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crimes and Abuse of Power annexed to the UN General Assembly Resolution 40/34, 29 December, 1985; ასევე: ECOSOC Resolution 1996/14.
- ¹⁴ პროცედურებისა და მტკიცებულების წესები, წესი 89-ე (1).
- ¹⁵ იხ., მაგ., სიტუაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პროცესში მონაწილეობის შესახებ განაცხადებზე გადაწყვეტილება: VPRS 1, VPRS 2, VPRS 3, VPRS 4, VPRS 5 და VPRS 6, 17 იანვარი, 2006, ICC-01/04-101, პარა.100.
- ¹⁶ იხ., მაგ., სიტუაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პროკურორი ტომას ლუბანგა დიილოს წინააღმდეგ, ვადის გაგრძელების შუამდგომლობა, 2 ოქტომბერი, 2007წ., ICC-01/04-01/06-523, პარა.10.
- ¹⁷ იხ., მაგ., სიტუაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გადაწყვეტილება OPCD-ს შუამდგომლობაზე შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე, სასამართლოს წესების 86-ე(2)(ე) მუხლის თანახმად, პროკურორის მიერ გამამართლებელი მასალის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, 7 დეკემბერი, 2007, ICC-01/04-417, პარა.9. [Situation in the Democratic Republic of the Congo, Decision on the Requests of the OPCD on the Production of Relevant Supporting Documentation Pursuant to Art. 86(2)(e) of the Regulations of the Court on the Disclosure of Exculpatory Materials by the Prosecutor, 7 Dec., 2007, ICC-01/04-417, at 9].
- ¹⁸ რომის სტატუტი, 68-ე(1) მუხლი.
- ¹⁹ რომის სტატუტი, 68-ე(3) მუხლი.
- ²⁰ იხ. სიტუაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პროცესში მონაწილეობის შესახებ განაცხადებზე გადაწყვეტილება: VPRS 1, VPRS 2, VPRS 3, VPRS 4, VPRS 5 და VPRS 6, 17 იანვარი, 2006, ICC-01/04-101, პარა.63.
- ²¹ იხ. მაგ., ჩრდილოეთ უგანდის Lord's Resistance Army საქმე: ICC-02-04-01-05-134, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიტუაცია: ICC-01-04-101, ICC-01-04-01-06-228, ლუბანგას საქმე: ICC-01-04-06-228, ICC-01-04-06-601.
- ²² მაგ., სიტუაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პროცესში მონაწილეობის შესახებ განაცხადებზე გადაწყვეტილება: VPRS 1, VPRS 2, VPRS 3, VPRS 4, VPRS 5 და VPRS 6, 17 იანვარი, 2006, ICC-01/04-101, პარა. 82.
- ²³ რომის სტატუტი, 68-ე(3) მუხლი.
- ²⁴ სიტუაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პროცესში მონაწილეობის შესახებ განაცხადებზე გადაწყვეტილება: VPRS 1, VPRS 2, VPRS 3, VPRS 4, VPRS 5 და VPRS 6, 17 იანვარი, 2006, ICC-01/04-101, პარა. 72.
- ²⁵ David Donat-Cattin (2008), "Article 68: Protection of the victims and witnesses and their participation in the proceedings" in Triffterer, O. (ed.), "Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers' Notes, Article by Article" გვ. 1278.
- ²⁶ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი.

- ²⁷ ზოგადი პოლიტიკური მოსაზრებები, მართალია, სცილდება სამართლის სფეროს ვინრო გაგებით, თუმცა, სამწუხაროდ, მაინც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საერთაშორისო სამართლის, ზოგადად, და, ბუნებრივია, საერთაშორისო სისხლის სამართლის, განვითარებას.
- ²⁸ იხ. Cryer, R., et al (2008), *An Introduction to International Criminal Law and Procedure*, გვ.18-26.
- ²⁹ David Donat-Cattin, (2008), "Article 68: Protection of the victims and witnesses and their participation in the proceedings" in Triffterer, O. (ed.), *Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers' Notes, Article by Article*, გვ. 1277.
- ³⁰ წესი 2ა, 1991 წლიდან ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევებისთვის პასუხისმგებელი პირების სისხლისსამართლებრივი დევნისთვის შექმნილი საერთაშორისო ტრიბუნალი, „პროცედურებისა და მტკიცებულებების წესები“, მიღებული 1994 წლის 11 თებერვალს, 1993 წლის 25 მაისს გაეროს უშიშროების საბჭოს 827 რეზოლუციით ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდების მე-15 მუხლის საფუძველზე; წესი 2ა, რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალი, „პროცედურებისა და მტკიცებულებების წესები“, მიღებულია 1995 წლის 29 ივნისს, გაეროს უშიშროების საბჭოს 955-ე რეზოლუციის (1994 წლის 8 ნოემბრის) რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდების მე-14 მუხლის საფუძველზე.
- ³¹ იხ. Momir Nikolić, ICTY Trial Chamber I, 2.12.2.003, para.86.
- ³² იხ. 85-ე წესი, პროცედურებისა და მტკიცებულებების წესები.
- ³³ ისევე, როგორც მის პრეცედენტზე დაყრდნობით შექმნილი რუანდის ტრიბუნალისა.
- ³⁴ იხ. *Report of the International Tribunal for the Prosecution of Persons Responsible for Serious Violations of International Humanitarian Law Committed in the Territory of the Former Yugoslavia since 1991*, U.N. GAOR, 49th Session, U.N. Doc.A/49/342, S/1994/1007 (29 აგვისტო, 1994).
- ³⁵ იხ. David Donat-Cattin, (2008), "Article 68: Protection of the victims and witnesses and their participation in the proceedings" in Triffterer, O. (ed.), *Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers' Notes, Article by Article* გვ. 1277.
- ³⁶ იხ. Cassese, A. (2003) *International Criminal Law*, გვ.387.
- ³⁷ United Nations Press Release, UN Secretary General Declares Overriding Interest of International Criminal Court Conference must be that of Victims and World Community as a Whole, 15 June 1998, <http://www.un.org/icc/pressrel/1rom6ri.htm>, ნანახია: 14/02/2010.
- ³⁸ რომის სტატუტი, მე-19(3) მუხლი, პროცედურებისა და მტკიცებულებების წესები.
- ³⁹ იხ. Cryer, R., et al (2008), *An Introduction to International Criminal Law and Procedure*, გვ.362.
- ⁴⁰ იხ. David Donat-Cattin, (2008), "Article 68: Protection of the victims and witnesses and their participation in the proceedings" in Triffterer, O. (ed.), *Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers' Notes, Article by Article* გვ. 1280, პარა. 9.
- ⁴¹ იხ. Ratner, Steven, R., et al. *Accountability for Human Rights Atrocities in International Law: Beyond the Nuremberg Legacy*, Third Edition, Oxford University Press, 2009, გვ. 239.
- ⁴² იხ. მაგ., *ტომას ლუბანგას* საქმე.
- ⁴³ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით: „ბრალდების მხარის მოსაზრებით, [რომის] სტატუტის 68-ე (3) მუხლი და 85-ე წესი, თუ მათი განხილვა ერთად მოხდება, [სასამართლოს] პალატისთვის ადგენს ორეტაპიან პროცედურას იმის დასადგენად, კვალიფიცირდება თუ არა პირი მსხვერპლად სისხლის სამართლის

პროცესში მონაწილეობის მიღების უფლებით. უპირველეს ყოვლისა, განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს 85-ე მუხლით დადგენილი კრიტერიუმი. ამის შემდგომ [სასამართლოს] პალატა უნდა დარწმუნდეს, რომ ის სასამართლო პროცესი, რომელშიც მონაწილეობისთვის იგი [სასამართლოს] მიმართავს, მსხვერპლის პირად ინტერესებზე პირდაპირ გავლენას ახდენს“. პროკურორის 25 აგვისტოს პოზიცია – a/0047/06 – a/0052/06 – განმცხადებელთა მონაწილეობის თაობაზე განაცხადთან დაკავშირებით, 6 სექტემბერი, 2006, ICC-01-04-01-06-390, პარა.10.

⁴⁴ იხ. David Donat-Cattin, (2008), “Article 68: Protection of the victims and witnesses and their participation in the proceedings” in Triffterer, O. (ed.), “*Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers’ Notes, Article by Article*” გვ. 1287.

⁴⁵ რომის სტატუტი, 68-ე (1) მუხლი.

⁴⁶ იხ. Cassese, A. (2003) *International Criminal Law*, გვ.387.

⁴⁷ იხ. *Report of the International Tribunal for the Prosecution of Persons Responsible for Serious Violations of International Humanitarian Law Committed in the Territory of the Former Yugoslavia since 1991*, U.N. GAOR, 49th Session, U.N. Doc.A/49/342, S/1994/1007(29 აგვისტო, 1994).

⁴⁸ იხ. Schabas, W.A. (2007), *An Introduction to the International Criminal Court*, გვ.55.

**LEGAL AND ACTUAL STATUS OF VICTIMS OF CRIMES
ENVISAGED BY THE STATUTE OF THE INTERNATIONAL
CRIMINAL COURT: A FICTITIOUS OR REAL MECHANISM?**

“We must never forget that the record on which we judge these defendants today is the record on which history will judge us tomorrow. To pass these defendants a poisoned chalice is to put it to our own lips as well. We must summon such detachment and intellectual integrity to our task that this Trial will commend itself to posterity as fulfilling humanity’s aspirations to do justice”.

*Chief United States Prosecutor at the Nuremberg
Tribunal Justice Robert H. Jackson¹*

I. INTRODUCTION

In the lights of the above cited quote of the Chief Prosecutor of the USA to the Nuremberg Trial Justice Robert Jackson the provisions of the Statute of the International Criminal Court – the Rome Statute² following the path of restoration of justice and establishing the truth do establish the new rules strange to the *ad hoc* tribunals. This new rule envisages broad participation of the victims of crimes subjected to the jurisdiction of International Criminal Court (*hereinafter also – “the Court”*) in the proceedings.

The history of the development of international law, and in particular of the international criminal law throughout the 20th century did determine the specific mention of victims in the Rome Statute and in its preamble³, especially of men.

The provisions of the final draft of the Court’s Statute were substantially revised at the Rome Conference. On 25 June, 1998 Spain suggested to broaden the Preamble of the Statute.⁴ Instead of the three provisions been drafted by then, Spanish proposal envisaged eight provisions, highlighting such aspects as *reminder* (highlighted by the author) of the suffering of victims, ..., as well as emphasizing, firstly, that “this Statute should

not be interpreted as affecting in any way the scope of the provisions of the Charter relating to the functions and the powers of the organs of the United Nations”.

The strengthening of the status of a victim in the Rome Statute is based on the concept of restorative justice as well, which “involves the victim, the offender, and the community in a search for solution which promote repair, reconciliation, and reassurance”.⁵

The definition of a victim envisaged in the Statute of the International Criminal Court is fairly broader than the same notions envisaged by the statutes of the international criminal tribunals established by the United Nations Security Council.

It shall be briefly mentioned in this context that the efficiency of the criminal procedures and their fairness is measured as based on the protection of rights of a suspect or an accused as well as victims of committed crimes and their equal participation in the criminal proceedings. However, it is important to analyse how to keep the balance in protecting these two values? How real is it to ensure equal participation of all victims at any stage of court proceedings⁶ when the court at issue is an international criminal judicial body?

One of the core challenges facing the International Criminal Court is how shall it ensure the relation with the victims in terms of their broad involvement into criminal proceedings.

However, at the same time, one more question emerges: how prudent is the maximum broadening of involvement of victims into criminal procedure, taking into account the preconditions of fair, efficiently conducted criminal proceedings that at the same time shall not exclude the adversarial principle. It is also important to identify how permissible is it to provide for broad participation of a victims based on the Rome Statute without on the other hand balancing this right, be considered as a possibility of exercising justice in a fair, efficient manner, and consistent with the International Covenant on Civil and Political Rights?

When analysing the granting broad rights to victims by the Rome Statute the important role shall be given to the discussion of the mechanisms developed by the practice of the tribunals preceding it – the international criminal tribunals established by the UN Security Council for the Former Yugoslavia and Rwanda. This is also important taking into account that the creation of the tribunals by the Security Council was one-off *ad hoc* reaction at the higher risks that the political body of the United Nations – the Security Council – considered⁷ as a “threat to international peace and security”⁸.

Therefore, the article shall establish how consistent is the legal and factual status as considered by the Statute of the International Criminal Court with respect of the provision of efficient and fair proceedings; how realistically does this principle correspond with the situation established by the statutes and practice established by the *ad hoc* tribunals and how realistic is the provision of wide participation of victims in the criminal proceedings as envisaged by the Statute of the International Criminal Court.

The comparative analysis of the issue is even more important, as when establishing the International Criminal Court the Delegation of Columbia did note quite clearly that before the establishment of the Court “The victim ... was an uninvited guest, a spectator, which exacerbated the conflict”.⁹

Consequently, the succeeding chapters shall consider the regulation provided by

the Court established based on the Rome Statute for the protection of victims and their participation in the proceedings of the International Criminal Court; the approach of the International Criminal Tribunals established by the UN Security Council for the former Yugoslavia and Rwanda with regard to the participation of victims; it shall be considered what mechanisms are used within the administration of the International Criminal Court and what guarantees are in place for their involvement in the criminal proceedings.

As a conclusion it shall be considered, how efficient and real are the procedures established for the participation of the victims in the criminal proceedings.

II. REGULATION OF THE PARTICIPATION OF VICTIMS IN INTERNATIONAL CRIMINAL PROCEEDINGS

The motivation of protection of victims and the provision of their participation in the criminal proceedings is vivid from the text dispersed in various parts of the Rome Statute.¹⁰ This must be provisioned by the fact that the participation of victims in criminal proceedings is an essential concept for guaranteeing fair trial rights to them.

It is the first time ever in the history of the international criminal justice that victims of crime have a possibility of involvement into the proceedings at any stage before the International Criminal Court. This is certainly the novelty against the background of the past reality, when victims of crime could only provide their position to international tribunals preceding the Court established on the basis of the Rome Statute in the capacity of witnesses.

At the same time, when discussing the broad participation, neither shall it be skipped from our attention that the prosecutor of the Court may receive information from a victim. According to Morten Bergsmo and Jelena Pejčić, “[t]his is likely to be an important source for the Prosecutor also at the stage of preliminary examination, prior to the actual investigation, which will normally rely heavily on witness testimony”.¹¹

At the one hand, this is probably and is not contested, shall be considered as a positive momentum. The positive side is certainly

viewed in sense of wide representation of victims of human rights violations via the possibility of involving them at each stage of criminal proceedings.

The Statute of the International Criminal Court, despite the fact, that refers to victims in various articles, provides the participation of victims in the criminal proceedings via three general norms. The concrete issues of relations with them is regulated also by the "Rule of Procedure and Evidence"¹².

When discussing the mechanisms of victims' participation in the criminal proceedings as envisaged by the Rome Statute the particular attention shall be given to para. 3 of Article 68¹³, which, being a general provision, regulates this issue. The Rule 85 of the Rules of Procedure and Evidence, providing for the definition of the concept of a victim, shall be considered together with this Article.

One of the special norms contained in the Rome Statute, para. 3 of Article 15 stipulates, that the victims may make representations to the Pre-trial Chamber, once the prosecutor concludes that there is a reasonable basis to proceed with an investigation. It is apt to briefly also mention here that according to para. 1 of Article 15 of the Rome Statute a victim may provide an information to the Prosecutor of the Court for the initiation of an investigation *proprio motu*, in which case, if the Prosecutor concludes that the information provided does not constitute a reasonable basis for an investigation, he or she shall inform a victim, as provided by para. 6 of Article 15 of the Statute.

According to the second special norm – para. 3 of Article 19 of the Rome Statute victims "who have communicated with the Court or their legal representatives" are authorised to present their position in relation with the issues on jurisdiction of the Court or admissibility of the case.

It shall be interesting to analyse how does the International Criminal Court use in practice the procedure envisaged by the para. 3 of Article 68 of the Statute and Rule 85 of the "Rules of Procedure and Evidence". This is interesting taking into consideration that the procedure and the respective assessment criteria are not listed in the documents in an exhaustive manner.

Rule 85(e) only stipulates that a "victim" is a natural person, who "ha[s] suffered harm as a result of the commission of any crime within the jurisdiction of the Court". The Rule 85(b) refers to legal entities, that have sustained harm during the undertaking of an important social function, such as performing as and in schools or hospitals.

According to para. 3 of Article 68 of the Rome Statute, in order to participate in the criminal proceedings, in line with the Rules of Procedure and Evidence, alleged "victim" shall apply to the Registrar of the Court in writing¹⁴, who shall transmit the appeal to the respective Chamber. The Chamber shall make "non-exhaustive and non-decisive assessment of the criteria as established by the Rule 85(a)".¹⁵ Defence and prosecution have a possibility to respond to such an application.¹⁶ It is also apt to mention in this context that written communication is not the only form of communication of an alleged victim with the Court. In the light of the para. 3 of Article 19, as mentioned above, the respective Chamber has discretion to grant a victim a right to oral communication with the Court. This is due to the fact that Rule 58(2) of the Rules of Procedure and Evidence provides that a Chamber shall decide on the procedure (oral or written, etc.) to be followed and how to ensure that the procedure selected be the best possible one. It is true that the motivation behind this provision was to not disrupt the participation of victims in court proceedings, according to the provision, the free manner of communication does cover not only victims, but it does also grant liberty to States Parties to the Rome Statute and even to the UN Security Council, in the light of Article 19 of the Statute, to have oral communication with the Court within the scope of the situation referred by them to the Court, provided that the respective Chamber agrees to this. This on its turn apart from having a kind intention with regard to victims' participation, may result into additional work for the Court.

Participation of a victim in criminal proceedings is not only restricted only to the narrow participation in the court hearing. The role of a victim in the consideration of the jurisdiction of the Court or the admissibility of a case is provided on the equal footing with those authorised to re-

fer a case to the Court in line with Article 13 of the Rome Statute. This on its turn includes States Parties to the Rome Statute, the UN Security Council and the Prosecutor of the Court.

At the same time, we shall also keep in mind that despite the fact that the application of the Rule 85 of the Rules of Procedure and Evidence shall be undertaken when regulating the participation in accordance with the para. 3 of Article 68 of the Rome Statute, the practice of the International Criminal Court does prove that criteria of Rule 85 provide for automatic and general right to participation. This on its turn puts away the expediency of participation and the personal interests of a victim and they shall only be considered when concrete forms of participation are discussed.¹⁷

In parallel to the protection of safety, physical and psychological well-being, dignity and privacy of victims,¹⁸ the Rome Statute provides for submitting the “views” and “concerns” of victims to the Court, where the personal interests of victims are concerned.¹⁹

In the first decision regarding the participation of victims, “[t]he Chamber consider[ed] that the personal interests of victims are affected in general at the *investigation stage* (highlight by the author), since the participation of victims at this stage can serve to clarify the facts, to punish the perpetrators of crimes and to request reparations for the harm suffered”.²⁰

The practice as developed during the assessment of the application for participation of victims in the proceedings²¹ indicates that provision of participation of victims at the stage of investigation is time consuming, double process. At the first stage, before even a suspect or accused are identified, they shall indicate the interest in the proceedings. At that stage the Court does not even need to define “the absolute harm to the victim, as the identification of this, based on the case circumstances, shall be undertaken by the Chamber at a later stage, according to the needs”.²²

The practice of the International Criminal Court does show that victims are considered as “more equals than others”. The result of this may be the prolongation of the criminal proceedings more than needed. The clear indication of considering victims as “more equals than others” is the opinion of the Chamber I of the International Criminal Court about the

“personal interests” of victims²³, the broad interpretation of which provides that one of the “personal interest” at the stage of investigation is to see people committing the crimes against them accused.²⁴

Even though “respect and full realisation of victims’ rights through criminal justice found in the I[n]ternational C[riminal] C[ourt] process a unique opportunity to advocate the further codification of victims’ rights in international law”,²⁵ in the name of this interest a right of an accused to a fair trial and impartial, quick and efficient justice, as provided for by the equally needed and having the similar legal value -International Covenant on Civil and Political Rights²⁶ shall not be limited. Keeping this balance is a delicate, possibly, not that popular issue from the view point of legal policy and in general, from the political perspective,²⁷ however it is absolutely important from the point of view of introducing the sense of justice.

III. THE APPROACH OF THE INTERNATIONAL CRIMINAL TRIBUNALS FOR THE FORMER YUGOSLAVIA AND RWANDA WITH REGARD TO THE PARTICIPATION OF VICTIMS

Despite the fact that protection of victims and restoration of justice from the view point shall be one of the cornerstones of the system of international criminal law, different approaches are also found in the positions of scientists. This may be a result of generalisation of practice, or it may in principle support establishment of such a practice.

A book by Cryer, Freeman, *et al* does list the following among the aims of international criminal justice: retribution, restraining from committing a crime in the future, etc. “Justice for victims” does not fall under this list, which provides for the aims of the international criminal justice in details. Victims are first mentioned only in the additional list, which is unified under the Chapter “Broader Aims”. The latter, even though first of all mentions victims, it also unites such aims as: fixing history on a paper, post-conflict reconciliation, etc.²⁸

The approach is interesting as a theoretical basis for the development of the practice of International Criminal Court, also taking into account that law and practice of both *ad hoc* International Criminal Tribunals for the former

Yugoslavia and Rwanda have prepared a fertile terrain for the insertion of advanced provisions on victims' participation in article 68 paras. 1, 2, 4 and 5 of the Rome Statute.²⁹ At the same time, para. 3 of Article 68 of the Rome Statute is specifically devoted to [broad] participation of victims [in criminal proceedings]. In this respect and for the analysis of provisions envisaged by para. 3 of Article 68 of the Rome Statute and the respective Court practice, due to a limited format of the article, a very brief overview of the legal basis and the practice of *ad hoc* tribunals created for the former Yugoslavia and Rwanda is apt herewith.

A term "victim" was narrowly defined in the statutes of the *ad hoc* international criminal tribunals for the former Yugoslavia and Rwanda. According to these documents: "a victim is a person against whom a crime over which the Tribunal has jurisdiction has allegedly been committed".³⁰

In the *Nikolić* case the international criminal tribunal for the former Yugoslavia did note, that "punishment shall respectively reflect call for justice, both – from those who had directly fallen victims to a crime, as well as from indirect victims of a crime".³¹

While adopting the Rules of Procedure and Evidence based on the Statute of the International Criminal Court the states parties agreeing on the definition of a victim did make a special emphasis on victimisation³², and not on the limiting linkage reflected in Rule 2 of the tribunal for the former Yugoslavia.

During the establishment of the *ad hoc* international criminal tribunals for the former Yugoslavia and Rwanda participation of victims at international plane was considered impossible. This was due to the fact that "tens of thousands" of victims were targets of the crimes falling within the scope of the tribunals. Therefore, granting a voice to each of the victims was considered to be an obstacle to efficient and fair functioning of the tribunals.

However, the motivation of the International Criminal Tribunal for the former Yugoslavia,³³ as evidenced by the first annual report, was as follows: "The Tribunal did feel the moral obligation to commence the court proceedings as quickly as possible, to allow all the parties – a victim, as well as a perpetrator, local participants or observers from distance, to see that

outrageous violations of human rights would not have been allowed to go unpunished".³⁴

Analysing the legal basis and the respective practice of the Court created by the Rome Statute the natural interest emerges to analyse the latter in parallel with the *ad hoc* tribunals established by the United Nations. This is at least preconditioned by the practice, which did in relation with the *ad hoc* international criminal tribunal for Rwanda, following the genocide in Rwanda, "Rwandan public opinion has not often understood that justice was done, because it was not seen to be done, has been a major problem from the I[n]ternational C[riminal] T[ribunal for] R[wanda]".³⁵

One of the important reasons for making it difficult to see the "exercise of justice" was probably the very passive role of victims and the limited possibility of their participation in the criminal proceedings. Now, having years passed, many well-known international law commentators do clearly indicate that participation of victims in the activities of the international criminal tribunals for the former Yugoslavia and Rwanda, unlike the International Criminal Court, is very limited. According to the analysis by Professor Cassese, "while in proceedings before the I[n]ternational C[riminal] T[ribunal for the former] Y[ugoslavia] and the I[n]ternatioanl] C[riminal] C[ourt for] R[wanda] victims do not play any autonomous role, as they may only appear in court as witnesses if called by one of the parties (namely the prosecutor) or the Court itself, in the Statute of the I[n]ternational C[riminal] C[ourt] they have been given several roles..."³⁶

IV. PROVISION OF INCLUSION OF VICTIMS INTO CRIMINAL PROCEEDINGS BY THE ADMINISTRATION OF THE INTERNATIONAL CRIMINAL COURT

When opening the Rome Statute for signature then Secretary General of the United Nations Kofi Annan stated that, "the overriding interest must be that of the victims, and of the international community as a whole. ... [the Court], must be an instrument of justice, not expediency".³⁷

Article 68(4) does specifically provide for the protective measures, security arrangements to be taken into account, possibility of counselling and assistance that may be sub-

mitted to the prosecutor and the court by the Victim and Witness Unit.

According to the Article 15(3) of the Rome Statute and the corresponding Rule 50 of the “Rules of Procedure and Evidence” victims known to the Prosecutor or to the Victims and Witnesses Unit will be informed to make representations to the Pre-Trial Chamber. Taking into account the interests of investigation and the security of separate individuals, the groups of victims will also be provided with the general information.

The Victim and Witness Protection Unit will also notify the victims, “who had already have communicated with the Court”, in order to express their position regarding the jurisdiction of the Court or the admissibility of the Case³⁸.

The practice of the International Criminal Court does show that protection of victims, as well as of witnesses is quite broadly used in practice. The same is correct with regard to the *ad hoc* international criminal tribunals established for the former Yugoslavia and Rwanda, despite the different approach to victims in Tribunals and the Court.³⁹

V. CONCLUSION. HOW EFFICIENT AND REAL IS THE MECHANISMS ESTABLISHED BY THE INTERNATIONAL CRIMINAL COURT FOR THE PARTICIPATION OF VICTIMS IN THE CRIMINAL PROCEEDINGS

The role of a victim is significantly strengthened in the Statute of the International Criminal Court. According to the Rome Statute, the victims are authorised to participate in the criminal proceedings in accordance with their interests. At the same time, Article 68 shall not be understood in a narrow manner, as if it only refers to the court criminal proceedings. This provision refers to “proceedings”, in its broadest possible sense, and not only to the court proceedings.⁴⁰

This is also determined by the history preceding the establishment of the Court: the idea of creating unified, permanent, to the extent possible universal court was to have established a permanent possibility of quick reaction to the most heinous crimes. The aim was not to only permanently have the scaring mechanism. The basic element of the idea was also the great idea of restoring justice for the victims.

Based on the Rome Statute, the Trial Chamber has broad authority to issue directions necessary for the fair and impartial conduct of the trial.⁴¹

The initial practice of the Court established by the Rome Statute does indicate that participation of victims in the court proceedings, in which the interests of a victim are identified, is essential.⁴²

If the International Criminal Court will work with the full circle of possible victims in practice, which, taking into account the crimes subjected to the jurisdiction of the Court, may be millions of people, exact determination of mechanisms is important not to cause the overburdening of the Court taking into account the time and financial resources.

At the same time, it is also necessary to take into account that rights of suspects and accused shall not be violated on the expense of representation of witnesses.

Despite the fact, that the legal basis and the practice of the International Criminal Court shall be directed at the protection of human beings – and naturally – of the persons having fallen victims to crimes subjected to the jurisdiction of the Court, the discrediting of this principle shall be avoided in the name of this very humane idea. One of the main risks in this regard may also be that the possibility of involving a victim in the criminal proceedings exists even before the concrete accused in committing the violation of law is identified. This, on its turn, may turn to be the precondition to violation of the important rights guaranteed by the International Covenant on Civil and Political Rights.

Neither it shall be rejected that it shall not be permitted in the name of protecting the rights of a victim the principle of adversarial criminal proceedings be neglected.

The two staged procedure of identification of a victim⁴³ does prolong the court proceedings and supposedly, does violate the rights of a victim, for the protection of whose rights the protective mechanisms were elaborated by the Court. However, along with this negative assessment it shall also be taken into account that commentators do criticise the approach taken by the Prosecutor of the Court in relation with the introduction of the two stages of identifica-

tion of victims. David Donat-Cattin does clearly indicate that the “the Office of the Prosecutor [of the International Criminal Court] was wrong when it characterised the relevant procedure [of identification of a victim] as a “two-stage process” in which a victim may be recognised as such in the first place, with the necessity of a second judicial decision concerning whether her or his personal interests are affected”.⁴⁴

It shall also be taken into account that para. 1 of Article 68 of the Rome Statute does end with the provision, according to which “... measures [of protection and support to a victim] shall not be prejudicial to or inconsistent with the rights of the accused and a fair and impartial trial”.⁴⁵

It shall also be taken into account that the Court is also obliged to determine, whether there was a violation of rights of a suspect or an accused by permitting the participation of a victim in the proceedings, according to para. 3 of Article 68 of the Rome Statute.

Professor Cassese notes that despite the provision of broad participation of a victim in criminal proceedings, which is particularly striking as compared to the *ad hoc*

International Criminal Tribunals established for the former Yugoslavia and Rwanda, neither the International Criminal Court has managed to fully uphold the legal institution of civil law countries, namely the application to join criminal proceedings as a civil petitioner.⁴⁶

This shall probably be considered rather as a positive move, than a negative factor in relation with the regulations of the International Criminal Court, if we consider the international criminal proceedings prolonged in time. This is due to the fact that the ultimate aim of an international judicial body shall be: “exercise of justice, deterrence of future crimes and supporting the restoration and keeping the peace”.⁴⁷

It shall also be taken into account that the participation of a victim in the criminal proceedings of the International Criminal Court from the view point of fair, impartial, adversarial proceedings shall not be possible at the stage of investigation, before an accused is identified. This shall not be happening at least due to the fact to avoid questioning the independence of a Prosecutor,⁴⁸ or to avoid the violation of procedural rights of an accused, or not to unnecessarily prolong the criminal proceedings.

¹ “Second Day, Wednesday, 11/21/1945, Part 04”, in Trial of the Major War Criminals before the International Military Tribunal. Volume II. Proceedings: 11/14/1945-11/30/1945. [Official text in the English language.] Nuremberg: IMT, 1947, pp. 98-102. Justice Jackson’s Opening Statement for the Prosecution, www.yale.edu/lawweb/avalon/imt/proc/11-21-45.htm, Accessed: 12/03/2009.

² As the Conference for opening for signature the Statute of the International Criminal Court was held in Rome in June-July, 2008, the Statute of the International Criminal Court is also referred to as the “Rome Statute”. The term “Rome Statute” shall also be used in the current article to refer to the Statute of the Court.

³ “Mindful that during this century millions of children, women and men have been victims of unimaginable atrocities that deeply shock the conscience of humanity” (underline by the author), Rome Statute, the Preamble, Para. 2.

⁴ Triffterer, O. (2008) “Preamble” in Triffterer, O. (ed.), “*Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers’ Notes, Article by Article*”, p. 3.

⁵ Zehr, H. (1990) *Changing Lenses: A New Focus For Crime And Justice* 181 Herald Press.

⁶ In relation with the International Criminal Court this right encompasses not only the stage of court proceedings, but also the stage of work on the so called “situation”, when the concrete suspect or accused is not even identified.

⁷ UN Security Council Resolutions: 827(1993) and 955(1994).

⁸ For the concept “threat to international peace and security” in general see: Simma, B. (ed.), (2002) *The Charter of the United Nations: A Commentary*, Vol. I, pp.717-729.

⁹ Proposal by Columbia: *Comments on the Report on the International Seminar on Victims’ access to the International Criminal Court*, PNCICC/1999/WGRPE/DP.37, 10 August, 1999.

- ¹⁰ Statute of the International Criminal Court, Articles: Preamble, para. 2, 15(3), 19(3), 43(6), 53(1,c), 53(2,c), 54(1,b), 54(3,b), 57(3,c), 57(3,d), 64(2), 64(2,e), 65(4), 68(1), 68(2), 68(3), 68(4), 75(1), 75(2), 75(3), 75(6), 79(1), 82(4), 87(4), 90(6,b), 93(1,j), 110 (4,b).
- ¹¹ Bergsmo, M., Pejić, J. (2008), "Article 15: Prosecutor" in Triffterer, O. (ed.), *"Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers' Notes, Article by Article"* p. 590.
- ¹² Bitti, G., Friman H. (2001) "Participation of Victims in the Proceedings" in Lee R.S., et al (ed.) *"The International Criminal Court: Elements of Crimes and Rules of Procedure and Evidence"* pp. 456-491.
- ¹³ To compare see: Art. 6(b) of the Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crimes and Abuse of Power annexed to the UN General Assembly Resolution 40/34, 29 December, 1985; also: ECOSOC Resolution 1996/14.
- ¹⁴ Rules of Procedure and Evidence, Rule 89(1).
- ¹⁵ Situation in the Democratic Republic of the Congo, Decision on the Applications for Participation in the Proceedings VPRS 1, VPRS 2, VPRS 3, VPRS 4, VPRS 5 and VPRS 6, 17 January, 2006, ICC-01/04-101, para.100.
- ¹⁶ Situation in the Democratic Republic of the Congo, *Prosecutor v. Thomas Lubanga Dyilo*, Application for Extension of Time Limit, 2October, 2007, ICC-01/04-01/06-523, para.10.
- ¹⁷ Situation in the Democratic Republic of the Congo, Decision on the Requests of the OPCD on the Production of Relevant Supporting Documentation Pursuant to Art. 86(2)(e) of the Regulations of the Court on the Disclosure of Exculpatory Materials by the Prosecutor, 7 Dec., 2007, ICC-01/04-417, at 9.
- ¹⁸ Rome Statute, para. 1 Article 68.
- ¹⁹ Rome Statute, para. 3 Article 68.
- ²⁰ Para. 63, Pre-Trial Chamber Decision on the Application for Participation in the Proceedings, Situation in the Democratic Republic of Congo: VPRS 1, VPRS 2, VPRS 3, VPRS 4, VPRS 5 and VPRS 6, 17 January, 2006, ICC-01/04-101, para.63.
- ²¹ See: e.g. Case of Lord's Resistance Army of the Northern Uganda: ICC-02-04-01-05-134, Situation of the Democratic Republic of the Congo: ICC-01-04-101, ICC-01-04-01-06-228, Lubanga Case: ICC-01-04-06-228, ICC-01-04-06-601.
- ²² E.g. Situation in the Democratic Republic of the Congo, Decision on the Applications for Participation in the Proceedings VPRS 1, VPRS 2, VPRS 3, VPRS 4, VPRS 5 and VPRS 6, 17 January, 2006, ICC-01/04-101, para. 82.
- ²³ Rome Statute, para.3, Article 68.
- ²⁴ Situation in the Democratic Republic of the Congo, Decision on the Applications for Participation in the Proceeding VPRS 1, VPRS 2, VPRS 3, VPRS 4, VPRS 5 and VPRS 6, 17 January, 2006, ICC-01/04-101, para. 72.
- ²⁵ David Donat-Cattin (2008), "Article 68: Protection of the victims and witnesses and their participation in the proceedings" in Triffterer, O. (ed.), *"Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers' Notes, Article by Article"* p. 1278.
- ²⁶ International Covenant for Civil and Political Rights.
- ²⁷ Even though the general political considerations go beyond the sphere of law in a narrow sense, unfortunately, they still do considerably determine the development of international law in general and of international criminal law in particular.
- ²⁸ Cryer, R., et al (2008), *An Introduction to International Criminal Law and Procedure*, pp.18-26.
- ²⁹ David Donat-Cattin, (2008), "Article 68: Protection of the victims and witnesses and their participation in the proceedings" in Triffterer, O. (ed.), *"Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers' Notes, Article by Article"*, p. 1277.
- ³⁰ Rule 2A, International Tribunal for the Prosecution of Persons Responsible for Serious Violations of International Humanitarian Law Committed in the Territory

of the Former Yugoslavia since 1991, "Rules of Procedure and Evidence", of 11 February, 1994, pursuant to Article 15 of the Statute of the International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia, adopted by the Security Council Resolution 827 on 25 May, 1993;

Rule 2A, International Criminal Tribunal for Rwanda, "Rules of Procedure and Evidence," adopted on 29 June, 1995, pursuant to Article 14 of the Statute of the International Criminal Tribunal for Rwanda, adopted by the Security Council Resolution 955 on 8 November, 1994.

- ³¹ Momir Nikolić, ICTY Trial Chamber I, 2.12.2.003, para.86.
- ³² Rules of Procedure and Evidence, Rule 85.
- ³³ As well as of the Tribunal for Rwanda, established based on this precedent.
- ³⁴ *Report of the International Tribunal for the Prosecution of Persons Responsible for Serious Violations of International Humanitarian Law Committed in the Territory of the Former Yugoslavia since 1991*, U.N. GAOR, 49th Session, U.N. Doc.A/49/342, S/1994/1007(29 August, 1994).
- ³⁵ David Donat-Cattin, (2008), "Article 68: Protection of the victims and witnesses and their participation in the proceedings" in Triffterer, O. (ed.), *Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers' Notes, Article by Article* p. 1277.
- ³⁶ Cassese, A. (2003) *International Criminal Law*, p.387.
- ³⁷ United Nations Press Release, UN Secretary General Declares Overriding Interest of International Criminal Court Conference must be that of Victims and World Community as a Whole, 15 June 1998, <http://www.un.org/icc/pressrel/1rom6ri.htm>, accessed: 14/02/2010.
- ³⁸ Rome Statute, para. 3 Article 19, Rules of Procedure and Evidence.
- ³⁹ Cryer, R., et al (2008), *An Introduction to International Criminal Law and Procedure*, p.362.
- ⁴⁰ David Donat-Cattin, (2008), "Article 68: Protection of the victims and witnesses and their participation in the proceedings" in Triffterer, O. (ed.), *Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers' Notes, Article by Article* p. 1280, para. 9.
- ⁴¹ Ratner, Steven, R., et al. *Accountability for Human Rights Atrocities in International Law: Beyond the Nuremberg Legacy*, Third Edition, Oxford University Press, 2009, p. 239.
- ⁴² e.g. Case of *Tomas Lubanga*.
- ⁴³ According to the practice established by the Prosecutor of the International Criminal Court, "[t]he prosecution submits that Article 68(3) of the [Rome] Statute and Rule 85, viewed together, establish a two-stage process for the Chamber to determine if an individual qualifies as a victim with standing to participate in proceedings: first, the applicant must fulfil the criteria set out in Rule 85, then the Chamber must be satisfied that the personal interests of the victim are directly affected by the proceedings in which he or she is applying to participate". Prosecutor's 25 August observations on the Application for Participation of Applicants a/0047/06 - a/0052/06, 6 September, 2006, ICC-01-04-01-06-390, para.10.
- ⁴⁴ David Donat-Cattin, (2008), "Article 68: Protection of the victims and witnesses and their participation in the proceedings" in Triffterer, O. (ed.), *Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers' Notes, Article by Article* p. 1287.
- ⁴⁵ Rome Statute, para. 1 Article 68.
- ⁴⁶ Cassese, A. (2003) *International Criminal Law*, p.387.
- ⁴⁷ *Report of the International Tribunal for the Prosecution of Persons Responsible for Serious Violations of International Humanitarian Law Committed in the Territory of the Former Yugoslavia since 1991*, U.N. GAOR, 49th Session, U.N. Doc.A/49/342, S/1994/1007(29 August, 1994).
- ⁴⁸ Schabas, W.A. (2007), *An Introduction to the International Criminal Court*, p.55.

**პრეზიდენტის ზოგიერთი საკანონმდებლო
უფლებამოსილება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში
(აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი)**

შესავალი

ექსპერტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამივე სახელმწიფოში (აზერბაიჯანი, საქართველო სომხეთი) დემოკრატია სერიოზული პრობლემები აქვს. Freedom House-ს 2010 წლის შეფასებით, სომხეთი (პოლიტიკური უფლებების კუთხით – 6 ქულა, სამოქალაქო თავისუფლების კუთხით – 4 ქულა) და საქართველო (პოლიტიკური უფლებების კუთხით – 4 ქულა, სამოქალაქო თავისუფლების კუთხით – 4 ქულა) ნაწილობრივ თავისუფალ, ხოლო აზერბაიჯანი (პოლიტიკური უფლებების კუთხით – 6 ქულა, სამოქალაქო თავისუფლების კუთხით – 5 ქულა) არათავისუფალ ქვეყნებს მიეკუთვნება.¹ ამის პარალელურად, მაგალითად, ევროპის დემოკრატიული ქვეყნების – საფრანგეთისა და გერმანიის – შეფასება როგორც პოლიტიკური უფლებების, ისე სამოქალაქო თავისუფლების კუთხით 1 ქულას შეადგენს,² ხოლო ყოფილ საბჭოთა სივრცეში ყველაზე თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ მიჩნეულია ლიტვა, რომელსაც ასევე პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლების კუთხით 1 ქულა აქვს მინიჭებული.³ ამ მონაცემების ერთმანეთთან შედარება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დემოკრატიის დაბალ ხარისხზე მეტყველებს. ეს დასკვნები, სხვა ფაქტორებთან ერთად, დემოკრატიული ინსტიტუტების კვლევას ეყრდნობა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დემოკრატიის ასეთი დაბალი მაჩვენებელი, ძირითადად, სახელმწიფო ხელისუფლების შტოების ფუნქციონირებიდან გამომდინარეობს.

ხელისუფლების ინსტიტუტებს შორის ურთიერთობები და, საერთოდ, მმართველობის ფორმა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია პოსტსაბჭოური სივრცის, ე.წ. ახალი დემოკრატიის, თითქმის ყველა ქვეყანაში. როგორც მთლიანად ყოფილ საბჭოთა სივრცეში, სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებშიც დემოკრატიის ხარისხი პირდაპირ უკავშირდება ხელისუფლების ორგანოთა ფუნქციონირებას. ამ ქვეყნებში სულ უფრო მეტად შეინიშნება, სხვა ინსტიტუტებთან შედარებით, პრეზიდენტის მზარდი ძალაუფლების კრიტიკა. ჩვენი აზრით, ეს კრიტიკა ბოლომდე საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. დემოკრატიის განვითარება მხოლოდ კონსტიტუციურად ორგანიზებულ, განონასწორებულ ხელისუფლებას შეუძლია. წინამდებარე კვლევა საკანონმდებლო სფეროში პრეზიდენტის უფლებამოსილებების შესწავლას ისახავს მიზნად. ნაშრომი აქტუალურია არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც, ვინაიდან ამ ქვეყნებში მუდმივად მიმდინარეობს მსჯელობა ხელისუფლების სისტემის ცვლილებების შესახებ.⁴ წინამდებარე კვლევა საშუალებას იძლევა, სათანადო დასკვნები გავაკეთოთ განვლილი პრაქტიკიდან, ზუსტად გავიაზროთ კონსტიტუციური პროცესის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები და ვიმსჯელოთ მომავალი განვითარების პერსპექტივებზე.

წინამდებარე ნაშრომში განხორციელებული კვლევის მიზანია სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებში (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) პარლამენტისა და პრეზიდენტის ინსტიტუტის ფუნქციონირე-

ბის, საკანონმდებლო სფეროში მათ შორის არსებული ურთიერთობების ძირითადი ასპექტების გამოკვეთა. უფრო კონკრეტულად, კვლევის მიზანია განისაზღვროს: პარლამენტის კომპეტენციები და რეალური როლი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსი, პრეზიდენტის საკანონმდებლო უფლებამოსილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ და ზღუდავენ პარლამენტის საკანონმდებლო ხელისუფლებას, ფაქტორები, რომელთა გავლენისწინებაც აუცილებელია პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის დაბალანსებული ურთიერთობებისათვის.

ამ მიზნით ჩვენ უნდა განვიხილოთ პრეზიდენტის ისეთი საკანონმდებლო უფლებამოსილებები, როგორებიცაა: საკანონმდებლო ინიციატივის, ვეტოს, კანონის ძალის მქონე აქტების გამოცემის უფლება და პრეზიდენტის კომპეტენციები ბიუჯეტის მიღების პროცესში.

1. პარლამენტის უფლებამოსილება

პრაქტიკა ადასტურებს, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში ჯერ კიდევ დიდია მისწრაფება პრეზიდენტის ინსტიტუტის გაძლიერებისაკენ, რაც, რა თქმა უნდა, გარკვეულად ცვლის ხელისუფლების დანაწილების ტრადიციულ სისტემას, თუმცა, ამავე დროს, ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთკონტროლისა თუ ურთიერთთანამშრომლობის ახალი მექანიზმებიც ჩნდება. სამივე ქვეყანაში პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა და მნიშვნელოვანი საკანონმდებლო უფლებამოსილებები ერთგვარად თანაბარი ლეგიტიმაციის ხარისხს ანიჭებს პრეზიდენტსა და პარლამენტს. ამიტომ ეს ფაქტორი სტიმულს აძლევს სახელმწიფოს მეთაურს, პარლამენტის თანაბარ სტატუსში იგრძნოს თავი, რაც ხშირად ბევრ სფეროში პარლამენტის ფუნქციების ნიველირებას იწვევს. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში პრეზიდენტის ძლიერი ძალაუფლების პარალელურად სუსტია პარლამენტი, მაგრამ ამის მიზეზი, როგორც ამ ქვეყნებში ხშირად აღნიშნავენ, არ არის მხოლოდ პარლამენტის მწირი ფორმალური უფლებამოსილებები. პარლამენტის სისუსტე განპირობებულია პრეზიდენტისათვის საკანონმდებლო სფეროში მყარი ფორმალური ფუნქციების მინიჭებით. რას ნიშნავს

პრეზიდენტის მყარი უფლებამოსილებები საკანონმდებლო სფეროში? ამ საკითხის ასახსნელად, პირველ რიგში, საჭიროა განვსაზღვროთ პარლამენტის სისუსტის მიზეზი.

საკანონმდებლო ხელისუფლების რეალური როლის შესაფასებლად სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება. მათ შორის ჩვენი კვლევისათვის გვინდა გამოვიყენოთ კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის, სტივენ ფიშის, მიერ შემოთავაზებული შეფასების ფორმა, რომელიც დღეს საკმაოდ გავრცელებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. ფიშმა ეროვნული საკანონმდებლო ორგანოების უფლებამოსილებათა შესაფასებლად საპარლამენტო უფლებამოსილებების ინდექსი შექმნა, რომელიც 32 პუნქტზეა დამყარებული (ცხრილი № 1) და პარლამენტის მიერ პრეზიდენტისა და ბიუროკრატის კონტროლის, პრეზიდენტის კონტროლისაგან პარლამენტის თავისუფლების, სპეციფიკურ სფეროებში პარლამენტის მაღალი ავტორიტეტის შესაძლებლობას ითვალისწინებს.⁵

ფიშის ფორმულის მიხედვით, პარლამენტის ძალაუფლების შეფასების შედეგები მარტივი მეთოდით მიიღება. ცხრილში მოცემულ 32 კითხვაზე უნდა გაეცეს პასუხი – „დიახ“ ან „არა“ და დადებითი პასუხების რაოდენობა უნდა გაიყოს შეკითხვათა საერთო რაოდენობაზე. მიღებული ციფრი იქნება პარლამენტის ძალაუფლების შეფასების ინდექსი. ფიში აღნიშნავს, რომ: „სუსტი საკანონმდებლო ორგანო ხელს უშლის დემოკრატიზაციას პოლიტიკური პარტიების განვითარების შეფერხების გზით. სუსტი პარლამენტის პირობებში პოლიტიკური პარტიები ვერ ვითარდებიან. პოლიტიკური პარტიები პოლიტიკური კონკურენციის განვითარების, ხალხისა და მათ მიერ არჩეული პირების შეკავშირების მთავარი მექანიზმებია“.⁶ ფიში კოენტან ერთად გვთავაზობს პარლამენტების ძალაუფლების ყველაზე ბოლო (2009) შეფასებას (ცხრილი № 2), სადაც წარმოდგენილია როგორც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, ისე ყოფილი სოციალისტური ბანაკისა და ევროპის განვითარებული სახელმწიფოების პარლამენტთა შეფასებები. ჩვენ ამ შეფასებებიდან ამოვიღეთ მხოლოდ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა და ყოფილი სოციალისტური ბანაკის, ასევე ევროპის განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების

პარლამენტთა შეფასებები, რათა გარკვეული შედეგების საშუალება გვექონოდა.

ამ შეფასებებიდან კარგად ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა პარლამენტების ძალაუფლება ჩამორჩება ბალტიისპირეთის ქვეყნების ინდექსს და უსწრებს შუა აზიის ქვეყნებისა და ბელორუსიის მაჩვენებელს, რომელიც ძალიან დაბალია. აქვე ნაჩვენებია ყოფილი სოციალისტური ბანაკისა და ევროპის განვითარებული ქვეყნების პარლამენტთა ძალაუფლების შეფასებები. აღნიშნული ცხრილი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ მაღალ შეფასებას იმსახურებს ევროპის ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები, რომლებიც საბჭოთა წყობილებისაგან სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან ერთად განთავისუფლდნენ. მაგალითად, ჩეხეთის, მაკედონიის, ხორვატიის, ბულგარეთის, პოლონეთის, სლოვენის, რუმინეთის, ფინეთის, სლოვაკეთის, სერბიისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის პარლამენტთა შეფასებები 0.63-0.81 ინდექსს შორის მერყეობს, მაშინ როდესაც აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მაჩვენებელი შესაბამისად, 0.44, 0.56 და 0.59-ს შეადგენს. ეს მიაჩნებს იმაზე, რომ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში სათანადოდ ვერ განვითარდა პარლამენტარიზმის იდეა და ვერ ჩამოყალიბდა ძლიერი საკანონმდებლო ორგანოები. კიდევ ერთი მომენტი, რომელზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება, შეეხება ამ ცხრილში მოცემული ქვეყნების მმართველობის ფორმებს. ყველაზე მაღალი შეფასება აქვს გერმანიისა და ჩეხეთის პარლამენტებს, რომლებიც საპარლამენტო მმართველობის სისტემებს მიეკუთვნება, ხოლო ნახევრადსაპრეზიდენტო საფრანგეთის პარლამენტის შეფასება ყველაზე დაბალია – 0.56, რაც თითქმის საქართველოს შეფასებაზე ნაკლები, სომხეთის ინდექსის თანაბარი და აზერბაიჯანის შეფასებაზე მეტია.

პარლამენტის ძალაუფლებისა და, საერთოდ, დემოკრატიის განვითარების შეფასებას ყოველწლიურად ახდენს საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაცია Freedom House. ამ ორგანიზაციის 2008 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ: „მართალია, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში საკანონმდებლო სისტემა მმართველობის გაუმჯობესებისათვის ძლიერდება, მაგრამ 2007 წლისათვის კონკრეტული ნაბიჯები უფრო მეტად

ანგარიშვალდებული და განონასწორებული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისაკენ ნაკლებად გადაიდგა“. ამიტომაც, ორგანიზაციის შეფასებით, სომხეთმა 5.25 ქულა მიიღო. ანგარიშში ასევე მითითებულია, რომ საქართველოში არსებულ ხელისუფლების სისტემას გაუნონასწორებელი ხასიათი აქვს, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება დომინირებს სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებზე სუსტი ოპოზიციის პირობებში. საქართველოს შეფასებამ 5.50-იდან 5.75 ქულამდე დაინია. Freedom House-ს შეფასებით, აზერბაიჯანშიც დარღვეულია ბალანსი პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის პრეზიდენტის სასარგებლოდ. ამიტომაც აზერბაიჯანმა მიიღო შეფასება – 6.00 ქულა.⁷

ფიშის აზრით, ქვეყნებში, სადაც კონსტიტუციის მიღებისას თავიდანვე ჰქონდათ შედეგებით ღია პოლიტიკა, ნამდვილად უფრო მეტად ძლიერი საკანონმდებლო ორგანო ჩამოყალიბდა.⁸ იქ, სადაც ავტორიტარული რეჟიმები დაემხო და მათი ადგილი ახალმა რეჟიმმა დაიკავა, ძალაუფლების აღმასრულებელ ხელისუფლებაში კონცენტრაციის მაღალი მისწრაფებაა, ხალხი ხშირად მოითხოვს ძალაუფლების კონცენტრაციას უფრო ეფექტურ ხელისუფლებაში და ეს, ჩვეულებრივ, პრეზიდენტია.⁹ როგორც აღვნიშნეთ, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში საკმაოდ სუსტია პარლამენტის ძალაუფლება, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, პრეზიდენტის საკანონმდებლო უფლებამოსილებების გაფართოებითაა გამომწვეული. ამ მიზნით მნიშვნელოვანია საკანონმდებლო საქმიანობის სფეროში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პრეზიდენტთა უფლებამოსილებების შეფასება.

II. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპეტენციაა საკანონმდებლო პროცესში ჩართული სუბიექტებისათვის. სპეციალისტები მიუთითებენ, რომ: „საკანონმდებლო ინიციატივის უფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობების კონტროლი, რამდენადაც ამას შეუძლია განსაზღვროს ახალი პოლიტიკის შინაარსი და მიმართულება. საერთოდ, პარლამენტი ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში

უმალესი საკანონმდებლო ხელისუფლების შტოა, თუმცა პრაქტიკაში ყოველთვის ეს არ არის ინსტიტუტი, რომელსაც აქვს დე ფაქტო საკანონმდებლო ხელისუფლება. ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემის ფარგლებში საკანონმდებლო ხელისუფლება შეიძლება განხორციელებულ იქნეს პრეზიდენტის ან პარლამენტის მიერ, ან კიდევ შესაძლოა, ამ საკითხში პრეზიდენტი და პარლამენტი კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს.¹⁰

კლასიკური საპრეზიდენტო და შერეული მმართველობის კონცეფციის მიხედვით, როგორც წესი, სახელმწიფოს მეთაური უშუალოდ საკანონმდებლო პროცესში არ ერთვება. ტრადიციულად პრეზიდენტს (მაგალითად საფრანგეთში) არ გააჩნდა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, ის მხოლოდ მიღებული კანონების ხელმოწერას ახდენდა, მაგრამ პოსტსაბჭოურ აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში ამ საკითხზე სხვადასხვა მიდგომა იქნა შემუშავებული. აზერბაიჯანის კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფოს პრეზიდენტი აღჭურვილია საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით,¹¹ სომხეთის პრეზიდენტს კი საკანონმდებლო ინიციატივის უფლება კონსტიტუციის მიხედვით არ გააჩნია.¹² რაც შეეხება საქართველოს, აქ ჯერ კიდევ 1995 წლიდან, როცა საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკა იყო, პრეზიდენტს ჰქონდა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, ხოლო 2004 წლიდან, როდესაც მმართველობის საპრეზიდენტო ფორმა ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემით შეიცვალა, კონსტიტუციის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში აქვს.¹³ თუმცა უნდა ითქვას, რომ არც კონსტიტუცია და არც პარლამენტის რეგლამენტი არ განმარტავს, თუ რას ნიშნავს „განსაკუთრებული შემთხვევა“. ჩვენი აზრით, კონსტიტუციური შესწორებით თითქოს შეიზღუდა პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, თუმცა რეალურად არ შეცვლილა მდგომარეობა, ვინაიდან პრეზიდენტს შეუძლია, ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივა „განსაკუთრებულ შემთხვევად“ ჩათვალოს და პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართოს. მაგალითად, ასეთი ინიციატივის ყველაზე ნათელი მაგალითია

კონსტიტუციური ცვლილებები. 2004 წლის 6 თებერვლის შემდეგ, როდესაც კონსტიტუციაში შეტანილ იქნა პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის „განსაკუთრებული შემთხვევა“, კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე მიღებულ იქნა 13 კონსტიტუციური კანონი. თითქმის ყველა შემთხვევაში ეს ცვლილებები პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით განხორციელდა, თუმცა კონსტიტუციური ცვლილებების გარდა, პრეზიდენტის ინიციატივით განხილულ იქნა ასევე სხვა კანონპროექტები. მაგალითად, საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 13 აპრილს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით მიიღო საქართველოს კანონი „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ“.¹⁴ პარლამენტმა 2005 წლის 23 დეკემბერს განიხილა ასევე საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანონპროექტი „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მისგან გამომდინარე: „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე“.¹⁵ 2008 წლის 13 მარტს პარლამენტმა განიხილა საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი კანონპროექტები: „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.¹⁶ გარდა აღნიშნულისა, სხვა არაერთი შემთხვევა არსებობს, რომლებიც ადასტურებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი ძალიან ხშირად ახორციელებს თავის საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტები მარტივად ახერხებენ

საკანონმდებლო ინიციატივის უფლების განხორციელებას, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა უშუალოდ მათ კონსტიტუციით მინიჭებული საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. მაგალითად, თუ სომხეთში პრეზიდენტს არ გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, ეს უფლება აქვს რესპუბლიკის მთავრობას. სპეციალისტები მიუთითებენ, რომ სომხეთის კონსტიტუციის შემდგენლებს ამით სურდათ, ხაზი გაესვათ საპრეზიდენტო ხელისუფლების საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან დისტანცირებისა და ეროვნულ კრებასა და მთავრობას შორის სრულიად განსაზღვრული კავშირისათვის. ასეთი მიდგომისას არაა რთული, დავინახოთ ლოგიკა, ე.ი. სწორედ მთავრობისაგან შეიძლება მოითხოვოს პარლამენტმა ქვეყნისათვის საჭირო კანონების მომზადება და აღსრულება, რაც არ შეიძლება გააკეთოს პრეზიდენტთან მიმართებით.¹⁷ თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მთავრობას, ფაქტობრივად, პრეზიდენტი აყალიბებს. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება სომხეთში ასევე აქვთ პარლამენტის დეპუტატებს, პარლამენტში კი პრეზიდენტს ყოველთვის ჰყავს თავისი მყარი საპარლამენტო უმრავლესობა, რომლის მეშვეობითაც ხშირად ხორციელდება საკანონმდებლო ინიციატივები. საპარლამენტო უმრავლესობის გარეშეც პრეზიდენტს თავისი პოლიტიკური პარტიის ერთი რომელიმე დეპუტატის მეშვეობითაც შეუძლია ინიციატივები განახორციელოს, მაგრამ სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოში პრეზიდენტს საკანონმდებლო ინიციატივის სფეროში გარკვეული პრივილეგირებული მდგომარეობა უჭირავს. საქართველოში, მაგალითად, პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანონპროექტებს პარლამენტი რიგგარეშე განიხილავს. ამის შესახებ საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტში პირდაპირაა მითითებული: „საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მათივე მოთხოვნით პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე“.¹⁸ ფაქტობრივად, პრეზიდენტის ინიციატივების პრიორიტეტულობის მაჩვენებელია აზერბაიჯანის კონსტიტუციის 96-ე მუხლის მე-5 ნაწილის ნორმაც, რომლის მიხედვით: „აზერბაიჯანის პრეზიდენტის... მიერ კანონპროექტების ან დადგენილებათა პროექტების სასწრაფოდ გამოცხადების შემთხვევაში

კენჭისყრაზე ეს პროექტები უნდა დაისვას, დადგენილი 2-თვიანი ვადისაგან განსხვავებით, 20 დღის ვადაში“. ხოლო ასეთი სასწრაფო კანონები კონსტიტუციის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პრეზიდენტს ხელმოსაწერად ეგზავნება მისი მიღებიდან 24 საათის განმავლობაში“.¹⁹ მართალია, სომხეთის კონსტიტუციაში პირდაპირ არ არის ასეთი მითითება, მაგრამ პრაქტიკულად, პრეზიდენტის როლიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ამგვარი უპირატესობა პრეზიდენტმა მოიპოვოს პარლამენტში საკუთარი პარტიის უმრავლესობის მეშვეობით, რომელიც, ფაქტობრივად, ყველა ბოლო მონვევის პარლამენტში ჰქონდათ სომხეთის პრეზიდენტებს. ამიტომაც საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტთა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება მათთვის საკანონმდებლო პროცესში ჩარევის უფლების მინიჭების მაჩვენებელია, რაც ყოველთვის კრიტიკის საგანი ხდება სპეციალისტთა შორის. ეს, ჩვეულებრივ, პრეზიდენტისათვის გადამეტებული უფლებამოსილების მინიჭებად და სახელისუფლებო ბალანსის დარღვევად მიიჩნევა.²⁰ ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტთა წრის გაფართოება, ერთი მხრივ, წარმომადგენლობითი დაწესებულებების საკანონმდებლო საქმიანობის დემოკრატიული საწყისების გაფართოებაზე მიუთითებს, ხოლო მეორე მხრივ, ეს სამართალშემოქმედების პროცესის გართულებას იწვევს, ვინაიდან ჩნდება კანონპროექტების შემამუშავებელი ბევრი ცენტრი, რომელთა შორის არ არის შეთანხმებულობა. საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით მხოლოდ პარლამენტის წევრების აღჭურვა სულაც არ ნიშნავს წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ საკანონმდებლო საქმიანობის უზურპაციასა და კანონების შემამუშავებისგან აღმასრულებელი ხელისუფლების ჩამოშორებას. აშშ-ში ფორმალურად, მართალია, აღმასრულებელი ხელისუფლება არ სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივით, თუმცა საკანონმდებლო საქმიანობის პროგრამა წარმოდგენილია პრეზიდენტის ყოველწლიურ მიმართებებში.²¹

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში პრეზიდენტის ყოველწლიური მიმართებები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივე-

ბი ამ ფორმით სულაც არ ხორციელდება. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, პრეზიდენტის მიმართვეების დროს პარლამენტში არ იმართება არანაირი დებატები, პარლამენტის წევრებს პრეზიდენტისათვის შეკითხვების დასმის უფლებაც კი არ გააჩნიათ.²² ეს იმიტაცაა გამონგვეული, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პრეზიდენტებს კონსტიტუციურად აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და, უფრო მეტიც, პრეზიდენტები ვეტოს უფლებითაც არიან აღჭურვილნი. საკანონმდებლო ინიციატივისადაშეყოვნებითივეტოს უფლების ერთდროული არსებობა უცხოა, როგორც ტრადიციული (კლასიკური) საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო და ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემებისათვის. ერთ ხელში მოქცეული ორივე უფლება აძლიერებს პარლამენტზე ზემოქმედების შესაძლებლობას და, შესაბამისად, ასუსტებს პარლამენტის დისკრეციულ უფლებამოსილებას საკანონმდებლო პოლიტიკის განხორციელების სფეროში.²³ ტრადიციული ფრანგული მმართველობის მოდელის მიხედვით პრეზიდენტისათვის აღნიშნული უფლებამოსილებების ფორმალური არარსებობა არ ნიშნავს, რომ მისი პოზიციები სუსტია საკანონმდებლო პროცესში. ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემაში როდესაც პრეზიდენტი ხელმძღვანელობს როგორც მთავრობას, ისე საპარლამენტო უმრავლესობას, მას ფაქტობრივად აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. პრეზიდენტს აქვს უპირატესი უფლება, განსაზღვროს პოლიტიკა პარლამენტში თავისი პარტიული უმრავლესობის მეშვეობით.²⁴ თუმცა აზერბაიჯანისა და საქართველოს კონსტიტუციათა შემქმნელებმა პრეზიდენტისათვის საკანონმდებლო ინიციატივის ფართო უფლებამოსილებების კონსტიტუციით მინიჭება გადაწყვიტეს. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ამ ქვეყნებში სუსტადაა განვითარებული პარტიული სისტემა, რის გამოც პრეზიდენტის პოზიციების სიმყარე მხოლოდ საარჩევნო პროცესზე დამოკიდებული ვერ იქნებოდა.

პრეზიდენტს ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკებში არ უნდა ჰქონდეს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება – ეს ნიშნავს, რომ საკანონმდებლო პროცესს სახელმწიფოში პარლამენტი უნდა წარმართავდეს. პარლამენტისათვის საკანონმდებლო ინი-

ციატივის უფლების კონტროლი არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მას შეუძლია, მხოლოდ ცვლილებები შეიტანოს ან ვეტო დაადოს მთავრობიდან მიღებულ კანონს, ის ასევე გულისხმობს იმას, რომ პარლამენტს შეუძლია განსაზღვროს პოლიტიკის შინაარსი და მიმართულება. ამ შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც პრეზიდენტი ფლობს აღმასრულებელ ხელისუფლებას, დანიშნოს პრემიერი და ჩამოაყალიბოს კაბინეტი, მისი პოლიტიკური ძალაუფლება სუსტდება იმის გამო, რომ პარლამენტი არის დომინირებულ მდგომარეობაში. ამ დროს პრეზიდენტს არ შეუძლია გააკონტროლოს საკანონმდებლო დღის წესრიგი.²⁵ ამდენად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პრეზიდენტები საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით სარგებლობენ არა პოლიტიკის განსაზღვრულ სფეროებში, არამედ ეს უფლება მართლაც პრეზიდენტების შეუზღუდავი უფლებაა, რითაც მათ საკანონმდებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა ეძლევათ, რაც პრეზიდენტის ძალაუფლების გაძლიერებისა და საკანონმდებლო ხელისუფლების შესუსტების მაჩვენებელია. ამიტომაც მიუთითებენ შუგარტი და კერი, რომ დიდი ძალაუფლებით აღჭურვილი პრეზიდენტი ძალიან პრობლემატურია.²⁶ რეჟიმი პრეზიდენტის დიდი საკანონმდებლო ხელისუფლებით ისევე პრობლემურია, როგორც კაბინეტთან დაკავშირებული უფლებამოსილების ასამბლეასა და პრეზიდენტს შორის გაყოფა.²⁷ პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არ შეესაბამება ძალაუფლების დაყოფის პრინციპს და, ამდენად, უნდა შეიზღუდოს, ან (სასურველია) მთლიანად გაუქმდეს. რაც შეეხება პრეზიდენტის უფლებას, ვეტო დაადოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს, არსებობს მისი შენარჩუნების გარკვეული ლოგიკა; საჭიროა გარკვეული დამცავი მექანიზმი იმ შემთხვევისათვის, თუ პარლამენტი მიიღებს ნაჩქარევ ან ცუდად გააზრებულ კანონს“.²⁸

III. პრეზიდენტის ვეტოს უფლება და მისი დაქვემდებარება

მეცნიერები პრეზიდენტის საკანონმდებლო უფლებამოსილებებში პირველ რიგში გამოყოფენ პრეზიდენტის ვეტოს უფლებას, რომელიც მას შეუძლია განახორციელოს მთელ კანონპროექტზე. ამავე დროს, ყურა-

დღეა გამახვილებულია პარლამენტის მიერ ვეტოს დაძლევის საკითხზე. აზერბაიჯანის კონსტიტუციის 110-ე მუხლის თანახმად: „აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს მისთვის კანონის ხელმოსაწერად წარდგენიდან 56 დღის ვადაში უფლება აქვს, იგი თავისი შენიშვნებით დაუბრუნოს მილი-მეჯლისს ხელახლა განსახილველად“.²⁹ სომხეთის კონსტიტუციის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „სომხეთის პრეზიდენტს უფლება აქვს, კანონის ხელმოსაწერად წარდგენიდან 21 დღის ვადაში თავისი შენიშვნებით დაუბრუნოს კანონი მილი-მეჯლისს ხელახლა განსახილველად“.³⁰ საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლის თანახმად კი: „პრეზიდენტი ხელმოსაწერად გადაცემულ კანონს 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს, ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს“.³¹ ამდენად, სამივე რესპუბლიკაში პრეზიდენტი ფლობს ვეტოს უფლებას არა მხოლოდ ნაწილობრივ, არამედ ვეტოს უფლებას მთელ კანონპროექტებთან მიმართებით, რაც, ფაქტობრივად, მას საკანონმდებლო პროცესის ერთ-ერთ სერიოზულ მაკონტროლებლად აქცევს. სპეციალისტები მიუთითებენ კიდევ, რომ: „ბოლო წლებში მოულოდნელად წარმოიშვა აბსოლუტური (შეუზღუდავი) ვეტო აზერბაიჯანის რესპუბლიკაში კონსტიტუციურ კანონებთან მიმართებით, რაც პარლამენტისათვის დაუძლეველია, საერთოდ, არატიპურია განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის და სამართლებრივ ანაქრონიზმად მიიჩნევა“.³² აქ მხედველობაში აქვთ აზერბაიჯანის კონსტიტუციის 110-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება: „თუ აზერბაიჯანის პრეზიდენტის მიერ არ იქნება ხელმონერილი კონსტიტუციური კანონები, მაშინ ისინი ძალაში არ შევა“.³³ ამ მუხლის ძალით აზერბაიჯანის პრეზიდენტს სრული უფლება აქვს, არანაირი განმარტების გარეშე არ მოაწეროს კანონს ხელი. უნდა ითქვას, რომ მსგავსი უფლება პარლამენტს არ უტოვებს სხვა გამოსავალს, ის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას უნდა დაემორჩილოს, რაც საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილებებში უხეში ჩარევაა. ასეთ დროს საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს კანონის ხელმონერას პარლამენტის თავმჯდომარის მიერ, რომელიც კონსტიტუციით მეორე უმაღლესი თანამდებობის პირია სახელმწიფო-

ში. მსგავსი ნორმა საკანონმდებლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და სტატუსის დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად მიგვაჩნია.

მიღებული პრაქტიკის თანახმად, პრეზიდენტის ვეტოს დამაბალანსებელი საშუალებაა პარლამენტის მიერ მისი დაძლევა, ანუ საპრეზიდენტო ვეტო, როგორც წესი, არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებებში ვეტოს უფლება მართლაც აუცილებელია, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ პრეზიდენტი არის სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების კონსტიტუციური გარანტი და იგი ამ მიზნის მისაღწევად პარლამენტის მხრიდან არასასურველი კანონის მიღების შემაკავებელ მექანიზმს უნდა ფლობდეს. ვეტოს უფლების საპირწონე კი საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებამოსილებებში მისი დაძლევის უფლების არსებობაა. საკანონმდებლო პროცესში პრეზიდენტისა და პარლამენტის ურთიერთობებში ამ ორმა საშუალებამ უნდა უზრუნველყოს ძალაუფლების დაბალანსება, მაგრამ თუ ეს მექანიზმები რომელიმე მხარეს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს, მაშინ ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევასთან შეიძლება გვეკონდეს საქმე. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში არ არის იდეალური მდგომარეობა.

კონსტიტუციის მიხედვით, აზერბაიჯანის პრეზიდენტი, ერთი მხრივ, არის სასამართლო ხელისუფლების გარანტი, მაგრამ საკონსტიტუციო კანონებზე აბსოლუტური ვეტოს უფლებით ის, მეორე მხრივ, არსებითად ზღუდავს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს. ხელისუფლებათა ასეთი დისბალანსი ამკარაა და არცთუ წარმატებული ეროვნული ელემენტია თანამედროვე კონსტიტუციურ სისტემაში. შეიძლება აღინიშნოს, რომ აქ უფრო მეტად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხი, რომელიც სახელმწიფოს მეთაურთა მიერ კონსტიტუციური კანონებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შეფასებისას წინა პლანზე წამოიწევა. კონსტიტუციურ კანონებზე ვეტოს უფლება „გადანონის“ პარლამენტის საკანონმდებლო პრეროგატივებს, ხოლო ურთიერთშეკავებისა და წონასწორობის სისტემა ამ ნაწილში ფაქტობრივად არ მუშაობს.³⁴

პარლამენტის მნიშვნელოვანი უფლება-მოსილებაა საპრეზიდენტო ვეტოს დაძლევა, თუმცა, არსებული პრაქტიკის თანახმად, პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის შემთხვევები უფრო ნაკლებია, ვიდრე წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებისა და კანონის ხელახლა მიღების შემთხვევა. სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა კონსტიტუციები პარლამენტს ანიჭებს საპრეზიდენტო ვეტოს დაძლევის სხვადასხვა საშუალებას. აზერბაიჯანის კონსტიტუციის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საპრეზიდენტო ვეტოს დაძლევისათვის გათვალისწინებულია განმეორებითი კენჭისყრა, რისთვისაც დადგენილია პირველი კენჭისყრის დროს საჭირო ხმების რაოდენობაზე მაღალი ხმათა უმრავლესობა. კერძოდ, ვეტო დაძლეულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადრე 83 ხმით მიღებულ კანონს პარლამენტი მეორე განხილვისას მიიღებს 95 ხმით, ხოლო 63 ხმით მიღებულ კანონს მიიღებს 83 ხმით:³⁵ სომხეთის კონსტიტუციის 72-ე მუხლის მიხედვით, საპრეზიდენტო ვეტო დაძლეულად ჩაითვლება, თუ ახალი კენჭისყრის დროს თავდაპირველ ვარიანტს მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა.³⁶ საქართველოში კი საპრეზიდენტო ვეტო დაძლეულად ჩაითვლება, თუ კანონის თავდაპირველ ვარიანტს მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის სამიმეხუთედი, ხოლო კონსტიტუციურ კანონს სრული შემადგენლობის ორი მესამედი.³⁷ სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ სომხეთის რესპუბლიკაში დადგენილი ვეტოს დაძლევის პროცედურა ნაკლებად წარმატებულია. მათი აზრით, საჭირო იყო რეალობის გათვალისწინება, რათა აღნიშნულ ნორმას ემუშავა და არა ყოფილიყო ფიქტიური, პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ეროვნული კრების დამსწრე წევრთა კვალიფიციური უმრავლესობა და არა ეროვნული კრების საერთო რაოდენობის უმრავლესობა. საერთოდ საჭიროა შევქმნათ მექანიზმი, რომელიც პრეზიდენტს არ მისცემს საშუალებას, ბოროტად გამოიყენოს ვეტოს უფლება, და აიძულებს მას, თავის უფლებას უფრო მეტად დასაბუთებულად მოეკიდოს.³⁸

როგორც ვხედავთ, საპრეზიდენტო ვეტოს წინააღმდეგ სამივე ქვეყანაში პარლამენტს ნაკლები მექანიზმები აქვს, თუ

იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბოლო რამდენიმე მონვევის პარლამენტში პრეზიდენტები ყოველთვის ფლობენ საპარლამენტო უმრავლესობას. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის კონსტიტუციით საკანონმდებლო ინიციატივისა და, ფაქტობრივად, აბსოლუტური ვეტოს პარალელურად დადგენილია საპრეზიდენტო ვეტოს დაძლევის ძალზე გართულებული წესი, რომლის მიხედვითაც პირვანდელი კენჭისყრისაგან განსხვავებით, რეალურად, ყველა საკითხზე 20-ით მეტი ხმაა საჭირო ვეტოს დასაძლევად, კონსტიტუციის 94-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, რომ 83 ხმით მიიღება კანონი პრეზიდენტის არჩევნების, პარლამენტის არჩევნებისა და დეპუტატის სტატუსთან, რეფერენდუმთან დაკავშირებით. ვეტოს დასაძლევად კი საჭიროა 95 ხმა, რაც 12 ხმით მეტია.³⁹ კერძოდ, კონსტიტუციის 94-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, რომ პრეზიდენტის არჩევნების, პარლამენტის არჩევნებისა და დეპუტატის სტატუსთან, რეფერენდუმთან დაკავშირებული საკითხების გარდა, პარლამენტის კომპეტენციაში არსებულ ყველა საკითხზე კანონი მიიღება 63 ხმით, ვეტოს დასაძლევად კი საჭიროა 95 ხმა, რაც 20 ხმით მეტია.⁴⁰

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ასეთი ფართო საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებამოსილებების პირობებში პრეზიდენტს, საერთოდ, არც სჭირდება ვეტოს უფლების გამოყენება, ის მარტივად ახერხებს თავისი კანონპროექტების გატანას მორჩილ პარლამენტში, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ვეტოს გამოყენება სულაც არ იყო დაკავშირებული პარლამენტთან მეტოქეობასთან. კერძოდ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ვეტო დაადო კანონს „საზოგადოებრივი ტელევიზიის შესახებ“, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მილი-მეჯლისმა მიიღო ეს კანონი, მაგრამ ევროპის საბჭოს ექსპერტებმა სერიოზულად გააკრიტიკეს იგი. პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ხელი არ მოაწერა კანონს, დააბრუნა იგი მილი-მეჯლისში. წარმოიშვა პარადოქსული სიტუაცია – პრეზიდენტმა ვეტო დაადო კანონს, რომელიც, პირობითად რომ ვთქვათ, თვითონ (თავისმა ადმინისტრაციამ) მოამზადა.⁴¹ ამდენად, აზერბაიჯანში საკანონმდებლო პროცესში მონაწილე ორ სუბიექტს – პრეზიდენტსა და პარლამენტს – შორის უფლებამოსილებები აშკარად პრე-

ზიდენტის სასარგებლოდ არის განსაზღვრული, რაც კიდევ უფრო ზრდის პრეზიდენტის ისედაც შეუზღუდავ ძალაუფლებას. ეს კი ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევაა.

ვეტოს უფლებას იყენებდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთელი თავისი პრეზიდენტობის პერიოდში, ძირითადად, ფლობდა საპარლამენტო უმრავლესობას პარლამენტში. პრეზიდენტმა შევარდნაძემ რვაჯერ გამოიყენა თავისი უფლება და ვეტო დაადო მისთვის ხელმოსაწერად გაგზავნილ კანონპროექტებს. კერძოდ, 2003 წელს ვეტო დაადო 6 კანონს: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის 3 პროექტს, „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის პროექტს, „საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს; 2002 წელს ვეტო დაადო „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტს და „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს.⁴²

ვეტოს უფლება პრეზიდენტის მხრიდან ერთგვარი კონტროლის ფუნქციასაც იძენს. სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან ვეტოს გამოყენების მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს: კონსტიტუციასა და კანონმდებლობასთან შეუსაბამობა, პარლამენტის მიერ კონსტიტუციური უფლებამოსილებების დარღვევა, ადამიანის უფლებათა დარღვევა, საკანონმდებლო ტექნიკის საკითხების დაუცველობა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შეზღუდვა და ა.შ. პრეზიდენტი კი, როგორც კონსტიტუციური წყობილების დაცვის გარანტი, რომელიმე საფუძვლით უფლებამოსილია, არ მოაწეროს ხელი კანონს და თავისი შენიშვნებით

დაუბრუნოს იგი პარლამენტს.

უნდა აღინიშნოს საქართველოს პრაქტიკაში დაფიქსირებული საინტერესო შემთხვევის შესახებ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის პროექტს ვეტო დაადო იმ მოტივით, რომ ეს კანონპროექტი არ ითვალისწინებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადამწყვეტილებას. კანონპროექტი ითვალისწინებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სასამართლოების იმ მოსამართლეთათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას, რომელთაც კონკურსის წესით მოსამართლის შერჩევამდე დაკისრებული ჰქონდათ ამ უფლებამოსილების განხორციელება. საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის 26 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 85-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების დაკისრებას ითვალისწინებდა. პრეზიდენტმა მიუთითა, რომ: „...ნარმოდგენილი კანონის პროექტით ფაქტობრივად ხდება არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმისა და ცნების განმეორებით შემოღება და ამოღებული პუნქტის ადგილას კვლავ იმავე პუნქტის აღდგენა, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებთან“.⁴³

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია პრეზიდენტის ეს უფლებამოსილება, მაგრამ მას ეფექტი აქვს და გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების მეორე სუბიექტს – პარლამენტს კონსტიტუცია ვეტოს დაძლევის შესაძლო მექანიზმებს აძლევს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ვეტოს უფლება ყოველთვის მხოლოდ პრეზიდენტის ძალაუფლების თვითნებურ გაზრდას გამოიწვევს. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ,

რომ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში პრეზიდენტისათვის ერთდროულად საკანონმდებლო ინიციატივისა და სუსპენსიური (აზერბაიჯანში, ფაქტობრივად, აბსოლუტური) ვეტოს უფლების მინიჭება აკნინებს და ასუსტებს საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციას სახელისუფლებო სისტემაში.

IV. კანონის ძალის გამოწვეული ნორმატიული აქტების გამოცემა

პრეზიდენტის მიერ კანონის ძალის მქონე აქტების გამოცემის უფლება ერთ-ერთი სტრატეგიული საკითხია პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის ურთიერთობაში. ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, ძალიან შორს წავიდა პრეზიდენტის ნორმატიული აქტების პრაქტიკა. სამეცნიერო ლიტერატურაში შემოვიდა სხვადასხვა ცნება პრეზიდენტის დასახელებული უფლებამოსილებების აღსანიშნავად. მაგალითად, ისეთი, როგორცაა „დელეგირებული კანონმდებლობა“. დონელი ამტკიცებდა, რომ ზოგიერთი დემოკრატიული სახელმწიფოს პრეზიდენტებისათვის არის აღმასრულებელი ხელისუფლების საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების ხარჯზე გაზრდის ტენდენცია და ის ასეთ სისტემებს დელეგირებულ დემოკრატიულ სახელმწიფოს უწოდებს.⁴⁴ მეცნიერები ასევე ხშირად იყენებენ ცნებას – „დეკრეტების ძალაუფლება“.⁴⁵ რუსი ავტორი ლუჩინი მიუთითებს, რომ „ბრძანებულებით სამართალში“ გადმოცემული სახელმწიფოს მეთაურის სპეციფიკური ნორმატიული აქტების გამოცემა, როგორც წესი, ხორციელდება პარლამენტის უფლებამოსილებების საკითხების შესაბამისად და, თავისი იურიდიული ძალის მიხედვით, ასეთი აქტები კანონებს არ ჩამოუვარდებიან.⁴⁶ სხვა ავტორები ემხრობიან სხვა მიდგომას და მიიჩნევენ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების განხილული აქტები, იურიდიული ძალის მიხედვით, კანონის ძალის მქონეა, თუმცა, ფორმის მიხედვით, ასევე არის კანონქვემდებარე.⁴⁷ ნ.ა. სახაროვი მიუთითებს ლათინოამერიკელი, აზიისა და აფრიკის სახელმწიფოთა პრეზიდენტების მიერ საკანონმდებლო უფლებამოსილებების განხორციელების პრაქტიკის არსებობაზე და მიიჩნევს, რომ ეს ეწინააღმდეგება კონსტიტუციონალიზმის პრინციპებს და ხელისუფლების უზურპა-

ციის თანამედროვე ფორმაა.⁴⁸ ა. შაიო მიუთითებს, რომ: „დელეგირების ამკრძალავი ნორმის არარსებობა სახელისუფლებო განმტობათა ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგანონასწორების სისტემაში უფროსახიფათოა. ამ ნორმის არარსებობის შემთხვევაში, საკანონმდებლო ორგანომ თავისი კონსტიტუციური ამოცანის შესრულებას შეიძლება თავიც აარიდოს, ხოლო აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პარლამენტის ფუნქცია თავის გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის გარეშე მიიღოს, რის შედეგადაც სამართალი შეიძლება ველარც განჭვრიტო“.⁴⁹

უნდა ითქვას, რომ პრეზიდენტის ეს უფლებამოსილება არ არის უცხო სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისათვის. პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე პრეზიდენტი უფლებამოსილია, გამოსცეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ხოლო კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საკანონმდებლო აქტებიც. პარლამენტთან მიმართებით პრეზიდენტის ნორმატიული აქტებითი საქმიანობის დროს მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტი არ შეიჭრეს საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილებებში. ამის გარანტია არის კონსტიტუციის პრინციპი, რომლის თანახმად, სახელმწიფოს მეთაურს უფლება აქვს, თავისი სამართლებრივი აქტით დაადგინოს ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს მიერ დადგენილი ნორმების საფუძველზე. პრეზიდენტს დამოუკიდებლად სხვადასხვა ურთიერთობის რეგულირების უფლებამოსილება არ გააჩნია და ყოველი ასეთი შემთხვევა კონსტიტუციის დარღვევად აღიქმება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში, განსაკუთრებით ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობის რესპუბლიკებში, პრეზიდენტის ხელისუფლების ზრდის ფონზე, სულ უფრო შეიმჩნევა პრეზიდენტის დამოუკიდებელი ნორმატიული აქტების პრაქტიკა. სპეციალისტები მიუთითებენ კიდევ, რომ თუ არსებით საკითხებზე გადაწყვეტილებები აღმასრულებელი ხელისუფლების განკარგულებებისა და სხვა ნორმატიული აქტების დონეზე მიიღება, ეს კონსტიტუციური კანონიერების დარღვევის ტოლფასია, რადგან პარლამენტს ერთმევა საკანონმდებლო ფუნქცია, რაც მისი კონსტიტუციური ამოცანაა,

და სახელმწიფო ამოცანების განსაზღვრაც და აღსრულებაც თავს იყრის ხელისუფლების ერთადერთ განმტკიცებაში.⁵¹ პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის ურთიერთობების კონსტიტუციური ჩარჩოების შენარჩუნება და ხელისუფლების ბალანსის დაცვა მხოლოდ საპრეზიდენტო და საპარლამენტო სამართალშემოქმედების მკვეთრი გამიჯვნის შემთხვევაშია შესაძლებელი.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა კონსტიტუციები განსაზღვრავენ შემთხვევებს, როდესაც პრეზიდენტი, პარლამენტის მსგავსად, საკანონმდებლო აქტებსაც იღებს. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პრეზიდენტი: „პარლამენტის დათხოვნიდან ახლად არჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უფლებამოსილია, საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე გამოსცეს კანონის ძალის მქონე აქტი – დეკრეტი, რომელიც ძალას კარგავს, თუ ახლად არჩეული პარლამენტი პირველი შეკრებიდან ერთი თვის განმავლობაში არ დაამტკიცებს მას“. კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით: პარლამენტის დათხოვნისას „...პარლამენტის მიერ კონსტიტუციით დადგენილ ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობისას სახელმწიფო ბიუჯეტს დეკრეტით ამტკიცებს პრეზიდენტი“. 93-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით კი, სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში პარლამენტის დათხოვნისას პრეზიდენტი დეკრეტით დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ახლად არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან ერთ თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად. პრეზიდენტისათვის საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემასთან დაკავშირებით სპეციალისტები მიუთითებენ, რომ ეს არის პარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილებების გადაცემა პრეზიდენტისათვის, კონსტიტუციით დადგენილი ხელისუფლების დანაწილების პრინციპის კონცეფციური უარყოფა ხელისუფლების საკანონმდებლო განმტკიცების მიმართ. ამ უფლების მინიჭებით საგადასახადო და საბიუჯეტო სფეროში საკანონმდებლო პოლიტიკის განმსაზღვრელი, ნაცვლად პარლამენტისა, დროებით (თუმცა ეს დრო

არც ისე მცირეა – დაახლოებით 4 თვე) ხდება პრეზიდენტი. სპეციალისტები ასევე სამართლიანად შენიშნავენ, რომ პარლამენტის შექმნის თავდაპირველი უმთავრესი მიზეზი საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრა იყო.⁵¹ კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე... დეკრეტები წარედგინება პარლამენტს, როცა იგი შეიკრიბება...⁵² „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი საქართველოს კონსტიტუციისა და კანონის მსგავსად საკანონმდებლო აქტია.⁵³ პრეზიდენტს ამგვარი ნორმების საფუძველზე საკანონმდებლო უფლებამოსილების განხორციელების უფლებამოსილება ენიჭება, რაც წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქციაა. მსოფლიო პრაქტიკის თანახმად, გადასახადების დადგენა ან ბიუჯეტის დამტკიცება ყოველთვის წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქციაა. ამიტომ პრეზიდენტს არ შეიძლება გააჩნდეს ასეთი სახის აქტების გამოცემის უფლება, რაც საკანონმდებლო ხელისუფლების შესუსტებას იწვევს. სხვა საკითხია დეკრეტის გამოცემის უფლება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, რადგან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სპეციფიკურ რეჟიმთან, როდესაც ქვეყნის წარმომადგენლობითი ორგანო მოკლებულია კონსტიტუციური უფლებამოსილებების ნორმალურად განხორციელების შესაძლებლობას, თუმცა ეს დეკრეტები მაინც წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად.

სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია პირდაპირ არ ითვალისწინებს პრეზიდენტის მიერ კანონის ძალის მქონე აქტების გამოცემის უფლებას. კონსტიტუციის 56-ე მუხლში მხოლოდ აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებებსა და განკარგულებებს, რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს და ექვემდებარება შესრულებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.⁵⁴ აზერბაიჯანის კონსტიტუციაც პირდაპირ არ ადგენს, რომ პრეზიდენტი გამოსცემს კანონის ძალის მქონე

აქტებს, თუმცა კონსტიტუცია მიუთითებს, რომ პრეზიდენტი გამოსცემს მნიშვნელოვან ნორმატიულ აქტებს. კონსტიტუციის 109-ე მუხლის 32-ე პუნქტი ადგენს, რომ: „აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი აღმასრულებელი წესით გადაწყვეტილებას იღებს ყველა სხვა საკითხზე, რომელიც წინამდებარე კონსტიტუციით არ მიეკუთვნება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი-მეჯლისის ან სასამართლო ორგანოთა კომპეტენციას“.⁵⁵ კონსტიტუციის 113-ე მუხლის თანახმად კი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი საერთო მოქმედების წესების დადგენისას გამოსცემს ბრძანებულებებს, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში განკარგულებებს.⁵⁶ კონსტიტუციის აღნიშნული ნორმების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აზერბაიჯანში პრეზიდენტს შეუძლია გამოსცეს კანონის ძალის მქონე აქტები ნებისმიერ იმ საკითხზე, რაც მილი-მეჯლისისა და სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციას არა აქვს მიკუთვნებული კონსტიტუციით, ეს კი სერიოზულ ძალაუფლებას ანიჭებს პრეზიდენტს. ამას ადასტურებს ერთი შემთხვევა, როდესაც აზერბაიჯანის კონსტიტუციის მიხედვით, მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის წესი რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ განისაზღვრება,⁵⁷ მაშინ როდესაც, მაგალითად, საქართველოს მთავრობის საქმიანობის წესი საქართველოს პარლამენტის მიერ დგინდება კანონით.⁵⁸ ასევე სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, მთავრობის სტრუქტურა და საქმიანობის წესი კანონით განისაზღვრება.⁵⁹ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, გააუქმოს საქართველოს მთავრობისა და სამინისტროების ნორმატიული აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას.⁶⁰ ამით კი იგი, ფაქტობრივად, საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციებში იჭრება. აზერბაიჯანის კონსტიტუცია კიდევ უფრო შორს წავიდა და პრეზიდენტს შეუძლია გააუქმოს არა მარტო მთავრობის, არამედ ასევე ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების აქტები.⁶¹ აქ უნდა დავეთანხმოთ შაიოს მოსაზრებას: „მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად კონსტიტუციათა უმეტესობაში კანონმდებლობა პარლამენტის მოვალეობა-

დაა მიჩნეული, კანონების შინაარსის განსაზღვრა გადასულია აღმასრულებელ ხელისუფლებაში მყოფი ბიუროკრატიის ხელში. ამან შეიძლება „ტექნიკურ დონეზე“ დაარღვიოს საკანონმდებლო ფუნქციის დამოუკიდებლობა და, შესაბამისად, სახელისუფლებო განშტოებებს შორის წონასწორობა.“⁶²

უნდა ითქვას, რომ, მართალია, როგორც წესი, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა კანონმდებლობით პრეზიდენტის აქტები საკანონმდებლო აქტებად არ არის მიჩნეული⁶³ (საგანგებო ვითარებაში გამოცემული აქტების გარდა), თუმცა, როგორც კონსტიტუციათა აღნიშნული ნორმები და ამ ქვეყნებში არსებული პრაქტიკა ადასტურებს, პრეზიდენტის ბრძანებულებები, ხშირ შემთხვევაში, სწორედ კანონის ძალის მატარებელია. იმ დროს, როდესაც კონსტიტუციით არ არის დადგენილი, თუ რა საკითხებზე შეუძლია პრეზიდენტს გამოსცეს ბრძანებულებები, პრეზიდენტს, ფაქტობრივად, შეუზღუდავი შესაძლებლობა ეძლევა, თავად აიღოს ხელში დიდი მოცულობით საკანონმდებლო საქმიანობა. ამის დასტურია აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტების ბრძანებულებები, რომლებიც ხშირად ისეთ საკითხებზე გამოიცემა, რაც არ რეგულირდება კანონმდებლობით. მაგალითად, 2001 წელს გამოიცა პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური შემოსავლების გამოყენების დროებითი წესის შესახებ“,⁶⁴ რითაც პრეზიდენტმა დაადგინა გადასახადების განაწილების წესი, რაც პარლამენტის ფუნქცია იყო. საქართველოში პრეზიდენტის ბრძანებულებით არის განსაზღვრული შავი და ფერადი ლითონების ჯართის, შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების შესყიდვის წესი,⁶⁵ რომელიც მხოლოდ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზეა გამოცემული. ეს საკითხი კი, ჩვენი აზრით, სამოქალაქო კოდექსითა და „მენარმეთა შესახებ“ კანონით უნდა რეგულირდებოდეს.

პრეზიდენტის მიერ, ფაქტობრივად, კანონის ძალის მქონე აქტების გამოცემის მაჩვენებელია ამ ქვეყნებში გავრცელებული პრაქტიკა, როდესაც პრეზიდენტები გამოსცემენ ბრძანებულებებს სხვადასხვა კანონის საფუძველზე, ისე, რომ ასეთი უფლება მათ

კონსტიტუციით განსაზღვრული არა აქვთ. კონსტიტუციები განსაზღვრავენ, რომ, კონსტიტუციაში ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა, პრეზიდენტები ახორციელებენ სხვა უფლებამოსილებებს კანონით დადგენილი წესით. ამ კანონების საფუძველზე კი ძალიან ხშირად პრეზიდენტებს ეძლევათ უფლება, გამოსცენ ბრძანებულებები. პრაქტიკაში ვხვდებით უამრავ კანონს, სადაც მითითებულია პრეზიდენტის ბრძანებულებით საკითხების დარეგულირების შესახებ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხშირად კანონმდებელი თავს არიდებს ამა თუ იმ საკითხის სრულ საკანონმდებლო რეგლამენტაციას და საბოლოო სიტყვას პრეზიდენტს უტოვებს. მაგალითად, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ბრძანებულებით არის განსაზღვრული სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი მოქალაქეებისათვის სოციალური დახმარების თანხათა ოდენობები,⁶⁶ რაც საშუალებას აძლევს პრეზიდენტს, პარლამენტის გვერდის ავლით გაზარდოს ან შეამციროს სოციალური დახმარების თანხების ოდენობა. ასეთ შემთხვევაში გამოცემული აქტები კი, იურიდიული ძალის მიხედვით, არაფრით ჩამოუვარდება პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს.

პრეზიდენტის მიერ კანონის ძალის მქონე აქტების გამოცემის უფლებას ხშირად საფრანგეთის ნახევრადსაპრეზიდენტო მოდელს უკავშირებენ, რაც თითქოს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა მმართველობის მოდელის საფუძველი გახდა, თუმცა, საფრანგეთის კონსტიტუციის მე-19 მუხლის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტის აქტები, გარდა ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევისა (მაგალითად, პრემიერ-მინისტრის დანიშვნა, რეფერენდუმის ჩატარება ეროვნული კრების დათხოვნის, საგანგებო მდგომარეობის შესახებ) ექვემდებარება კონტრასიგნაციას პრემიერ-მინისტრის ან, აუცილებლობის შემთხვევაში, პასუხისმგებელი მინისტრების მიერ.⁶⁷ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში კი კონტრასიგნაციის არანაირი მექანიზმი გათვალისწინებული არ არის. პრეზიდენტი დამოუკიდებლად იღებს ასეთ გადაწყვეტილებებს და უშუალოდ არის პასუხისმგებელი ასეთ აქტებში გადმოცემულ ნორმებზე. უფრო მეტიც, პრეზიდენტს ამ ქვეყნებში უფლება აქვს, გააუქმოს მთა-

ვრობისა და სხვა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა აქტები.

პრეზიდენტის ასეთი ფართო საკანონმდებლო ფუნქციის გამო ხშირად ძალიან მკაცრად ფასდება მისი სტატუსი. სინდი სკაჩის აზრით, დემოკრატიის პერსპექტივებისათვის პრობლემურია ის, რომ პრეზიდენტი, რომელიც იღებს კონსტიტუციალიზებულ ავტონომიას ხანგრძლივი პერიოდით, ნახევრადსაპრეზიდენტო დემოკრატიის ქვეყნებს აქცევს კონსტიტუციურ დიქტატურად.⁶⁸ კონსტიტუციური დიქტატურა არის სიტუაცია, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება იყენებს საგანგებო და სადევრეტო ხელისუფლებას, რთულ ვითარებაში გამოსცეს საკანონმდებლო აქტები. ამ უფლებამოსილებების გაფართოებული გამოყენება განკუთვნილია იმისათვის, რომ დაიცვას ერი, როდესაც იგი აშკარა, უშუალო და არსებითი საშიშროების წინაშეა. ასეთი კონსტიტუტურა არღვევს დემოკრატიული მმართველობის ყველაზე ფუნდამენტურ მოთხოვნებს: ხალხის მონაწილეობას ხელისუფლების განხორციელებაში და ხალხის წინაშე ხელისუფლების პასუხისმგებლობას. მოქალაქეები საკანონმდებლო ორგანოს ირჩევენ ხანგრძლივი პერიოდით და საკანონმდებლო აქტების დეკრეტებისა და საგანგებო უფლებამოსილებების ფარგლებში გამოცემით აღმასრულებელი ხელისუფლება თავისი კონსტიტუციური დიქტატურის მეშვეობით კონცენტრირებას უკეთებს გადაწყვეტილებების მიღებას ადამიანთა ვიწრო ჯგუფის, ან პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრების ხელში, რომლებსაც პრეზიდენტი ნიშნავს. ეს ჯგუფი ხშირად პრეზიდენტის სრული კონტროლის ქვეშ იმყოფება, იმის ნაცვლად, რომ საკანონმდებლო ორგანოს წინაშე იყოს პასუხისმგებელი.⁶⁹

თუ საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს დისციპლინირებული პარტიული უმრავლესობა ან კოალიცია, ეს პრეზიდენტის დეკრეტების უფლებას უინტერესოს ხდის: პრეზიდენტის დეკრეტები ყოველთვის იცვლება ან უარყოფს მას პარლამენტი. პრეზიდენტი დეკრეტების გამოცემით ვერანაირ შედეგს ვერ აღწევს. თუმცა, თუ საკანონმდებლო ორგანო ცუდად არის კოორდინებული სუსტი პარტიების გამო, პრეზიდენტმა შეიძლება უპირატესი მდგომარეობა და მისთვის სასურველი შედეგები მოიპოვოს.⁷⁰

V. უფლებამოსილება პრეზიდენტის მიღების პროცესში

ბიუჯეტის მიღება ერთ-ერთი აქტუალური საკითხია აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის ურთიერთობებში. ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელია, რომ ბიუჯეტს მთავრობა ადგენს, რომელიც ასევე წარადგენს მას საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე, თუმცა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში ეს პროცესი პრეზიდენტის სერიოზული კონტროლის ქვეშაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადება და შესრულება მთავრობის პრეროგატივაა, ეს პროცესი მაინც პრეზიდენტის მონაწილეობის გარეშე არ ხორციელდება. აზერბაიჯანის კონსტიტუციის 109-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მილი-მეჯლისს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტს დასამტკიცებლად წარუდგენს რესპუბლიკის პრეზიდენტი.⁷¹ კონსტიტუციის 119-ე მუხლის თანახმად კი, პრეზიდენტს სახელმწიფო ბიუჯეტს წარუდგენს მინისტრთა კაბინეტი;⁷² სომხეთში პრეზიდენტი ბიუჯეტის კანონის პარლამენტში წარდგენაში არ მონაწილეობს. კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს ეროვნულ კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს რესპუბლიკის მთავრობა;⁷³ საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მიხედვით, პარლამენტს ბიუჯეტს წარუდგენს საქართველოს მთავრობა პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით. თუ პარლამენტმა ვერ მოახერხა ...წარდგენილი ბიუჯეტის მიღება სამი თვის განმავლობაში, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, გადააყენოს მთავრობა ან დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები. სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, პარლამენტის დათხოვნისას პრეზიდენტი დეკრეტით დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ახლად არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან ერთ თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად.⁷⁴

როგორც ვხედავთ, სამივე რესპუბლიკაში ბიუჯეტის კანონის მიღების პროცესში

განსაკუთრებული პრეზიდენტის როლი: თუ სომხეთში კონსტიტუცია პირდაპირ არ განსაზღვრავს პრეზიდენტის მიერ ბიუჯეტის კანონის ეროვნულ კრებაში წარდგენას, აზერბაიჯანში პირდაპირაა განსაზღვრული მილი-მეჯლისში ბიუჯეტის კანონის მხოლოდ პრეზიდენტის მიერ წარდგენა. საქართველოში, მართალია, პრეზიდენტი კონსტიტუციის მიხედვით არ წარადგენს პარლამენტში ბიუჯეტის კანონს, თუმცა მასთან შეთანხმების გარეშე ეს პროცედურა ვერ განხორციელდება, ეს კი, ჩვენი აზრით, ფაქტობრივად, იგივეა, რაც ბიუჯეტის წარდგენის უფლება, ვინაიდან მთავრობა შეზღუდულია პრეზიდენტის უფლებამოსილებებით ამ სფეროში. ამ უფლებამოსილებებს საქართველოში ისიც ამყარებს, რომ პრეზიდენტს შეუძლია, ბიუჯეტი დაამტკიცოს თავისი კანონის ძალის მქონე აქტით.

დასკვნა

სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამივე სახელმწიფოს კონსტიტუციური პრაქტიკა ადასტურებს ერთ საერთო ტენდენციას – კონსტიტუციების მიღებისთანავე გამოიკვეთა პრეზიდენტის განსაკუთრებული სტატუსი. სამი ქვეყნიდან, ფორმალური თვალსაზრისით, მხოლოდ სომხეთის პრეზიდენტისა და პარლამენტის სტატუსი პასუხობს მეტ-ნაკლებად ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემის ძირითად პრინციპებს; საქართველოში საერთოდ დარღვეულია ბალანსი პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, ხოლო აზერბაიჯანის სისტემა საერთოდ არ შეესაბამება არანაირ პრაქტიკას და ის შეიძლება სუპერ-საპრეზიდენტო მოდელადაც კი განვიხილოთ.

აღნიშნული პრინციპიდან გადახვევამ ხელისუფლების სხვა შტოების ხარჯზე პრეზიდენტს ისეთი დამატებითი კომპეტენციები შესძინა, რომლებიც არ არის დამახასიათებელი არც საპრეზიდენტო და არც ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემისათვის. პირველ რიგში, ამ ქვეყნებში პრეზიდენტის ძლიერ ძალაუფლებას კონსტიტუციურ დონეზე პრეზიდენტების მნიშვნელოვანი საკანონმდებლო უფლებამოსილებებით აღჭურვა ადასტურებს. აზერბაიჯანსა და საქართველოში პრეზიდენტი, ფაქტობრივად,

შეუზღუდავი საკანონმდებლო ინიციატივის უფლების ძალით საკანონმდებლო ორგანოს დღის წესრიგის განსაზღვრის ხელმძღვანელად გვევლინება, რაც ეწინააღმდეგება როგორც ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, ისე პარლამენტის ინსტიტუტის კონსტიტუციურ ბუნებას. ამიტომაც უნდა გაუქმდეს აზერბაიჯანსა და საქართველოში პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

პრეზიდენტის ძალაუფლებას კიდევ უფრო აძლიერებს საკანონმდებლო (აზერბაიჯანში, ფაქტობრივად, ე.წ. აბსოლუტური ვეტო) ვეტოს უფლების არსებობა. ვეტოს უფლება საერთოდ ცნობილია როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო და ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემებში, თუმცა სახიფათოა მისი არსებობა საკანონმდებლო ინიციატივის უფლების პარალელურად. პრეზიდენტის ვეტოს უფლება გარკვეულ გამაწონასწორებელ მექანიზმად მიიჩნევა პარლამენტთან მიმართებით, როდესაც პრეზიდენტს არ გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ამ დროს პრეზიდენტს შეუძლია დაბლოკოს საპარლამენტო უმრავლესობის ან პრემიერ-მინისტრის საკანონმდებლო ინიციატივები, მაგრამ, როდესაც პრეზიდენტს ერთდროულად არ გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივისა და ვეტოს უფლება, ეს იმას ნიშნავს, რომ პარლამენტს არა აქვს თავისუფალი მოქმედების საშუალება, რადგან მან იცის, რომ პრეზიდენტს ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვის უფლება საკანონმდებლო პროცესის როგორც სანყის სტადიაზე, ისე მის დასასრულს კანონების ხელმოწერისას. პრეზიდენტის ძალაუფლებას აძლიერებს ასევე საპრეზიდენტო ვეტოს დაძლევის ძალიან გართულებული პროცედურა. აზერბაიჯანში ვეტოს დაძლევისათვის განმეორებითი კენჭისყრის დროს საჭიროა 12 და 20-ით მეტი ხმა, ვიდრე თავდაპირველად კანონის მიღებისას. საქართველოში კი ვეტოს დასაძლევად პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედია საჭირო. მხოლოდ სომხეთის კონსტიტუცია ითვალისწინებს ვეტოს დაძლევას პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობის მხარდაჭერით. თუ აზერბაიჯანსა და სომხეთში პარლამენტში პოლიტიკური ძალების ფრაგმენტაცია პრეზიდენტს ვეტოს უფლების გამოყენების

აუცილებლობის წინაშე დააყენებს, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება მისი დაძლევა პარლამენტის მხრიდან, არსებული კონსტიტუციური ნორმების გამო. ჩვენი აზრით, აუცილებელია, სომხეთში ვეტოს დასაძლევად, ეროვნული კრების საერთო რაოდენობის უმრავლესობის ნაცვლად, პარლამენტის სხდომის დამსწრეთა უმრავლესობით გადამწყვეტილების მიღების დადგენა, ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია აზერბაიჯანში ვეტოს დაძლევის გართულებული პროცედურის გამარტივება იმგვარად, რომ ვეტოს დაძლევას იგივე ხმათა რაოდენობა სჭირდებოდეს, რაც მისი თავდაპირველი მიღებისათვისაა დადგენილი.

პრეზიდენტის ხელში საკანონმდებლო უფლებამოსილებების სერიოზულ კონცენტრაციას ხელს უწყობს მის მიერ კანონის ძალის მქონე აქტების გამოცემის უფლება. როგორც წესი, კანონის ძალის მქონე აქტების გამოცემის უფლება პრეზიდენტებს, ძირითადად, საგანგებო ან საომარი ვითარების დროს აქვთ, და მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი სპეციფიკური ვითარებისას საკანონმდებლო ორგანო მოკლებულია საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელების შესაძლებლობას. ასეთ დროსაც პრეზიდენტის ეს აქტები შემდგომში პარლამენტის მიერ დამტკიცებას საჭიროებს. ასეთი პრაქტიკის პარალელურად პოსტსაბჭოურ ქვეყნებსა და, მათ შორის, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებშიც დამკვიდრდა პრეზიდენტების მიერ საკანონმდებლო ფუნქციის საკუთარ თავზე აღების ნორმები. ხელისუფლების დანაწილების პრინციპს ეწინააღმდეგება და პრეზიდენტის ძალაუფლებას აძლიერებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე კანონის ძალის აქტების გამოცემის უფლება, ასევე დეკრეტით ბიუჯეტის დამტკიცება. სომხეთის კონსტიტუცია პირდაპირ ასეთ უფლებას არ ადგენს. განსაკუთრებით შემაშფოთებელია აზერბაიჯანის კონსტიტუციური ნორმები, რომლებიც პრეზიდენტს ყველა იმ საკითხზე გადამწყვეტილების მიღების უფლებას ანიჭებს, რაც არ არის აზერბაიჯანის პარლამენტისა და მთავრობის კომპეტენცია. თუ გავითვალისწინებთ, რომ აზერბაიჯანის კონსტიტუცია მთავრობის კომპეტენციას სულ რამდენიმე პუნქტით ჩამოთვლის, ხოლო

პარლამენტი თავის უფლებამოსილების 90%-ს მხოლოდ პრეზიდენტის წარდგინებით ახორციელებს, პრეზიდენტის საკანონმდებლო უფლებამოსილებები შეუზღუდავია. ვფიქრობთ, აუცილებელია შეიკვეცოს საქართველოსა და სომხეთში პრეზიდენტის მიერ კანონის ძალის მქონე აქტების გამოცემის უფლება და პრეზიდენტს ეს უფლება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს და მხოლოდ პარლამენტის თანხმობით.

უნდა ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში პარლამენტები თავისუფალნი არ არიან ასევე პარლამენტისათვის ისეთი ტრადიციული და ბუნებრივი უფლებამოსილების განხორციელებაშიც კი, როგორცაა ქვეყნის ბიუჯეტის მიღება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ქვეყნებს მეცნიერები ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემებს მიაკუთვნებენ, უნდა ითქვას, რომ ასეთი მმართველობის დროს ბიუჯეტის მიღება მთავრობისა და პარლამენტის პრეროგატივაა, პრეზიდენტის უფლებამოსილება მხოლოდ კანონის ხელის მოწერასა და, თუნდაც, ვეტოს უფლების გამოყენებით შეიძლება გამოიხატოს. ეს უფლებები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების პრეზიდენტებს ისედაც აქვთ, მაგრამ ამას ემატება ის, რომ ბიუჯეტის პროექტს აზერბაიჯანში პარლამენტს პრეზიდენტი წარუდგენს, საქართველოში კი მთავრობას ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში წარდგენა მხოლოდ პრეზიდენტის თანხმობით შეუძლია. გამონაკლისი ამ წესიდან მხოლოდ სომხეთია, სადაც ბიუჯეტის პროექტს პარლამენტში მთავრობა წარადგენს. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტს მნიშვნელოვანი ბერკეტები აქვს ხელისუფლების სხვა ინსტიტუტებზე ფინანსური თვალსაზრისით ზემოქმედებისათვის, რაც ამ ინსტიტუტებს პრეზიდენტზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულს ხდის. ჩვენი აზრით, აუცილებელია, საქართველოსა და აზერბაიჯანში პრეზიდენტები ჩამოშორდნენ ბიუჯეტის მომზადება-წარდგენის პროცესს და ეს უფლება მთლიანად მთავრობას დაეკისროს; აზერბაიჯანში უნდა გაუქმდეს პრეზიდენტის უფლება ბიუჯეტის წარდგენაზე, საქართველოში კი ბიუჯეტის წარდგენაზე მთავრობისათვის თანხმობის მიცემის წესი. ბიუჯეტის მომზადება ექსკლუზიურად მთავრობის ფუნქცია უნდა იყოს. თუ პრეზი-

დენტს სურს, გააკონტროლოს საბიუჯეტო პროცესი, მას ისედაც აქვს გარკვეული გამანონასწორებელი მექანიზმი – შეუძლია, ვეტო დაადოს ბიუჯეტის კანონს, როგორც სხვა საკანონმდებლო აქტებს.

კვლევამ აჩვენა, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში პრეზიდენტის ძლიერი ძალაუფლების პარალელურად სუსტია პარლამენტი, მაგრამ ამის მიზეზი, როგორც ამ ქვეყნებში ხშირად აღნიშნავენ, არ არის მხოლოდ პარლამენტის მწირი ფორმალური უფლებამოსილებები. ერთი მხრივ, პარლამენტის სისუსტე განპირობებულია პრეზიდენტისათვის საკანონმდებლო სფეროში ზემოთ აღნიშნული ფორმალური ფუნქციების მინიჭებით და, მეორე მხრივ, საპარლამენტო უმრავლესობისა და პრეზიდენტის ურთიერთობებით. მართალია, ჩვენი კვლევის მიზანი არ ყოფილა პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის ურთიერთობებზე პოლიტიკური პროცესების გავლენის შეფასება, მაგრამ დასკვნის სახით მოკლედ უნდა აღვნიშნოთ ამ ფაქტორის შესახებაც. კონსტიტუციების თანახმად, პრეზიდენტი ითავსებს პარტიულ თანამდებობას, არის პოლიტიკური გაერთიანების ლიდერი, რაც მას საშუალებას აძლევს, საპარლამენტო არჩევნების შედეგად მისი პარტიის მიერ დეპუტატთა მანდატების უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, პარლამენტის ფაქტობრივი თავმჯდომარე გახდეს. ამიტომაც ასეთ შემთხვევაში ირღვევა ყოველგვარი ბალანსი პრეზიდენტსა და საკანონმდებლო ორგანოს შორის, რადგან ხშირად პარლამენტი ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოდან პრეზიდენტის პოლიტიკურ სათათბიროდ იქცევა. ეს ფაქტორი კიდევ უფრო აძლიერებს პრეზიდენტის ფორმალურ უფლებამოსილებებს, ხოლო პარლამენტისას პირიქით, ასუსტებს. დემოკრატიის განვითარება, რომელიც საბჭოთა სისტემის რღვევის შემდეგ პოსტკომუნისტური აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთისათვის უმთავრესი ამოცანაა, სათანადო უფლებამოსილებებით აღჭურვილი ხელისუფლების შტოების დამაბალანსებელი წარმომადგენლობითი ორგანოს ჩამოყალიბებას მოითხოვს. ამიტომაც პარლამენტის გაძლიერებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია თანამდებობაზე არჩევის შემდეგ პრეზიდენტისათვის პარტიული თანამდებობის დაკავების აკრძალვა და

ფორმალური საკანონმდებლო ფუნქციების შექვეცა.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში ისევე, როგორც ახალი დემოკრატიის სხვა ქვეყნებში, პრეზიდენტის ინსტიტუტისა და საკანონმდებლო ორგანოს ურთიერთობების პრაქტიკასთან დაკავშირებით უნდა გავიზიაროთ მეცნიერთა დასკვნები, რომლებიც მიუთითებენ, რომ: „თუ კონსტიტუციის შემქმნელებს სურთ მიიღონ ნახევრა-

დასაპრეზიდენტო სისტემა, ან თუ მათ პოლიტიკურად არა აქვთ არავითარი არჩევანი ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემის მიღების გარდა, მათ ნათლად უნდა ვურჩიოთ: თუ ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემის არჩევანის წინაშე დგახართ, მაშინ შეარჩიეთ ისეთი ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემა, სადაც პრეზიდენტს ძალიან ცოტა უფლებამოსილებები აქვს“.⁷⁵

ცხრილი №1

საკანონმდებლო ხელისუფლების კომპეტენციების შეფასების სტივენ ფიშის მიერ შემუშავებული ინდექსი

1. საკანონმდებლო ორგანოს დამოუკიდებლად, სხვა რომელიმე სუბიექტის მონაწილეობის გარეშე, შეუძლია, იმპიჩმენტი მოუწყოს პრეზიდენტს ან გადააყენოს პრემიერ-მინისტრი;
2. მინისტრები იმავდროულად შეიძლება იყვნენ პარლამენტის წევრები;
3. პარლამენტს უფლება აქვს, გამოიძახოს და მოუსმინოს აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირებს, როგორც პარლამენტის სხდომებზე, ისე მის მუდმივ კომიტეტებში;
4. პარლამენტს შეუძლია ჩაატაროს დამოუკიდებელი გამოძიება აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირების მიმართ;
5. პარლამენტს აქვს ძალოვან სტრუქტურებზე (შეიარაღებული ძალები, სამართალდამცავი ორგანოები, დაზვერვის სამსახურები, საიდუმლო პოლიცია და სხვა) კონტროლის ეფექტური საშუალება;
6. პარლამენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს;
7. აუცილებელია საკანონმდებლო ორგანოს მიერ თითოეული მინისტრის დანიშვნის დამტკიცება ან მინისტრებს ნიშნავს თვით პარლამენტი;
8. ქვეყანაში საერთოდ არ არის პრეზიდენტის თანამდებობა ან პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი;
9. პარლამენტს შეუძლია არ დაუმტკიცოს არცერთი საკითხი მთავრობას მისი დათხოვნის მუქარის გარეშე;
10. პარლამენტს აქვს იმუნიტეტი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დათხოვნისგან;
11. აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერი ინიციატივა საკანონმდებლო სფეროში საჭიროებს პარლამენტის დამტკიცებას, ანუ სუსტია ე.წ. დეკრეტული ძალაუფლება;
12. პარლამენტის საკანონმდებლო ინიციატივების მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ვეტოს უფლება. ვეტოს უფლება არა აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ან ვეტოს დაძლევა შესაძლებელია უბრალო უმრავლესობით;
13. პარლამენტის კანონები უზენაესია და არ ექვემდებარება სასამართლო განხილვას;
14. პარლამენტს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება პოლიტიკის ნებისმიერ სფეროში. აღმასრულებელ ხელისუფლებას არა აქვს ერთადერთი ძალაუფლება ამ სფეროში;
15. ბიუჯეტის ხარჯვა პარლამენტის კონტროლს ექვემდებარება და აღმასრულებელი ხელისუფლება არ არის უფლებამოსილი, შეამციროს ბიუჯეტი, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა;
16. პარლამენტი თავად განკარგავს თავისი შიდა ორგანიზაციისა და თანამდებობრივი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსურ სახსრებს;
17. პარლამენტის წევრებს აქვთ იმუნიტეტი დაკავებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისაგან;
18. პარლამენტის ყველა წევრი არჩეულია. აღმასრულებელ ხელისუფლებას აქვს პარლამენტის ზოგიერთი წევრის დანიშვნის უფლება;
19. პარლამენტს დამოუკიდებლად, სხვა რომელიმე სუბიექტის მონაწილეობის გარეშე, შეუძლია შეცვალოს კონსტიტუცია;
20. ომის გამოცხადებისათვის აუცილებელია პარლამენტის თანხმობა;
21. აუცილებელია პარლამენტის თანხმობა უცხო ქვეყნებთან ხელშეკრულებების დადებაზე;
22. პარლამენტს აქვს ამნისტიის გამოცხადების უფლება;

23. პარლამენტს აქვს შეწყობის უფლება;
24. საკანონმდებლო ორგანოს აქვს სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბებისათვის დანიშვნების უარყოფის უფლება, ან თავად ნიშნავს სასამართლო ხელისუფლების წევრებს;
25. ცენტრალური ბანკის თავმჯდომარე ინიშნება პარლამენტის მიერ;
26. პარლამენტს ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა სახელმწიფო ტელევიზიის მართვაში;
27. საკანონმდებლო ორგანო რეგულარულად სესიებზე იმყოფება;
28. თითოეულ პარლამენტის წევრს აქვს საკუთარი სამდივნო;
29. თითოეულ პარლამენტის წევრს ჰყავს, სამდივნოს თანამშრომლის გარდა, თანამშრომელი პოლიტიკის ექსპერტიზის სფეროში;
30. პარლამენტის წევრებს უფლება აქვთ, ხელახლა აირჩიონ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე;
31. ადგილები პარლამენტში საკმაოდ მიმზიდველი პოზიციაა, რითაც პარლამენტის წევრები დიდად ინტერესდებიან და ცდილობენ, ხელახლა იქნენ არჩეულნი;
32. ჩვეულებრივ, დამახასიათებელია სათანადო გამოცდილების მქონე პარლამენტის წევრების ხელახლა არჩევა და პარლამენტში არის დიდი გამოცდილების მქონე ბევრი პარლამენტარი.

წყარო: M. Steven Fish, *Stronger Legislatures, Stronger Democracies*, *Journal of Democracy*, Volume 17, Number 1 January 2006, 7.

ცხრილი № 2

**პარლამენტების ძალაუფლების ინდექსი
სტივენ ფიშისა და მათეუს კონის მიხედვით**

№	ყოფილი საბჭოთა ქვეყნები	ინდექსი
1	ლატვიის პარლამენტი	0.78
2	ლიტვის პარლამენტი	0.78
3	ესტონეთის პარლამენტი	0.75
4	მოლდოვის პარლამენტი	0.75
5	საქართველოს პარლამენტი	0.59
6	უკრაინის უმაღლესი საბჭო	0.59
7	სომხეთის ეროვნული კრება	0.56
8	რუსეთის ფედერალური სათათბირო	0.44
9	აზერბაიჯანის პარლამენტი	0.44
10	ტაჯიკეთის უმაღლესი საბჭო	0.31
11	უზბეკეთის უმაღლესი საბჭო	0.28
12	ბელორუსის ეროვნული კრება	0.25
13	თურქმენეთის სახალხო საბჭო	0.06
	ევროპის ქვეყნების პარლამენტები	
1	გერმანიის პარლამენტი	0.84
2	ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტი	0.81
3	მაკედონიის რესპუბლიკის პარლამენტი	0.81
4	ხორვატიის პარლამენტი	0.78
5	ბულგარეთის ეროვნული კრება	0.78
6	პოლონეთის პარლამენტი	0.75
7	სლოვენის პარლამენტი	0.75
8	რუმინეთის პარლამენტი	0.72
9	ფინეთის პარლამენტი	0.72
10	სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული საბჭო	0.72
11	სერბიის ეროვნული კრება	0.69
12	ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საპარლამენტო ასამბლეა	0.63
13	საფრანგეთის პარლამენტი	0.56

წყარო: M. Steven Fish and Matthew Kroenig, *The Handbook of National Legislatures: A Global Survey* (New York: Cambridge University Press, 2009)

- * ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი. m.nakashidze@bsu.edu.ge
- 1 Freedom in the World 2010: Table of Independent Countries, the document is available on the Website: [<http://www.freedomhouse.org>].
 - 2 Freedom House-ს შეფასების სისტემის მიხედვით, ქვეყნების დემოკრატიულობის ქულების ათვლა 1-იდან იწყება, ხოლო ყველაზე არათავისუფალი ქვეყნის შეფასება 7-ს უდრის.
 - 3 Freedom in the World 2010: Table of Independent Countries, მითითებული წყარო, გვ. 23-24.
 - 4 მაგალითად, საქართველოში დღეისათვის აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა მმართველობის მოქმედი მოდელის შეცვლის აუცილებლობის შესახებ: პოლიტიკური ჯგუფების ნაწილი საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკად ჩამოყალიბებას ითხოვს, ასევე ნაწილი საპრეზიდენტო ან შერეულ მმართველობას ემხრობა. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ 2008 წელს არა მხოლოდ პოლიტიკურ წრეებში, არამედ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილშიც საქართველოს კონსტიტუციურ მონარქიად ჩამოყალიბების მოთხოვნა გაჩნდა. 2010 წლის 11 მაისს კი საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ მიიღო კონსტიტუციური ცვლილებების საბაზისო ვარიანტი, რომელიც მმართველობის ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემის ელემენტებს ითვალისწინებს. ასევე აღსანიშნავია, რომ 2009 წლის 18 მარტს აზერბაიჯანში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელზეც დამტკიცდა 40-ამდე კონსტიტუციური შესწორება, მათ შორის კონსტიტუციის 101-ე მუხლის მე-5 პუნქტის ახალი რედაქცია, რომლითაც გაუქმდა პრეზიდენტის ორზე მეტი ვადით არჩევის აკრძალვა.
 - 5 M. Steven Fish, Stronger Legislatures, Stronger Democracies, Journal of Democracy, Volume 17, 1, January, 2006, p. 7;
 - 6 M. Steven Fish, მითითებული წყარო, გვ. 13.
 - 7 Nations in Transit, Country Reports – Armenia, Georgia, Azerbaijan, Freedom House, 2008., the documents are available on the Website: [<http://www.freedomhouse.org>].
 - 8 M. Steven Fish, მითითებული წყარო, გვ. 10.
 - 9 იქვე, გვ. 12.
 - 10 Jung-Hsiang Tsai, Sub-types of Semi-presidentialism and Political Deadlock, French Politics, 2008, 6, p. 68.
 - 11 აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი II, პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ., 2008, გვ. 234.
 - 12 სომხეთის კონსტიტუცია, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I, პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, თბ., 2008, გვ. 463-478.
 - 13 საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2008, გვ. 24.
 - 14 საქართველოს პარლამენტის რეგონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ერთობლივი სხდომის ოქმი 75, 2007 წლის 4 აპრილი, ოქმი 77, 2007 წლის 11 აპრილი. ოქმები ხელმისაწვდომია ინტერნეტგვერდზე: [<http://www.parliament.ge>].
 - 15 საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომის ოქმი 44, 23 დეკემბერი, 2005 წელი. ოქმი ხელმისაწვდომია ინტერნეტგვერდზე: [<http://www.parliament.ge>].
 - 16 საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომის ოქმი 7, 13 მარტი, 2008 წელი, ხელმისაწვდომია ინტერნეტგვერდზე: [<http://www.parliament.ge>].
 - 17 Арутюнян Армен, Конституционно-правовой статус Президента Республики Армения, Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 1997 г., с. 310.
 - 18 საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2008, გვ. 24.
 - 19 საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, მითითებული წყარო, ნაწილი II, გვ. 235.

- ²⁰ კონსტიტუციური სამართალი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ დემეტრაშვილი, თბ., 2005, გვ. 298.
- ²¹ Сравнительное Конституционное право, Отв. ред. В. Е. Чиркин, М.: «международные отношения», 2002 г., с. 336.
- ²² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 2004 წლის 17 თებერვალი, დოკუმენტი ხელმისაწვდომია ინტერნეტ-გვერდზე: [<http://www.parliament.ge>].
- ²³ ვახტანგ ხმალაძე, ავთანდილ დემეტრაშვილი, ალექსანდრე ნალბანდოვი, ლევან რამიშვილი, დავით უსუფაშვილი, ზურაბ ჯიბლაშვილი, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება ცენტრალურ დონეზე: ბალანსი მის განმტობებათა შორის, საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები, IDEA, CIPDD, თბ., 2005, გვ. 23.
- ²⁴ იქვე, გვ. 9.
- ²⁵ Jung-Hsiang Tsai, მითითებული წყარო, გვ. 71.
- ²⁶ Shugart M.S. and Carey J.M. Presidents and Assemblies: Constitutional Design and Electoral Dynamics. – Cambridge: Cambridge University Press, 1992, p. 156.
- ²⁷ იქვე, გვ. 165.
- ²⁸ ჯონათან უითლი, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება ცენტრალურ დონეზე: ბალანსი მის განმტობებათა შორის, სახელმწიფოს კონსტიტუციური ორგანიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები (თბილისი, 18-19 მაისი) თბ., 2004, გვ. 35.
- ²⁹ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, მითითებული წყარო, ნაწილი II, გვ. 240-241.
- ³⁰ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, მითითებული წყარო, ნაწილი I, გვ. 465.
- ³¹ საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2008, გვ. 24-25.
- ³² Окуньков Л. А., В. А. Рощин, Вето Президента, научно-практическое пособие, «городец-формула права», М., 1999 г., с. 10-11.
- ³³ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, მითითებული წყარო, ნაწილი II, გვ. 240-241.
- ³⁴ Окуньков Л. А., В. А. Рощин, მითითებული წყარო, გვ. 11.
- ³⁵ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, მითითებული წყარო, ნაწილი II, გვ. 241.
- ³⁶ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, მითითებული წყარო, ნაწილი I, გვ. 472.
- ³⁷ საქართველოს კონსტიტუცია, მითითებული წყარო, გვ. 25.
- ³⁸ Арутюнян Армен, Конституционно-правовой статус Президента Республики Армения, Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 1997 г., с. 314-315;
- ³⁹ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, მითითებული წყარო, ნაწილი II, გვ. 223.
- ⁴⁰ იქვე, გვ. 223.
- ⁴¹ Бадалов Рахман, Мехти Ниязи, Политические институты Азербайджана: Дихотомия текста и реальности, с. 12, данная работа доступна на веб-сайте: [<http://www.idea.int>].
- ⁴² მონაცემები მოყვანილია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტიდან მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით.
- ⁴³ მონაცემები მოყვანილია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტიდან მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით.
- ⁴⁴ O'Donnell, Guillermo, Delegative Democracy, Journal of Democracy, 1994, 5 (1), p. 55-69.
- ⁴⁵ Cindy Skach, Constitutional Origins of Dictatorship and Democracy, Constitutional Political Economy, Volume 16, №4 (December 2005), p. 5. George Tsebelis, Tatiana P. Rizova, Presidential Conditional Agenda Setting in the Former Communist Countries, Comparative Political Studies, Volume 40, №10, October 2007, p. 1164.
- ⁴⁶ Лучин В.О., Мазуров А.В. Указы Президента РФ: основные социальные и правовые характеристики, М.: ЮНИТИ-ДАНА, Закон и право, 2000., с. 58-59, 62-63, 65-67.

- ⁴⁷ Хабриева Т.Я., Чиркин В.Е. Теория современной конституции. М.: Норма, 2005, с. 282-283.
- ⁴⁸ Сахаров Н.А. Институт президентства в современном мире. М. : Юрид. лит. 1994, с. 118.
- ⁴⁹ ანდრაშ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, IRIS - საქართველო, თბ., 2003, გვ. 205.
- ⁵⁰ ანდრაშ შაიო, მითითებული წყარო, გვ. 198.
- ⁵¹ ვახტანგ ხმაღაძე, ავთანდილ დემეტრაშვილი, ალექსანდრე ნალბანდოვი, ლევან რამიშვილი, დავით უსუფაშვილი, ზურაბ ჯიბლაშვილი, მითითებული წყარო, გვ. 22-23.
- ⁵² საქართველოს კონსტიტუცია, მითითებული წყარო, გვ. 28.
- ⁵³ იხ. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1996 წლის 19 ნოემბერი.
- ⁵⁴ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, მითითებული წყარო, ნაწილი I, გვ. 468.
- ⁵⁵ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, მითითებული წყარო, ნაწილი II, გვ. 240.
- ⁵⁶ იქვე, გვ. 241.
- ⁵⁷ იქვე, გვ. 242.
- ⁵⁸ საქართველოს კონსტიტუცია, მითითებული წყარო, გვ. 31.
- ⁵⁹ საზღვარგარეთი ქვეყნების კონსტიტუციები, მითითებული წყარო, ნაწილი I, გვ. 479.
- ⁶⁰ საქართველოს კონსტიტუცია, მითითებული წყარო, გვ. 29.
- ⁶¹ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, მითითებული წყარო, ნაწილი II, გვ. 239.
- ⁶² ანდრაშ შაიო, მითითებული წყარო, გვ. 196.
- ⁶³ გამონაკლისია საქართველოში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტები.
- ⁶⁴ იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 6 თებერვლის 42 ბრძანებულება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური შემოსავლების გამოყენების დროებითი წესის შესახებ.“
- ⁶⁵ იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 2 თებერვლის 85 ბრძანებულება „შავი და ფერადი ლითონების ჯართის, შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ.“
- ⁶⁶ Указ Президента Азербайджанской Республики «о повышении социальных пособий», 27 августа 2008 года, данная работа доступна на веб-сайте: [<http://www.president.az>].
- ⁶⁷ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, მითითებული წყარო, ნაწილი II, გვ. 581.
- ⁶⁸ Cindy Skach, The „newest“ separation of powers: Semi-presidentialism, I•CON, Volume 5, № 1, 2007, p. 98.
- ⁶⁹ Cindy Skach, The „newest“ separation of powers: Semi-presidentialism, p. 99.
- ⁷⁰ Matthew Soberg Shugart, „Politicians, Parties, and Presidents: An Exploration of Post-Authoritarian Institutional Design“, In: Liberalization and Leninist Legacies: Comparative Perspectives on Democratic Transitions, edited by Beverly Crawford and Arend Lijphart. University of California Press/University of California International and Area Studies Digital Collection, Edited Volume 96, 1997, p. 62, is available on the Website: [<http://repositories.cdlib.org>].
- ⁷¹ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, მითითებული წყარო, ნაწილი II, გვ. 239.
- ⁷² იქვე, გვ. 243.
- ⁷³ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, მითითებული წყარო, ნაწილი I, გვ. 480.
- ⁷⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მითითებული წყარო, გვ. 40.
- ⁷⁵ Robert Elgie and McMennamin, Iain, Semi-presidentialism and democratic performance, Japanese Journal of Political Science, 2008, 9 (3). p. 22.

SOME LEGISLATIVE POWERS OF THE PRESIDENT IN SOUTH CAUCASUS COUNTRIES

(Armenia, Azerbaijan, Georgia)

INTRODUCTION

According to the evaluation of various experts and international organizations, democracy in all three contemporary countries in the South Caucasus region (Armenia, Azerbaijan, and Georgia) has serious problems. In the Freedom House assessment 2009, Armenia (with Political Rights degree 6, Civil Liberty degree 4) and Georgia (PR–4, CL–4) are estimated as partly free states, and Azerbaijan (PR–6, CL–5) belongs to the not-free status counties.¹ Concurrently, the rating for the European democratic countries France and Germany is 1 (the most free) both for political rights and civil liberties.² Within the post-Soviet area, the most free and democratic state is considered Lithuania, which also has a rating of 1 for both political rights and civil liberties³. This comparison indicates a low level of democracy in South Caucasus counties. These conclusions together are based on surveys by democratic institutions. The low rating of democracy in South Caucasus countries reflects mainly the functioning of state government branches.

Interrelation of government institutions and the government systems is one of the most tangible issues in each of the so-called new democratic states in the post-Soviet space. As in the entire post-Soviet area, democracy in the countries of the South Caucasus region, is directly related to the functioning of government bodies. In these countries, criticism regarding the increasing power of the president, in comparison with the other institutions, becomes more evident. To the author's opinion, such criticism is not unfounded. Only the bal-

anced and constitutionally organized authority is empowered to develop democracy. The significance of the given research is large, as it aims to evaluate the authority of the parliament and the president. The work is of importance not only from a theoretical point of view, but also because of its practical importance, as in these countries the issue of changing the government system is continually discussed⁴.

The aim of the research conducted is to emphasize the fundamental aspects of the functioning of two institutions: the president and the parliament of South Caucasian countries (Armenia, Azerbaijan, and Georgia) and their correlation in the legislative sphere. More precisely, the purpose of the work is to define: the competence of the parliament and its real role in South Caucasus countries; the Constitutional status of the president; the legislative power of the president which influences and restricts the legislative authority of the parliament; conditions that must be considered for balanced relations between the parliament and the president.

For this goal we must to consider the president's legislative authority including the right to legislative initiative, the right of veto, the right to issue decrees with the force of law and competences of the president in the budget-adoption process.

1. THE AUTHORITY OF THE PARLIAMENT

In the post-Soviet area, there are still considerable attempts to strengthen the presidential institute, which ultimately will change the traditional system of separation of powers.

Though, at the same time, there appear new mechanisms for mutual control and cooperation between the government branches. In all three countries, election of the president by direct vote and significant legislative authorities certainly gives an equal degree of legitimacy to the president and the parliament. This is why the head of the state tends to feel equal in status to the parliament which often causes grading of the functions of the parliament. In parallel to the strong power presidents in South Caucasus counties, the parliament is weak, but the reason for this, as is frequently noticed in these countries, is not just the formal authority of the parliament. Weakness of the parliament is also the result of granting the president solid formal functions in the legislative sphere. What does solid formal functions of the president mean? To elucidate, we must first determine the weaknesses of the parliament.

Various methods are used in scientific literature to estimate the true role of a legislative authority. Among them is an evaluation form proposed by Professor Steven Fish of the University of California, a method that spread widely in scientific literature. Fish created the Parliamentary Power Index, which is based on 32 items (table 1) and predicts the parliamentary control of the president and the bureaucracy, the freedom of parliament from presidential control, and the high authority of the parliament in specific spheres.⁵

Following Fish's simple formula, parliamentary powers can be estimated. All 32 questions given in the table must be answered with "yes" or "no". and the total number of positive answers is divided by the number of the questions. The resulting number is the parliamentary powers assessment index. Fish stated that weak legislative bodies hinder democratization by means of hampering the development of political parties. With a weak parliament, political parties cannot develop, and political parties represent the major mechanisms of development of political competition and uniting the people and the elected figures.⁶ Fish and Kroenig give the latest assessment of parliamentary powers (2009) in table 2, which represents the assessment of parliaments of former Soviet republics, of former Socialist groups, and of the developed states. For the

purposes of the current paper, the focus is on the assessment of parliaments of the former Soviet republics and that of a former Socialist group (camp), as well as on the developed democratic countries for comparison.

The serious concentration of legislative powers in the hands of the president is supported by the right to issue decrees having the force of laws. As a rule, the right to issue decrees having the force of law is given to the presidents during a state of emergency or martial law, and only because in such a specific situation the legislative body has less possibility to exercise its legislative authority. Even in such cases, presidential acts require the approval of parliament. In parallel to such practice in post-Soviet countries, including the South Caucasus states, such norms or practices have been established as undertaking legislative function by the president.

The right of the president to issue decrees having the force of law on tax and budgetary issues in case of the dissolution of the parliament, and the approval of the budget contradicts the principle of separation of powers and increases presidential power. The constitution of Armenia does not directly determine such a

right. Especially troubling are those norms in the Constitution of Azerbaijan, which empower the president with the right to make decisions on any issues that are beyond the competence of the parliament and the Government of the Azerbaijan Republic. Considering the Constitution of Azerbaijan lists the government competences in just a few points, and the parliament shall exercise 90% of its authorities under the president's submission, the legislative authorities of the president are unlimited. We think, it is necessary to reduce the right of the president in Georgia and Armenia, to issue decrees having the force of law, as the president shall have this right only in the state of emergency or martial law and under consent of the parliament.

In the South Caucasus states, the parliaments are not free in the fulfillment even of such traditional and natural parliamentary authorities as the adoption of the state budget. If we see that the scholars regard these countries as semi-presidential systems, it should be said that in such a ruling system, the adoption of the budget is a prerogative of the government and parliament. The president's authority is only to sign the law, or it might be expressed in using the right to veto. Presidents of the South Caucasus republics possess these rights anyway, but there is also the president's authority to submit a draft budget to the parliament in Azerbaijan. In Georgia, the draft budget could be submitted by the government, but under consent of the president. An exception to this rule is Armenia, where a draft of the budget is submitted to the parliament by the government. This means that presidents in Georgia and Azerbaijan have significant mechanisms to influence other governmental institutions from the financial point of view, which makes these institutions highly dependent on the president. In our opinion, it is necessary that presidents in Georgia and Azerbaijan be removed from the budget drafting-submission process, and this right be rendered to the government. The right of the president in Azerbaijan to submit the budget should be cancelled, and in Georgia, the president's right to give consent to the government to submit the budget should be cancelled. Drafting of the budget should be an exclusive function of the government. If a

president wants to control the budget process, he already has a certain balancing mechanism—to veto the law on budget, similar to other legislative acts.

The research has shown that transpose to the strong power of presidents in South Caucasus counties, the parliament is weak, but the reason for it, as is frequently noticed in these countries, is not just the formal authorities of the parliament. On the one hand, the weakness of the parliament is caused by granting the president the above-mentioned formal functions in the legislative sphere, and, on the other hand, by the relation of the parliamentary majority and the president. Though the goal of our research was not the evaluation of the influence of political processes on the relations between the president and parliament, in conclusion we should mention this factor as well. According to the constitutions, a president can also hold a party position. He is a political union leader, which enables him to become a chairman of the parliament if his party delegates win the majority of mandates in parliamentary elections. On such an occasion any balance between the president and the legislative body is often violated, as the parliament often turns from an independent government branch into a political council of the president. This circumstance strengthens the formal authority of the president, and, on the contrary, weakens that of the parliament. Development of democracy, which became a major goal for post-Soviet Armenia, Azerbaijan, and Georgia following to the dissolution of the Soviet system, requires the establishment of a properly empowered representative body that would balance the government branches. For this reason, we believe it is advisable that to strengthen the parliament, the right of the president to hold a party position should be restricted, and his formal legislative functions should be reduced.

in regard to the existing relations of the president's institute and the legislative body, in the South Caucasus states as well as in new democratic countries, we should share the conclusions of scholars, which anticipate that "if the authors of the constitutions desire to receive a semi-presidential system or if they have not political choice besides adoption of

the semi-presidential system, then an advise to them would be evident – if you intend to elect a semi-presidential system, you should

choose the semi-presidential system where the president has very few authorities”.⁷⁵

table 1

The Fish-Kroenig Legislative Powers Survey

1. The legislature alone, without the involvement of any other agencies, can impeach the president or replace the prime minister.
2. Ministers may serve simultaneously as members of the legislature.
3. The legislature has powers of summons over executive branch officials and hearings with executive branch officials testifying before the legislature or its committees are regularly held.
4. The legislature can conduct independent investigations of the chief executive and the agencies of the executive.
5. The legislature has effective powers of oversight over the agencies of coercion (the military, organs of law enforcement, intelligence services, and the secret police).
6. The legislature appoints the prime minister.
7. The legislature’s approval is required to confirm the appointment of individual ministers; or the legislature itself appoints ministers.
8. The country lacks a presidency entirely; or there is a presidency, but the president is elected by the legislature.
9. The legislature can vote no confidence in the government without jeopardizing its own term (that is, without, the threat of dissolution).
10. The legislature is immune from dissolution by the executive.
11. Any executive initiative on legislation requires ratification or approval by the legislature before it takes effect; that is, the executive lacks decree power.
12. Laws passed by the legislature are veto-proof or essentially veto-proof; that is, the executive lacks veto power, or has veto power but the veto can be overridden by a simple majority in the legislature.
13. The legislature’s laws are supreme and not subject to judicial review.
14. The legislature has the right to initiate bills in all policy jurisdictions; the executive lacks gatekeeping authority.
15. Expenditure of funds appropriated by the legislature is mandatory; the executive lacks the power to impound funds appropriated by the legislature.
16. The legislature controls the resources that finance its own internal operation and provide for the perquisites of its own members.
17. Members of the legislature are immune from arrest and/or criminal prosecution.
18. All members of the legislature are elected; the executive lacks the power to appoint any members of the legislature.
19. The legislature alone, without the involvement of any other agencies, can change the constitution.
20. The legislature’s approval is necessary for the declaration of war.
21. The legislature’s approval is necessary to ratify treaties with foreign countries.
22. The legislature has the power to grant amnesty.
23. The legislature has the power of pardon.
24. The legislature reviews and has the right to reject appointments to the judiciary; or the legislature itself appoints members of the judiciary.
25. The chairman of the central bank is appointed by the legislature.

26. The legislature has a substantial voice in the operation of the state-owned media.
27. The legislature is regularly in session.
28. Each legislator has a personal secretary.
29. Each legislator has at least one nonsecretarial staff member with policy expertise.
30. Legislators are eligible for reelection without any restriction.
31. A seat in the legislature is an attractive enough position that legislators are generally interested in and seek reelection.
32. The reelection of incumbent legislators is common enough that at any given time the legislature contains a significant number of highly experienced members.

* M. Steven Fish, "Stronger Legislatures, Stronger Democracies", *Journal of Democracy*, Vol. 17, January 1, 2006.

table 2

**Parliamentary Powers Index Scores by Country, in Alphabetical Order
by M. Steven Fish and Matthew Kroenig**

N	Country	PPI
	Post-soviet Countries	
1	Parliament of Latvia	0.78
2	Parliament of Lithuania	0.78
3	Parliament of Estonia	0.75
4	Parliament of Moldova	0.75
5	Parliament of Georgia	0.59
6	Supreme Council of Ukraine	0.59
7	Armenian National Assembly	0.56
8	Federal Assembly of the Russian Federation	0.44
9	Parliament of Azerbaijan	0.44
10	Supreme Assembly of Tajikistan	0.31
11	Supreme Assembly of Uzbekistan	0.28
12	National Assembly of Belarus	0.25
13	People's Council of Turkmenistan	0.06
	The European Countries	
1	Parliament of the Federal Republic of Germany	0.84
2	Parliament of the Czech Republic	0.81
3	Assembly of the Republic of Macedonia	0.81
4	Parliament of Croatia	0.78
5	National Assembly of Bulgaria	0.78
6	Parliament of Poland	0.75
7	Parliament of Slovenia	0.75
8	Parliament of Romania	0.72
9	Parliament of Finland	0.72
10	National Council of the Slovak Republic	0.72
11	National Assembly of Serbia	0.69
12	Parliamentary Assembly of Bosnia and Herzegovina	0.63
13	Parliament of France	0.56

* M. Steven Fish and Matthew Kroenig, *The Handbook of National Legislatures: A Global Survey* (New York: Cambridge University Press, 2009)

-
- * Doctor's degree at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Email: mnakashidze@mail.ru
- 1 Freedom in the World 2010: Table of Independent Countries. <http://www.freedomhouse.org>.
 - 2 According to the Freedom House assessment system, rating of country democracy starts from level 1 and the least-free rating is 7.
 - 3 Freedom in the World 2010: Table of Independent Countries, the mentioned source, p.23-24.
 - 4 An Example - Presently in Georgia, the need to change the acting model of governance is actively discussed. Some political groups insist on the establishment of the Parliamentary Republic in Georgia, and others support the presidential or mixed form of government. More interesting is the fact that in 2008, not only political circles, but also an important members of society demanded the formation of a Constitutional Monarchy. **On May 11, 2010, the State Constitutional Commission of Georgia adopted a set of recommendations for constitutional amendments, which contains elements of semi-presidential system.** It should be also mentioned that in Azerbaijan on March 18, 2009 there a Referendum was held after which the 40th Constitutional amendment was ratified, and a new version of article 101, paragraph 5 of the Constitution was drafted, which abolished the prohibition of electing a president for more than two terms.
 - 5 M. Steven Fish, "Stronger Legislatures, Stronger Democracies", *Journal of Democracy*, Vol. 17, 1, (January) 2006, p. 7.
 - 6 Ibid, p. 13.
 - 7 Nations in Transit, Country Reports – Armenia, Georgia, Azerbaijan, Freedom House, 2008. <http://www.freedomhouse.org>.
 - 8 M. Steven Fish, *Stronger Legislatures, Stronger Democracies*, (publisher, 2006), p. 10.
 - 9 Ibid., p. 12.
 - 10 Jung-Hsiang Tsai, Sub-types of Semi-presidentialism and Political Deadlock, *French Politics*, 2008, Vol. 6, p. 68.
 - 11 The Constitution of the Republic Armenia, Constitutions of the Foreign Countries, part I, resp. Editor Vasil Gonashvili, Tbilisi, 2008, p. 234.
 - 12 The Constitution of Azerbaijani Republic, Constitutions of the Foreign Countries, part II, resp. Editor Vasil Gonashvili, Tbilisi, 2008, pp. 463-478.
 - 13 The Constitution of Georgia, Tbilisi, 2008, p. 24.
 - 14 Joint protocols N75, April 4 2007, N77 of April 11, 2007 of the Plenary Sitting of the Regional Policy, Self-government and Mountainous Regions Committee and the Legal Issues Committee of the Parliament of Georgia. <http://www.parliament.ge>.
 - 15 Protocol N44 of the Sector Economy and Economic Policy Committee sitting, December 23, 2005. <http://www.parliament.ge>.
 - 16 Protocol N7 of the Budget and Finance Committee sitting, March 13 2008. <http://www.parliament.ge>.
 - 17 Arutynian Armen, The Constitutional-Legal Status of the President of the Republic Armenia. Thesis for a Doctor's degree, Moscow, 1997, 3-370, p. 310.
 - 18 The Constitution of Georgia, p. 24.
 - 19 Constitutions of the Foreign Countries, part II, p. 235.
 - 20 Constitutional Law, Manual, Group of authors, Chief Editor Avtandil Demetrashvili, Inovatsia (Innovation), Tbilisi, 2005, p. 298.
 - 21 The Comparative Constitutional Law, Resp. Editor V.E.Chirkin, M., *International Relations*, 2002, p. 336.
 - 22 Regulations of the Parliament of Georgia, February 17, 2004. <http://www.parliament.ge>.
 - 23 Vakhtang Khmaladze, Avtandil Demetrashvili, Alexander Nalbandov, Levan Ramishvili, Davit Usupashvili, Zurab Jibgashvili, Government of Georgia on the Central

- Level: The Balance between its Branches; The Process of the Constitutional-Political Reform in Georgia: Political Elite and Voice of People, IDEA, CIPDD, Tbilisi, 2005, p. 23.
- ²⁴ Ibid, p. 9.
- ²⁵ Jung-Hsiang Tsai, *Sub-types of Semi-presidentialism and Political Deadlock*, (Publisher, year) p. 71.
- ²⁶ Shugart M.S. and Carey J.M. *Presidents and Assemblies: Constitutional Design and Electoral Dynamics* (Cambridge: Cambridge University Press, 1992), p. 156.
- ²⁷ Ibid, p. 165.
- ²⁸ Jonathan Wheatley, Government of Georgia at the Central Level: The Balance among its Branches Materials of the International Scientific-Practical Conference (Tbilisi, May18-19), "Meridian", Tbilisi, 2004, p. 35.
- ²⁹ Constitutions of the Foreign Countries, part II, p. 240-241.
- ³⁰ Constitutions of the Foreign Countries, part I, p. 465.
- ³¹ The Constitution of Georgia, p. 24-25.
- ³² Okunkov L.A. Roshchin V.A. Veto of the President, scientific-practical manual, Gorodets. *Formula of Law, M.* 1999, pp. 10-11.
- ³³ Constitutions of the Foreign Countries, part II, p. 240-241.
- ³⁴ Okunkov L.A. Roshchin V.A. *Veto of the President*, scientific-practical manual, p. 11.
- ³⁵ Constitutions of the Foreign Countries, part II, p. 241.
- ³⁶ Ibid., part I, p. 472.
- ³⁷ The Constitution of Georgia, p. 25.
- ³⁸ Arutynian Armen, The Constitutional-Legal Status of the President of the Republic Armenia. Thesis for a Doctor's degree, Moscow, 1997, p. 314-315.
- ³⁹ Constitutions of the Foreign Countries, part II, p. 223.
- ⁴⁰ Ibidl., part II, p. 223.
- ⁴¹ Badalov Rahman, Mehdi Niyazi, *The Political Institutions of Azerbaijan: A Dichotomy between Text and Reality*, <http://www.idea.int>.{cannot open link}
- ⁴² References are made from the official documentation obtained from the Legal Issues Committee of the Parliament of Georgia.
- ⁴³ References are made from the official documentation obtained from the Legal Issues Committee of the Parliament of Georgia.
- ⁴⁴ O'Donnell, Guillermo, Delegative Democracy, *Journal of Democracy*, 1994, Vol. 5 (1), pp. 55-69
- ⁴⁵ Cindy Skach, "Constitutional Origins of Dictatorship and Democracy", *Constitutional Political Economy*, Volume 16, Vol. 4 (December 2005), p. 5.; George Tsebelis, Tatiana P. Rizova, "Presidential Conditional Agenda Setting in the Former Communist Countries", *Comparative Political Studies*, Vol. 40, 10, October 2007, p. 1164.
- ⁴⁶ Luchin V.O. Mazurov A.V. *Decrees of the President of RF: Basic Social and Legal Characteristics*, M. UNITI-DANA, Law and Right, 2000, pp. 58-59, 62-63, 65-67.
- ⁴⁷ Khabrieva T.Y. Chirkin V.E. *Theory of the Modern Constitution*, M. Norma (Norm), 2005, pp. 282-283.
- ⁴⁸ Sakharov N.A. "Presidential Institution in Contemporary World", *M. Law Literature*, 1994, p. 118.
- ⁴⁹ Andras Sajio, *Limiting Government, An Introduction to Constitutionalism*, Tbilisi, 2003, p. 205.
- ⁵⁰ Andras Sajio, *Limiting Government, An Introduction to Constitutionalism*, (Budapest: Central European University Press, 1999) p. 198.
- ⁵¹ Vakhtang Khmaladze, Avtandil Demetrashvili, Alexander Nalbandov, Levan Ramishvili, Davit Usupashvili, Zurab Jibgashvili, *Government of Georgia on the Central Level: The Balance between its Branches; The Process of the Constitutional-Political Reform in Georgia*, (Publisher, year) pp. 22-23.
- ⁵² The Constitution of Georgia, p. 28.
- ⁵³ Law of Georgia, "On Normative Acts", Official gazette of the Parliament of Georgia "Utskebani", November 19, 1996.

- ⁵⁴ Constitutions of the Foreign Countries, part I, p. 468.
- ⁵⁵ Constitutions of the Foreign Countries, part II, p. 240.
- ⁵⁶ Constitutions of the Foreign Countries, part II, p. 241.
- ⁵⁷ Ibid, p. 242.
- ⁵⁸ The Constitution of Georgia, p. 31.
- ⁵⁹ Constitutions of the Foreign Countries, part I, p. 479.
- ⁶⁰ The Constitution of Georgia, p. 29.
- ⁶¹ Constitutions of the Foreign Countries, part II, p. 239.
- ⁶² Andras Sajio, *Limiting Government, An Introduction to Constitutionalism*, (Tbilisi: Publisher), 2003, p. 196. {not Bhudapest?}
- ⁶³ The exceptions are decrees issued by the president during a state of emergency or martial law in Georgia.
- ⁶⁴ See Order of the President of Georgia „Regarding Temporary Rule on the Use of Special Incomes of the Ministry of Internal Affairs of Georgia”, Vol. 42, February 6, 2001.
- ⁶⁵ See Order of the President of Georgia “Regarding the Rule of Purchase of the Remaining of Ferrous and Nonferrous metals”, Vol. 85, February 2, 2007.
- ⁶⁶ Decree of the President of Azerbaijan Republic “Regarding Increase of Social Allowances”, August 27, 2008. <http://www.president.az>
- ⁶⁷ Constitutions of the Foreign Countries, part II, p. 581.
- ⁶⁸ Cindy Skach, The “newest” separation of powers: Semi-presidentialism, I•CON, Volume 5, 1, 2007, p. 98.
- ⁶⁹ Ibid., p. 99.
- ⁷⁰ Matthew Soberg Shugart, „Politicians, Parties, and Presidents: An Exploration of Post-Authoritarian Institutional Design“, In: *Liberalization and Leninist Legacies: Comparative Perspectives on Democratic Transitions*, edited by Beverly Crawford and Arend Lijphart. University of California Press/University of California International and Area Studies Digital Collection, Edited Volume 96, 1997, p. 62, is available on the Website: [<http://repositories.cdlib.org>].
- ⁷¹ Constitutions of the Foreign Countries, part II, p. 239.
- ⁷² Ibid., p. 243.
- ⁷³ Constitutions of the Foreign Countries, part I, p. 480.
- ⁷⁴ The Constitution of Georgia, p. 40.
- ⁷⁵ Robert Elgie and McMenamin, Iain, “Semi-Presidentialism and Democratic Performance”, *Japanese Journal of Political Science*, 2008, Vol. 9 (3). p. 22.

უცხო ქვეყნების სასამართლოებისა და საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულება საქართველოში

1. აღსრულების, აღსრულებადად გამოცხადებისა და ცნობის არსი

უცხო ქვეყნის სასამართლოებისა და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულებამ განსაკუთრებით დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში შეიძინა. ეს გამოწვეულია გლობალური პროცესებით, რომელთა შორისაცაა: სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალის ბაზრების ინტეგრაცია, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა ინტენსივობის პერმანენტული ზრდა და ა.შ., ანუ ის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენა, რომელიც ყოველი ჩვენგანისთვის გლობალიზაციის სახელით არის ცნობილი.

შესაბამისად, გაიზარდა სახელმწიფო-თაშორისი სამართლებრივი ბრუნვა და სასამართლო გადაწყვეტილებათა მიმოქცევის საერთაშორისო დონეზე რეგლამენტირებისა და ჰარმონიზების საჭიროება.

უცხო სახელმწიფოების სასამართლოების გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი რეგულირება, როგორც წესი, ხორციელდება სხვა ნორმატიული აქტების, და არა უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებების მეშვეობით, ვინაიდან ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს სხვა ქვეყნის სასამართლო ხელისუფლების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან, ხოლო მეორე შემთხვევაში, კერძო ხასიათის სასამართლოების აქტებთან. უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებით ჩვენი სახელმწიფოც მონაწილეობს ამ სფეროში ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებაში – გაეროს ნიუ-იორკის 1958 წლის კონ-

ვენციაში უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ. უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან მიმართებით კი, სამწუხაროდ, საქართველო არც ერთ მნიშვნელოვან მრავალმხრივ ხელშეკრულებაში არ მონაწილეობს. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში დადებულმა მინსკის კონვენციამ საქართველოს დღიდან გამოსვლის შედეგად დაკარგა აქტუალობა, თუმცა დიდია ალბათობა, რომ მინსკის კონვენციის მრავალი ნორმა საფუძვლად დაედოს საქართველოსა და დღეს-ში ამჟამად შემავალ სახელმწიფოებს შორის დადებულ შესაბამის ორმხრივ ხელშეკრულებებს.

უცხო ქვეყნის სასამართლოებისა და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულება *საერთაშორისო აღსრულების* სახელით ცნობილი ცნების¹ ერთ-ერთ შემადგენელი ნაწილია. საერთაშორისო აღსრულების პირველი ეტაპი არის სასამართლოს მიერ განხორციელებული „აღსასრულებლად მიქცევა“ ანუ იგივე აღსრულებადად გამოცხადება (გერმანული ტერმინის – *Vollstreckbarerklärung*-ის – მიხედვით). ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ტერმინი „აღსრულება“ არასწორად გამოიყენება სასამართლოს მოქმედებასთან დაკავშირებით. საერთაშორისო აღსრულება უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს ასევე საერთაშორისო იძულებით სააღსრულებო წარმოებას, რომელიც თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესის ცალკე ელემენტად მოიაზრება.²

1998 წლის 29 აპრილის კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ ში-

ნაარსობრივად ცალსახად მოიაზრებს უცხო ქვეყნის გადანყვეტილების აღსრულებადად გამოცხადებას, თუმცა იყენებს ტერმინ „აღსრულებას“, უცხო ქვეყნის გადანყვეტილებების იძულებით აღსრულება კი რეგულირდება 1999 წლის 16 აპრილის კანონით „სააღსრულებო ნარმოებათა შესახებ“. შესაბამისად, იძულებით აღსრულების განმახორციელებელი სუბიექტია არა სასამართლო, არამედ უფლებამოსილი სააღსრულებო ორგანო. ვინაიდან კანონში „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ შინაარსობრივად საუბარია სწორედ აღსრულებადად გამოცხადებაზე, როგორც სასამართლოს მოქმედებაზე, ურიგო არ იქნებოდა, თვით ამ ნორმატიულ აქტში შესულიყო შესაბამისი ტერმინოლოგიური ცვლილება. თუმცა ეს ნორმატიული აქტი სხვა ხარვეზებსაც შეიცავს, რის გამოც დიდი ხანია, დღის წესრიგში დგას საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ სრულიად ახალი კანონის მიღების ან მოქმედში ცვლილება-დამატებათა მნიშვნელოვანი პაკეტის შეტანის საკითხი.

დროთა ვითარებაში ევროპელი სამართალმცოდნეები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ უცხო ქვეყნის გადანყვეტილებების მარტოოდენ აღსრულებადად გამოცხადება არ იყო საკმარისი ქვეყნის შიგნით მათი იურიდიული ძალის განსაზღვრისათვის. ამის მიზეზად, პირველ რიგში, ის სახელდება, რომ უცხოური სასამართლო აქტის მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედების დაშვება არ არის მიზანშეწონილი მისი საფუძვლიანი გადამონმების გარეშე. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად აღმოცენდა აღიარების, ანუ ცნობის, ინსტიტუტი,³ რომელიც, როგორც წესი, ხორციელდება ავტომატურად, ანუ საკუთრივ ცნობის პროცედურის გარეშე, იმ მოსამართლის მიერ, რომელიც უფლებამოსილია, დავის საგანი განიხილოს. ეს ნიშნავს, რომ უცხოური სასამართლო აქტიდან გამომდინარე, ის საპროცესო შედეგები, რომლებსაც ითვალისწინებს აღსრულებადად გამოცხადების განმახორციელებელი სახელმწიფოს სამართალიც, და რომლებიც, შესაბამისად, ცნობას ექვემდებარება, *ipso iure*, პრაქტიკულად ავტომატურად ვრცელდება ამ ე.წ. „მეორად ქვეყანაზე“ (საერთაშორისო ტერმინოლოგიაზე დაყრდნობით, სახელმწიფოს, სადაც ცნობა და აღსრულება

ხორციელდება, მეორადი სახელმწიფო, ხოლო პირველადი გადანყვეტილების გამოცხადებას, პირველადი სახელმწიფო ენობება). უცხო ქვეყანაში სასამართლო და საარბიტრაჟო გადანყვეტილების აღსრულებადობის ფაქტი, ყველა სამართლის მიხედვით, არის სწორედ ისეთი საპროცესო შედეგი, რომელიც მეორად სახელმწიფოში ცნობას არ ექვემდებარება.⁵

როგორც წესი, ცნობა ხდება უცხო ქვეყნის გადანყვეტილების აღსრულებადად გამოცხადებასთან ერთად. უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების ან უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადანყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები. ცნობის ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები ჩამოთვლილია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლში და პარლამენტის მიერ 2009 წლის 19 ივნისს მიღებული „არბიტრაჟის შესახებ“ ახალი კანონის 45-ე მუხლში.⁶ ამგვარად, ცნობით ხდება უცხოური აქტის შეყვანა, დაქვემდებარება მეორე ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში.⁷

უცხოური აქტის აღსრულებადად გამოცხადება მისთვის მოქმედების უფლების მინიჭებაა, ვინაიდან დეკლარატორული ხასიათის ცნობას მოვალისთვის ნაკლებად მოაქვს უშუალო სამართლებრივი შედეგები. აღსრულებადად გამოცხადებას კი, პირიქით, ესაჭიროება საკუთარი, ე.წ. სააღსრულებო (ექსეკუტორული), პროცესი (ფრანგული ტერმინი *exequatur* აღსრულებას ნიშნავს და იგი ხშირად გამოიყენება არაფრანგულენოვან იურიდიულ ლიტერატურაშიც), რომლის უშუალო სამართლებრივი შედეგიცაა ის, რომ კრედიტორის ინტერესების დასაკმაყოფილებლად შესაძლებელი ხდება მოვალის ქონებიდან იძულებითი აღსრულების განხორციელება.

ამგვარად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილებისა და უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადანყვეტილების ცნობა, ამ აქტების მოქმედების ფარგლების გაფართოების სახით, არის ხსენებული გადანყვეტილებებისთვის მოქმედების უფლების მინიჭების უშუალო წინაპირობა,

რაც, თავის მხრივ, მათი აღსრულებადად გამოცხადებით გამოიხატება.⁸

2. აღსრულებადად გამოცხადებისა და ცნობის შესახებ საერთაშორისო გამოცდილების ზოგიერთი ასპექტი

უცხო ქვეყნის სასამართლოსა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ მოქმედებს ე.წ. „გათანაბრების თეორია“, რომლის მიხედვით, უცხოური აქტი აღქმულ უნდა იქნეს და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას. მაშასადამე, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყდეს.⁹ ეს კონცეფცია „ნოსტრიფიკაციის“ სახელით არის ცნობილი.¹⁰ იგი ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემების თანასწორუფლებიანობის პრინციპულ მოსაზრებას.¹¹

უცხოური სასამართლო აქტის მოქმედების ტერიტორიის გაფართოება არ არის უსაზღვრო.¹² მეორად ქვეყანაში მხოლოდ ის უცხოური საპროცესო შედეგები უნდა იქნეს ცნობილი, რომლებსაც იცნობს ცნობის განმაცხიცილებელი სახელმწიფოს სამართალი.¹³

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულებადად გამოცხადება შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც ქვეყნის საზღვრებს გარეთ მიღებული სასამართლო აქტის ნაციონალურ სამართალში გადმოტანის პროცესუალურ-სამართლებრივი ინსტიტუტი. შესაბამისად, მხოლოდ ცნობისა და აღსრულებადად გამოცხადების შემდეგ მყარდება სამართლებრივი კავშირი ნაციონალურ სამართალსა და უცხოურ სასამართლო აქტს შორის.¹⁴

საქართველოს კანონმდებლობა არ ანეხრისებს, თუ რა სახის უცხოური გადაწყვეტილებები შეიძლება გამოცხადდეს საქართველოში აღსრულებადად. კონტინენტურ-ევროპული სამართლის კონცეფციის მიხედვით, აღსრულებადად ცხადდება, როგორც წესი, მხოლოდ გადაწყვეტილებები, რომლებიც შინაარსობრივად მოქმედების შესრულებას შეიცავენ, მათ ასევე „მიკუთვნებითი“ გადაწყვეტილებებიც შეგვიძლია ვუწოდოთ. უცხოური სასამართლო გადაწყ-

ვეტილება აუცილებლად მის გამომტან სახელმწიფოშიც აღსრულებადი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ნიშანდობლივია, რომ მეორად სახელმწიფოში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების „აღსასრულებლად მიქცევას“ აქვს არა მტკიცებულებითი ფუნქცია, რომელიც უცხოური აღსრულებადადობის ქვეყნის შიგნით განვრცობას დაადასტურებდა, არამედ საპროცესო ცვლილების დადასტურების ფუნქცია.¹⁵ ამის გამო უცხოური გადაწყვეტილებები, რომელთაც დამადასტურებელი და პროცესუალური ცვლილებების დამამტკიცებელი ფუნქციები აქვთ, მარტივად რომ ვთქვათ, აღიარებითი სასამართლო აქტები,¹⁶ არააღსრულებადნი არიან, ვინაიდან მათ აღსრულებადი შინაარსი არ გააჩნიათ.

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს ფრანგული გამოთქმის სახით ცნობილი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვა აღსრულებადი გადაწყვეტილებებისა – *exequatur sur exequatur ne vaut*, ანუ არ ხდება უცხოური გადაწყვეტილებების აღსრულება, თუ ისინი, თავის მხრივ, სხვა სახელმწიფოს გადაწყვეტილებების აღსრულებას ეხება. ამგვარად, საერთაშორისო პრაქტიკა უარყოფს ორმაგ აღსრულებას. ამ, როგორც წესი, დაუნერეული დებულების მიზეზი ისაა, რომ ყოველმა სახელმწიფომ თავად გადაწყვიტოს, თუ რომელ უცხოურ გადაწყვეტილებებს ცნობს და ამით გამორიცხოს უცხოეთიდან რაიმე მითითებების შესრულება.¹⁷

ასეთი სახის შეზღუდვა რომ არ არსებობდეს, ბრიუსელის კონვენციის¹⁸ (რომელიც პარტნიორი ქვეყნების გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების გამარტივებულ პროცედურას ადგენს) ნევრ სახელმწიფოს შეეძლებოდა, თავისი აქტით, რომლითაც იგი სხვა სახელმწიფოს გადაწყვეტილებას ცნობს, ამავედროულად დაევალებულინა კონვენციის ყველა დანარჩენი მონაწილეც, ელიარებინათ ეს გადაწყვეტილება.¹⁹

ამიტომ, ვინაიდან ორმაგი აღსრულების შემთხვევაში უცხოური სააღსრულებო გადაწყვეტილება ადგენს მის აღსრულებადადობას მხოლოდ აქტის გამომცემი უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ეს გადაწყვეტილება თავისთავად ვერ ასრულებს უცხოური აქტის ცნობისთვის საჭირო წინაპირობებს.²⁰

საერთაშორისო პრაქტიკა უშვებს ასევე შესაბამისი უცხოური სახელმწიფო აქტების

სააღსრულებო დანართების,²¹ უცხოური ნოტარიუსების სააღსრულებო დოკუმენტებისა და აღსრულებადი საპროცესო მორიგებების აღსრულებადად გამოცხადებას. უცხოური ყადაღებისა და სხვა სახის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა აღსრულებადად გამოცხადება თავისთავად დასაშვები არ არის,²² მაგრამ ამას შეიძლება ითვალისწინებდნენ სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებები.

ამგვარად, აღსრულებადად გამოცხადების სამართალწარმოების დავის საგანი არის არა უცხოური გადაწყვეტილების საფუძველი, ანუ მატერიალურ-სამართლებრივი დავა, არამედ კრედიტორისაგან უცხოური გადაწყვეტილებისთვის შიდასახელმწიფოებრივი აღსრულებადობის მინიჭების მოთხოვნა.²³ ეს საკმაოდ ახალი მიდგომაა, რადგან, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი გამოცემა ითვალისწინებდა ე.წ. *actio iudicati*-ის პრინციპს, ანუ პროცესის დავის საგანი იყო უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებაში დადგენილი მოვალის შესრულების ვალდებულება.

ეს კონცეფცია დღესაც მოქმედებს ბევრ ქვეყანაში. მაგალითად, ინგლისში *action upon judgement*-ის დროს,²⁴ როცა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულებადად გამოცხადება ხდება სარჩელის საფუძველზე. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება მიიჩნევა როგორც მოვალის „სამართლებრივი ვალდებულება“ („*legal obligation*“), რომელიც კრედიტორის მიერ უნდა იყოს აღსრულებული ინგლისში „დავალიანების გადახდის სარჩელის“ („*action of debt*“) საფუძველზე.²⁵

გერმანიის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების სამართლებრივი ტერმინოლოგიით, „გადაწყვეტილებაში“ მოიაზრება ერთგვარი კრებითი სიტყვა, რომელიც სასამართლო განხილვის რამდენიმე პროდუქტს მოიცავს. ამის საპირისპიროდ, როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლი ადგენს, გადაწყვეტილება არის პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილების ფორმა. აქედან გამომდინარეობს, რომ დადგენილება ყველა სახის სასამართლო აქტების კრებითი ცნებაა; იგივე გამომდინარეობს განჩინების ლეგალური დეფინიციიდანაც, რომელიც მოცემულია ამავე

კოდექსის 284-ე მუხლში. მაშ, როგორ უნდა მოვიაზროთ გადაწყვეტილება უცხოურ სასამართლო აქტებთან მიმართებით? განა მხოლოდ გადაწყვეტილებები (მათი ქართული განმარტებით) ექვემდებარება აღსრულებას? საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ 1996 წლის ხელშეკრულების 42-ე მუხლის მიხედვით, ცნობასა და აღსრულებას ექვემდებარება „სასამართლო გადაწყვეტილებები“, რომლებშიც სასამართლოს მიერ გამოტანილ აქტებთან ერთად მოიაზრება ასევე საალიმენტო ვალდებულებისა და მამობის დადგენის შესახებ დოკუმენტები, სააღსრულებო წარწერის მქონე დოკუმენტები და სხვ.

ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიერ მოცემული გადაწყვეტილების ცნება არ ემთხვევა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ანალოგს.

მაგრამ როგორი მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული უცხოური სასამართლო გადაწყვეტილება საერთაშორისო ხელშეკრულების არარსებობის პირობებში? ქართულ სამართალმცოდნეობასა და სასამართლო პრაქტიკაში არ მოიპოვება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ: „იძულებითი აღსრულების წარმოება შესაძლებელია საბოლოო გადაწყვეტილებების მიხედვით, რომლებიც კანონიერ ძალაშია შესული ან დროებით აღსრულებადია“. სასამართლო პრაქტიკა კი აკონკრეტებს: „გადაწყვეტილება, უცხოური სასამართლო აქტების შემთხვევაში, არის ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაში არის შესული და რომელმაც მხარეებს შორის დავა გადაწყვიტა ისე, რომ პროცესის მსვლელობისას დაცული იყო სასამართლო მოსმენის (*rechtliches Gehör*) პრინციპი.“²⁶ როგორც წესი, დოქტრინა უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებად მიიჩნევს ისეთ აქტს, რომლის სახელშეკრულებო რეგულირებაშიც კონკრეტულ სახელმწიფოს მონაწილეობა არა აქვს მიღებული.²⁷

ასევე აღსანიშნავია, რომ ცნობისას სავალდებულოა საბოლოო, საქმის არსებითი

გადაწყვეტილების შემცველი²⁸ აქტის არსებობა, მიუხედავად მისი დასახელებისა.²⁹ აქედან გამომდინარე, უცხოური წინასწარი ანუ შუალედური გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება ცნობას. კიდევ ერთი ნიშან-თვისება, რომელიც აუცილებელია ცნობისთვის, არის გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის დანესებული ვადის გასვლა პირველად ქვეყანაში.

ევროკავშირის საბჭოს დადგენილება 44/2001³⁰ იძლევა უცხოური გადაწყვეტილების დეფინიციას: „გადაწყვეტილება, ამ კონვენციის გაგებით, არის ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს სასამართლოს მიერ გამოცემული აქტი, მიუხედავად მისი დასახელებისა, იქნება ეს განჩინება, დადგენილება, გადახდის ბრძანება თუ სააღსრულებო ფურცელი, სასამართლოს მუშაკის ღირებულების შეფასების გადაწყვეტილების ჩათვლით“.

უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ბრუნს უსვლის კონვენციით ან ზემოთ დასახელებული ევროკავშირის საბჭოს დადგენილების მიხედვით ცნობასთან მიმართებით აუცილებელია სამოქალაქო ან სამეწარმეო საქმის არსებობაც, რაც ნიშნავს, რომ რეგისტრაციასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საქმეებზე, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის სფეროს შეიძლება მივაკუთვნოთ, საჭიროა განსაკუთრებული ნორმების გამოყენება.³¹

ვინაიდან სხვადასხვა სახელმწიფოში ტერმინი „სასამართლო“ სხვადასხვანაირად შეიძლება იქნეს გაგებული, უცხოელი სამართალმცოდნეები განმარტავენ სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც არავის მითითებებს არ ასრულებს და სამართალწარმოებას სასამართლო მოსემენის პრინციპის დაცვით ახორციელებს.³²

3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სახელმწიფო კუთვნილება

მრავალი წლის განმავლობაში არ არსებობდა ნაციონალური და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ერთმანეთისგან გამიჯვნის კრიტერიუმი. ევროპის რამდენიმე სახელმწიფოში ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაბატონებული იყო ე.წ. საპროცესო თეორია, რომლის ძალითაც სახელმწიფოსადმი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიკუთვნება ხდება საარბიტრა-

ჟო განხილვაში გამოყენებული სამართლის მიხედვით.³³ მაგალითად, თუ საქართველოში ქართველი არბიტრები საქმეს განიხილავენ ინგლისური სამართლის მიხედვით, მაშინ ამ პროცესის შედეგად მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საქართველოში უნდა ჩაითვალოს ინგლისურ ანუ უცხოურ აქტად.

ე.წ. ადგილმდებარეობის თეორიის თანახმად კი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სახელმწიფოებრივი კუთვნილება განისაზღვრება საარბიტრაჟო სასამართლოს გეოგრაფიული მდებარეობით, ანუ პროცესის ჩატარების ადგილით. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ადგილმდებარეობის თეორიის მიმდევარ სახელმწიფოებს შორისაც არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა დადგინდეს საარბიტრაჟო სასამართლოს ადგილმდებარეობა.³⁴ შვეიცარიაში ამის დადგენა ხდებოდა მხარეთა ნებით ფორმალურად დათქმული ადგილის მიხედვით, ხოლო საფრანგეთში გადამწყვეტია ადგილი, სადაც საარბიტრაჟო პროცესის ძირითადი საპროცესო მოქმედებები ჩატარდა.³⁵

ადგილმდებარეობის თეორია, პრაქტიკული თვალსაზრისით, უფრო ხელსაყრელი გამოდგა და ნელ-ნელა დამკვიდრდა მსოფლიოში. გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამაც, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო საპროცესო თეორიის მიმდევარი, 1996 წლის საარბიტრაჟო სამართლის რეფორმით შეცვალა თავისი მიდგომა და ადგილმდებარეობის კონცეფცია დაამკვიდრა. ამის მიზეზი, უპირველესად, საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ გაეროს სამოდელო კანონია, რომელიც ცალსახად ადგილმდებარეობის თეორიას ემყარება. ბუნებრივია, რომ გაეროს სამოდელო კანონზე დაფუძნებული საქართველოს ახალი კანონი არბიტრაჟის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლიდან, ასევე ადგილმდებარეობის თეორიას ემხრობა.

4. აღსრულებადად გამოცხადებაზე უფლებამოსილი ორგანოები

უცხოური სახელმწიფო სასამართლოების გადაწყვეტილებათა ცნობას და აღსრულებადად გამოცხადებას ახორციელებს საქართველოს უზენაესი სასამართლო, კერძოდ მისი სამოქალაქო, სამეწარმეო და გა-

კოტრების საქმეთა პალატა. ეს პირდაპირაა განსაზღვრული საქართველოს 1998 წლის კანონში „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, კერძოდ, მისი 68-ე მუხლის მე-5 პუნქტში.

ის ფაქტი, რომ უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი სასამართლო ინსტანცია, გამორიცხავს უცხოური გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრებას ზემდგომ ორგანოში. როგორც საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებამ დაამტკიცა, უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებადად გამოცხადებისას გადამწყვეტი როლი ენიჭება ამ პროცესის სისწრაფესა და სიმარტივეს. ამგვარად, გასაჩივრების საშუალების არარსებობა თუმცა, ერთი შეხედვით, პრობლემურია, პრაქტიკის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, სავსებით მისაღებია.

უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების მსგავსად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას ეკისრება. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ უცხოეთიდან შემოსული ნებისმიერი გადაწყვეტილება ერთი და იმავე სასამართლო ორგანოს განსჯადობის სფეროში შევა.

5. *ORDRE PUBLIC-ის დათქმა და REVISION AU FOND*

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლი ადგენს ცნობისა და, შესაბამისად, აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების ჩამონათვალს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შინაარსი: „გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება... თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს“. *ordre public*-ის დათქმის სახელით ცნობილი ამ პრინციპის გამოყენება პრაქტიკაში ხშირი არაა, თუმცა იგი უკვე რა ხანია, გაცხოველებულ დისკუსიებს იწვევს მსოფლიო სამართალმცოდნეობაში. თავად შეზღუდვის ტექსტობრივი მხარე გვიჩვენებს, თუ რაოდენ ფართო შეიძლება იყოს მოსამართლისთვის ამ ნორმის ახსნა-განმარტების ასპარეზი.

აღიარებულია, რომ მოსამართლის მიერ ამ მოთხოვნასთან უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისობის განხილვა სავალდებულოა და ამიტომ მხარის შუამდგომლობისგან დამოუკიდებლად ხორციელდება. ამგვარად, ნორმა, მასში ჩადებული საჯარო ინტერესის გამო, მხარეთა დისპოზიციური არ არის.³⁶

ვინაიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში უშუალოდაა გათვალისწინებული უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსობრივი გადამოწმების დაუშვებლობის პრინციპი, საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა მიიჩნევა ერთგვარ კოლიზიად, დაპირისპირებად ამ პუნქტით დადგენილი სასამართლო გადამოწმების მოვალეობასა და *revision au fond*-ის აკრძალვას შორის.³⁷

revision au fond-ის არსი ისაა, უცხოური გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადება მისი კანონიერების შემოწმების გარეშე განხორციელდეს. ამ პრინციპის მიზანია ნებისმიერი უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადება, მაშინაც კი, თუ იგი გამოყენებული სამართლის დარღვევით ან არასწორი გამოყენებით იქნა გამოტანილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაწყვეტილება სხვა ზემოთ დასახელებულ შეზღუდვებს ეწინააღმდეგება.³⁸

ამგვარად, დასავლეთში კანონმდებელი ერთგვარ შუალდებურ პოზიციას ანიჭებს მოსამართლეს – თუმცა ამ უკანასკნელს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე კონტროლის ფუნქცია აქვს, მაგრამ პრაქტიკულად ის მეტად შეზღუდულია. სიტყვა „ძირითადი“ ხომ იმას მიგვანიშნებს, რომ კანონმდებელი ნორმაში აქსოვს თავის სურვილს, საჯარო წესრიგის შესახებ დათქმის საბაზით უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე უარი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გამოაცხადოს.³⁹

საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, კერძოდ მისი მე-5 მუხლი, გარკვეულწილად აკონკრეტებს საჯარო წესრიგის ცნების შინაარსს და მიუთითებს, რომ საქართველოში არ გამოიყენება უცხო ქვეყნის ნორმები,⁴⁰ თუ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.⁴¹ ამიტომ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „საჯარო

წესრიგი“ გაიგივებულია „საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან“. შესაძლებელია წარმოიშვას ისეთი სიტუაცია, როდესაც ესა თუ ის ცნება ერთი ქვეყნის სამართლის მიხედვით მიეკუთვნება მატერიალურ სამართალს, ხოლო მეორე სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად, იგივე ინსტიტუტი საპროცესო ხასიათს ატარებს. რუსეთში, მაგალითად, ითვლება, რომ უცხოური ნორმატიული აქტი, როგორც წესი, არ უნდა იქნეს გამოყენებული რუსულ სასამართლოში იმ საკითხებზე, რომლებიც ამ ქვეყნის კანონმდებლობით პროცესუალურ-სამართლებრივ კატეგორიებად ითვლება.⁴² და პირიქით, ის გარემოება, რომ მოცემული ნორმა სხვა ქვეყანაში პროცესუალურ ხასიათს ატარებს, არ ეწინააღმდეგება მის გამოყენებას რუსული სასამართლოს მიერ, თუ ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში იგი განიხილება როგორც მატერიალურ-სამართლებრივი ქცევის წესი. ამის უპირველესი მაგალითია ინგლისური ხანდაზმულობის ვადების გამოყენება ინგლისურ სამართალზე მითითების არსებობისას, თუმცა საერთო სამართლის მიხედვით, მთელი ეს ინსტიტუტი არის საპროცესო სამართალი, გარდა უცხოური ხანდაზმულობის ვადების გამოყენებისა.⁴³

სწორედ მატერიალურ-სამართლებრივ საჯარო წესრიგთან გვაქვს საქმე „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლში, რომლის ძალითაც უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები არ გამოიყენება, თუ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ დებულებებში კი საუბარია სამოქალაქო პროცესუალურ-სამართლებრივ *ordre public*-ზე.⁴⁴ ამ შემთხვევაში, როგორც წესი, უარის თქმა ხდება არა საჯარო წესრიგის დამრღვევ უცხოურ სამართლის ნორმაზე, არამედ მიუღებელ უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებაზე.⁴⁵

არც ერთ ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს ზუსტი ჩამონათვალი ან რაიმე წესები, რომლებიც ადგენენ, თუ რა სახის უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგის მოთხოვნებს.⁴⁶ ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან ასეთი ნორმა რომც არსებობდეს, იგი აზრს მო-

კლებული იქნებოდა,⁴⁷ რადგან *ordre public*-ის დათქმის მიზანი სწორედ ისაა, მოსამართლეს გარკვეული თავისუფლება მიანიჭოს, რათა ამ უკანასკნელმა გადაწყვიტოს, თუ რომელი კონკრეტული უცხოური სასამართლო გადაწყვეტილება არ აკმაყოფილებს საჯარო წესრიგის მოთხოვნებს.

მაშასადამე, კონტინენტურ-ევროპული სამართლის სისტემის ქვეყნებში საქმე გვაქვს არა ზუსტ ჩამონათვალთან, არამედ სასამართლო პრაქტიკასა და თეორიულ იურიდიულ მეცნიერებაზე დამყარებულ დოქტრინასთან, რომელიც საჯარო წესრიგის დაახლოებით საზღვრებს ადგენს. საერთოდ, *ordre public*-ის შესახებ დათქმა ცალსახად მიიჩნევა გამონაკლის შემთხვევაში გამოყენებად ნორმად, მისი სამართლებრივი ინტერპრეტაცია ხდება ვიწროდ და, შესაბამისად, უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადად გამოცხადებასთან მიმართებით ასეთ პრეცედენტებს მეტად იშვიათად ვაწყდებით.

აღსანიშნავია, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი არ აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა მოახდინოს მოსამართლემ უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებაზე უარის თქმის საფუძვლის გადამოწმება – საკუთარი ინიციატივით ანუ სამსახურეობრივი მოვალეობის ფარგლებში (*ex officio*), თუ დისპოზიციური პრინციპიდან გამომდინარე, მხოლოდ მხარეთა შუამდგომლობის შედეგად. აღიარებულია, რომ საჯარო წესრიგთან გადაწყვეტილების შესაბამისობის საკითხი ყველა შემთხვევაში უნდა შეამოწმოს მოსამართლემ. ამგვარად, ეს მისი სამსახურეობრივი მოვალეობაა. მაგრამ განა ეს ნიშნავს, რომ სხვა საფუძვლები მხარის შუამდგომლობით უნდა იქნეს განხილული? აქ ყველაფერი 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების ახსნა-განმარტებაზე დამოკიდებული. სავარაუდოდ, ფრაზას – „გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ...“ – შესამჩნევად იმპერატიული დატვირთვა აქვს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უცხოური გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე მიღებული განჩინებებიდანაც ჩანს, რომ მოსამართლეები მეტწილად თავს ვალდებულად თვლიან, შეამოწმონ 68-ე მუხლში ჩამოთვლილ გარემოებათა არსებობის საკითხი. თუმცა ნათელია, რომ თვით

ნორმატიული აქტის ტექსტში ამ საკითხის თაობაზე მცირე მინიშნების გაკეთება სრულიად გამართლებული იქნებოდა.

უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხი 2010 წლამდე მოქმედ ქართულ სამართალში, ფაქტობრივად, სამართლებრივი რეგულირების მიღმა რჩებოდა. უფრო მეტიც, საქმე გვექონდა საკმაოდ ქაოსურ სიტუაციასთან, თუმცა საქართველოში მაინც არსებობდა ასეთი აქტების ცნობისა და აღსრულების პრეცედენტები. მაგალითად, არსებობს შემთხვევა, როცა ცნობა და აღსრულებადად გამოცხადება უცხო ქვეყნის სასამართლოს სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის

ანალოგიით განხორციელდა, რაც აბსოლუტურად სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტია.⁴⁸

პარლამენტის მიერ 2009 წლის 19 ივნისს მიღებული „არბიტრაჟის შესახებ“ ახალი კანონის 45-ე მუხლი ადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის გარემოებებს. ეს ჩამონათვალი ეფუძნება ნიუ-იორკის კონვენციის დებულებებს და მისასაღმებელია, რომ კანონი მკვეთრად მიჯნავს მხარეთა დისპოზიციურ პირობებს გარემოებებისგან, რომელთა არსებობის საკითხის გადამოწმება სასამართლოს ვალდებულებაა.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, 1998 (2009 წლის ნოემბრის მდგომარეობით);
2. საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ, 1999 (2009 წლის ნოემბრის მდგომარეობით);
3. საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ, 1997 (2009 წლის ნოემბრის მდგომარეობით);
4. საქართველო კანონი არბიტრაჟის შესახებ, 2009;
5. ხელშეკრულება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ, 1996;
6. ზ. გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ., 2006;
7. თ. ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ., 2000;
8. www.supremecourt.ge, სასამართლო გადაწყვეტილებანი, განჩინება 3ა-102, 4 ივლისი, 2003;
9. М.М.Богуславский, Международное частное право, Москва, 2002;
10. E. Bucher, die internationale Schiedsgerichtsbarkeit in der Schweiz, Bd. 1/II, Zuerich, 1988;
11. A.v. Falck, Implementierung offener auslaendischer Vollstreckungstitel, Bielefeld, 1998;
12. Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 4. Auflage, Koeln, 2001;
13. Geimer, Anerkennung auslaendischer Entscheidungen, Koeln, 1996;
14. U. Haas, die Anerkennung und Vollstreckung auslaendischer und internationaler Schiedssprueche, Muenchen, 1991;
15. Kegel, Exequatur sur exequatur ne vaut, Muenchen, 1986;
